ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა: კონფლიქტოლოგია

**მარეხ დევიძე**

# ორგანიზაციული კონფლიქტების პრევენცია ლოკალური და კოსმოპოლიტური ორიენტაციის პიროვნებებთან

სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია კონფლიქტოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

**სამეცნიერო ხელმძღვანელი:** რევაზ ჯორბენაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, პროფესორი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი

2024

სარჩევი

**თავი I: შესავალი ... 11**

პრობლემის დასმა ... 11

თეორიული ჩარჩო ... 14

კვლევის მეთოდოლოგია ... 21

მედია კონტენტ-ანალიზი ... 23

რაოდენობრივი გამოკითხვა ... 26

კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების საკვლევი სკალის შემუშავება ... 29

კვლევის ეთიკა ... 30

კვლევის შეზღუდვები ... 31

სადისერტაციო ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ... 32

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა ... 34

**თავი II: კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების შესახებ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა: ისტორიული რაკურსი ... 36**

**თავი III: რობერტ მერტონის თეორია კოსმოპოლიტურ და ლოკალურ ორიენტაციასთან დაკავშირებით და ქართული მედია კონტენტ-ანალიზი ... 66**

ლოკალებსა და კოსმოპოლიტებს შორის არსებული განსხვავებები სოციალური ურთიერთობების სტრუქტურებში. ... 73

ლოკალებისა და კოსმოპოლიტების ნებაყოფლობით ორგანიზაციებში მონაწილეობა ... 74

ლოკალებისა და კოსმოპოლიტების პიროვნებათშორისი გავლენები ... 75

ლოკალებისა და კოსმოპოლიტების სოციალური სტატუსი მოქმედებაში - პიროვნებათშორისი გავლენა ... **76**

კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების კვლევა მედია საშუალებებში ასახული კონფლიქტების კონტენტ-ანალიზის საფუძველზე ... 78

პოლიტიკური კონფლიქტი: დაპირისპირება კოსმოპოლიტურ და ლოკალურ ორიენტაციებს შორის ... **78**

მედია კონტენტ-ანალიზში ორგანიზაციული კონფლიქტების გადამოწმების გამოწვევები ... **79**

სხვადასხვა სექტორში მიმდინარე კონფლიქტის დინამიკა ... **80**

**თავი IV: კოსმოპოლიტების და ლოკალების ნიშან-თვისებები საკვანძო ავტორებთან ... 85**

კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების ემპირიული კვლევა ქართველ მიგრანტთებთან და საქართველოში მაცხოვრებლებთნ ... 91

კვლევაში მონაწილე პირების სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლები ... **91**

კვლევაში მონაწილე პირების კომუნიკაციისა და კულტურული პრაქტიკის პატერნები **97**

კვლევაში მონაწილე პირების კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების ემპირიული ანალიზი ... **111**

ლოკალური და კოსმოპოლიტური ორიენტაციის სოციო-დემოგრაფიული მდგენელები ....115
ლოკალური და კოსმოპოლიტური თვითიდენტიფიკაციის კავშირი სხვა შინაარსობრივ ცვლადებთან ....116
ემპირიული კვლევის მიგნებები....120
**თავი V: „ლოკალურ-კოსმოპოლიტური“ ორიენტაციების დონეების განსაზღვრა ორგანიზაციებში ....125**
**თავი VI: კონფლიქტები ორგანიზაციებში ....139**
**თავი VII: კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების სკალის შემუშავება ორგანიზაციულ კონტექსტში ....166**
Q - სორტირების მეთოდის შემუშავების ისტორია....166
სკალის შემუშავების აღწერა....168
სკალის შედგენის პროცედურა ....172
**თავი VIII: დასკვნა....181**
**ბიბლიოგრაფია....186**
**დანართები....193**
**დანართი №1: კითხვარი**....193
**დანართი №2 ემპირიული კვლევის შედეგების ამსახველი დიაგრამები**....203

# ვიზუალური მასალის სარჩევი


სქემა 1: კოსმოპოლიტობის ორგანზომილებიანი დახარისხება ....................................................56
სქემა 2: კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციის დონეები ..........................................135
სქემა 3: თომასისა და კილმანის კონფლიქტის ქცევითი სტრატეგიები .....................................152
სქემა 4: ორგანიზაციაში კონფლიქტის გამოვლენისა და მართვის თანმიმდევრობა................165
სქემა 5: დებულებების შერჩევის სქემა .........................................................................................169
სქემა 6: სკალაზე ბარათების განთავსება.......................................................................................170
სქემა 7: შეფასების თერთმეტსაფეხურიანი სკალა.........................................................................171
სქემა 8: რესპონდენტებთან პირველი ეტაპის შეფასების სტრუქტურა .........................................172
სქემა 9: უსდ-სთვის დებულებების განაწილება............................................................................173
სქემა 10: ექსპერტების მიერ დებულებების შეფასების სკალა.......................................................174

დიაგრამა 1: 2011-2013 წწ.-ში მედია კონტენტ-ანალიზით გამოვლენილი კონფლიქტების ტიპები ...................................................................................................................................................82
დიაგრამა 2: #12 დებულების შეფასების გრაფიკი ...........................................................................175
დიაგრამა 3: რესპონდენტთა სქესი ადგილმდებარეობის ჭრილში.............................................203
დიაგრამა 4: რესპონდენტთა საშუალო ასაკი ადგილმდებაროების ჭრილში ............................203
დიაგრამა 5: რესპონდენტების ეთნიკური კუთვნილება.................................................................204
დიაგრამა 6: რესპონდენტთა რელიგიური აღმსარებლობა ადგილმდებარეობის ჭრილში.....204
დიაგრამა 7: რელიფიურ მსახურებაში ჩართულობის სიხშირე ადგილმდებარეობის ჭრილში ...................................................................................................................................................205
დიაგრამა 8: რესპონდენტთა ოჯახური მდგომარეობა ადგილმდებარეობის ჭრილში ............205
დიაგრამა 9: ოჯახში საცხოვრებელი გარემო ადგილმდებარეობის ჭრილში...........................206
დიაგრამა 10: ოჯახის ტრადიციულობის შეფასება 5 ბალიან სკალაზე ადგილმდებარეობის ჭრილში ...................................................................................................................................................206
დიაგრამა 11: რესპონდენტთა საცხოვრებელი ადგილი ადგილმდებარეობის ჭრილში..........207
დიაგრამა 12:მიგრაციის ადგილას ცხოვრების გამოცდილება (ერთ წელზე მეტი დროით) ადგილმდებარეობის ჭრილში..........................................................................................................207
დიაგრამა 13: განათლების მიღწეული დონე ადგილმდებარეობის ჭრილში............................208
დიაგრამა 14: განათლების მიღების ქვეყანა ადგილმდებარეობის ჭრილში..............................208
დიაგრამა 15: ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა ადგილმდებარეობის ჭრილში.................209
დიაგრამა 16: ჩაცმის სტილი ადგილმდებარეობის ჭრილში .........................................................211
დიაგრამა 17: დასახლების ტიპის პრეფერენცია ადგილმდებარეობის ჭრილში ......................211
დიაგრამა 18: კვების სტილი ადგილმდებარეობის ჭრილში ..........................................................212
დიაგრამა 19: უცხოელებთან კომუნიკაციის სიმარტივე ადგილმდებარეობის ჭრილში.........214
დიაგრამა 20: თავშეკავებულობა უცხოებთან ურთიერთობისას ადგილმდებარეობის ჭრილში ...................................................................................................................................................214
დიაგრამა 21: ქვეყნის შიგნით მოგზაურობის სიხშირე ადგილმდებარეობის ჭრილში ...........215
დიაგრამა 22: ქვეყნის გარეთ მოგზაურობის სიხშირე ადგილმდებარეობის ჭრილში .............215
დიაგრამა 23: სხვა კულტურის ღირებულებების და ნორმების გათავისება ადგილმდებარეობის ჭრილში..........................................................................................................216
დიაგრამა 24: ქართული ტრადიციების მნიშვნელობა ადგილმდებარეობის ჭრილში............216
დიაგრამა 25: სხვა კულტურის მიმართ ლოიალურობა ადგილმდებარეობის ჭრილში ..........217
დიაგრამა 26: საკუთარი ერის კულტურით კმაყოფილება ადგილმდებარეობის ჭრილში .....217

დიაგრამა 27: ცნება ლოკალის და ცნება კოსმოპოლიტის შესახებ ინფორმირებულობა ადგილმდებარეობის ჭრილში....218
დიაგრამა 28: ლოკალად და კოსმოპოლიტად თვითიდენტიფიკაცია ადგილმდებარეობის ჭრილში ....218
დიაგრამა 29: მსგავსი ორიენტაციის მქონე ადამიანებთან ნაცნობობა ადგილობრივ ჭრილში ....219
დიაგრამა 30: კონფლიქტები სხვა ორიენტაციის მქონე პირებთან ადგილმდებარეობის ჭრილში ....219
დიაგრამა 31: ლოკალური და კოსმოპოლიტური ორიენტაციის ადამიანების ჩაცმის სტილი ....220
დიაგრამა 32: უცხოებთან კომუნიკაციის სიადვილე კოსმოპოლიტებთან და ლოკალებთან.220
დიაგრამა 33: მიმართება ქვეყნის შიგნით მოგზაურობასა და კოსმოპოლიტურ-ლოკალურ ორიენტაციას შორის ....221
დიაგრამა 34: მიმართება ქვეყნის გარეთ მოგზაურობასა და კოსმოპოლიტურ-ლოკალურ ორიენტაციას შორის ....221
დიაგრამა 35: სხვა კულტურის ღირებულებების და ნორმების გათავისების სიმარტივე ლოკალებთან და კოსმოპოლიტებთან....222
დიაგრამა 36: რამდენად ლოიალური ხართ სხვა კულტურის ღირებულებებისა და ნორმების მიმართ. საშუალოების შედარება კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების მიხედვით (5 ბალიანი სკალა: 1 ძალზე არალოიალური, 5 ძალზე ლოიალური)....222

ცხრილი 1: კოსმოპოლიტურ-ლოკალური ორიენტაციების საზომი დებულებების ცხრილი176
ცხრილი 2: კომუნიკაციის პატერნები სხვადასხვა კონტექსტში....210
ცხრილი 3: რესპონდენტების მიერ თავისუფალი დროის გატარების ფორმები ადგილმდებარეობის ჭრილში....213

## აბსტრაქტი

თანამედროვე სამყაროში გლობალურ ინტეგრაციასა და ადგილობრივ ტრადიციებს შორის ბალანსის დაცვა ინდივიდების, ორგანიზაციებისა და ერებისთვის გამოწვევას წარმოადგენს. სულ უფრო იზრდება ტრანსნაციონალური ორგანიზაციების რაოდენობა, რომლებსაც ოპერირებისთვის ახალ, გლობალურ კონტექსტებთან ადაპტირება უწევთ. ასეთ ორგანიზაციებში დასაქმებული ადამიანები, კულტურული განსხვავებების გამო, მრავალ სირთულეს აწყდებიან. მსგავსი გამოწვევა აქტუალურია ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი ქვეყნებისთვის, მათ შორის, საქართველოსთვის, რომელიც საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობის დაძლევის და ევროინტეგრაციის პროცესშია. შესაბამისად, მიკრო (ინდივიდები), მეზო (ორგანიზაციები) და მაკრო (სახელმწიფოები) დონეზე გლობალურ კონტექსტში ადაპტირება ლოკალური კულტურის ავთენტურობის შენარჩუნების კვალდაკვალ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. თუმცა, ამ ბალანსის მიუღწევლობა შესაძლოა კონფლიქტების მიზეზი გახდეს. ამიტომაც, მნიშვნელოვანია მსგავსი დაპირისიპერების კვლევა, რომელიც შეგვიძლია კოსმოპოლიტიზმისა და ლოკალიზმის კონცეფციის ჩარჩოებში განვიხილოთ.

თეორიული და ემპირიული მიდგომების გამოყენებით წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი იკვლევს კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების განვითარებასა და მნიშვნელობას ორგანიზაციულ და სოციალურ კონტექსტში. ნაშრომში წარმოდგენილია კოსმოპოლიტიზმისა და ლოკალიზმის კონცეფციების როგორც ისტორიული ევოლუცია, ისე, თანამედროვე დისკუსიები. სხვადასხვა ავტორებზე დაყრდნობით, კოსმოპოლიტიზმს განვიხილავ როგორც გლობალური ინტეგრაციის ინდიკატორს, ხოლო ლოკალიზმს, როგორც ტრადიციებისა და ავთენტური კულტურების შენარჩუნების მექანიზმს.

დისერტაცია ეფუძნება რობერტ მერტონის კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების თეორიას, რომელიც განასხვავებს გლობალურ კონტექსტებზე ორიენტირებულ ინდივიდებს იმ ინდივიდებისაგან, რომლებიც მიჯაჭვულნი არიან ადგილობრივ გარემოსთან. კოსმოპოლიტიზმისა და ლოკალიზმის კვლევისას მერტონი ხაზს უსვამს კომუნიკაციის, მედიის მოხმარებისა და სოციალური კონფლიქტის პატერნებს, რასაც ვიყენებ ქართული მედია ნარატივების კონტენტ-

ანალიზისთვის. 2011-2013 წლებში, მედიაში რეპრეზენტირებული ხელისუფლების ცვლილების კონტენტ-ანალიზი ნათლად ასახავს, თუ როგორ იმოქმედა ლოკალურმა და კოსმოპოლიტურმა პერსპექტივებმა პოლიტიკურ დისკურსზე, რომელშიც პარტია „ქართული ოცნება" შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებს ანიჭებდა უპირატესობას, პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" კი, საერთაშორისო ინტეგრაციის მნიშვნელობას უსვამდა ხაზს.

ნაშრომში ძირითადი აქცენტი კეთდება ორგანიზაციებში კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების ურთიერთქმედების საკითხზე და ეფუძნება ელვინ გოულდნერის და ჰუ ქენონის & ატილა იაპრაკის ტიპოლოგიას. აღნიშნული ავტორების თეორიაზე დაყრდნობით, ვაყალიბებ ორივე ორიენტაციის მქონე პირთა პროფილს (კოსმოპოლიტებს ახასიათებს პროფესიული მობილურობა, ფართო სოციალური კავშირები, დამსაქმებელი ორგანიზაციის მიმართ დაბალი ლოიალობა და ინოვაციების სურვილი, ხოლო ლოკალების პროფილში პრევალირებს ორგანიზაციული კულტურის მიმართ ერთგულება, სტაბილურობა და განგრძობადობა). მიუხედავად იმისა, რომ ამ ორიენტაციებს შორის მიმართება პოტენციურად კონფლიქტურია, ეს დაძაბულობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ორგანიზაციული განვითარების მამოძრავებელი ძალა.

ნაშრომში წარმოდგენილია გერმანიაში მყოფ ქართველ მიგრანტებსა და საქართველოს რეზიდენტთა კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების გასაზომად ჩემ მიერ ჩატარებული კვლევა. კვლევის შედეგების ანალიზი აჩვენებს, რომ კოსმოპოლიტურ და ლოკალურ ორიენტაციებზე გავლენას ახდენს სოციალურ-დემოგრაფიული ფაქტორები, ისეთები, როგორიცაა სქესი, რელიგიურობა, ოჯახური მდგომარეობა, პარტნიორის ეთნიკური წარმომავლობა და ოჯახის ტრადიციულობა. კოსმოპოლიტები უფრო ადაპტირებულნი არიან მულტიკულტურულ გარემოსთან, გამოირჩევიან მობილურობით და ახალი გამოცდილების მიღების სურვილით, ხოლო ლოკალები უფრო მეტად არიან მიჯაჭულნი თავიანთ კულტურულ ტრადიციებთან და უპირატესობას ანიჭებენ სტაბილურობას. განსხვავებები ჩაცმულობაში, გასტრონომიულ პრეფერენციებსა და მოგზაურობაში ასევე ასახავს ლოკალებისა და კოსმოპოლიტებისთვის დამახასიათებელ განსხვავებულ ცხოვრების წესს.

აღსანიშნავია, რომ კოსმოპოლიტებსა და ლოკალებს შორის კონფლიქტები ზოგადად იშვიათია, თუმცა, უფრო ხშირია გერმანიაში მცხოვრებ ლოკალებად თვითიდენტიფიცირებულ მიგრანტებთან, რაც გლობალურ კონტექსტში ამ ორიენტაციის მქონე პირთა ინტეგრაციის გამოწვევებზე მიუთითებს. ნიშანდობლივია ის, რომ ორივე სახის ორიენტაცია შეიძლება თანაარსებობდეს და ინდივიდებს, კონტექსტიდან გამომდინარე, შეუძლიათ მათ შორის ნავიგაციის მოხდენა.

სადისერტაციო კვლევის ფარგლებში, Q-მეთოდოლოგიის გამოყენებით, შევქმენი კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების საზომი სკალა, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულებების კონტექსტში სუბიექტური დამოკიდებულებებისა და აღქმების შესწავლას. კვლევის მიგნებას წარმოადგენს ის, რომ კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციები ემპირიულად გაზომვადია და სოციალური და ორგანიზაციული დინამიკის ღირებულ კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ ჩარჩოდ შეგვიძლია მისი გამოყენება. მიუხედავად იმისა, რომ კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციები ხშირად განიხილება ბინალურ ოპოზიციებად, ემპირიული კვლევები აჩვენებს, რომ ის შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ღირებულებათა კონტინიუმი, რომელიც გავლენას ახდენს ინდივიდუალურ და კოლექტიურ ქცევაზე.

## Abstract

Navigating the balance between global integration and local traditions is a challenge that affects individuals, organisations, and nations in today's interconnected world. The rise of transnational organisations, which must adapt to global contexts to function effectively, amplifies this complexity. Employees in these organisations often encounter cultural differences, leading to difficulties in collaboration and adaptation. This issue is particularly relevant for countries undergoing transformative processes, such as Georgia, which is working to overcome the Soviet legacy while progressing toward European integration. Thus, managing the interplay between global influences and local cultures across micro (individual), meso (organisational), and macro (state) levels is critical. The tension for global integration and presenvation of local cultures can be understood within cosmopolitanism and localism, two opposing but interrelated perspectives that shape behaviours and policies across various contexts.

This dissertation explores the development and implications of cosmopolitan and local orientations, particularly within organisational and societal contexts, using both theoretical and empirical approaches. The study is rooted in the historical evolution of these concepts, tracing their development from ancient Greek philosophy to modern social thoughts. The works of critical thinkers provide a foundation for understanding cosmopolitanism as a moral ideal, a symbol of global integration, and a counterbalance to fundamentalism. On the other hand, localism is examined as a mechanism to preserve traditions and authentic cultures in the face of globalisation.

The dissertation builds upon Robert Merton's theory of cosmopolitan and local orientations, which distinguishes between globally oriented individuals and those more attached to their local environments. Merton's framework, which emphasises communication patterns, media consumption, and social conflict, is applied to Georgian society through a content analysis of media narratives during the political transition from the political party "United National Movement" to the political party "Georgian Dream" government in 2011-2013. This analysis reveals how local and cosmopolitan perspectives influenced political discourse, with the former focusing on international integration and the latter on domestic concerns.

A key research focus is the interaction of cosmopolitan and local orientations within organisations, building on Alvin Gouldner's typology of organisational members. Cosmopolitans are characterised by their professional mobility, external social networks, and desire for innovation, while locals prioritise organisational loyalty, stability, and continuity. While potentially conflictual, the tension between these orientations is also seen as a productive force that can drive organisational development.

The empirical part of the research employs a survey of Georgian migrants in Germany and residents in Georgia to measure their cosmopolitan and local orientations. The findings show that these orientations are influenced by socio-demographic factors such as sex, religiousity, marital status, partners' ethnic identity, and family traditionality. Cosmopolitans are more adaptable to multicultural environments, mobile, and open to new experiences, while locals are more rooted in their cultural traditions and prefer stability. Differences in dress, gastronomic preferences, and travel behaviours further illustrate the distinct lifestyles associated with each orientation.

A notable finding is that conflicts between cosmopolitans and locals are generally low, although more frequent among migrants with local orientation in Germany, potentially due to integration challenges of persons attached to etho-cultural traditions and norms. However, both orientations can coexist, and individuals may navigate between them depending on context.

The dissertation also develops a measurement scale for cosmopolitan and local orientations using Q-methodology, providing a robust tool for examining subjective attitudes and perceptions in contexts of educational organisations. The research concludes that cosmopolitan and local orientations are empirically measurable and offer valuable insights into Georgian society's social and organisational dynamics. Though often seen as opposing, these orientations form a spectrum that influences individual and collective behaviour in complex ways.

# თავი I: შესავალი

## პრობლემის დასმა

კოსმოპოლიტიზმისა და ლოკალიზმის ცნებებმა განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა თანამედროვე სამყაროში, სადაც გლობალური ინტეგრაციისა და ადგილობრივი ტრადიციების დაცვის დილემა მწვავედ დგას ინდივიდების, ორგანიზაციებისა და ერების წინაშე. კოსმოპოლიტური ორიენტაცია, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა კულტურის მიმღებლობას და ნაციონალურ მოქალაქეობაზე მეტად გლობალური მოქალაქეობისადმი უპირატესობის მინიჭებას, ხშირად მკვეთრად უპირისპირდება ლოკალურ ორიენტაციას, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებს საკუთარი ერის კულტურულ მემკვიდრეობასა და ადგილობრივ საზოგადოებად ინტეგრაციას. ეს ბინალური ოპოზიცია მკაფიო ინდიკატორია უფრო ფართო სოციალური დინამიკის, განსაკუთრებით კი, ისეთ რეგიონებში, რომლებიც განიცდიან სწრაფ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ტრანსფორმაციას. ერთ-ერთი ასეთი სოციალური ლანდშაფტი საქართველოა, ქვეყანა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში, ანტიკური იმპერიებიდან საბჭოთა კავშირის ტოტალიტალურ რეჟიმამდე, სხვადასხვა კულტურულ, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ გავლენებს განიცდიდა, ახლა კი მიისწრაფვის ევროინტეგრაციისკენ. ჩვენი ქვეყნის დაძაბულობებით გაჯერებული ისტორია, ლოკალური იდენტობების შენარჩუნებასა და კოსმოპოლიტიზმის ათვისებას შორის კომპლექსური სოციალური დინამიკის ნათელი მაგალითია. როდესაც საქართველო ცდილობს გლობალურ სამყაროში ადგილის დამკვიდრებას, სხვადასხვა ტიპის რეფორმის გატარებისა და საერთაშორისო პარტნიორობის გზით, ლეგიტიმურად ჩნდება კითხვა იმის შესახებ, თუ როგორ იცავენ ინდივიდები და ინსტიტუტები ბალანსს ლოკალურ ტრადიციებს, მსოფლმხედველობასა და გლობალურ პერსპექტივებს შორის. ამ კონტექსტში, ლოკალიზმსა და კოსმოპოლიტიზმს შორის დაპირისპირების კვლევა და ამ განსხვებული ორენტაციებით გამოწვეულ კონფლიქტებზე რეფლექსია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

ორგანიზაციების მუშაობა და ფუნქციონირება XXI საუკუნეში გლობალურ კონტექსტში განიხილება. შექმნილია ტრანსნაციონალური ორგანიზაციები, რომელთა მუშაობა განპირობებულია ახალი სახის ურთიერთობებით. ასეთ ორგანიზაციებში

მომუშავე პერსონალი სირთულეებს აწყდება, გამომდინარე კულტურული განსხვავებებიდან. ტრანსნაციონალურ ორგანიზაციაში მომუშავეთა იდენტობა თანამედროვე კვლევებში ორი სახისაა. ორგანიზაციებში მუშაობენ ადამიანები, რომლებიც სამეცნიერო კვლევებში "ლოკალებად" ან "კოსმოპოლიტებად" კლასიფიცირდებიან. საინტერესოა თუ როგორ „ითარგმნება" ეს სამეცნიერო ტერმინები „ყოფით" ენაზე, როგორ შეიძლება ამ ორიენტაციების გაზომვა და ორგანიზაციის კულტურის კონტექსტში მათი მნიშვნელობის შესწავლა.

ლოკალები ორიენტირებულნი არიან მეტ, მათივე ორიენტაციის მქონე პირებთან ჰქონდეთ ურთიერთობა, მაშინ როდესაც, კოსმოპოლიტები აქცენტს ადამიანებთან ურთიერთობების ხარისხზე და მათ ქცევებზე აკეთებენ. მეცნიერთა დიდი ნაწილი თავიანთ კვლევებში მსგავს დაყოფაზე მიუთითებენ (მაგ., უილრიხ ბეკი, ენტონი გიდენსი და სხვ.) (Beck, 2000; Giddens, 1991). თუ მსგავს კლასიფიკაციას ორგანიზაციების კონტექსტში შევიტანთ, მაშინ ცხადია, რომ დასაქმებულთა განსხვავებული ქცევის საფუძველსაც ვიპოვნით. პიროვნებების კოსმოპოლიტებისა და ლოკალების კატეგორიაში მოთავსება აგვიხსნის მათ შორის წარმოშობილ დაპირისპირებას, რადგან კონფლიქტის საფუძველი სწორედ სხვადასხვა ღირებულებითი ორიენტაცია შეიძლება იყოს. ზოგჯერ დაპირისპირებები სუბკულტურის სახეს იღებს, რომელზედაც ორგანიზაციის კულტურა ზემოქმედებს და ინდივიდუალურ განზომილებას წარმოშობს. ეს პროცესი კი, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იღებს ცვალებად კონტექსტში. საბაზრო ეკონომიკამ საქართველოში არსებული ორგანიზაციების დიდი ნაწილი გლობალურ სფეროში ჩართო. ამ ორგანიზაციებში, ძირითადად, დასაქმებულნი არიან საქართველოში მცხოვრები პირები, რომელთა ნაწილი შეიძლება მივაკუთნოთ "ლოკალებს", ხოლო ზოგი კი - "კოსმოპოლიტებს". მათ შორის მატულობს დაპირისპირება, რომელიც ხელს უშლის ორგანიზაციის კულტურის სრულყოფილად წარმოჩენასა და განვითარებას. ორგანიზაციებში "ლოკალებს" აქვთ კონფლიქტები, რომლებიც მოქმედებს ორგანიზაციის წინსვლაზე და, რაც მთავარია, ორგანიზაციის პროდუქტიულობაზე. ასეთი ვითარებაა თითქმის ყველა ორგანიზაციაში, რომელთაც პრეტენზია აქვთ, იყვნენ ტრანსნაციონალური. იქედან გამომდინარე, რომ საქართველოში ეს საკითხი ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი, მიზნად დავისახე შემესწავლა ამ ორ (ლოკალურ და

კოსმოპოლიტურ) ორიენტაციებს შორის განსხვავებების არსი, მათი ემპირული გამოვლინებები და მათი ზეგავლენა ორგანიზაციის განვითარებაზე.

საკითხის აქტუალურობის მნიშვნელობა განსაზღვრულია ზემოთ ნახსენები გარემოებებით: საქართველოში მოქმედი ორგანიზაციების ნაწილი ტრანსნაციონალურია, ხოლო არატრანსნაციონალური ორგანიზაციებისთვის კი, მაინც მნიშვნელოვანია გლობალურ კონტექსტთან ადაპტირება, რადგან თანამედროვე დაწესებულებების ორგანიზაციული კულტურა თავისი მახასიათებლებით საერთაშორისო სტანდარტებს უნდა შეესატყვისებოდეს. აქედან გამომდინარე, თუ ჩვენ თანამედროვე ორგანიზაციებში დასაქმებულთა შორის არსებული კონფლიქტის მიზეზებს გამოვავლენთ, დაძაბულობის მოხსნაც ადვილად მოხდება. ადამიანები, რომლებიც ტრანსნაციონალურ ან გლობალურ კონტექსტში ჩართულ ორგანიზაციებში მუშაობენ, თავისი სტატუსით, გავლენის სფეროებითა და მოქმედებებით, უნდა აკმაყოფილებდნენ საერთაშორისო სტანდარტებს. შესაბამისად, თუ სამეცნიერო კვლევებში გამოყენებული ინსტრუმენტების მიხედვით მათ მახასიათებლებს გავზომავთ და მათ განვათავსებთ “ლოკალურ-კოსმოპოლიტურ სკალაზე, გამოვავლენთ მათ განწყობებს ორგანიზაციული კულტურის მიმართ, წინააღმდეგობრივი განწყობების მიზეზებს და კონფლიქტების პრევენციასაც შევძლებთ.

კოსმოპოლიტიზმი, რომელიც ხშირად ასოცირდება გლობალური კულტურებისადმი ღიაობასთან, მულტიკულტურალიზმთან და უცხო კონტექსტთან ადაპტირებასთან, განსხვავდება ლოკალიზმისგან, რომელიც ხაზს უსვამს ტრადიციებისა და ავთენტური კულტურის მნიშვნელობას და მათი შენარჩუნების მნიშვნელობას. ეს ორიენტაციები არ არის მხოლოდ აკადემიური დებატები, არამედ ასახავს ორგანიზაციებში დასაქმებულთა ცხოვრებისეულ რეალობას. თუ ორგანიზაციის მაგალითად ავიღებთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, შეგვიძლია დავინახოთ, რომ პროფესორები, მკვლევრები, განათლების პროცესის მართვაში ჩართული პირები და სტუდენტები, განუწყვეტლივ მსჯელობენ იდენტობის საკითხებზე, რომელიც ემყარება ან გლობალურ ან ადგილობრივ ნორმებს და დამოკიდებულია პიროვნულ ღირებულებებზე, ქმნის სოციალურ მოლოდინებსა და თავის მხრივ გავლენას ახდენს ინსტიტუციურ პოლიტიკაზე. შესაბამისად,

საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის გამოწვევას წარმოადგენს ამ მრავალფეროვანი ორიენტაციების მორგება თავის ორგანიზაციულ კულტურაზე, ისე რომ, ჩართული იყოს საერთაშორისო თანამშრომლობაში, თუმცა, შეესაბამებოდეს ადგილობრივ კონტექსტს და ადგილობრივების მოლოდინებს.

გარდა საგანმანათლებლო და ტრანსნაციონალური ორგანიზაციებისა, საქართველოსთვის ამ საკითხის შესწავლა იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ აქ ცხოვრობენ სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები, რომელთაც ერთად უწევთ მუშაობა. სწორედ ამიტომ, ხშირ შემთხვევაში, ორგანიზაციული კონფლიქტები გამოწვეულია სხვადასხვა ტრადიციისა და კულტურის შეუთავსებლობით. ორგანიზაციული კონფლიქტის დროს მნიშვნელოვანია ყურადღება მივაქციოთ არა მხოლოდ კონფლიქტის მიმდინარეობის დინამიკას, არამედ, აუცილებელია, პიროვნების ემოციური მხარეც განვსაზღვროთ. კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების დადგენა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ორგანიზაციებისთვის, რომ არ მოხდეს კონფლიქტების ესკალაცია და თანამშრომლებს შორის კონფლიქტები საწყის ეტაპზე მოგვარდეს. სწორედ ამიტომ, წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი ფოკუსირებულია კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების მყარი თეორიული და მეთოდოლოგიური ჩარჩოს შექმნაზე.

## თეორიული ჩარჩო

ქართული საზოგადოების კონტექსტში კოსმოპოლიტიზმისა და ლოკალიზმის ურთიერთქმედების საკვლევად წარმოდგენილი სადოქტორო თეზისი ეყრდნობა მთელ რიგ თეორიულ პერსპექტივებს, რომლებიც დეტალურად არის განხილული შემდეგ თავებში. წარმოდგენილ ქვეთავში კი, განვიხილავ კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების თეორიული კონსტრუქტის მიმართებას გლობალიზაციის, კულტურული ტრანსფორმაციისა და ეროვნული იდენტობის უფრო ფართო თემებთან. აქ წარმოდგენილი თეორიული ჩარჩო ეფუძნება როგორც კლასიკურ, ისე თანამედროვე სოციოლოგიურ თეორიებს, ისე რომ, ითვალისწინებს საქართველოს პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის პროცესს.

კოსმოპოლიტიზმსა და ლოკალიზმს შორის ფუნდამენტური თეორიული განსხვავება მრავალმა მეცნიერმა გამოიკვლია, რომელთაგან თითოეული

განსხვავებულად ხსნის იმას, თუ როგორ აღიქვამენ ინდივიდები სამყაროს და როგორ მოქმედებენ ისინი ინსტიტუტებში.

მაგალითად, ულრიხ ბეკის "კოსმოპოლიტური ხედვის" კონცეფცია კოსმოპოლიტიზმს წარმოადგენს, როგორც ორიენტაციას, რომელიც სცილდება ეროვნულ საზღვრებს, ხელს უწყობს გლობალურ ცნობიერებას და პატივს სცემს მრავალფეროვნებას (Beck, 2006). კოსმოპოლიტებს ნაკლებად ახასიათებთ ადგილობრივ გარემოსთან მიჯაჭულობა, ისინი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც გლობალური მოქალაქეები, რომლებიც უფრო გლობალური რისკებისა და შესაძლებლობებისკენ არიან მიდრეკილნი. თანამედროვე სამყაროში, რომელიც მზარდი გამოწვევების, მათ შორის, მიგრაციული ტალღების, კლიმატის ცვლილების ან ტექნოლოგიური განვითარების გამო კულტურული შეყოვნების წინაშე დგას, მსგავსი გლობალური მსოფლმხედველობა არსობრივია, რადგან მხოლოდ ტრანსნაციონალური მიდგომის დახმარებით შეიძლება მათთან გამკლავება. კოსმოპოლიტურ ხედვას კვამე ენტონი აპია აფართოებს და გვთავაზობს „კოსმოპოლიტური პატრიოტიზმის“ კონცეფციას, რომლის მიხედვით ინდივიდებს შეუძლიათ ერთდროულად იყვნენ ლოიალურნი ადგილობრივი ნორმების მიმართ და მიიღონ უნივერსალური ღირებულებები (Appiah, 2007). საკუთარი ეროვნული იდენტობის მიმართ ერთგულებისა და გლობალური სამყაროს მიმართ ღიაობას შორის ბალანსის პოვნის შესაძლებლობის გაგება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ გარდამავალ საზოგადოებებში, როგორიც საქართველოა, სადაც ქვეყნის ხანგრძლივი ტრადიციები და ეროვნული ღირებულებები ევროპული ინტეგრაციისა და გლობალური სამყაროს წევრობისკენ სწრაფვას უნდა მოერგოს.

ამის საპირისპიროდ, ულფ ჰანერცი (Hannerz, 1990) კოსმოპოლიტებს „კულტურულ ნავიგატორებს“ უწოდებს, რომლებსაც იოლად შეუძლიათ მრავალ კულტურულ ჩარჩოებში ნავიგაცია. კოსმოპოლიტები მხოლოდ გლობალური კულტურის დამცველები არ არიან, ისინი ცდილობენ გაიგონ სხვადასხვა კულტურა და მოახდინონ მრავალი პერსპექტივის ინტეგრირება. კოსმოპოლიტური იდენტობის მსაზღვრელი, მრავალფეროვანი კულტურული გამოცდილების, ღირებულებებისა და ცხოვრების სტილის მიმღებლობაა, რაც, ინსტიტუციურ დონეზე გლობალური სტანდარტების დანერგვის ტენდენციებში აისახება (Hannerz, 1990). მაგალითად, თუ

ავიღებთ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეს, საქართველოს უნივერსიტეტების მზადყოფნა მიიღონ საერთაშორისო სასწავლო გეგმები, დაამყარონ საერთაშორისო პარტნიორობა და წაახალისონ სტუდენტთა თუ აკადემიური პერსონალის ბილატერალური გაცვლა, ინსტიტუციურ დონეზე კოსმოპოლიტური ორიენტაციის ინდიკატორია.

მეორე მხრივ, ლოკალიზმს ახასიათებს ავთენტური ტრადიციებისა და თემისადმი ძლიერი მიჯაჭვულობა. ინდივიდების იდენტობისა და ქმედებების ჩამოყალიბებაში კლიფორდ გირცი ხაზს უსვამს ადგილობრივი კულტურისა და ტრადიციების მნიშვნელობას (Geertz, 1973). ავტორის მიხედვით, ლოკალიზმი კულტურული პრაქტიკის „სქელ აღწერას“ მოიცავს, რომელიც ღრმად არის ფესვგადგმული სოციალურ ცხოვრებაში. ედუარდ შილსი აღნიშნავს, რომ ლოკალების იდენტობა მათივე თემებში ყალიბდება, ამიტომაც, ისინი სტაბილურობას, უწყვეტობას და ტრადიციას ანიჭებენ უპირატესობას. ლოკალური ღირებულებებისა და პრაქტიკისადმი მსგავსი მიჯაჭვულობა ხშირად ვლინდება გლობალური გავლენის მიმართ წინააღმდეგობაში (Shils, 1957). ქართული საზოგადოების იმ ნაწილში, სადაც მართლმადიდებლური ეკლესიისა და ტრადიციული ოჯახის სტრუქტურების მიმართ განსაკუთრებული ლოალობით გამოირჩევიან, შესამჩნევია გლობალური ტენდენციების მიმართ ანტაგონიზი, რაც, ზოგჯერ რადიკალურ ხასიათს იღებს და გამოიხატება ისეთ ფრაზაში, როგორიცაა „გარყვნილი დასავლეთი.“

ენტონი სმიტის ნაციონალიზმის თეორია კიდევ ერთ საკვანძო პერსპექტივას გვთავაზობს. ავტორის მიხედვით, ძლიერი ლოკალური იდენტობები შეიძლება გლობალური ზეწოლის საპასუხოდ წარმოიშვას (Smith, 1991). საქართველოში ლოკალიზმი არ არის მხოლოდ ტრადიციებზე პასიური მიჯაჭულობა, ზოგჯერ ის გლობალიზაციის შედეგად წარმოქმნილი კულტურული იდენტობის საფრთხისგან დაცვის რადიკალურ (მაგ., როგორიცაა პრაიდთან ძალადობრივი დაპირისპირება) ღონისძიებებში გადაიზრდება ხოლმე. ნაციონალისტური მოძრაობები, რელიგიური კონსერვატიზმი და ქართულ ენასა და ისტორიაზე განსაკუთრებული აქცენტების გაკეთება ქართულ საზოგადოებაში ლოკალური ორიენტაციის პრევალირებაზე მიუთითებს, რაც განსაკუთრებით მწვავდება საქართველოს დასავლურ საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესში.

გლობალიზაცია, რომელიც თავის თავში წინააღმდეგობასაც მოიაზრებს, კულტურულ ჰეგემონიასა და კულტურულ ჰიბრიდიზაციას შორის დაძაბულობის შედეგია, რადგან ადგილი აქვს გლობალური ნორმების გავრცელებას (გლობალური ნორმები ადგილობრივ კონტექსტთან თუ არ ადაპტირდა, ის ვერ იქნება ქმედითი). არჯუნ აპადურაის აზრით, ინდივიდები და ინსტიტუტები გლობალიზაციის პროცესში უბრალოდ კი არ იღებენ უცხო ნორმებს, არამედ, სელექციურად ახდენენ ელემენტების ინკორპორირებას და ჰიბრიდულ იდენტობებს ქმნიან, რომლებიც ადგილობრივ ტრადიციებს გლობალურ გავლენებთან აერთიანებს (Appadurai, 1996). ეს პროცესი თვალსაჩინოა ქართულ უმაღლესი განათლების სისტემაში, სადაც გლობალური აკადემიური სტანდარტები ინტეგრირებულია ეროვნულ პრიორიტეტებთან.

როლანდ რობერტსონის მიერ შემოტანილი გლოკალიზაციის ცნება ღირებულ თეორიულ პერსპექტივას ქმნის იმის გასაგებად, თუ როგორ უმკლავდება ქართული საზოგადოება გლობალიზაციის ზეწოლას. რობერტსონი ამტკიცებს, რომ გლობალიზაცია სულაც არ იწვევს ადგილობრივი კულტურების წაშლას. გლობალიზაცია ქმნის ახალ, ჰიბრიდულ ფორმებს, სადაც გლობალური და ლოკალური ელემენტები თანაარსებობენ (Robertson, 1992). მაგალითად, ქართულმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, უნივერსიტეტებმა, მართალია დანერგეს გლობალური აკადემიური სტანდარტები, მაგრამ ამავდროულად, ხაზს უსვამენ ქართულ კულტურულ მემკვიდრეობას თავიანთ სასწავლო გეგმებში, რაც ქმნის კოსმოპოლიტიზმისა და ლოკალიზმის უნიკალურ ნაზავს.

აქვე დავძენ, რომ კოსმოპოლიტიზმისა და ლოკალიზმის კონცეფციები არა მხოლოდ გლობალიზაციის კონტექსტში არის მნიშვნელოვანი, არამედ, ნიშანდობლივია მათი განხილვა პოსტსოციალისტურ ტრანზაციასთან მიმართებაში, რომელიც 1990-იანი წლების შემდეგ დაიწყო და ზოგიერთი ავტორის მიხედვით კვლავაც მიმდინარეობს. პოსტსოციალისტურ სახელმწიფოებში მიმდინარე პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა ტრანსფორმაციამ გავლენა იქონია ინდივიდუალურ და კოლექტიურ იდენტობებზე, ღირებულებებზე და სოციალურ-პოლიტიკურ ორიენტაციებზე. პოსტსოციალიზმი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც გლობალურ და ლოკალურ ლანდშაფტებს შორის ხიდის გადების პროცესი,

როდესაც რკინის ფარდის ახდის შემდეგ საზოგადოებებმა გლობალურ სივრცეში ადაპტაცია დაიწყეს და გლობალურ და ლოკალურ ძალებს შორის ბალანსს ხან ჰარმონიულად, ხან კი, კონფლიქტებით იცავენ.

კეტრინ ვერდერი მიუთითებს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის კვალდაკვალ, პოსტ-სოციალისტური საზოგადოებები ეროვნული იდენტობის ხელახალი განსაზღვრის გამოწვევის წინაშე დადგნენ. ეს ხელახალი განსაზღვრება ხშირად გულისხმობდა კომპლექსურ ურთიერთკავშირის დამყარებას ახალ, გლობალიზებულ იდენტობებსა და ადგილობრივ, საბჭოთა პერიოდში რეპრესირებულ ტრადიციებს შორის (Verdery, 1996).

კრის ჰანმა და პოსტსოციალისტური ანთროპოლოგიის სფეროსთან ასოცირებულმა ავტორებმა (მაგ., როგორიცაა ლალე იალჩინ-ჰეკმანი, დიმა კანეფი და სხვ.) ხაზგასმით აღნიშნეს, რომ გარდამავალი პერიოდი პოსტსოციალისტურ საზოგადოებებში არ არის მხოლოდ ეკონომიკური რესტრუქტურიზაცია, არამედ მოიცავს პოლიტიკურ, კულტურულ და სოციალურ ტრანსფორმაციას (Hann, 2002; Yalçın-Heckmann, 2010; Kaneff, 2006). მითითებულ კვლევებში ნათლადაა წარმოჩენილი თუ დაძაბულობის რა მძიმე პროცესს გადის ლოკალური საზოგადოებები, განსაკუთრებით კი, სოფლები, გლობალური ეკონომიკური ძალების გავლენებისა და ადგილობრივი კულტურული პრაქტიკების განსხვავებების პირობებში. თეონა მატარაძის დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ სოფელში ჩატარებული ანთროპოლოგიური კვლევა აღწერს თუ როგორ ძლიერად არის სოფლის თემებში სოციალისტური პრაქტიკები გავრცელებული და რამდენად რთულია ადგილობრივი მოსახლეობისთვის უფრო ფართო, ხშირად შორეულ სახელმწიფო რეფორმებთან ადაპტირება, რომელიც მათ ბუნდოვანი „დასავლური“ თუ „კაპიტალისტური“ იდეების სახით მიეწოდებათ (Mataradze, 2019 (2015)).

გარდა ზემოთ განხილული ცვლილებებისა, პოსტსოციალისტური ქვეყნებისთვის დამახასიათებელია მზარდი მიგრაცია. მიგრაციის გამოცდილებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს პიროვნების ღირებულებით სისტემაზე, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ გამგზავნი და მიმღები საზოგადოებების კულტურა განსხვავებულია. მსგავსი კონტექსტი თავისთავად გამოწვევას წარმოადგენს მიგრანტისთვის, რადგან მათ უწევთ ბალანსი იპოვნონ კულტურულ

ფესვებსა და მიმღები საზოგადოების უფრო გლობალურ ღირებულებებს შორის (როგორც წესი, მიგრაცია განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებულ ქვეყნებში ხდება, რომელიც უფრო მჭიდროდ არის გლობალურ კონტექსტში ინტეგრირებული). მიგრაციის მკვლევრები ხშირად მიუთითებენ, რომ მიგრაციულმა პროცესებმა სახელმწიფოს ძალაუფლება შეასუსტა, ამის მაგალითად კი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაფუძნება, საერთაშორისო რეგულაციებისა თუ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების შექმნა მოჰყავთ (Hollifield, 2004). მოქალაქეობის თემაზე მომუშავე მკვლევრები კი დასძენენ, რომ მიგრაციის გავლენით მოქალაქეობამ ნაციონალური ხასიათი დაკარგა, რადგან ის უკვე ეფუძნება არა ეთნიკურ წარმოშობას, არამედ პიროვნების არჩევანს იცხოვროს ამა თუ იმ ქვეყანაში. ამიტომაც, თანამედროვე მოქალაქეობას პოსტნაციონალურ მოქალაქეობას უწოდებენ (Soysal, 1998). ბუნებრივია, ეს არ არის მხოლოდ ლეგალური სტატუსის ცვლილება. მიგრაციის გავლენით იქმნება ტრანსნაციონალური ერთობები, იყოფა იდენტობები, ხდება სახელმწიფოების დენაციონალიზაცია (Castles and Miller, 2009). მიგრანტთა ორმაგ მიჯაჭულობაზე არაერთი ავტორი წერს. მაგალითად, სტეფან ვერტოვეკი მიგრანტთა მიმართებაში ბილოკალობის ცნებას იყენებს, რადგან მათ მიჯაჭულობის სივრცე, ანუ ლოკალობა, როგორც გამგზავნ, ისე მიმღებ საზოგადოებაში აქვთ (Vertovec, 2004). სამხრეთ-დასავლეთ ევროპის ქალაქებში მცხოვრებ მიგრანტებთან მიმართებაში კი, მაგალითად, ქეროლინ ბრეტელი, დაყოფილ მიკუთვნებულობის ტერმინს იყენებს, რადგან, ხშირად, ისინი პოლიტიკურად მიმღებ საზოგადოებას მიეკუთვნებიან (ძირითადად, მოქალაქეობას მიმღებ საზოგადოებაში იღებენ, რადგან ეს მათი ეკონომიკური და სამოქალაქო დაცვის წინაპირობაა), ხოლო კულტურულად - გამგზავნ ქვეყანას (Brettell, 2006). თუმცა, 2024 წელს საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტებთან ჩატარებულ კვლევაში, ავტორები მიუთითებენ, რომ რეინტეგრაციის პროცესის ერთ-ერთი გამოწვევა კულტურებთან ადაპტაციის პროცესია. დაბრუნებული მიგრანტები ხშირად ხედავენ განსხვავებას მასპინძელ და მშობლიურ საზოგადოებებს შორის, რაც მათ რესოციალიზაციის პროცესს ართულებს და აჭიანურებს (Mataradze, Turkiashvili, Elikashvili, 2024). ანუ, როგორც ზემოთ მოყვანილი თეორიული მსჯელობიდან გამოიკვეთა, მიგრანტებთან ლოკალიზმისა და კოსმოპოლიტიზმის კვლევა ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ნაწილი ავტორებისა

მიიჩნევს, რომ მიმღები საზოგადოების გავლენით ისინი დენაციონალიზაციას განიცდიან და გამგზავნი ქვეყნის კულტურას ეჭიდებიან (ანუ გლობალურ კონტექსტში კოსმოპოლიტიზმის გამზიარებლები ხდებიან). ავტორთა ნაწილი კი თვლის, რომ ისინი ორივე საზოგადოებას მიაკუთვნებენ თავს და ბილოკალებად ყალიბდებიან. მიუხედავად იმისა, რომ თემის აქტუალობიდან გამომდინარე, მიგრაციაზე სხვადასხვა კვლევა არსებობს ქართულ საზოგადოებაზე, მიგრანტების ლოკალური და კოსმოპოლიტური ორიენტაციის გაზომვა არ ჩატარებულა.

პიერ ბურდიეს მიერ შემუშავებული კულტურული კაპიტალის კონცეფცია დამატებით კონცეპტუალურ ჩარჩოს წარმოადგენს იმის გასაგებად, თუ როგორ ვლინდება კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციები სოციალურ სფეროში. ბურდიე კულტურულ კაპიტალს განსაზღვრავს, როგორც ცოდნას, უნარებსა და კულტურულ კომპეტენციებს, რომლებსაც ინდივიდები იძენენ და რაც სოციალურ უპირატესობას ანიჭებს მათ (Bourdieu, 1986). თუ ბურდიეს კონცეფციას ჩემ საკვლევ ობიექტს - ორგანიზაციებს, კონკრეტულად კი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს - მოვარგებთ, კოსმოპოლიტური ორიენტაციის მქონე პირების კულტურული კაპიტალი შეიძლება გულისხმობდეს უცხო ენების თავისუფალ ცოდნას, საერთაშორისო ნორმების გამოყენებას და გლობალურ ქსელებთან წვდომას. ლოკალური ორიენტაციის მქონე პირების კაპიტალი, კი, მეორე მხრივ, შეიძლება დაკავშირებული იყოს ეროვნულ ტრადიციებთან, მშობლიურ ენასთან და სპეციფიკურ კონტექსტუალურ ცოდნასთან. მსგავსი განსხვავებული კულტურული კაპიტალის მქონე პირების ერთ ორგანიზაციულ სტრუქტურაში მოხვედრისას კი, შეიძლება კონფლიქტი წარმოიშვას კაპიტალის მნიშვნელობის, აღიარების ან თუნდაც დაჯილდოვების პროცესში.

ელვინ გოულდნერის კლასიკური ნაშრომი ორგანიზაციებში კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების შესახებ, ფუნდამენტურ კონცეპტუალურ ჩარჩოს წარმოადგენს იმის გასაგებად, თუ როგორ უკავშირდებიან ინდივიდები თავიანთ პროფესიულ გარემოს. გოულდნერის მიხედვით, კოსმოპოლიტები თავიანთ იდენტობას და პროფესიულ სტანდარტებს უფრო ფართო, ტრანსნაციონალური კონტექსტიდან აფორმირებენ, ხოლო ლოკალები - ორგანიზაციისა და მისი უშუალო თემისგან (Gouldner, 1957). გოულდნერის ეს კონცეფცია ჰუ ქენონმა და ატილა იაპრაკმა

გააფართოვეს და მასზე დაყრდნობით შეიმუშავეს მოდელი, რომელიც განიხილავს კოსმოპოლიტიზმისა და ლოკალიზმის, როგორც დამოუკიდებელი ცვლადების, ფუნქციონირებას. ისინი ვარაუდობენ, რომ ზოგიერთ ინდივიდს და ორგანიზაციას შეუძლია გამოავლინოს ორივე ორიენტაციის მაღალი დონე, რაც მათ საშუალებას აძლევს იმოქმედონ გლობალურად და მაინც დარჩნენ თავიანთ ლოკალურ კონტექსტში (Cannon & Yaprak, 2001).

ეს თეორიული ჩარჩო ქმნის ქართულ საზოგადოებაში კოსმოპოლიტიზმსა და ლოკალიზმს შორის დაძაბულობის გასაანალიზებელ საფუძველს, განსაკუთრებით კი, ორგანიზაციულ კონტექსტში. კოსმოპოლიტიზმის, პოსტსოციალიზმის, გლობალიზაციის, კულტურული კაპიტალისა თუ ორგანიზაციული ქცევის ძირითად თეორიებზე დაყრდნობით, ეს ჩარჩო გთავაზობთ ყოვლისმომცველ პერსპექტივას, რომლის მეშვეობითაც განვიხილავ, თუ როგორ უმკლავდებიან ინდივიდები და ინსტიტუტები საქართველოში გლობალური ინტეგრაციისა და ადგილობრივი იდენტობის შენარჩუნების დილემას ან რა მიდგომითა და ინსტრუმენტით შეიძლება ამ საკითხის კვლევა. ამ მრავალმხრივი თეორიული პერსპექტივის გამოყენებით, ეს დისერტაცია ცდილობს ხელი შეუწყოს კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების თანაარსებობის თუ მათ გამო წარმოშობილი კონფლიქტების სიღრმისეულ ანალიზს.

## კვლევის მეთოდოლოგია

როგორც ზემოთ წარმოდგენილმა კონტექსტუალურმა და კონცეპტუალურმა განხილვამ აჩვენა, ლოკალიზმისა და კოსმოპოლიტიზმის ცნებები შესაძლებელია ეფექტურ ინსტრუმენტად გამოვიყენოთ ტრანზიციის პროცესში მყოფი საზოგადოების სხვადასხვა დონეზე მიმდინარე სოციეტალური დინამიკის შესასწავლად. შესაბამისად, წარმოდგენილი **დისერტაციის მიზანია** შეისწავლოს სხვადასხვა (საზოგადოებრივ თუ ორგანიზაციულ) კონტექსტში კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციის გარშემო არსებული ისტორიული თუ თანამედროვე თეორიული თუ მეთოდოლოგიური დისკუსიები და მათი დინამიკის გაზომვისა და ანალიზისთვის შეიმუშაოს ვალიდური ემპირიული მეთოდოლოგია.

მიზნის მიღწევისთვის დისერტაციაში დავსახე რამდენიმე **ამოცანა:**

ა) განვიხილო კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების ისტორიული განვითარება და სხვადასხვა თეორიული პერსპექტივა. განსაკუთრებული ყურადღება კი გავამახვილო რობერტ მერტონის, ელვინ გოულდნერის, ჰუ ქენონის, ატილა იაპრაკისა და სხვა საკვანძო ავტორების თეორიებზე და მათი დახმარებით ავხსნა თანამედროვე კონტექსტი;

ბ) განვიხილო სხვადასხვა ლოკალური და კოსმოპოლიტური ორიენტაციის საფუძველზე წარმოშობილი კონფლიქტების ბუნება და ემპირიულად გადავამოწმო თუ როგორ აისახება ეს კონფლიქტები ქართულ მედიაში;

გ) მიმოვიხილო ორგანიზაციული კონფლიქტების თეორიული კლასიფიკაციები და მათი მიმართება კოსმოპოლიტურ-ლოკალურ დიქოტომიასთან; გამოვავლინო ამ ორიენტაციების შეჯერების, დაბალანსების პოტენციური გზები;

დ) კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების გამოსავლენად ქართველ მიგრანტებსა და საქართველოში მცხოვრებ პირებში ჩავატარო ემპირიული კვლევა და შევისწავლო როგორც ამ ორიენტაციების სოციო-დემოგრაფიული მდგენელები, ასევე, მათი მიმართება სხვა ღირებულებით ორიენტაციებთან;

ე) ორგანიზაციულ კონტექსტში, კერძოდ კი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (უსდ) ჩართული პირების კოსმოპოლიტურ-ლოკალური ორიენტაციების დონის, ამ ორიენტაციების ორგანიზაციულ დინამიკაზე და პოტენციურ კონფლიქტებზე გავლენის შესასწავლად შევიმუშავო Q-მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული სკალა და მოვახდინო მისი ვალიდაცია.

ზემოთ წარმოდგენილი პერსპექტივების საფუძველზე ჩამოვაყალიბე შემდეგი **კვლევის კითხვა:** სოციალურ და ორგანიზაციულ კონტექსტში როგორ ვლინდება კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციები, როგორ შეიძლება მათი ემპირიულად გაზომვა (მედიაში, მიგრანტებსა თუ ორგანიზაციულ გარემოში), რა როლი აქვთ მათ იდენტობის თუ კულტურათაშორისი ურთიერთქმედებების ჩამოყალიბებაში, კონფლიქტების წარმოშობასა თუ მათ პრევენციაში?

საკვლევი საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, შევარჩიე **შერეული მეთოდოლოგია, კერძოდ კი, თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების კომბინაცია:**

ა) კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების კვლევა მედია საშუალებებში ასახული კონფლიქტების **კონტენტ-ანალიზის** საფუძველზე;

ბ) გერმანიაში მცხოვრები ქართველი მიგრანტებისა და საქართველოს რეზიდენტების კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების ემპირიული კვლევა **რაოდენობრივი გამოკითხვის** საშუალებით;

გ) ორგანიზაციულ კონტექსტში კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების საკვლევი **სკალის შემუშავება**.

დეტალურად დავახასიათოთ თითოეული კვლევის მეთოდოლოგია:

### მედია კონტენტ-ანალიზი

წარმოდგენილი დისერტაციის მეთოდოლოგიური ჩარჩო რობერტ მერტონის, როგორც კოსმოპოლიტიზმისა და ლოკალიზმის ერთ-ერთ პირველ საკვანძო მკვლევრის, ნაშრომის „სოციალური თეორია და სოციალური სტრუქტურა“ დიდ გავლენას განიცდის (Merton, 1957). მერტონი სწავლობდა კოსმოპოლიტურ და ლოკალურ ორიენტაციებს გავლენიან პიროვნებებში და მიუთითებდა, რომ მათი ეს ორიენტაციები ვლინდებოდა იმაშიც, თუ რა სახის მედია საშუალებებს ეცნობოდნენ ისინი.  მის შრომაში აქცენტი ნაკლებად არის გაკეთებული მედიის საშუალებების შინაარსზე, რომელშიც ასახულია ის მიმართებები, რომელთა მიხედვითაც ეს ორი ტიპი განსხვავდება. ამის ნაცვლად, ის მხოლოდ კოსმოპოლიტებისა და ლოკალების მიერ გამოყენებულ მედია საშუალებების ტიპების კლასიფიკაციას ახდენდა. მიუხედავად იმისა, რომ მერტონის კვლევაში ძირითადი აქცენტი კეთდებოდა მოხმარებული მედიის ტიპებზე, ნაცვლად მათი სპეციფიკური შინაარსის ანალიზისა, ქვეყანაში დამოუკიდებელი მედიის განვითარების შედარებით მოკლე ისტორიის გამო, საქართველოს მედია ლანდშაფტი მოითხოვს უფრო კონტენტზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენებას.

კოსმოპოლიტურ-ლოკალური ორიენტაციების გათვალისწინებით საქართველოში მედიის ტიპოლოგიის ხანგრძლივი ტრადიციის არარსებობის გამო, წარმოდგენილი კვლევა პირველად მეთოდად იყენებს მედია კონტენტ-ანალიზს. ეს მიდგომა საშუალებას მაძლევს, დეტალურად განვიხილო მასალა, რომელიც გავრცელდა სხვადასხვა მედია საშუალებებში - იქნება ეს სამაუწყებლო, როგორიცაა

ტელევიზია, თუ გამოქვეყნებული, მაგალითად, ბეჭდური მედია. ამ მეთოდის გამოყენება ემსახურებოდა ამოცანას - შევისწავლო მედია საშუალებებში ასახულ კონფლიქტებში რამდენად ვლინდებოდა კოსმოპოლიტიზმისა და ლოკალიზმის დაპირისპირება; ანუ, შეგვიძლია თუ არა კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების დაპირისპირება კონფლიქტის თანმდევ ასპექტად განვიხილოთ.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ქვეყნის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესები ღრმად იყო გადაჯაჭვული დაპირისირებული იდეოლოგიებისა და ორიენტირების ჭიდილთან. კონფლიქტები პოლიტიკურ პარტიებს, ორგანიზაციებსა და სხვადასხვა პერსპექტივის სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის ხშირად ხდებოდა საზოგადოების ყურადღების ცენტრში, რაც ხშირად საზოგადოების ფართო მასების შეშფოთებს იწვევს. ეს კონფლიქტები მედია საშუალებების მიერ დეტალურად და ინტენსიურად რეპრეზენტირდება, ამიტომაც, კონფლიქტურ სიტუაციებში, კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების ურთიერთქმედების გასაგებად, ქართული მედია ინფორმაციის მდიდარ წყაროს წარმოადგენს.

მედიის კონტენტ-ანალიზის მეთოდად არჩევა ასევე განაპირობა საქართველოს კულტურულმა კონტექსტმა, რადგან ამ საზოგადოებაში კონფლიქტების განხილვა მგრძნობიარე საკითხია. ისეთ კოლექტივისტურ საზოგადოებაში, როგორიც საქართველოა, კონფლიქტების ღიად განხილვა შეიძლება აღიქმებოდეს, როგორც არანორმატული ქმედება, რაც პირისპირ ინტერვიუებში ან გამოკითხვებში პოტენციურად იწვევს გულწრფელობის დაბალ დონეს. მედიის ანალიზი წარმოადგენს ღირებულ ალტერნატივას, რომელიც საშუალებას იძლევა განიხილოს საჯაროდ წარმოდგენილი კონფლიქტური ნარატივები, თავიდან ავიცილოთ სოციალური სასურველობის ეფექტი, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მონაცემთა შეგროვების სხვა ფორმებზე.

მედია კონტენტ-ანალიზის კვლევის პერიოდი მოიცავს 2011-2013 წლებს და ემთხვა „რადიკალურ“ ცვლილებებს ქართულ პოლიტიკაში, როდესაც სხვადასხვა პოლიტიკოსი და პარტია დაუპირისპირდა ერთმანეთს და ეს დაპირისპირება გაჯერებული იყო ურთიერთბრალდებებითა და კომპრომატებზე მითითებით. ეს პერიოდი შეგვიძლია ჩავთვალოთ სისტემური ცვლილების პერიოდად, როდესაც

სახელმწიფო სტრუქტურების ძირეული შეცვლა მოხდა. დაპირისპირებული ბანაკების კონტრარგუმენტებში ხშირად გამოსჭვიოდა გლობალური და ლოკალური საკითხების ურთიერთგამიჯვნა.

საკვლევ ობიექტად მიზნობრივად შევარჩიე ბეჭდური მედიიდან: "ალია" და "კვირის ქრონიკა", ხოლო სამაუწყებლო მედიიდან - სატელევიზიო არხები: "იმედი" და "რუსთავი-2". აღნიშნული მედია საშუალებებიდან კი მიზნობრივად შეირჩა სტატიები და გადაცემები. მიზნობრივი შერჩევის კრიტერიუმად ავიღე: ა) კონფლიქტის შემცველი მასალა; ბ) მასალა, სადაც კონფლიქტების განხილვისას მხვდებოდა კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციის შემცველი არგუმენტები; გ) მასალა ფარავდა შემდეგ სფეროებს - პოლიტიკა, ეკონომიკა, მეცნიერება, ხელოვნება.

მედია მასალის კონტენტ-ანალიზი განხორციელდა ძირითადად თვისებრივი მიდგომით. მასალის დეტალური გაცნობის შემდეგ კოდირება-კატეგორიზაციისთვის ვიხელმძღვანელე კონფლიქტების მართვის თეორიით (Burton, 1969); (Deutsch, 1973); (Boulding, 1975). ანალიზისთვის გამოვიყენე კონფლიქტში მონაწილე მხარეთა კრიტერიუმები, სადაც ვაფიქსირებდი მასში ჩართულ აქტორებს შორის მიმართებებს. მიმართებები შემდეგი სახით დავაჯგუფე: პიროვნება-პიროვნება, პიროვნება-ჯგუფი, ჯგუფი-ორგანიზაცია, ორგანიზაცია-ორგანიზაცია. კლასიფიცირებისთვის ასევე გამოვიყენე მიკრო და მაკრო დონეები, რადგან კონფლიქტები საზოგადოების თანაცხოვრების სხვადასხვა დონეზე მიმდინარეობს. მაგალითად, კინოსერიალ "შუა ქალაქის" ყოფილ მსახიობებსა და სერიალის შემქმნელებს (პროდუსერებს) შორის დავა, "იმიჯ-ცენტრის" სილამაზის კონკურსის ჩატარების უფლების ჩამორთმევით გამოწვეული დაპირისპირება (ალია, 78., 2011), ხელისუფლებას და ტელეკომპანია "თრიალეთის" დამფუძნებლს შორის დაპირისპირება (ალია, 79., 2011), ქართული ჭიდაობის ფედერაციის ყოფილი ვიცე პრეზიდენტის და ამავე ფედერაციის ყოფილ პრეზიდენტს შორის დავა (კვირის ქრონიკა, 2013), ტელემაუწყებლ "რუსთავი 2-ის" მეპატრონეთა კონფლიქტები და სხვ. პოლიტიკურ პარტიებს შორის დაპირისპირებების ანალიზისას გამოიყო ორი აქტორი - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" და „ქართული ოცნება" (დევიძე-მამულაიშვილი, 2013). მედია კონტენტ-ანალიზისას ასევე გამოვიყენე რაოდენობრივი მიდგომა, როდესაც შედეგები ავსახე რაოდენობრივ მაჩვენებლებშიც.

კოდირების პროცესი მოიცავდა საკვანძო თემებისა და კატეგორიების იდენტიფიცირებას, რომლებიც დაკავშირებულია კოსმოპოლიტურ და ლოკალურ ორიენტაციებთან მედიის კონტენტში. ეს მოიცავდა აქტორების ორიენტაციას, კონფლიქტის ბუნებას და კონფლიქტის გადაჭრის სტრატეგიებს (მედიის გაშუქებაში ჩანდა კონფლიქტის მოგვარების კოსმოპოლიტური თუ ლოკალური მიდგომები, მაგალითად, როგორიცაა უნივერსალური სტანდარტებისადმი მიმართვა ადგილობრივი ტრადიციების წინააღმდეგ). მედია ტექსტების თითოეული კონტენტი ზედმიწევნით იყო კოდირებული ამ კატეგორიების საფუძველზე, რაც მონაცემთა სისტემატური ანალიზის საშუალებას იძლევა.

თვისებრივი ანალიზის შესავსებად და მედიაში კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების სიხშირის გასაზომად გამოყენებული იქნა რაოდენობრივი მიდგომა. ეს მოიცავდა იმ შემთხვევების დათვლას, როდესაც ეს ორიენტაციები ცალსახად იყო ნახსენები ან კონტექსტიდან გამომდინარეობდა. რაოდენობრივმა მონაცემებმა უფრო სრულყოფილი წარმოდგენა მოგვცა იმის შესახებ, თუ რამდენად გავრცელებული იყო საკვლევ პერიოდში მიმდინარე კონფლიქტებში კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციები.

მედიის კონტენტ-ანალიზმა საშუალება მომცა გადმომეცა ის, თუ რამდენად არის შესაძლებელი ქართულ მედიაში ასახული კონფლიქტების სათავეებთან კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების დაპირისპირება დავინახოთ. თვისებრივი და რაოდენობრივი მიდგომების შერწყმით კვლევამ შეძლო მედია ნარატივის ფარგლებში კოსმოპოლიტურ-ლოკალური ორიენტაციების სიღრმისა და მასშტაბის დაფიქსირება. კვლევის შედეგები განხილულია მე-3 თავში, ხოლო კვლევის მიგნებები კვლევის სხვა მეთოდების შედეგებთან ინტეგრირებულად წარმოდგენილია დასკვნაში.

### რაოდენობრივი გამოკითხვა

სოციალური მეცნიერებების ფარგლებში რაოდენობრივი გამოკითხვა ფართოდ გავრცელებული კვლევის მეთოდია. მიუხედავად იმისა, რომ რაოდენობრივი გამოკითხვა უმეტესად რეპრეზენტატული შედეგების მისაღებად გამოიყენება, ის პარამეტრების გაზომვის სასარგებლო მეთოდს წარმოადგენს. ალან ბრაიმანის მიხედვით, რაოდენობრივ კვლევაში ვქმნით საზომ ინსტრუმენტს, რომელიც

უზრუნველყოფს ცვლადების თანმიმდევრულ გაზომვას. გაზომვა საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ ადამიანების მახასიათებლებს შორის მცირედი განსხვავებებიც, ხოლო კორელაციის საშუალებით გამოვავლინოთ ცვლადებს შორის ურთიერთკავშირის ხარისხი (Bryman, 2012, გვ. 164).

სწორედ ეს მიზანი მამოძრავებდა, როდესაც სადისერტაციო ნაშრომის მომზადებისას რაოდენობრივი გამოკითხვის მეთოდი ავირჩიე. უფრო კონკრეტულად კი, რაოდენობრივი გამოკითხვა ემსახურებოდა საქართველოში და გერმანიაში მცხოვრებ პირთა კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების გაზომვას, ამ ორიენტაციების განმაპირობებელი სოციო-დემოგრაფიული მდგენელების გამოვლენასა და მათ შორის განსხვავების ანალიტიკურ ახსნას.

პირველ რიგში, განვმარტავ გერმანიის, როგორც მიგრაციის ქვეყნის არჩევის საფუძველს. როგორც თეორიულ ჩარჩოში იყო აღნიშნული, პოსტსოციალისტური პერიოდი მზარდი მიგრაციული ნაკადებით ხასიათდება. საქართველოდან მიგრაციის ტალღები სხვადასხვა მიმართულებით მიდის. დღემდე ქართველ მიგრანტთა ყველაზე დიდი წილი რუსეთშია, თუმცა რუსეთი, როგორც კვლევის არეალი არ ავირჩიე, რადგან მიგრაციის ეს მიმართულება სოციალისტურ ქსელებისა და გავლენების შედეგად დომინირებს (Mataradze, 2015). რუსეთის შემდეგ ქართველი მიგრანტების ყველაზე დიდი რაოდენობა თურქეთში, შემდეგ იტალიასა და საბერძნეთშია. ამ სიაში გერმანია მხოლოდ მეხუთე ადგილს იკავებს (OECD-iLibrary, 2020). თუმცა გერმანია არა მიგრანტების რაოდენობით, არამედ მიგრაციის სპეციფიკით შევარჩიე. თურქეთში, საბერძნეთსა და იტალიაში ძირითადად, ქალი მიგრანტები პრევალირებენ, რომლებიც შინ შრომით არიან დაკავებული, ხოლო ამ ტიპის შრომითი მიგრაცია სოციალური ინტეგრაციის დაბალი ხარისხით გამოირჩევა. გერმანიაში ქართველთა მიგრაცია თავდაპირველად Au Pair პროგრამის ფარგლებში დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროგრამა შინ შრომას მოიაზრებდა, ამ პროგრამაში ჩართული პირები საგანმანათლებლო აქტივობებში ერთვებოდნენ და ხშირად საგანმანათლებლო თუ სხვა გზებით ლეგალურად რჩებოდნენ მიმღებ ქვეყანაში. ამ ეტაპზე გერმანიაში მცხოვრები ქართველები მრავალფეროვან ეკონომიკურ სექტორებში არიან დასაქმებულნი და ძირითადად ლეგალური სტატუსი აქვთ. ეს კი მათი ინტეგრაციის ინდიკატორად შეგვიძლია მივიჩნიოთ. რადგან ჩემი მიზანი მიგრანტებსა და

არამიგრანტებს შორის ლოკალური და კოსმოპოლიტური ორიენტაციების შედარებითი ანალიზი იყო, ბუნებრივია, სწორედ მსგავსი ტიპის მიგრანტები შეადგენდნენ ჩემი კვლევის ობიექტს.

შედარებითი ანალიზის ამოცანიდან გამომდინარე, შერჩევა რამდენიმე ეტაპად განვახორციელე. პირველ რიგში, გამოვიყენე ქვოტური შერჩევა, რომლის მიხედვითაც საქართველოსა და გერმანიაში რესპონდენტების თანაბარი რაოდენობა უნდა გამომეკითხა. გერმანიაში რესპონდენტების შერჩევისთვის გამოვიყენე მიზნობრივის და თოვლის გუნდის მეთოდის კომბინირება. შერჩევის კრიტერიუმი იყო რესპონდენტების დასაქმება და გერმანიაში ერთ წელზე მეტი ვადით ცხოვრება. შესაბამისად, განვახორციელე გერმანიაში კვლევითი ვიზიტი და ემიგრანტთა სოციალური კავშირებისა და თემის ლიდერთა დახმარებით ჩავატარე პირისპირ ინტერვიუები. კვლევის ფარგლებში სულ გამოვიკითხე 118 რესპონდენტი. გერმანიაში საველე სამუშაოების დასრულების შემდგომ, საქართველოში კვლევისათვის გამოვიყენე დამსაქმებელი ორგანიზაციები. ორგანიზაციების პროფილების გათვალისწინებით (ორგანიზაციების ეკონომიკური საქმიანობის წილის მიხედვით), მიზნობრივად შევარჩიე 35 ორგანიზაცია, დავუკავშირდი მათ ადამიანური რესურსის მართვის მენეჯერებს, რომლებმაც გაავრცელეს თვითადმინისტრირებული კითხვარი. შესაბამისად, საქართველოში გამოკითხვა ჩატარდა იგივე რაოდენობის რესპონდენტებთან, ხოლო ინფორმაციის შეგროვებისთვის კი გამოვიყენე თვითადმინისტრირებული კითხვარი.

საველე სამუშაოების დასრულების შემდეგ, დავარედაქტირე კითხვარები, ინფორმაცია შევიტანე წინასწარმომზადებულ SPSS-ის ბაზაში და გავწმინდე მონაცემები. სტატისტიკური ანალიზისთვის გამოვიყენე ერთ და ორცვლადიანი ანალიზი, შედარებითი ანალიზისთვის გამოვიყენე კორელაცია, კროსტაბულაცია და საშუალო მაჩვენებლების შედარება. რაოდენობრივი გამოკითხვის შედეგები კი წარმოდგენილია დისერტაციის მე-4 თავში.

## კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების საკვლევი სკალის შემუშავება

დეტალურად ლოკალური და კოსმოპოლიტური ორიენტაციების საკვლევი სკალის აგების მეთოდოლოგია განხილულია მე-7 თავში, თუმცა, აქ წარმოგიდგენთ სკალის აგებისთვის გამოყენებულ მეთოდოლოგიურ საფუძველს.

არსებობს სხვადასხვა მეთოდი, რომელთა საშუალებითაც შეგვიძლია შევისწავლოთ კოსმოპოლიტობა და ლოკალობა. დღეისთვის არსებობს გაზომვის სხვადასხვა საშუალება, რომლებიც კოსმოპოლიტობის სკალების სახითაა ცნობილი. მაგალითად, სალმან თიურქენი და ფლოიდ რუდმინი ასახელებენ შემდეგ სკალებს (Türken & Rudmin, 2013):

1. მერტონის ათდებულებიანი სკალა, კოსმოპოლიტი-ლოკალის განზომილება (Merton, 1957);
2. დიეს ხუთდებულებიანი ლოკალი-კოსმოპოლიტის სკალა (Dye, 1963);
3. ჯენინგსის სამდებულებიანი კოსმოპოლიტიზმის სკალა (Jennings, 1967);
4. რობინსონის და ზილის ხუთდებულებიანი კულტურული კოსმოპოლიტიზმის სკალა (Robinson & Zill, 1997);
5. ჯეფრისა და მისი კოლეგების ორმოცდაორდებულებიანი კოსმოპოლიტური ორიენტაციის საზომი სკალა (Jeffres, Atkin, Bracken, & Neuendorf, 2004).

არსებობს სხვა სკალებიც, რომელთა საშუალებითაც, ასევე ხდება დამოკიდებულებების გაზომვა. ისინი კორელაციაში არიან აღნიშნულ სკალებთან და მათი ზოგიერთი დებულება შეესატყვისება ლოკალი-კოსმოპოლიტის სკალებს. ასეთი სკალებია: ინტერნაციონალიზმის სკალა, ინტერნაციონალიზმი-ნაციონალიზმის სკალა, პატრიოტიზმი - ნაციონალიზმის სკალა, თვითიდენტობის ინსტრუმენტი, ნაციონალური იდენტობის ინსტრუმენტი (დევიძე, 2015).

ძირითადი სკალები, რომლებიც კოსმოპოლიტობა-ლოკალობას ეხება, იზომება ლაიკერტის ან გუტმანის ტიპის სკალების საშუალებით. ქართული ორგანიზაციების კონტექსტში კოსმოპოლიტობა და ლოკალობის გასაზომად მიზანშეწონილად

მივიჩნიე ახალი სკალის შედგენა, რომელიც შეესატყვისება ამა თუ იმ კულტურულ ღირებულებებს, რადგანაც, მაგალითად, ერთ-ერთ სკალაში გამოყოფილი დებულება "მე კარგად ვაზავებ ჯინს და ტონიკს", ჩვენი კულტურისთვის ნამდვილად არ გამოხატავს კოსმოპოლიტობას. ასევე, მიმაჩნია, რომ ქენონის და იაპრაკის მიერ შემოთავაზებული მოდელი უფრო დიფერენცირებულად გვაწვდის ტიპოლოგიას, ვიდრე სხვა სკალები (Cannon & Yaprak, 2001). სწორედ ეს მოდელი ავიღე საფუძვლად, როდესაც ახალ სკალას ვადგენდი. ამ პროცესში მნიშვნელოვანი იყო მოსამზადებელი ეტაპი, როდესაც სკალის შედგენამდე წინასწარი კვლევა ჩავატარე ჩაღრმავებული ინტერვიუს გამოყენებით. იმ ეტაპზე სხვადასხვა ორგანიზაციაში მომუშავე პირებისგან მივიღე ინფორმაცია კოსმოპოლიტების, გლობალების, ადგილობრივებისა და ლოკალების შესახებ. აგრეთვე, გავიგე როგორია მათი შეხედულებები და მოსაზრებები სხვადასხვა ტიპს შორის არსებულ დაპირისპირებებზე (დევიძე, 2015).

### კვლევის ეთიკა

ემპირიული კვლევის განხორციელებისას სრულად იყო დაცული კვლევის ეთიკის სტანდარტი. რაოდენობრივი გამოკითხვისას გერმანიაში პირისპირი ინტერვიუების დაწყებამდე, რესპონდენტებს ვაცნობდი კვლევის მიზანს, კონფიდენციალობის საკითხს და ვიღებდი მათგან კვლევაში მონაწილეობაზე ზეპირსიტყვიერ თანხმობას. საქართველოში თვითადმინისტრირებული კითხვარის თავფურცელზე მითითებული იყო კვლევის მიზანი, კონფიდენციალობის საკითხი და განმახორციელებელ პირზე ინფორმაცია, რათა სურვილის შემთხვევაში ჩემგან მიეღოთ დამატებითი ინფორმაცია. სკალების შედგენისას, მიზნით ჩატარებული ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუების დაწყებამდე, ხდებოდა რესპონდენტების სრული ინფორმირება კვლევის მიზნის, კონფიდენციალობის დაცვის პირობების შესახებ. ასევე, ხდებოდა მათგან დამატებითი ზეპირსიტყვიერი თანხმობის მიღება ინტერვიუს აუდიო საშუალებით ჩაწერაზე. მონაცემების ანალიზისას ყველა სუბიექტისგან მიღებული ინფორმაცია ანონიმიზირებულ იქნა, ისევე როგორც გათვალისწინებულ იქნა მკვლევრის მიუკერძოებლობის პრინციპი.

### კვლევის შეზღუდვები

მიუხედავად იმისა, რომ კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების შესახებ მაქსიმალურად მრავალფეროვანი სურათის მიღებისთვის წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში ვეცადე მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება, ჩატარებულ კვლევებს აქვთ შეზღუდვები.

წარმოდგენილი სადისერტაციო კვლევის ფარგლებში ჩატარებული კონტენტ-ანალიზის მეთოდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შეზღუდვაა მედია წყაროების მიზნობრივი შერჩევა, რადგან მიღებული შედეგი ვერ იქნება განზოგადებული შესასწავლი პერიოდის მედია პროდუქტებზე. გარდა ამისა, ანალიზი შემოიფარგლება კონკრეტული დროით (2011-2013 წწ.), რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვან სოციო-პოლიტიკურ ცვლილებებს მოიცავს, ის შეიძლება არ ასახავდეს კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების უფრო ფართო ტენდენციებს და შესაძლოა ამ ორიენტაციათა დაპირისპირება უფრო გამოხატული იყოს შემდგომ პერიოდში. კონფლიქტების ანალიზისას, მედია პროდუქტებზე დამოკიდებულება შეიძლება იყოს მიკერძოებული, რადგან მედიაში გაშუქებული ნარატივები შეიძლება ჩამოყალიბებული იყოს სარედაქციო პოლიტიკით ან პოლიტიკური დღის წესრიგით. შესაბამისად, სამომავლო კვლევებში სასურველია გათვალისწინებული იქნას მედია პროდუქტების და გასაანალიზებელი კონკრეტული სტატიების შემთხვევითი შერჩევა და უფრო დიდი პერიოდის შესწავლა.

რაოდენობრივი კვლევის შეზღუდვა არის არაალაბათური შერჩევის გამოყენება, რაც შედეგების რეპრეზენტატულობას ვერ უზრუნველყოფს და მხოლოდ ტენდენციებზე გვაძლევს ინფორმაციას. აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მიგრანტების რაოდენობრივი კვლევა, როგორც წესი, ვერ ხდება ალბათური მეთოდით, რადგან არ არსებობს დეტალური და ზუსტი შერჩევის ჩარჩო. თუმცა, ამ ტიპის კვლევაში შეგვეძლო გაგვეთვალისწინებინა საქართველოში დასაქმებულთა რეპრეზენტატული შერჩევა, რომელიც დროისა და ფინანსური რესურსის დეფიციტის პირობებში, ვერ განვახორციელე. აქვე გასათვალისწინებელია, რომ მე არ ვახდენ რაოდენობრივი გამოკითხვის მიგნებების გავრცელებას კვლევის ობიექტებზე, არამედ, ის ემსახურება ორ ჯგუფს (მიგრანტი-არამიგრანტი) შორის განსხვავებების გამოვლენას, რასაც ქვოტური შერჩევის მოდელი უზრუნველყოფს.

რაც შეეხება სკალის შემუშავების მიზნით ჩატარებულ კვლევის შეზღუდვას. მიუხედავად იმისა, რომ კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების სკალა შევიმუშავე წამყვანი მეცნიერების ინსტრუმენტების საფუძველზე, კონტექსტუალიზაციის მიზნით კი გამოვიყენე ექსპერტების გამოცდილება, შეზღუდული დროისა და ფინანსური რესურსის გამო, არ ჩამიტარებია სკალის საბოლოო ვერსიის მიხედვით სამიზნე ობიექტების კვლევა. შესაბამისად, სასურველია სამომავლო კვლევაში აღნიშნული სკალის გამოყენებით, გამოკითხულ იქნას უსდ-ების პედაგოგები, მეცნიერები, ადმინისტრაციული სამსახურის წარმომადგენლები და სტუდენტები.

## სადისერტაციო ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში მიმოვიხილე კოსმოპოლიტიზმისა და ლოკალიზმის გარშემო არსებული როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე თეორიული დისკუსიები. ისტორიულად, კოსმოპოლიტიზმი ასოცირდებოდა უნივერსალური ადამიანური ფასეულობებისა და გლობალური მოქალაქეობის იდეალებთან, ხოლო ლოკალიზმი - ხაზს უსვამდა ადგილობრივი კულტურისა და თემების პრიორიტეტულობას. თანამედროვე კონტექსტისთის ამ ბინალურმა ორიენტაციებმა ახალი მნიშვნელობა შეიძინა, რადგან საზოგადოებებში ნათლად იკვეთება გლობალიზაციის საპირწონედ ლოკალური ტრადიციებისა და იდენტობების მნიშვნელობების გაძლიერება. პოსტსოციალისტურ საზოგადოებებში კი ლოკალიზმისა და კოსმოპოლიტიზმის საკითხები დამატებით ღირებულებას იძენს (ამ ქვეყნებში საბჭოთა მემკვიდრეობის დაძლევა, გლობალურ საზოგადოებაში ინტეგრაცია და სოციალიზმით რეპრესირებული ავთენტური კულტურული პატერნების გამოცოცხლება ერთმანეთის პარალელურად და ზოგჯერ დაძაბულად მიმდინარეობს).

წარმოდგენილი დისერტაციის ერთ-ერთი თეორიული ღირებულებაა კოსმოპოლიტიზმისა და ლოკალიზმის კონცეფციების გამოყენება მედიის პროდუქტებთან მიმართებაში, მით უფრო, რომ გლობალიზებულ სამყაროში მედია იქცა ინდივიდუალური და კოლექტიური იდენტობების ჩამოყალიბებისა და გამოხატვის მნიშვნელოვან მდგენელად. გლობალური მედია კონტენტი გაჯერებულია სხვადასხვა კულტურების, იდეებისა და ცხოვრების წესის

რეპრეზენტაციით, რითაც ხელს უწყობს კოსმოპოლიტური ორიენტაციის ჩამოყალიბებას, მაშინ როცა, ადგილობრივი მედია საშუალებები უფრო მეტად აძლიერებენ ეროვნულ ან რეგიონულ იდენტობებთან მიჯაჭვულობას.

კონფლიქტოლოგიის დარგისთვის ასევე მნიშვნელოვანი კონტრიბუციაა კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების კვლევა, განსაკუთრებით იმის შესასწავლად, ეს ორიენტაციები ხელს უწყობს თუ ამცირებს სოციალურ და პოლიტიკურ დაძაბულობას. კონფლიქტის თეორეტიკოსები, იდენტობას განიხილავენ, როგორც კონფლიქტების მაპროვოცირებელ, ისე მათ პრევენციულ ინსტრუმენტად. ქართულ კონტექსტში კი, როგორც ეს დისერტაცია გვიჩვენებს, კოსმოპოლიტურ და ლოკალურ იდენტობებს შორის დაძაბულობა შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა დონეზე, მიგრანტებსა და ადგილობრივებს, ტრანსნაციონალურ კორპორაციებში დასაქმებულებს, საგანმანათლებლო ორგანიზაციაში დასაქმებულებს და ა.შ. შორის.

დაბოლოს, Q-მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, ნაშრომი ქმნის კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების საზომ სკალას, რომლის გამოყენება შეიძლება საგანმანათლებლო ორგანიზაციების კონტექსტში. შესაბამისად, ამ კვლევას წვლილი შეაქვს არა მხოლოდ თეორიული, არამედ მეთოდოლოგიური თვალსაზრისითაც, რომელიც მომავალ მკვლევრებს სთავაზობს ვალიდიზირებულ ინსტრუმენტს სხვადასხვა გარემოში კოსმოპოლიტური და ადგილობრივი ორიენტაციების შესასწავლად.

სადისერტაციო კვლევას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს კულტურულ ღირებულებებზე მომუშავე მკვლევრებისთვის, საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის და ტრანსნაციონალური ორგანიზაციებისთვის, რომლებსაც უხდებათ მულტიკულტურულ კონტექსტებში ოპერირება. მიგრანტების კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების გაზომვა საინტერესოა მიგრანტების ინტეგრაციისა და რეინტეგრაციის მიმართულებით მომუშავე პირთათვის, რადგან ეს კვლევა წარმოაჩენს მობილობის გავლენით თუ როგორ ინარჩუნებენ მიგრანტები ლოკალურ ღირებულებებს ან/და იღებენ კოსმოპოლიტურ პერსპექტივებს. გარდა ამისა, კვლევის მიგნებებში ასახული ქართველი მიგრანტების გამოწვევები შეიძლება სასარგებლო იყოს დიასპორის თემებზე მომუშავე პირებისა

და ორგანიზაციებისთვის, რათა სტრატეგიების განსაზღვრისას გაითვალისწინონ მიგრანტთა სოციალურ-კულტურული საჭიროებები და შექმნან უფრო ეფექტური პროგრამები, რომლებიც ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს მიგრანტების კულტურულ ინტეგრაციას, ხოლო მეორე მხრივ, დაეხმარება მათ შეინარჩუნონ მშობლიურ კულტურასთან კავშირი.

კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების საზომი სკალა შეიძლება სასარგებლო იყოს საგანმანათლებლო ორგანიზაციებისთვის. ეს ინსტრუმენტი შეიძლება გამოიყენონ უსდ-ებმა, რათა უკეთ გაიგონ მათი პერსონალისა და სტუდენტების გლობალური და ადგილობრივი ორიენტაციები. ასეთი ცოდნა შეიძლება დაეხმაროს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მასში ჩართული პირების ორიენტაციებზე მორგებული სასწავლო გეგმის და ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიების შემუშავებაში.

## სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი შედგება რვა თავისგან. შესავლის შემდგომ დისერტაციის მეორე თავში მიმოვიხილავ კოსმოპოლიტიზმისა და ლოკალიზმის შესახებ თეორიულ დისკუსიების ისტორიულ რაკურსს. მესამე თავში წარმოდგენილია რობერტ მერტონის კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციის თეორია, ამ თეორიის საფუძველზე ჩემ მიერ ჩატარებული ქართული მედიის კონტენტ-ანალიზის შედეგები. მეოთხე თავში განვიხილავ ჩემი დისერტაციისთვის საკვანძო ავტორებთან - ელვინ გოულდნერი, ულფ ჰანერცი, ჰუ ქენონი და ატილა იაპრაკი - განხილულ კოსმოპოლიტების და ლოკალების ნიშან-თვისებებს. ამავე თავშია წარმოდგენილი პირველ ნაწილში განხილული ავტორების თეორიებზე დაყრდნობით შემუშავებული ინსტრუმენტით შესწავლილი ქართველი მიგრანტებისა და არამიგრანტების კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციები. ემპირიული კვლევის შედეგების ნაწილში წარმოდგენილია კვლევაში მონაწილე პირების სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლები, მათ მიერ გამოყენებული კომუნიკაციისა და კულტურული პრაქტიკის პატერნები, მიგრანტთა და არამიგრანტთა კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციები, ამ ორიენტაციების სოციო-დემოგრაფიული მდგენელები და რესპონდენტთა ლოკალური და კოსმოპოლიტური თვითიდენტიფიკაციის მიმართება სხვა შინაარსობრივ ცვლადებთან. თავი სრულდება

დასკვნით, სადაც წარმოდგენილია ემპირიულად გამოვლენილ შედეგებსა და თეორიულ მიმოხილვას შორის კავშირი. მეხუთე თავში კვლავ ვუბრუნდები კოსმოპოლიტიზმისა და ლოკალიზმის თეორიულ დისკუსიებს, თუმცა, ორგანიზაციების კონტექსტში. მეექვსე თავი წარმოადგენს ორგანიზაციებში არსებული კონფლიქტების თეორიულ მიმოხილვას. მეშვიდე თავში წარმოდგენილია კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების საკვლევი სკალის შემუშავების მეთოდოლოგიური საფუძვლები; სკალის განვითარებისა და ვალიდაციის პროცესი, რომელიც სრულდება თავად სკალის წარმოდგენით. მერვე თავი წარმოადენს სადისერტაციო ნაშრომის საკვანძო მიგნებებს და სახავს სამომავლო პერსპექტივებს.

## თავი II: კოსმოპოლიტური  და ლოკალური ორიენტაციების შესახებ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა: ისტორიული რაკურსი

პირველ რიგში, შევეხოთ, კოსმოპოლიტიზმის ცნების გაგებას, რომელიც სათავეს იღებს ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსთა შეხედულებებში, ხოლო მეორე მხრივ, ის განვიხილოთ თანამედროვე გლობალურ გამოწვევებთან დაკავშირებით. ეს ტერმინი უფრო მეტად ცხოვრების სტილს განსაზღვრავს,  რომელიც დღევანდელმა გლობალურმა სამყარომ შემოგვთავაზა. ამ მხრივ, კოსმოპოლიტიზმი არის მორალური კატეგორია, რომელიც დამახასიათებელია კულტურული სფეროსთვის. ის განპირობებულია კოლექტიური და გლობალური ცნობიერებით. ამ საკითხის შესწავლამ მე-18 საუკუნეში მაღალ საფეხურს მიაღწია. ის განიხილებოდა, როგორც ფილოსოფიური კონცეფტი, რომელიც მორალურ და საზოგადოებრივ ღირებულებებთანაა დაკავშირებული. ცივი ომის დასრულების შემდეგ, მსოფლიომ მრავალი პოლიტიკური, ეკონომიკური,  სოციალური და კულტურული ცვლილება განიცადა. იგი გლობალურ არეალად ყალიბდება.  სოციალური ცხოვრების ზოგიერთ სფეროში აშკარაა კოსმოპოლიტური ორიენტაციების გამოვლენა.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, კოსმოპოლიტიზმი სათავეს იღებს ძველ საბერძნეთში. ცნობილი ბერძენი ფილოსოფოსი სოკრატე თავის შეხედულებებში მსოფლიო მოქალაქეობაზე საუბრობდა. ასევე, დემოკრიტემ და დიოგენემ ჩამოაყალიბეს თავიანთი შეხედულებები კოსმოპოლიტურობის შესახებ. ამ მოსაზრებებს საფუძვლად დაედო დიდ სახელმწიფოებს შორის ომებიც, რის შედეგადაც შეიქმნა ისეთი პოლისები, სადაც სხვადასხვა ერის წარმომადგენლები თანაბარ პირობებში აგრძელებდნენ თანაცხოვრებას.

შემდგომი პერიოდი უკავშირდება რომის იმპერიის დიდებას, სადაც აშკარა იყო ცენტრსა და პერიფერიებს შორის განსხვავებები. იმპერიული შეხედულებები თანდათან აყალიბებდა უნივერსალურ მოსაზრებებს,  რაც მორალის კატეგორიებით ფასდებოდა. ასეთ შეხედულებებს უკვე ვხვდებით ჩვენი წელთაღრიცხვით მეორე საუკუნეში, როცა რომის იმპერატორი მარკუს ავრელიუსი აყალიბებს თავის  აზრებს სოციალური მიმართებების შესახებ. მოგვიანებით, ისტორიკოსებმა და ქრისტიანმა მოაზროვნეებმა უნივერსალობის პრინციპი ადამიანის ყოფიერების საწყისად აღიარეს.

ამ შეხედულებებში უკვე ჩანს დიფერენციიდან ერთიანობის, გლობალურობის პრინციპზე გადასვლის ტენდენციები.

შუა საუკუნეებამდე და შემდეგაც, კოსმოპოლიტიზმი რელიგიურ მსოფლმხედველობად განიხილებოდა. ძირითადად, ეს კათოლიკური ეკლესიის მხარდაჭერით იყო განპირობებული. ამავე დროს, ყალიბდებოდა მოსაზრება, რომ კოსმოპოლიტიზმი სოციალური - საზოგადოებრივი სახით უნდა იქნეს განხილული. ტერმინი „კოსმოპოლიტიზმი“, წყაროებშიც ფიქსირდება, განსაკუთრებით, მეთექვსმეტე საუკუნეში. მასში არა მხოლოდ ზეციური და ღვთაებრივი საზრისია ჩადებული, არამედ, სოციალური, „მიწიერი“ აზრი, სადაც მსოფლიო სახელმწიფო მოიაზრებოდა, როგორც ზენაციონალური არარელიგიური ერთობა, რომელშიც უკვე თავისუფალ არჩევანს დიდი როლი დაეთმობოდა. ასეთი საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის აზრის შემზადებას ხელი შეუწყო, ასევე, უტოპიური ლიტერატურის გავრცელებამ, სადაც საუბარია ერთიან სახელმწიფოზე, რომლის მმართველია არა რომელიმე ერი, არამედ ელიტები, რომელთა შემადგენლობა სხვადასხვა ერისგან შედგება. ამავე პერიოდში იქმნება სხვადასხვა მოძრაობა და საძმო, რომელთა ძირითადი მოტივაცია საერთო საზოგადოებისა და მსოფლიო მმართველობის ჩამოყალიბების პირობებს განსაზღვრავდნენ. მსგავსი შეხედულებები ევროპაში ვრცელდებოდა, რაც შინა ომებით იყო განპირობებული. აქვე, დიდი გაერთიანებების იდეის წარმოშობამ, მეჩვიდმეტე საუკუნიდან ერთიანი ევროპის არსებობის ინტენსიურად განხილვას შეუწყო ხელი. ერთიანი კონგრესის ჩამოყალიბების იდეა მნიშვნელოვანი იყო, რათა ევროპაში მშვიდობა დამყარებულიყო. მეთვრამეტე საუკუნეში ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი იმანუელ კანტი ამტკიცებდა, რომ კოსმოპოლიტური ორიენტაცია ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობაა და არა ხელოვნურად შექმნილი ცნება. ის კოსმოპოლიტური თანაცხოვრების შესახებაც გამოთქვამს მოსაზრებას, სადაც ადამიანის ცხოვრების უნივერსალური ბუნება ჩანს. კანტის ეს შეხედულებები აისახა მის ნაშრომში - „მარადიული მშვიდობისაკენ“. მის მიერ შემოთავაზებულია ორი ალტერნატიული მოდელი, სადაც ერთში შედის - „პროგრამა მინიმუმი“ და მეორეში - „პროგრამა მაქსიმუმი“. პირველი მოდელის თანახმად, აუცილებელია, შეიქმნას „ხალხთა კავშირი“, რომელიც ომებს მინიმუმამდე დაიყვანს და ბოლოს საერთოდ

შეაჩერებს. მეორე მოდელის თანახმად, სახელმწიფოებს ექნებათ საშუალება, შეინარჩუნონ თავიანთი სუვერენიტეტი. ასეთი კავშირები ხელს შეუწყობს საყოველთავო მშვიდობის დამყარებას და ხალხთა შორის ტოლერანტულ დამოკიდებულებებს. რაც შეეხება საყოველთაო პერსპექტივას, კანტი მიჩნევს, რომ უნდა შეიქმნას ე.წ. „ხალხთა სახელმწიფო", რომელიც თავისი უნივერსალურობით მთელი მსოფლიოს ხალხებს გააერთიანებს. სწორედ ასეთ სახელმწიფოში მოხდება გარკვეული სუვერენული უფლებების შემცირება, განვითარდებიან და საერთო კანონების საფუძველზე შექმნიან ახალ ერთობას. ამ ორ მოდელს შორის განსხვავება ისაა, რომ პირველში ნაციონალური სუვერენიტეტი იზღუდება. აქ ხდება „მსოფლიო რესპუბლიკის" ჩამოყალიბება, რომლის კანონებსაც ექვემდებარება „ხალხთა კავშირები". კანტის მიერ სახელმწიფოების არსებობა კოსმოპოლიტურ დონეზეა დეკლარირებული. ფილოსოფოსი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოში უნდა დამყარდეს რესპუბლიკური წყობა, გაერთიანება მოხდეს ფედერაციულ ერთობაში და ჩამოყალიბდეს კოსმოპოლიტური სამართალი, რომელიც საყოველთაო სტუმართმოყვარეობას დაეფუძნება და გაზრდის ხალხთა შორის ურთიერთპატივისცემას, რაც ომების თავიდან აცილების ერთ-ეთი პირობაა. აქ არა მარტო მორალურ სიქველეზეა საუბარი, არამედ უკვე ხაზგასმულია საერთო, ტოტალური კანონები, რომლებიც ხელს შეუწყობს საერთო მშვიდობას. მორალი და პოლიტიკა მაშინ ერწყმიან ერთმანეთს, როდესაც საყოველთავო მშვიდობა სამართლის პრეროგატივა ხდება. ამგვარად, კანტი კარგად აცნობიერებს, რომ ადამიანის გარდაქმნა რადიკალურად არ მოხდება, მაგრამ საჭიროა, ეს დაეფუძნოს სამართლის პრინციპებს. მათი დაცვა აუცილებელია პოლიტიკური მიმართებების დარეგულირებით. ფილოსოფოსს მიაჩნია, რომ სამართალი მოაწესრიგებს ყველა სახის გაუგებრობას და მასში გათვალისწინებული იქნება თითოეული ინდივიდის შეხედულებები. სამართლის ნორმებისა და დაშვებების უნივერსალურობა პოლიტიკური სიმშვიდისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების წინაპირობაა. კანტი სამართლებრივი კუთხით ცდილობს, დაარეგულიროს მარადიული მშვიდობა. მისი დებულება - „მსოფლიო მოქალაქეობის უფლება საყოველთაო სტუმართმოყვარეობის პირობით უნდა შემოიფარგლებოდეს" - გულისხმობს, რომ უცხო მოქალაქის უფლება უნდა იქნეს

დაცული და ეს უნდა დარეგულირდეს საერთაშორისო სამართლის ნორმებით (კანტი, 2020).

მეოცე საუკუნე კაპიტალიზმის აღორძინების ერაა. ამ პროცესს თან ახლდა საზოგადოებრივი ძვრები, რევოლუციები, ომები. არსებობდა სხვადასხვა შეხედულება, რომლებიც ექსპლიციტურად ან იმპლიციტურად გადმოსცემდნენ კოსმოპოლიტიზმის არსს. ასეთი შეხედულებები კარლ მარქსის ინტერნაციონალიზმისთვისაცაა დამახასიათებელი. ლენინი თავის რევოლუციურ თეორიაში მიუთითებდა პროლეტარიატის დიქტატურასა და ახალი მსოფლიოს მშენებლობაზე, სადაც ნაციონალური საკითხი გადაჭრილი იქნებოდა. ამავე პერიოდში, ყალიბდება მსოფლიო „უეროვნებო" კავშირები და ასოციაციები. მარქსისა და ლენინის შეხედულებით, ერები უნდა ინტეგრირდნენ და გაერთიანდნენ ერთ დიდ ერთობად, სადაც, შესაძლოა, საერთო ენაც კი არსებობდეს. სწორედ მე-20 საუკუნის დასაწყისში ყალიბდება ხელოვნურად შექმნილი ენა, რომელსაც ესპერანტო უწოდეს.

დრო გადიოდა და გლობალიზაციის საკითხი უფრო ფართო მასშტაბებს იძენდა. ამის შედეგი იყო გაეროს (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის) გენერალური ასამბლეის მიერ, 1948 წლის 10 დეკემბერს მიღებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. ეს არის პირველი დოკუმენტი (კაცობრიობის ისტორიაში), რომელშიც მოცემული იყო საყოველთაობის პრინციპით განმტკიცებული და ინდივიდუალურ კონტექსტში მოაზრებული ადამიანის უფლებები (დღეისთვის დეკლარაცია 360 ენაზეა თარგმნილი და წარმოადგენს მსოფლიოს ყველაზე მეტ ენაზე თარგმნილ დოკუმენტს, რაც ადასტურებს მის უნივერსალურობასა და საყოველთაო ხელმისაწვდომობას), (გაეროს საზოგადოებრივი ინფორმაციის დეპარტამენტის საქართველოს ოფისი, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი, საქართველო DPI/876/Rev.4-07-55693/მაისი 2008). გაერთიანებული ერების ორგანიზაცია არის სწორედ ის ორგანიზაცია, რომელიც თავისი კანონებით, გარკვეულწილად, ხელს უწყობს მსოფლიო მშვიდობის შენარჩუნებას.

პარალელურად იქმნება ისეთი ორგანიზაციები (მაგ., „მსოფლიო მოქალაქეთა მთავრობა"), რომლებიც მსოფლიო მოქალაქეობის პასპორტებსაც კი არიგებდნენ. იქმნება სხვადასხვა ნაშრომი და მონოგრაფია, რომლებშიც ასახულია სხვადასხვა

შეხედულება გლობალური გაერთიანებების შესახებ. მაგალითად, საბჭოთა კავშირის, როგორც კოსმოპოლიტიზმის დამახინჯებულ ფორმად განხილვა; მეოცე საუკუნის შუა წლებში ახალი თაობის პროტესტი, რომელსაც თაობათა შორის კონფლიქტი უწოდეს. ეს არის გლობალური პროცესი, რომელმაც მსოფლიო მოიცვა და შემდგომ წლებში სხვადასხვა მოძრაობაში გადაიზარდა. საბჭოთა კავშირის დაშლა და ახალი ისტორიული ეპოქის დაწყება, რომელშიც დაპირისპირება აღარ იქნება იდეოლოგიური (მაგ.: კაპიტალიზმი-სოციალიზმი) შეხედულებების საფუძველზე, მიანიშნებს ახალი ერის - გლობალური ერის - დაწყებას. თუმცა, საბჭოთა კავშირში 1948 წლიდან 1953 წლამდე მიმდინარეობდა ბრძოლა კოსმოპოლიტების წინააღმდეგ. მაშინდელი კომუნისტური პარტია ყველანაირად ცდილობდა, საბჭოთა ინტელიგენციაში აღმოეფხვრა პროდასავლური განწყობები და, შესაბამისად, კოსმოპოლიტიზმი ბურჟუაზიულ იდეოლოგიად გამოცხადდა, ხოლო ადამიანებს, რომლებიც კოსმოპოლიტიზმთან ასოცირდებოდნენ, ხალხის მტრებად მოიხსენიებდნენ. რაც არ უნდა პარადოქსი იყოს, თავად კომუნიზმს კოსმოპოლიტიზმი ახასიათებს. მაგალითად: „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით!“

გლობალიზაცია, მეტწილად, გაიგივებულია კოსმოპოლიტიზმთან. მათ შორის გარკვეული კავშირი არსებობს, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ ეკონომიკურ გლობალიზაციაზეა საუბარი და არა საერთო მმართველობაზე. ევროკავშირი, ასევე, წარმოადგენს ისეთ ორგანიზაციას, სადაც წყდება არა მარტო ევროპის, არამედ, მსოფლიო პრობლემებიც. ევროკავშირის სივრცეები გულისხმობს კოსმოპოლიტური არეალების არსებობას. გლობალიზაცია ქვეყნების უმრავლესობისათვის მომგებიანია, რადგან რესურსების გადანაწილება ხდება საჭიროებების მიხედვით. პოლიტიკური თვალსაზრისით, გლობალიზაცია არის დემოკრატიისა და დემოკრატიზაციის წინაპირობა.

ცნობილი სოციოლოგი ულრიხ ბეკი მიიჩნევს, რომ გლობალურ გაერთიანებებში ჩართვით, გლობალიზაცია ავითარებს ეკონომიკურ ურთიერთობებს, ტექნოლოგიურ სფეროს. უფრო ადვილად ხდება ადამიანის უფლებების დაცვა, ინდუსტრიული კულტურა ფართო მასშტაბებს იძენს, იქმნება საერთაშორისო ორგანიზაციები, ხდება მსოფლიო პრობლემების გადაჭრა (მაგ., შიმშილობის

პრობლემა, ვირუსების გავრცელება, გლობალური დათბობა და სხვ.). გარემოსდაცვით საკითხებს უფრო მეტი ყურადღება ექცევა და, რაც მთავარია, ისინი კონფლიქტების მოგვარებაზეა ორიენტირებული. ბეკის აზრით, გლობალური გამორიცხავს მსოფლიო მმართველობას, მსოფლიო სახელმწიფოს, რომელსაც მსოფლიო მთავრობა არ მართავს. რასაკვირველია, ეს იწვევს დაპირისპირებას ნაციონალურ სახელმწიფოებში. ამ დაპირისპირებას დღეისათვის სხვა კუთხით განიხილავენ. ნაკლებად იხმარება ტერმინი „კოსმოპოლიტიზმი“ ნაციონალურ სახელმწიფოებრიობასთან დაკავშირებით. ძირითადად, აღიარებენ ტრანსნაციონალური სამოქალაქო საზოგადოების არსებობას, სადაც ერთიან მსოფლიოზეა მითითება. ბეკიც საუბრობს კოსმოპოლიტურ შეხედულებებზე, რომლებიც სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების ფარგლებში განიხილება. ის აღიარებს, რომ არ არსებობს კვაზიიდენტობა, რადგან სხვადასხვა ქვეყანა კარგად ახერხებს უცხო ქვეყნის მოქალაქეების ინტეგრირებას საკუთარი საზოგადოების წიაღში. ბუნებრივია, ამ შემთხვევაშიც, არსებობს კონფლიქტები ნაციონალურ სახელმწიფოსა და მსოფლიო საზოგადოებას შორის. ბეკი აღნიშნავს, რომ დღეს მსოფლიო საზოგადოების მხოლოდ კონტურები არსებობს. ის დემოკრატიის გავრცელებაში კოსმოპოლიტურ საფუძველს ხედავს. თუმცა დასძენს, რომ მსოფლიო ქვეყანას აქვს რისკ-ფაქტორები, რომლებიც შესაძლოა, გამოჩნდეს სხვადასხვა სფეროში. მკვლევარი, ასევე, აღნიშნავს, რომ ბარიერებმა ცხოვრების ასეთ გლობალურ პირობებში, შესაძლოა, სხვადასხვა სახით იჩინოს თავი. ეს რისკები ეხება ეკონომიკას, პოლიტიკას, სოციალურ სფეროს, კულტურას, რომელთა არგადაჭრამ შეიძლება სრულ კოლაფსამდე მიგვიყვანოს. ცნობილი ინგლისელი სოციოლოგი ენტონი გიდენსი გარკვეული კრიტერიუმებისა და ანალიტიკური შეხედულებებიდან ავითარებს აზრს, რომ ოცდამეერთე საუკუნეში „მთავარი ბრძოლები იქნება ფუნდამენტალიზმსა და კოსმოპოლიტურ ტოლერანტობას შორის კონფლიქტები“ (ე. გიდენსი 2004. გვ. 20), სადაც კოსმოპოლიტები კულტურულ მრავალფეროვნებას ემხრობიან, ხოლო ფუნდამენტალისტებს ის საშიშად მიჩნიათ. გიდენსი იმედს იტოვებს, რომ კოსმოპოლიტური შეხედულებები გაიმარჯვებს. ამას ხელს შეუწყობს ტოლერანტობა, რომელიც სხვა ერების მიმართ ჩნდება. ეს კი დემოკრატიის საფუძველია. ამ რისკების მიუხედავად, კაცობრიობა ვითარდება დემოკრატიის გზით და, საერთოდ, იცვლება

ადამიანების ცხოვრება და შეხედულებები. ეს ნელი, მაგრამ პროგრესული პროცესია. რაც უფრო განვითარებულია ქვეყნები (უფრო დემოკრატიული, მაღალი ცხოვრების დონით), მით უფრო კოსმოპოლიტები ხდებიან, აღნიშნავს ფრენსის ფუკუიამა. „დღეს პროვინციალიზმის კი არა, სწორედ კოსმოპოლიტიზმის დამახასიათებელი ნიშანია იმის შემჩნევა და აღიარება, ბოლო რამდენიმე საუკუნეში თუ როგორ შეიქმნა რაღაც, მართლაც, გლობალური კულტურის მსგავსი. თავმოყრილი ტექნოლოგიურად მართული ეკონომიკური ზრდა-განვითარებისა და განვითარების ამ დონის შენარჩუნებისა თუ ამაღლებისათვის აუცილებელი, კაპიტალისტური სოციალური ურთიერთობების ირგვლივ, საზოგადოებები, რომლებიც ცდილობდნენ, თავი დაეცვათ ამგვარი უნიფიცირებისგან...“ (ფუკუიამა, 1999).

კულტუროლოგიური თვალსაზრისით ჩანს, რომ არსებობს დაპირისპირება ერისა და მოქალაქის ცნებებს შორის. სწორედ მულტიკულტურალიზმია კოსმოპოლიტიზმის განვითარების საფუძველი. აქ ინდივიდები უპირატესობას ანიჭებენ უცხოსთან კავშირებსა და მასთან დიალოგის დამყარებას (წულაძე, 2022). სწორედ აზროვნების ახალ წესშია კოსმოპოლიტიზმის მამოძრავებელი ძალა. ახალი კულტურული არეალების გაცნობა და მიღება ხელს უწყობს კოსმოპოლიტური ორიენტაციების ჩამოყალიბებას. თავისთავად, მატულობს სხვების მიმღებლობაც და ტოლერანტობა სხვათა კულტურისა და შეხედულებების მიმართ.

გირტ და გერტ იან ჰოფსტედეები იკვლევდნენ ორგანიზაციულ დამოკიდებულებებს სხვადასხვა კულტურაში. მათ ორგანიზაციის კულტურის ექვსი განზომილება გამოყვეს. ეს განზომილებებია:

1. პროცესებზე ორიენტაცია - შედეგზე ორიენტაცია
2. თანამშრომლობაზე ორიენტაცია - სამუშაოზე ორიენტაცია
3. ადგილობრივი - პროფესიული
4. ღია სისტემა - ჩაკეტილი სისტემა
5. მსუბუქი კონტროლი - მკაცრი კონტროლი
6. ნორმატიული - პრაგმატიული.

ეს თანამიმდევრობა ემპირიული კვლევის შედეგადაა შემუშავებული. „მესამე განზომილება ერთმანეთს უპირისპირებს განყოფილებებს, რომლის თანამშრომლები თავიანთ იდენტობას მეტწილად ორგანიზაციიდან გამომდინარე აყალიბებენ

*(ადგილობრივი)* და განყოფილებებს, სადაც ადამიანები იდენტიფიკაციას სამუშაოსთან ახდენენ *(პროფესიული)*" (ჰოფსტედე & ჰოფსტედე, 2011, გვ. 267). ჰოფსტედეების მიერ გამოყოფილი ეს დამოკიდებულებები, რომლებიც კულტურაში ვლინდება, ანალოგიურია რობერტ მერტონის მიერ შემუშავებული მოდელისა, სადაც მან ლოკალური და კოსმოპოლიტური ორიენტაციები გამოყო.

მეცნიერები ორგანიზაციებში კოსმოპოლიტურ და ლოკალურ ორიენტაციებს სხვადასხვა ცვლადთან და სიტუაციში სწავლობენ. ისინი იკვლევენ, როგორ უწყობს ეს ორიენტაციები ხელს ბაზრის სტიმულირებას და რამდენად არიან დაკავშირებულნი სამუშაოთი კმაყოფილებასთან.

მრავალი ნაშრომი მიეძღვნა სასწავლო დაწესებულებების შესწავლას, მაგალითად, ლოკალური და კოსმოპოლიტური ორიენტაციებისადმი უსდ-ს (უმაღლესი სასწავლო დაწესებულების) ფაკულტეტების მიმართებას. მათ აინტერესბდათ გაეგოთ არსებობს თუ არა საგანმანათლებლო ორგანიზაციებში მომუშავეებს შორის ამ პარამეტრებით განსხვავებები. აღნიშნული სახის ნაშრომებში ყურადღებას ამახვილებენ კოსმპოპოლიტური განათლების მორალურ მხარეზეც, ასევე, იმ საკითხზე, თავად მეცნიერები მიეკუთვნებიან ლოკალებს თუ კოსმოპოლიტებს. არსებობს შრომები, რომლებიც ეხება ადამიანების ქცევას რეალურ გარემოში. ქალაქის განაშენიანებასა და კოსმოპოლიტური სივრცის გამოყოფას, ბუნების დაცვის საკითხებსა და სხვ. საერთოდ, ისტორიულ ჭრილში თუ გადავხედავთ კოსმოპოლიტიზმის შესწავლას, შეიძლება გამოვყოთ მისი მიმართება როგორც მორალთან, საერთაშორისო კონფედერაციებთან კავშირში, ასევე კოსმოპოლიტურ სამართალსა და შესაბამის კანონებთან (კულტურული კოსმოპოლიტიზმი).

ამგვარად, კოსმოპოლიტიზმისა და ლოკალიზმის შესწავლა ორნაირად შეიძლება: ერთი, პოლიტიკურ - საზოგადოებრივ დონეზე, ხოლო მეორე, კულტურულ - სოციოლოგიურ დონეზე. რაც შეეხება ამ ორი ცვლადის დაპირისპირებას, ვფიქრობ, რომ ისინი ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებიან და, შესაბამისად, განსაზღვრავენ სხვადასხვა ორიენტაციას. ზოგადად, ეს ორიენტაციები ერთმანეთთან დამოკიდებულებეში იჩენენ თავს. სწორედ მათი ოპერაციონალიზება ხელს შემიწყობს, დავადგინო პიროვნების მიერ შერჩეული მიმართება. ამაში კი დამეხმარება

გაზომვითი სისტემების შემოტანა. მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ გაზომვა მოხდეს არა საერთო ჩარჩოს მიხედვით, არამედ ინდივიდუალური საზომის საშუალებით.

ჩემი კვლევისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, შევეხო შესასწავლი საკითხის კონცეპტუალურ ანალიზს, რადგან საკითხის ასეთი დასმა ახალია სოციალურ მეცნიერებებში. რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო მეტი მკვლევარი ინტერესდება ამ საკითხით. რა თქმა უნდა, კვლევების უმეტესობა მეოცე საუკუნეში ჩატარდა, მაგრამ ახლა, ოცდამეერთე სუკუნეში, ძალიან ბევრი სადოქტორო დისერტაციაა შესრულებული კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების შესახებ. კონცეპტუალური ანალიზი შესაძლოა, საკითხის შესწავლის ისტორიასთან ერთად განვიხილო, რადგან სწორედ ამ პროცესს ვუკავშირებ ჩემ შეხედულებებს და საკითხს კონცეპტუალური კუთხით განვიხილავ. კონცეპტუალური ანალიზი სხვადასხვა სახით შეიძლება იქნეს წარმოდგენილი, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ გარკვეულ თანამიმდევრობას გავყვე და ამ პროცესის (ანალიზის) სრული სახე წარმოვადგინო. კონცეპტუალური კვლევა ცალკე საკითხადაც შეიძლება იქნეს გამოტანილი სამეცნიერო ასპარეზზე. კონცეპტუალური კვლევა და კონცეპტუალური ანალიზი ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებულები და ხშირად მათი აღრევაც ხდება. არის შემთხვევები, როცა მათ საერთო პროცესის ნაწილებადაც განიხილავენ. კონცეპტუალური კვლევა განიხილება, როგორც მეთოდოლოგიური კვლევა, როდესაც არსებული ინფორმაციის მოცემულ საკვლევ საკითხთან დაკავშირებით ხდება დაკვირვება და ანალიზი. კონცეპტუალური კვლევა შემეცნებითი პროცესია და აბსტრაქტულ კონცეფციებსა და იდეებს ეხება. როდესაც ფილოსოფოსები ასეთ კვლევას ატარებენ და ახალ კონცეფციაზე მუშაობენ, ისინი სხვა კუთხით ხედავენ შესასწავლ საკითხს ან ახალებურად აყალიბებენ უკვე არსებულ კონცეფციურ შეხედულებას. კაცობრიობის ისტორიაში შეხედულებების ასეთი ცვლილებები ზემოქმედებს მეცნიერულ მიდგომებზე და შესასწავლ საკითხს ახლებურად დაგვანახებს. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანო კოპერნიკისეული ცვლილება, რომელიც სამყაროს აგებულების შესახებ საერთო შეხედულებას ეხებოდა, ან ზიგმუნდ ფროიდის თეორია, სადაც ფსიქიკის სტრუქტურაში ახალი ელემენტის შემოტანით, არაცნობიერი ფსიქიკურის დაშვებით, მოხდა უდიდესი ცვლილება, რამაც გამოიწვია მრავალი ახალი შეხედულება ფსიქიკის შესახებ. ბუნებრივია, რომ

მეცნიერები ასეთი ცვლილებებით წინ უსწრებენ დროს. მათი შეხედულებები ყურადღების ცენტრში ექცევა. ეს შესაძლოა, გამოწვეული იყოს დადებითი ან უარყოფითი შეფასებებით. შესაბამისად, იზრდება როგორც მომხრეთა, ასევე კრიტიკოსთა რაოდენობაც. იგივე ითქმის გრავიტაციის შესახებ ნიუტონის შეხედულებასა და აინშტაინის მოსაზრებაზე, რომლებმაც კონცეპტუალური ანალიზით შეცვალეს იმ საკითხის ხედვა, რომელიც ადრე სხვაგვარად განიხილებოდა. ასე ჩამოყალიბდა ფარდობითობის თეორია. ასეთი საკითხების შესწავლა ცვლის დამოკიდებულებას რეალური სამყაროს მიმართ. მას შეუძლია გადაჭრას ბევრი პრობლემა და, რაც მთავარია, შეცვალოს საზოგადოებრივი დამოკიდებულებები. ასეთი სახის კონცეპტუალური ანალიზი საშუალებას იძლევა ახლებურად განვიხილოთ საკვლევი საკითხი, ახალი იდეები კი, გამოიყენოს შემდეგი კვლევების ჩასატარებლად (Devidze, 2024).

კონცეპტუალური კვლევა შედგება რამდენიმე საფეხურისაგან:

1. **აუცილებელია, შევარჩიოთ საკვლევი თემა (საკითხი)** - პირველ რიგში მნიშვნელოვანია, კვლევის დაწყებამდე, ზუსტად განვსაზღვროთ თემა, რომელიც კვლევას დაექვემდებარება. თავიდანვე უნდა გამოვყოთ და შევარჩიოთ ისეთი საკითხი, რომელიც ჩვენთვის საინტერესოა (ის უნდა გამოვყოთ სხვა საკითხებისაგან და შევადგინოთ ჩვენი საკვლევი ველის სპეციფიკური მახასიათებელი).
2. **აუცილებელია შევაგროვოთ და დავამუშავოთ შესაბამისი ლიტერატურა** - კვლევის დაწყებამდე უნდა გამოვყოთ ის სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც ეხება შესასწავლ საკითხს. თუ საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურა მწირია, მაშინ ხდება მისი მსგავსი თემების განხილვა და შესასწავლი საკითხის მასთან დაკავშირება. ადრე ჩატარებული კვლევები საბაზისო ინფორმაციას იძლევა და გვეხმარება ჩვენი კვლევის ჩატარებაში. მნიშვნელოვანია, მოვიძიოთ შესაბამისი წიგნები, სამეცნიერო ჟურნალები, ნაშრომები, მონოგრაფიები, რომლებიც ჩვენი კვლევის საკითხთან არის დაკავშირებული. ეს მასალები არსებობს ბიბლიოთეკებსა და ინტერნეტ სივრცეში, მაგრამ, შესაძლოა, ჩვენ მიერ მოძიებული ზოგიერთი ლიტერატურა არ იყოს საკმარისი ან არ შეიცავდეს ზუსტ მონაცემებს. ამიტომ, პირველ რიგში, უნდა მოხდეს მათი გაფილტვრა

შემდგომი გამოყენებისთვის. ასეთი სახით მოხდება ლიტერატურის დახარისხება. ლიტერატურა აუცილებლად უნდა იყოს მეცნიერული და ეყრდნობოდეს დასაბუთებულ მტკიცებულებებს, სხვა შემთხვევაში მათი გამოყენება არ არის მიზანშეწონილი.

3. **აუცილებელია სპეციფიკური ცვლადების გამოყოფა და მათი დამუშავება** - აქ უნდა გამოვყოთ ის ცვლადები, საკვლევი საკითხის ძირითდი ცნებები, რომლებიც უნდა გამოვიყენოთ ჩვენს კვლევაში. ეს ცვლადები საშუალებას გვაძლევს, შემოვიტანოთ ახალი საკითხები. ასევე, ცვლადების კონსტრუქციული დამუშავება ხელს შეგვიწყობს, ზუსტად განვსაზღვროთ, რა არის ჩვენი კვლევის შესატყვისი. კვლევის საკითხი, შესაძლოა, ახალ ცვლადებსაც დავუკავშიროთ. ამგვარად, შესაბამისი ლიტერატურიდან აღებული ცვლადები იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენ შეგვიძლია, ახლებურად შევხედოთ საკვლევ საკითხს და ისინი გავაანალიზოთ.
4. **აუცილებელია, კვლევის ერთ ფოკუსში მოვათავსოთ და განვაზოგადოთ შესასწავლი საკითხი** - გამოყოფილი ცვლადების დალაგება ხდება ჩვენი კვლევის საკითხებთან მიმართებაში და უკავშირდება სხვა შესატყვის მასალას. მნიშვნელოვანია, ერთ ფოკუსში მოვაქციოთ შესასწავლი საკითხი და შემდეგ მივიღოთ გარკვეული სახის სიახლე, რომელსაც დავასაბუთებთ ემპირიული კვლევით. ასე ჩვენ ვუპასუხებთ დასმულ საკითხს და საბოლოოდ განვაზოგადებთ მთავარ შესწავლილ საკითხს.

რაც შეეხება კონცეპტუალურ ანალიზს და მის გამოყენებას, ამ საკითხთან დაკავშირებით მიმოვიხილე ორი შრომა. ერთი ნაშრომი (Holmes, 2020). შეისწავლის ტექნიკურ სფეროს ხოლო მეორე - სოციალურს (Ledyaev, 1997). ამ ავტორებს, ძირითადად, ერთნაირად აქვთ გამოყოფილი ის საკითხები, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია კონცეპტუალური ანალიზის ჩატარების დროს. კონცეპტუალური ანალიზი არ დაიყვანება კონცეპტუალურ კვლევამდე. კონცეპტუალური ანალიზი მისი შემადგენელი ნაწილია. ამგვარად, შესაძლოა, ვიმსჯელოთ საერთო მეთოდოლოგიურ საკითხებზე, რომელთა ფარგლებში თავსდება კონცეპტუალური კვლევა და, შესაბამისად, კონცეპტუალური ანალიზი. ჩემ შემთხვევაში საკითხი შეეხება კოსმოპოლიტურ და ლოკალურ ორიენტაციებს.

პირველი (I)

საკვლევად გამოყოფილი სოციალური ცნება კორელაციაში უნდა იყოს სიტყვის ყოველდღიურ მნიშვნელობასთან. ეს ეხება იმ ცნებას, რასაც ის აღნიშნავს. კონცეპტუალური ანალიზი ხელს უწყობს დასმულ კითხვებზე საკითხის ფართოდ განხილვასა და ამ კითხვებზე პასუხის გაცემით ცნების ზუსტ განსაზღვრას. კონცეფცია უნდა განსაზღვრავდეს იმ კრიტერიუმებს, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ აშკარად არაა გამოხატული. ასეთ შემთხვევაში, საკითხის განხილვა სხვა რაკურსით ხდება და ჩნდება მრავალი კითხვა:

- რა არის კოსმოპოლიტობა და რა არის ლოკალობა?
- რაში და როგორ გამოიხატება ისინი?
- ვინ არის სუბიექტი, რომელიც მისი/მათი მატარებელია?
- რა სპეციფიკურობით გამოიხატება თითოეული მათგანი?
- რა არის უშუალო ობიექტი განმხორციელებელი პირისათვის - ქცევა, ცნობიერება თუ მათი კომბინაცია?

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ცნება „კოსმოპოლიტი“ ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში იყო აქტუალური. მის შესახებ ასევე მსჯელობდნენ მეჩვიდმეტე - მეთვრამეტე საუკუნეებში. შემდეგი ორი საუკუნის განმავლობაში ის კვლევის ობიექტი გახდა. დღეისთვის კოსმოპოლიტს მსოფლიო მოქალაქეობის მქონეთა აღსანიშნავად იყენებენ, რაც შეეხება ლოკალს, ეს ცნება უფრო გვიანდელია და ის ადგილობრივის აღსანიშნავად გამოიყენება. მართალია, შემეძლო მეხმარა ცნება „ადგილობრივი“, მაგრამ სხვადასხვა ნაშრომში (Goulder A.W. 1957., Hannerz U., 1990) მითითებულია მათ განსხვავებულ გამოყენებაზე. არსებობს შეხედულება, რომ ადგილობრივები კიდევ სხვა კატეგორიას წარმოადგენენ. კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციები შეიცავს სხვადასხვა კრიტერიუმს და, შესაბამისად, ხდება მათი გამოყოფა. კოსმოპოლიტური ორიეტაცია იყოფა ორ კლასად - ადგილობრივები და კოსმოპოლიტები, ხოლო ლოკალური ორიენტაციის მქონენი იყოფიან გლობალებად და ლოკალებად. ამ კრიტერიუმებთან მიმართებაში, ვიღებთ მათი გადაკვეთის წერტილებს, სადაც ლოკალები და ადგილობრივები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. რაც შეეხება კოსმოპოლიტიზმის ცნებას, ის დღეს ყოველდღიურობაში იხმარება. თუ ლოკალის შემთხვევაში ის არ მოვიხსენიე

ადგილობრივად და დავტოვე ცნებად, კოსმოპოლიტიზმის შემთხვევაში ცნება მიღებულია და ქრესთომატიულ ტერმინს წარმოადგენს სოციოლოგიის, პოლიტიკის, კულტურის სფეროს მკვლევრებისთვის. ამგვარად, მე ვსაუბრობ კოსმოპოლიტურ და ლოკალურ ორიენტაციებზე, რაც წარმოადგენს განზოგადოებულ დამოკიდებულებებს, რომლებიც განსაზღვრავს პიროვნების ქცევას. რაც შეეხება კოსმოპოლიტურ ორიენტაციას, პეტრა რიფლერი, ამირ გრინშტეინი (Riefler, P., Grinstein, A. , 2013) და ადამანტიოს დიამანტოპოულოსი მიუთითებენ მათ დიდ პოტენციალზე გარემოსდაცვითი ქცევის განხორციელებისას. აქვე გამოყოფილი აქვთ გლობალური და ადგილობრივი საზოგადოებები. მეცნიერებმა კვლევისთვის გამოიყენეს მათ მიერ შემუშავებული სპეციფიკური სკალა (Diamantopoulos, A., Riefler, P., 2013). იმ პირებთან, რომლებიც გარემოს ექსპლოატაციას ეწეოდნენ, კოსმოპოლიტიზმის სკალა გამოიყენეს. მკვლევრები სწავლობდნენ მათ პასუხებს გარემოს საკიხთებთან დაკავშირებით. აღმოჩნდა, რომ ვისაც მაღალი კოსმოპოლიტური ორიენტაცია აქვს, ისინი გლობალურ საკითხებს უფრო აქცევენ ყურადღებას. ამ კვლევიდან ჩანს, რომ ავტორები მხოლოდ კოსმოპოლიტურ ორიენტაციას ზომავდნენ. რაც შეეხება ადგილობრივობასა და გლობალობას, ეს უკვე მათ შეტყობინებებში ფიქსირდებოდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ეს ცნებები არის ორიენტაციის გამომხატველი, რაც კოგნიტური დამოკიდებულებების მაჩვენებლია. ამგვარად, ორიენტაცია კონცეპტუალურ აზრს იძენს. ის დამახასიათებელი დისპოზიციით მოვლენაზე რეაგირებით გამოიხატება. ეს გარკვეული ინსტრუქციის სახით ვლინდება, სადაც, აპრიორი, განსაზღვრულია ზოგადი გეგმის არსებობა გარკვეული მოქმედების მიმართ. შესაბამისი განწყობის მიზანმიმართულად გამოხატვა, ჩემ შემთხვევაში კოსმოპოლიტიზმის, ამ კონცეფციაშია ჩადებული. ამ კონცეფტების სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ადამიანი, რომელიც იცნობს სოციალურ გარემოს და არაა დახურული (ჩაკეტილი) საზოგადოების წევრი. სწორედ ადამიანებს ახასიათებთ ასეთი დამოკიდებულებები, რაც სხვადასხვა სიტუაციასა და განსხვავებულ გარემოში ვლინდება. ლოკალობა და კოსმოპოლიტობა სპეციფიკური სახით ამა თუ იმ სფეროსთან მიმართებით ვლინდება. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ასეთი კონცეფტის მნიშვნელოვანი ელემენტი (განსაზღვროს კონტექსტის მიხედვით დამოკიდებულება). სუბიექტისთვის სფეროები

შეიძლება სხვადასხვა იყოს. შესაძლოა, ეს იყოს ის სფერო, რომელშიც ის საქმიანობს, ან გააჩნია საკუთარი შეხედულება შესაბამისი მოვლენების მიმართ. დამოკიდებულება, ასახული ასეთი სახის კონსტრუქტებში, შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა სფეროში. ის შეიძლება ეხებოდეს ფიზიკურ, ურბანულ, ბუნებრივ გარემოს ან დაკავშირებული იყოს სოციალურ და კულტურულ სფეროსთან. განვიხილოთ ქალაქ თბილისის მაგალითი:

**გარემო:**

| |
|---|
| ქუჩები, გამზირი, მოედანი - შარდენის ქუჩა, რუსთაველის გამზირი, თავისუფლების მოედანი, აღმაშენებლის ქუჩა, ძველი თბილისი, მარიონეტების თეატრთან არსებული მოედანი და სხვ. |

| |
|---|
| ბაღები/პარკები - გამარჯვების პარკი, ვერის პარკი, ვაკის პარკი, რიყე, მუშტაიდი, 9 აპრილის ბაღი და სხვ. |

| |
|---|
| დასასვენებელი ადგილები - სახლებთან არსებული სკვერები, ბაღები, მწვანე ზონები და გარდენიები. |

**ღონისძიებები:**

| |
|---|
| დღესასწაულები - ახალი წელი, ალილო, თბილისობა, ყვავილების დღესასწაული, ვალენტინობა და სხვ. |
| სპორტული ღონისძიებები - ფეხბურთი, რაგბი, ქართული ჭიდაობა, მსოფლიო ჩემპიონატები, ოლიმპიადები და სხვ. |

**კვების ობიექტები:**

| |
|---|
| რესტორნები და კაფეები - ნაციონალური: სახინკლე, „ხინკლის სახლი", „მწვადის სახლი", სახაჭაპურეები, „ქართული სუფრა" და სხვ. უცხოური - „მაკდონალდსი", „ვენდისი", "KFS" და სხვ.<br>ბარები - „ყავის სახლი", „გალერეა", „ბასიანი" და სხვ. |

**სასმელები:**

| |
|---|
| (ქართული და უცხოური) - ქართული ღვინო, შუშხუნა ღვინო, ვისკი, კოქტეილი, ლუდი და სხვ. |

შენობები:

| |
|---|
| ძველი სახლები, რეკონსტრუირებული სახლები, მაღალსართულიანი სახლები, სავაჭრო ცენტრები, სხვადასხვა ბაზრობა და ბაზარი, მოლი თბილისი, მინი მარკეტი, სუპერმარკეტი - კარფური, გუდვილი და სხვ. |
| მატარებლის სადგურის შენობა, აეროდრომის შენობა, ავტობუსების სადგურები და სხვ. |
| ოლიმპიური სასახლე, ფეხბურთის სტადიონები, კალათბურთის სასახლე, სპორტის სასახლე და სხვ. |

სასწავლებლები:

| |
|---|
| თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი, ამერიკული უნივერსიტეტი, ევროპული უნივერსიტეტი, საჯარო სკოლები, ბაღები და სხვ. |

სახელმწიფო სიმბოლოები:

| |
|---|
| ეროვნული დროშა, სახელმწიფო გერბი, ევროკავშირის დროშა, ნატოს დროშა, უცხო ქვეყნების დროშები და სხვ. |

მედია:

| |
|---|
| ფოსტა, ტელევიზიები, რადიომაუწყებლობა, მედია ჰოლდინგები, ადგილობრივი გაზეთების ჯიხურები, უცხოური პრესა, ინტერნეტი და სხვ. |

ხელოვნება:

| |
|---|
| ეროვნული ძეგლები, რელიგიური ობიექტები, მუზეუმები, მუზეუმი ღია ცის ქვეშ, მონუმენტები, ბიუსტები, ძეგლები, პანთეონები და სხვ. |

ჩაცმულობა:

| |
|---|
| ეროვნული სამოსი, ევროპული ჩაცმულობა, ინდივიდუალური სტილის ჩაცმულობა, ჯგუფისადმი მიკუთვნებული ჩაცმულობა, ჩოხა, ქალის ტრადიციული სამოსი, თანამედროვე აქსესუარები, თმის ფერი, ვარცხნილობა და სხვ. |

სხვა ადგილები საქართველოს მასშტაბით:

| |
|---|
| ქალაქები - ბათუმი, ფოთი, ზუგდიდი, ქუთაისი, გორი, მცხეთა, თელავი და სხვ.<br>რეგიონები - იმერეთი, გურია, სამეგრელო, სვანეთი, რაჭა და სხვ.<br>დაბები - ბაკურიანი, ბორჯომი, ურეკი და სხვ. |

კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების გამოხატვა, აგრეთვე, დამოკიდებულია ადამიანის შინაგან ბუნებაზე. რა თქმა უნდა, ასეთი განწყობებით მოქმედება, ასევე, მოიცავს სხვა ფაქტორებსაც. ერთი მხრივ , ის უკავშირდება აღზრდის სტილს და მეორე მხრივ, მიღებულ ცოდნას გარე სამყაროს შესახებ. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, შევეხო მორალურ ფაქტორს. ავტორთა გარკვეული ნაწილი მიუთითებს კოსმოპოლიტურ განათლებაზე, რომლის ფარგლებშიც მორალური კოსმოპოლიტიზმი, სხვა სახეებთან ერთად, დიდ ადგილს იჭერს. მეთიუ ჰეიდენი თავის სადისერტაციო ნაშრომში (Hayden, 2012)ეხება მორალურ და კოსმოპოლიტურ განათლებას. ავტორი მიიჩნევს, რომ ამ ორ სფეროს შორის აშკარა განსხვავებაა. მისი აზრით, ეს შესაძლებელია და, გლობალიზაციის პირობებში, აუცილებელიც. ასეთი მიდგომა ამცირებს დაპირისპირებებს ერებს შორის და ხელს უწყობს დემოკრატიის განვითარებას შეჯიბრებითობის პრინციპით და არა კონკურენციის საშუალებით, სადაც პიროვნებებისთვის მორალური პრინციპებია წარმმართველი. ეს თავისთავად ცვლის საზოგადოებრივ და საერთაშორისო მიმართებებს. ასე ყალიბდება დისპოზიციები, რაც ტრადიციული მორალური შეხედულებების მიღებასა და ახლებურ ხედვაში გამოიხატება. კულტურული შეხედულებები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანების სოციალიზაციაში. ამიტომაც, თავიდან კოსმოპოლიტიზმის საკითხი პატრიოტიზმის პარალელურად განიხილებოდა. მაგალითად, მარტა ნუსბაუმი თავის ნაშრომში (Nussbaum, 2010) პატრიოტიზმისა და კოსმოპოლიტიზმის საკითხს ეხება - ტრადიციონალიზმი უკავშირდება პატრიოტიზმს და ის წარმოადგენს, პირველ რიგში, მორალურ იდეალებს ამა თუ იმ ხალხისთვის. ესაა სამართლიანობა და თანასწორობა. ხოლო კოსმოპოლიტიზმი კი მიუთითებს, რომ ადამიანი მიმართულია იყოს მსოფლიოს მოქალაქე და იცავდეს მის უფლებებს. ავტორი მიუთითებს პატრიოტიზმსა და კოსმოპოლიტიზმს შორის დიდ განსხვავებაზე და რომ კოსმოპოლიტიზმი საჭიროებს მეტ ყურადღებას განათლების მხრივ. ნუსბაუმს განათლების პრეროგატივად მოქალაქეთა ერთობის შექმნაზე ზრუნვა მიაჩნია. ეს არ ნიშნავს, რომ ადგილობრივ იდენტობაზე ადამიანები უარს იტყვიან. საბოლოოდ, ავტორის აზრით, კოსმოპოლიტური განათლება ხელს უწყობს საკუთარი თავის უკეთ გაგებას. ასეთ შემთხვევაში ადამიანი მორალურ ვალდებულებას იღებს მსოფლიოს წინაშე. ჰეიდენი კი მიიჩნევს, რომ მორალური კოსმოპოლიტიზმის გარდა, სხვა სახის

კოსმოპოლიტიზმიც არსებობს და საჭიროა, მოხდეს მათი კლასიფიცირება (Hayden, 2012):

**პირველი** - ესაა მორალური კოსმოპოლიტიზმი, რაც ადამიანის ყოფის მოდუსია. ის ეხება უსაფრთხოებას, უფლებებს და, რა თქმა უნდა, მორალს. ის კანტიანური კატეგორიებითაა გააზრებული.

**მეორე** - კულტურული კოსმოპოლიტიზმი, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა „სხვების" კულტურული არეალის აღიარება. ისინი ადვილად ითავისებენ კულტურულ განსხვავებებს და, შეძლებისდაგვარად, ახდენენ მათთან იდენტიფიცირებას. ეს კი გულისხმობს კულტურათაშორის გაცვლას, დიალოგს, ფართო კომუნიკაციას. კულტურული მასპინძლობა ხელს უწყობს ადაპტაციასა და იდენტობის განცდის ჩამოყალიბებას.

**მესამე** - პოლიტიკური და სამართლებრივი კოსმოპოლიტიზმი - ასეთ შემთხვევაში, ზოგი ავტორი ცალ-ცალკე განიხილავს მათ, მაგრამ მათი აზრით, ორივე ხელს უწყობს გლობალური მოქალაქის ფორმირებას, რომელიც მსოფლიოში გავრცელებულ საერთო კანონებს იცავს და ლეგალურად მიიჩნევს მათ. ამის პირველი მაგალითია გაერო (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია).

**მეოთხე** - ეკონომიკური კოსმოპოლიტიზმი - ის ეხება თავისუფალ ვაჭრობას, საერთაშორისო და ტრანსნაციონალურ კორპორაციებს. შეიძლება ითქვას, რომ დღეისთვის არსებობს ასეთი სახის კორპორაციები და, შესაბამისად, მათში მომუშავე ადამიანები თავს, გარკვეულწილად, კოსმოპოლიტებად მიიჩნევენ.

**მეხუთე** - რომანტიკული/უტოპიური კოსმოპოლიტიზმი - აქ ყურადღება სიყვარულზე, ემოციებზე, სილამაზესა და მშვენიერებაზეა გამახვილებული.

**მეექვსე** - ინსტრუმენტული კოსმოპოლიტიზმი - აქ თავს იჩენს პიროვნული ინტერესები, მიღწევა, სადაც განცდაა, რომ საკუთარი თავი არის ინსტრუმენტი. სწორედ ასეთი სახით მოქმედებენ ადამიანები.

**მეშვიდე** - გაშუალებული (ან ძალისმიერი) კოსმოპოლიტიზმი - ეს ისეთი სახის კოსმოპოლიტიზმია, რომელიც მოქნილობით გამოირჩევა და ხან ძალას გამოხატავს, ხანაც გამაშუალებლის როლშია. სწორედ აქ იჩენს თავს მხარეებს შორის კონფლიქტები, როდესაც ცვლილებები გამოვლინენების სახით გვხვდება (Hayden, 2012).

კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციები, რომლებიც ქცევაშია გამოხატული, ასევე, ვლინდებიან კოგნიტურადაც. შეიძლება ითქვას, რომ შესაბამის სიტუაციაში ადამიანი ავლენს დამოკიდებულებებს, რაც მათ ქცევაში აისახება. ეს კი ნიშნავს, რომ თუ ადამიანს აქვს კოსმოპოლიტური ორიენტაცია და არა მარტო შეხედულება, ის შეიძლება ქცევის ფორმითაც ვიხილოთ. ასევე, ის პიროვნებათშორისი ურთიერთობისას იჩენს თავს. მაგალითად, კოსმოპოლიტისა და ლოკალის ღირებულებები, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ერთმანეთს. ამან, ერთი მხრივ, შეიძლება დავა, კონფლიქტი გამოიწვიოს ან, მეორე მხრივ, ფარულად არსებობდეს. ბუნებრივია, ასეთი ქმედებები, ადრე თუ გვიან, იჩენს თავს (Devidze, 2024).

მეორე (II)

როდესაც ვსაუბრობთ კოსმოპოლიტიზმისა და ლოკალიზმის ორიენტაციულ მხარეებზე, საჭიროა, გამოყოფილი ცნებები ერთმნიშვნელოვნად იყოს განსაზღვრული. რას გულისხმობს ეს? პირველ რიგში, საჭიროა, გავერკვეთ, რა წყაროს ეყრდნობა ეს ორი კონსტრუქტი. იმის დაშვება, რომ ან ერთია საუკეთესო ან მეორე, თავიდანვე მცდარია. ანუ აქ საუბარი გვაქვს მათ პოზიტიურ ან ნეგატიურ ბუნებაზე. ადამიანები დღეს აცნობიერებენ, რომ ცხოვრობენ გლობალურ სამყაროში და ეს არ არის რომელიმე პიროვნების ან რაიმე ჯგუფის ახირება. ეს საზოგადოების განვითარების გარკვეული ეტაპისთვის იყო დამახასიათებელი, როდესაც კაპიტალმა დაიპყრო მსოფლიო. დღეს ვითარდება სხვადასხვა ორგანიზაცია, რომლებიც მოკლებულია ეროვნულ ელფერს. თუმცა, მათში მომუშავეები თავიანთი დამოკიდებულებებით, შესაძლოა, ან კოსმოპოლიტური ან ლოკალური ორიენტაციების მქონენი აღმოჩნდნენ. ამგვარად, ერთი მხრივ, ასეთი სახის ორიენტაციების წარმოშობა განსაზღვრა საზოგადოებრივმა ცხოვრებამ, ხოლო მეორე მხრივ, პიროვნულმა დამოკიდებულებებმა, რომლებშიც მნიშვნელოვან როლს

თამაშობს მათი მობილობა და გადაადგილების თავისუფლება. სწორედ ასეთი სახით, ამ ცნებების შინაარსიდან გამომდინარე (სადაც კოსმოპოლიტი განიხილება, როგორც სამყაროსადმი ღია და გახსნილ ადამიანად, ხოლო ლოკალი - უფრო შეზღუდული არეალის გამზიარებლად) თუ შევხედავთ ადამიანის განვითარებას, ანუ ეკონომიკური გლობალიზაციის მაგალითიდან გამომდინარე, შესაძლოა, მომავალში მოხერხდეს კულტურული გლობალიზაცია, მაგრამ ეს არ უნდა იყოს იდეოლოგიის დონეზე აყვანილი. ეს, ასევე, არ უნდა ნიშნავდეს გლობალური საზოგადოების მმართველი ელიტის მოქმედებას კოსმოპოლიტური შეხედულებების მიღმა. დღესდღეობით, მსოფლიოს მოქალაქის ჩამოყალიბება ნონსენსია. ეს არ გამორიცხავს, რომ ვინმეს ჰქონდეს კოსმოპოლიტური ან ლოკალური ორიენტაცია. ასეთი ორიენტაციები შეიძლება დროთა განმავლობაში შეიცვალოს. ამგვარად, არ უნდა ავურიოთ კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციები წარმოსახვითი მსოფლიო საზოგადოების დამოკიდებულებებში (Devidze, 2024).

მესამე (III)

ჩემთვის, როგორც მკვლევრისთვის, ძალიან საინტერესო არის კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების ცნება. ხაზგასასმელია, რომ დღეისათვის, ჩვენს ქვეყანაში შექმნილი პირობებიდან გამომდინარე, ზევრ სფეროში უფრო ხშირად ვაწყდებით ლოკალური ორიენტაციის პიროვნებებს, ხოლო ნაკლებად - კოსმოპოლიტურს. საქართველოში განვითარებულმა კომერციულმა ორგანიზაციებმა, გარკვეულწილად, შექმნეს ისეთი პირობები, სადაც შესაძლოა კოსმოპოლიტური ორიენტაცია პრიორიტეტად იქცეს. თანამედროვე ცხოვრებისთვის ასეთი დამოკიდებულებები მნიშვნელოვანი ხდება. უცხოეთის განვითარებულ ქვეყნებში, დაწყებული მეოცე საუკუნიდან, ამ საკითხზე ბევრი მეცნიერი, მკვლევარი, მუშაობს. ჯოან ლინდელი (Lindell, 2014) ინდივიდუალურ დონეზე კოსმოპოლიტზმის გამოვლინებას სამ განზომილებად ყოფს:

1. კოსმოპოლიტიზმის მორალური განზომილება;
2. კოსმოპოლიტიზმის პოლიტიკური განზომილება;
3. კოსმოპოლიტიზმის კულტურული განზომილება (Devidze, 2024).

პირველ განზომილებაში დომინანტური მაჩვენებელია ნორმატიულობა, რომელიც შეიცავს შემდეგ ინდიკატორებს: უნივერსალური სტუმარმასპინძლობა, სხვების დადებითი შეფასება, სხვების მიმართ ემპათიის გამოხატვა, დისტანციის შემცირება თავად პიროვნებასა და უცხოს შორის, გლობალური პასუხისმგებლობის განცდა.

მეორე განზომილებაში დომინანტური მაჩვენებელია მიგნება-მისწრაფებები, რაც შემდეგ ინდიკატორებს მოიცავს: ნორმატიული კულტურის გაზიარება, გლობალური კომუნის ჩამოყალიბების საერთო რისკის განცდა, სხვადასხვა პოლიტიკური ერთობის ურთიერთკავშირებისა და განსხვავებულობის გაცნობიერება, ზენაციონალური ინსტიტუტების ნდობა, პროტექციონიზმის (ეკონომიკური, კულტურული, ინსტიტუციონალური) დაბალი დონე.

მესამე განზომილებაში დომინირებს ყოველდღიური/ეგზისტენციური მაჩვენებელი, რომელიც შემდეგ ინდიკატორებს მოიცავს: სხვა კულტურის მიმართ ტოლერანტობის გამომჟღავნების უნარი, სხვებთან ურთიერთობების დამყარების შესაძლებლობა, კოსმოპოლიტური კულტურისა და არსებული ტრადიციების ინტერპრეტირება, სხვისი კულტურის შეთვისება, განსხვავებულობის დაფარვა, დისტანციის გაზრდა ლოკალურ, ეროვნულ, ნაციონალურ და კულტურულ სფეროებში (Lindell, 2014).

ავტორი, ასევე, მიუთითებს კოსმოპოლიტობის ორგანზომილებიან დახარისხებაზე. ქვემოთ მოტანილი სქემიდან ჩანს, რომ ერთი განზომილება არის - საკუთარი თავი დაინახო მსოფლიო მოქალაქედ და მეორე განზომილებაა - გამოავლინო აქტუალური კოსმოპოლიტური პრაქტიკა.

მათი გადანაწილება იძლევა შემდეგ სურათს (სქემა #1):

*სქემა 1: კოსმოპოლიტობის ორგანზომილებიანი დახარისხება*

| მსოფლიო მოქალაქედ თავის განცდა | | აქტუალური კოსმოპოლიტური პრაქტიკა | |
|---|---|---|---|
| | | დიახ | არა |
| | დიახ | რეფლექსური კოსმოპოლიტობა | ხელოვნური კოსმოპოლიტობა |
| | არა | ბუნებრივი კოსმოპოლიტობა | ლოკალები |

- რეფლექსური კოსმოპოლიტობა ნიშნავს, რომ ადამიანი თავს გრძნობს „მსოფლიო მოქალაქედ“.
- ხელოვნური კოსმოპოლიტობა ნიშნავს ორიენტაციის ირიბად გამოვლენას.
- ბუნებრივი კოსმოპოლიტობა ნიშნავს, რომ ადამიანი პრაქტიკულად მასზე ორიენტირებულია და ავლენს კოსმოპოლიტურ შეხედულებებს.
- ლოკალები კი ნიშნავს იმ პირებს, რომლებიც არ გამოხატავენ იდენტობას კოსმოპოლიტობისადმი (Lindell, 2014).

**მეოთხე (IV)**

ცნების ჩამოყალიბება ისე უნდა მოხდეს, რომ ის ზოგად ტერმინებში გამოიხატოს და კავშირი ჰქონდეს სხვა სოციალურ ცნებებთან. ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია იდენტობის ცნების მიმართება კოსმოპოლიტიზმთან ან ლოკალიზმთან, როდესაც ვლინდება კოსმოპოლიტობა, ლოკალობა, აგრეთვე სოციალური, პოლიტიკური, კულტურული და სხვა მიმართებები. ეს შესაძლოა ეთნიკურ საკითხშიც გამოვლინდეს, რადგან, უმეტეს შემთხვევაში, ეთნიკური იდენტობის საკითხი დაკავშირებულია ლოკალობასთან (Devidze, 2024).

განვიხილოთ ნაშრომი, რომელიც ეხება საქართველოს ზოგიერთ რეგიონში არსებულ ეთნიკურ მდგომარეობას. ლაშა ტუღუში, თანაავტორებთან ერთად, კვლევაში „ანტილიბერალური განწყობა, თბილისი, აჭარა, სამეგრელო“, აანალიზებს აჭარაში, თბილისსა და სამეგრელოში გამოკითხული მოსახლეობის დამოკიდებულებას სხვადასხვა ჯგუფის, მათ შორის, მუსლიმი ქართველების მიმართ.

ეს ნაშრომი იმითაცაა საინტერესო, რომ ავტორები განიხილავენ იდენტობის საკითხს (ტუღუში, და სხვ., 2020).

კვლევის ერთ-ერთი ნაწილი „იდენტობა, სხვა ეთნოსების/ერებისა და სოციალური ჯგუფების აღქმა და მათდამი დამოკიდებულება“ დაყოფილია შემდეგნაირად:

- იდენტობა-ქართველი
- მუსლიმი ქართველების რელიგიური უფლებები
- სიამაყის/სირცხვილის განცდა
- ტრადიციების დაცვა
- კარგი მართლმადიდებლები
- ეთნოსების/ერების შეფასება
- ეთნიკური ჯგუფების/ერების საქართველოსადმი დამოკიდებულება
- სხვა ეთნოსის/ეროვნების/რელიგიის ადამიანებთან ერთად ოჯახის შექმნა
- უცხოელი ტურისტებისადმი დამოკიდებულება
- მოქალაქეობის უფლება
- უძრავი ქონების შეძენის უფლება
- არასასურველი მეზობელი
- გენდერული საკითხი ქონების გაყოფისას

ზოგიერთი დებულება გამოვიყენე ჩემი კვლევის დროს, რამაც საშუალება მომცა დამედგინა გამოკითხული პიროვნებების კოსმოპოლიტობისა და ლოკალობის ორიენტაციები. ჩემთვის, ასევე, საინტერესო იყო გამეანალიზებინა, როგორი დამოკიდებულებები აქვთ კვლევაში ჩართულ რესპონდენტებს სხვა ეთნოსების/ერების მიმართ და რამდენად მისაღებია მათთვის სხვა ეთნოსების/ერების კულტურა.

შევეხები რამდენიმე მათგანს:

**იდენტობა-ქართველი,** კვლევის ამ ნაწილში ავტორებს აინტერესებდათ, რა იყო იმისთვის აუცილებელი, რომ ქართველად ჩაეთვალათ რესპოდენტებს პიროვნება. ამ კითხვაზე მათ, ძირითადად, ორი პასუხი მიიღეს. პირველი -

თავად მიიჩნევდნენ თავს ქართველებად და მეორე - ერთი მშობელი მაინც ჰყავდათ ქართველი. როგორც ავტორები მიუთითებენ, „პირველი ფაქტორი პიროვნების მიერ ქართველობის გაცნობიერებასა და თვითიდენტობაზეა ორიენტირებული, ხოლო მეორე - მემკვიდრეობითობის ფაქტორის აღიარებაზე“. ნაჩვენებია როგორაა ეს ფაქტორები გამოხატული რეგიონების მიხედვით: „თბილისსა და აჭარაში უპირატესობა ენიჭება ქართველობის განცდას/ცნობიერებას (თბილისი - 35.3%; აჭარა - 33.4%), ხოლო მემკვიდრეობითობის ფაქტორი - მშობლის ქართველობა - ასევე, გამოკვეთილია თბილისში (32.3%) და ოდნავ ნაკლებია სამეგრელოში (28.3%)". როგორც ავტორთა მიგნებებიდან ჩანს, ზემოთ მოყვანილ ორ შეხედულებას (პირველი - თავად მიიჩნევდნენ თავს ქართველად და მეორე - ერთი მშობელი მაინც ჰყავდათ ქართველი) გამოკითხულთა მესამედზე მეტი არ უჭერდა მხარს (ტუღუში, და სხვ., 2020).

**ტრადიციების დაცვა** - ავტორები აქ რესპონდენტებს ეკითხებოდნენ, უკეთესად ვინ იცავდა საკუთარ ტრადიციებს: „ებრაელებს, ქრისტიანებს, მუსლიმებსა და სხვა რელიგიის წარმომადგენლებს შორის, ვინ უკეთ იცავს საკუთარ ტრადიციებს?“ ავტორებმა ამ ნაწილში რეგიონების მიხედვით მნიშვნელოვანი განსხვავებები აღმოაჩინეს: „მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ტრადიციას ყველაზე კარგად ებრაელები იცავენ, განსაკუთრებით ემხრობიან თბილისში (30%). აჭარის მოსახლეობის მესამედი (და ეს ყველაზე დიდი წილია ამ რეგიონში) მიუთითებს, რომ ყველა რელიგიის წარმომადგენლისთვის თანაბრადაა დამახასიათებელი ტრადიციების დაცვა (32.6%). რაც შეეხება სამეგრელოს, აქ რესპონდენტთა უმრავლესობა (51.2%) ქრისტიანებს ანიჭებს უპირატესობას“ (ტუღუში, და სხვ., 2020).

**ეთნოსების/ერების შეფასება** - ამ ეტაპზე რესპონდენტებს პასუხი უნდა გაეცათ შემდეგ კითხვაზე: “მიაჩნიათ თუ არა, რომ კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა უმრავლესობა კარგი ადამიანია“. კითხვა ეხებოდა აფხაზებს, რუსებს, თურქებსა და ჩინელებს (ტუღუში ლ. და სხვ. გვ. 29). ავტორთა კვლევის შედეგად დადგინდა: „ქსენოფობიის ხარისხით ყველაზე გამორჩეულია სამეგრელო. სხვაობა, ერთი მხრივ, სამეგრელოსა და, მეორე

მხრივ, აჭარასა და თბილისს შორის მნიშვნელოვანია. ეს ვრცელდება როგორც აფხაზებზე, ასევე რუსებზე, თურქებსა და ჩინელებზე; „რუსების უმრავლესობის მიმართ ყველაზე პოზიტიურია აჭარის მოსახლეობა, ნაკლებად პოზიტიურია სამეგრელო“; „თურქების უმრავლესობის შეფასებისას თბილისში დადებითი განწყობა სჭარბობს, სამეგრელოში - უარყოფითი, ხოლო აჭარაში აზრი გაყოფილია“; ჩინელების მიმართ განწყობა ყველაზე ნეგატიურია. ამ მხრივ, რეგიონული განსხვავება უფრო გამოკვეთილია – თბილისი დაახლოებით ოთხჯერ უფრო ლოიალურია, ვიდრე სამეგრელო“ (ტუღუში, და სხვ., 2020).

**ეთნიკური ჯგუფების/ერების საქართველოსადმი დამოკიდებულება** -

ავტორებს აინტერესებდათ, თუ როგორ აფასებენ რესპონდენტები „სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის/ერის დამოკიდებულებას საქართველოსადმი“. კითხვები დასმული იყო თურქების, რუსებისა და ჩინელების შესახებ. როგორც კვლევამ აჩვენა, „სამივე რეგიონში უმრავლესობას არ სჯერა, რომ როგორც თურქების, ასევე რუსებისა და ჩინელების უმრავლესობას საქართველოსთვის კარგი სურს. ყველაზე სკეპტიკური დამოკიდებულება სამეგრელოშია. რუსების მიმართ მეტი კეთილგანწყობა აჭარაშია“ (ტუღუში, და სხვ., 2020).

**სხვა ეთნოსის/ეროვნების/რელიგიის ადამიანთან ოჯახის შექმნა** - „რესპოდენტებს შესთავაზეს წარმოსახვითი სიტუაცია: დავუშვათ, გყავთ შვილი, რომელსაც სურს, ოჯახი შექმნას განსხვავებული ეროვნების/აღმსარებლობის ადამიანთან ერთად. შეეცდებით თუ არა, შეაცვლევინოთ ეს გადაწყვეტილება?“ - კითხვაში მოიაზრებოდა გერმანელი, უკრაინელი, რუსი, თურქი, ჩინელი, ოსი, მუსლიმი ქართველი და აფხაზი“. ამ საკითხზე ავტორთა დასკვნები შემდეგნაირია:

„ქორწინებისას სარწმუნეობრივი ფაქტორი მნიშვნელოვანია. გერმანელთან, რუსთან, უკრაინელთან ოჯახის შექმნას ყველაზე ლოიალურად უყურებენ თბილისში, ნაკლებად ლოიალურად -სამეგრელოში.

სამივე რეგიონში უმრავლესობა არალოიალურად უყურებს ქორწინებას თურქსა და ჩინელთან, უფრო მეტი - სამეგრელოში, შედარებით ნაკლები - თბილისში.

თბილისელთა უმრავლესობისთვის, სამეგრელოსგან განსხვავებით, მისაღებია ოჯახის წევრის ქორწინება აფხაზსა და ოსთან.

სამეგრელოში მუსლიმ ქართველებთან ქორწინების თაობაზე ნეგატიური დამოკიდებულება დომინირებს, თითქმის 4-ჯერ მეტია ასეთი ქორწინების მოწინააღმდეგეთა რიცხვი აჭარასთან შედარებით.

სამეგრელოში მუსლიმი ქართველებისადმი დამოკიდებულების მაჩვენებელი, პრაქტიკულად, თურქებისა და ჩინელებისადმი დამოკიდებულების იდენტურია. აქვე აღსანიშნავია აფხაზებისადმი კეთილგანწყობის დაბალი პროცენტი" (ტუღუში, და სხვ., 2020).

**უცხოელი ტურისებისადმი დამოკიდებულება** - ამ შემთხვევაში ავტორთათვის მნიშვნელოვანი იყო, განესაზღვრათ, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ ადგილობრივებს უცხოელი ტურისტებისადმი, რამდენად კეთილგანწყობილები იყვნენ საქართველოში ჩამოსული უცხოელი ტურისტების მიმართ. „სამივე რეგიონის მონაცემების გათვალისწინებით, რესპონდენტთა მხოლოდ 1.2 %-მა მიუთითა, რომ უცხოელი ტურისტების ვიზიტს არ მიესალმება. უარყოფით კონტექსტში მოაზრებულ ტურისტებს შორის კი რუსები, თურქები, ირანელები, ჩინელები, არაბები და ფერადკანიანები დასახელდნენ" (ტუღუში, და სხვ., 2020).

და ბოლოს, ასევე, საინტერესოა რესპონდენტთა დამოკიდებულება **„მოქალაქეობის უფლების მიმართ"** - „საქართველოს მოქალაქეობის მიღების უფლება უნდა ჰქონდეთ თუ არა თურქებს, რუსებსა და ევროპელებს (რომლებსაც საქართველოში ცხოვრება სურთ), შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში?" (ტუღუში, და სხვ., 2020).

როგორც ავტორები აღნიშნავენ, საქართველოს მოქალაქეობის უფლების მიღების მიმართ რესპონდენტები უფრო ნეგატიურად არიან განწყობილნი. ისინი წინააღმდეგნი არიან და კრიტიკულადაც უყურებენ ამ საკითხს:

„**თურქების** შემთხვევაში სამივე რეგიონის მოსახლეობის გამოკვეთილი უმრავლესობა (თბილისი - 63.8%, აჭარა - 73.6%, სამეგრელო - 74.2%) მიიჩნევს, რომ მათ არ უნდა ჰქონდეთ საქართველოს მოქალაქეობის მიღების უფლება. იმ რესპონდენტთა მაქსიმალური რაოდენობა, რომლებიც ფიქრობენ, რომ თურქებს უნდა ჰქონდეთ საქართველოს მოქალაქეობის მიღების უფლება, თბილისშია (28.5%), სამეგრელოში კი მომხრე მხოლოდ 13.9%-ია. რაც შეეხება **რუსების** მიმართ დამოკიდებულებას, გამოკითხულთა უმრავლესობა, ასევე, არ ემხრობა მათთვის მოქალაქეობის მინიჭებას. კერძოდ, თბილისში ამ იდეის წინააღმდეგია 61.2%, აჭარაში - 67.2%, სამეგრელოში კი 70%. როგორც თურქების შემთხვევაში, რუსებისთვისაც მოქალაქეობის მინიჭებას ყველაზე მეტად ემხრობიან თბილისში (30.8%), ყველაზე ნაკლებად კი სამეგრელოში – 19.1%. თურქებსა და რუსებთან შედარებით, **„ევროპელებთან“** ვითარება ოდნავ განსხვავებულია, ოღონდ, მათ სასარგებლოდ. თბილისში, აჭარასა და სამეგრელოში გამოკითხულთა პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც ემხრობიან ევროპელებისთვის მოქალაქეობის უფლების მინიჭებას, 22%-დან 36%-მდე მერყეობს. აქაც ყველაზე ლოიალური თბილისია (35.6%). ამ მოსაზრების მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებას კვლავ უმრავლესობა ავლენს: თბილისში გამოკითხულთა 57.6% ფიქრობს, რომ ევროპელებს ეს უფლება არ უნდა მიენიჭოთ. აჭარაში იდენტური განწყობა აქვს 64.7%-ს, სამეგრელოში კი - 68.8%-ს. სამივე რეგიონში უმრავლესობა უცხოელებისთვის მოქალაქეობის მინიჭების წინააღმდეგია. ყველაზე ლოიალურია თბილისი, ყველაზე სკეპტიკური - სამეგრელო" (ტუღუში, და სხვ., 2020).

მეხუთე (V)

კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციები, ასევე, თავს იჩენს ორგანიზაციებში, სადაც კონფლიქტია ამ ორ ორიენტაციას შორის. II თავში, „კონფლიქტები ორგანიზაციებში“, შევეხები ორგანიზაციის განვითარებას, სადაც განვიხილავ ფრიდრიხ გლაზლის შეხედულებას ორგანიზაციის განვითარების შესახებ. ამ მოდელის მიხედვით, პირველი ფაზა პიონერულია, სადაც ჯერ კიდევ

ახლო ურთიერთობებს ექცევა ყურადღება. მეორე ფაზაზე - დიფერენციაციის ფაზა - მნიშვნელოვანია, ყურადღება მივაქციოთ გარემო ფაქტორებს. ამ დონეზე კონფლიქტი კოსმოპოლიტებსა და ლოკალებს შორის შესაძლოა უკვე ლატენტურად არსებობდეს. შემდეგია ინტეგრაციის სტადია, სადაც ამ განსხვავებული ორიენტაციის მქონეთა შორის დამოკიდებულება უფრო იძაბება. მეოთხე ფაზაში - ასოციაციის ფაზა - მომუშავეები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში იმყოფებიან და, შესაძლოა, კონფლიქტი ამ ორი სახის ორიენტაციის მატარებლებს შორის შემცირდეს. ეს, რა თქმა უნდა, ჰიპოთეტური დაშვებაა, მაგრამ, თავად განვითარების სტრუქტურიდან გამომდინარე, ამის დამტკიცება შეიძლება, ანუ პირველ ფაზაში არსებობს ინდიფერენტული დამოკიდებულება, მეორე და მესამე ფაზებში  სიტუაცია იძაბება, ხოლო მეოთხე ფაზაში ის მცირდება, რადგან ორგანიზაციაში სრული ინტეგრაცია ხდება (Devidze, 2024).

მეექვსე (VI)

კონცეპტუალური ანალიზის ამ ეტაპზე როდესაც ვსაუბრობთ, საჭიროა, განსახილველი ცნება ისე შევიმუშავოთ, რომ მისი პრაქტიკული გამოყენება მოხერხდეს. ეს ნიშნავს, რომ მისი საშუალებით  შევძლოთ ემპირიული კვლევის ჩატარება. ცნების პრაქტიკული მნიშვნელობა, ასევე, შეიძლება ვერიფიკაციის საშუალებით მოხერხდეს. აქ საჭიროა, შევიმუშაოთ ისეთი გასაზომი აპარატი, რომელიც ცნებასთან მჭიდროდ იქნება დაკავშირებული. გაზომვით შესაძლებელი უნდა იყოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარება და ამ კავშირებით მისი ქცევაში ასახვა (Devidze, 2024).

მეშვიდე (VII)

ცნებას, რომელიც დამუშავდა კონცეპტუალური ანალიზის საშუალებით, აუცილებლად უნდა ჰქონდეს პრაქტიკული მნიშვნელობა და აისახოს შესაბამის ლიტერატურაში (Devidze, 2024).

რაც შეეხება კონკრეტულ პრაქტიკულ გამოკვლევებს, რამდენიმე  მათგანს შევეხები:

მაიკლ მურეის კვლევა ეხება რინგსენდის (დუბლინის გარეუბანი, ირლანდია)

მოსახლეობას, სადაც ძირითადი პრობლემები გამოწვეული იყო კოსმოპოლიტური და ლოკალური სტერეოტიპების სეგრეგაციით. მკვლევარმა შეისწავლა მოსახლეობის დამოკიდებულება მათ დასახლებაში არსებული ნაგვის გადადამუშავებელი ღუმელის (ინსინერატორი) მიმართ. მურეი, თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ „აღქმული პოლარობა კოსმოპოლიტურსა და ლოკალურ განწყობებს შორის ორიენტირებულია იმ მოსაზრებაზე, რომ კოსმოპოლიტი ღიაა, ინკლუზიური და დინამიური, ხოლო ლოკალური კონცეპტუალიზებულია, როგორც დახურული, „ტრადიციული“. ტრანსნაციონალურ სამყაროში ცხოვრების დროს ინდივიდებს შეუძლიათ, მიიღონ ღია, ყოვლისმომცველი დამოკიდებულება ან დახურული, თავდაცვითი პოზიცია. პირველ შემთხვევაში, ინდივიდებს კოსმოპოლიტებად, ხოლო მეორე შემთხვევაში, მათ ლოკალებად მოიხსენიებენ... ეს დამოკიდებულებები შეიძლება ეხებოდეს ძალიან გავლენიან თემებს, დაწყებული ვაჭრობის თვალსაზრისით, ფუნდამენტალისტური ორგანიზაციების მხარდაჭერამდე, რელიგიის ან კულტურისადმი დამოკიდებულებამდე და ემიგრანტების მიმართ ტოლერანტობის ან მტრობის გამოხატვამდე (Roudometof, 2005, p. 121). ეს ლოკალიზმი არის თავდაცვითი ფორმირება "გლობალური არეულობისა და უკონტროლო, სწრაფი ცვლილებების დაწესების წინააღმდეგ..." (Castells, 1997, p. 64) - (Murray, 2007) (Devidze, 2024).

მურეის აზრით, სოციალური კლასი ღია/დახურული ან ლოკალური/კოსმოპოლიტური დინამიკის აგების ერთ-ერთი გადამწყვეტი ელემენტია. იმის აღქმა, თუ რა წარმოადგენს „საზოგადოებას“, ყალიბდება უამრავი ელემენტის მეშვეობით, მათ შორის, საერთო ისტორიის განცდით ან ნათესაური კავშირებით. მიუხედავად ამისა, საზოგადოების აღქმაში კლასის საკითხი მთავარ როლს თამაშობს. „საცხოვრებელი ადგილი, თავისთავად, გავლენას ახდენს სოციალურ შესაძლებლობებზე, ჯილდოების იმ ხარისხით, რომ ადამიანები არიან მიბმული ადგილების უპირატესობებთან და ნაკლოვანებებთან“ (Logan, 1978, p. 408). “მუშათა კლასის ერთობებში/თემებში ყოველთვის იყო კონფლიქტები „ინსაიდერებსა“ და „აუტსაიდერებს“ შორის... ეს ბრძოლები არის პოლიტიკური, იქნება ეს შავებსა და თეთრებს შორის, მდიდრებსა და ღარიბებს შორის, ლოკალებსა და გლობალებს შორის (O'Byrne, 1997, p. 87). თუმცა, მუშათა კლასის ერთობებისთვის ასეთი მახასიათებლების მინიჭება, თავისთავად, კიდევ ერთხელ არღვევს ყოფილ

კოსმოპოლიტურ/ლოკალურ, „ღია/დახურულ“ ან თუნდაც „დინამიურ/ტრადიციულ“ პოლარობებს (Murray, 2007). მურეი თავის ნაშრომში ასკვნის, რომ აქ განხილული საქმის შესწავლის საფუძველზე წარმოდგენილი ფუნდამენტური არგუმენტი არის ის, რომ დეტერიტორიალიზაციისა და კოსმოპოლიტური არგუმენტებისგან განსხვავებით, გლობალიზაციის ეპოქაში „ადგილისა“ და ლოკალური საზოგადოების სოციალური კონსტრუქცია იდენტობის ფორმირების უპირველეს წყაროდ რჩება. თუმცა, კრიტიკულად, არც „კოსმოპოლიტის“ და არც „ლოკალის“ იდეალური ტიპი არ მოიცავს რინგსენდის თემის მაცხოვრებლების პოზიციას ნაგვის გადამამუშავებელ ღუმელთან მიმართებაში. ეს, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ ხდება, რომ კოსმოპოლიტიზაციის ბევრი პრეტენზია მიმართავს უხეშ განზოგადებებს და რჩება, ძირითადად, მისწრაფებად. უხეში დიქოტომია (დაყოფა ან კონტრასტი ორ საგანს შორის, რომლებიც წარმოდგენილია დაპირისპირებულად ან სრულიად განსხვავებულად), „ღია/დახურული“ ან კოსმოპოლიტური/ლოკალური ამ კონკრეტულ შემთხვევაში განხილვას არ ექვემდებარება. ეს განსაკუთრებით ეხება NIMBY (Not In My Back Yard) დისკურსს. სამაგიეროდ, ტრანსნაციონალური დისკურსები და პროცესები, კრიტიკულად იფილტრება თემის წევრების მიერ, სადაც ეს არის მიჯაჭვულობის ხარისხი - ამ შემთხვევაში, ლოკალთან - რაც განსაზღვრავს ამ დისკურსებისა და პროცესების მიღებას ან უარყოფას. „საზოგადოება“ ან „ლოკალობა“ არასოდეს არის დაფიქსირებული იმ მნიშვნელობით, როგორც ამას კოსმოპოლიტური თეზისი გვთავაზობს; მაგრამ ეს არ არის იგივე, რაც იმის ვარაუდია, რომ მათი მნიშვნელობა სრულ შეთანხმებითაც არის შესაძლებელი (Murray, 2007).

ეჭვგარეშეა, არიან ისეთებიც, ვისი იდენტობაც გაცილებით ნაკლებად არის განსაზღვრული ადგილის ან ეროვნული იდენტობის მიხედვით. მაგრამ მე ვვარაუდობ, რომ ეს სავსებით ახალი მოვლენაა საზოგადოებებში. რასაკვირველია, საზოგადოების ზოგიერთ ნაწილს, სხვებთან შედარებით, უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს ჩაერთონ ტრანსნაციონალურ ან გლობალურ დისკურსებში. როგორც ვიქტორ რუდომეტოფი აღნიშნავს, ზოგიერთი ავტორი კოსმოპოლიტიზმს ხედავს, როგორც „ზედა და საშუალო ფენების მენტალიტეტის გამოვლინებას“ (Roudometof, 2005, გვ. 113). ამ შემთხვევის შესწავლის დროს გაკეთებული დაკვირვებების გასაგებად უფრო სასარგებლოა რუდომეტოფის ტრანსნაციონალური/ლოკალური ურთიერთქმედების

კონცეპტუალიზაცია. შეგახსენებთ, რომ ამ პერსპექტივიდან გამომდინარე, საზოგადოების/ინდივიდუალურ იდენტობასთან მიმართებაში, აუტსაიდერის ან ტრანსნაციონალური „მიღწევის“ ხარისხის განსხვავების გასაღები არის „კულტურების, ლოკალებისა და რეგიონებისადმი“ მიზმულობის ხარისხი (Murray, 2007).

ეს არის საუკეთესოდ კონცეპტუალიზებული კონტინიუმი (უწყვეტი თანამიმდევრობა, რომელშიც მიმდებარე ელემენტები ერთმანეთისგან შესამჩნევად არ განსხვავდებიან, თუმცა, უკიდურესობები საკმაოდ განსხვავებულია). ისინი შედგება სხვადასხვა ხარისხის მიჯაჭვულობისგან და საშუალებას აძლევს მკვლევარს, კოსმოპოლიტური და ლოკალური განწყობები განიხილოს, როგორც ხარისხების ურთიერთობა და არა როგორც აბსოლუტური. უფრო მეტიც, ის საშუალებას იძლევა, შევინარჩუნოთ მსჯელობა შედეგების შესახებ: არ მიიღება, აპრიორი, გადაწყვეტილებები ასეთი კონცეპტუალიზაციის მართებულობის შესახებ (Roudometof, 2005, p. 123). როგორც მურეი აღნიშნავს, ყურადღება უნდა მივაქციოთ ტრანსნაციონალური ძალების გავლენას ლოკალურზე. ის, აგრეთვე, მიუთითებს, რომ, მთლიანობაში, მცირე მტკიცებულება არსებობს ულრიხ ბეკის მოსაზრების დასადასტურებლად, რომ „საზოგადოებრივი ცხოვრებისა“ და იდენტობის სიცოცხლისუნარიანობა გლობალიზაციის ეპოქაში რადიკალურ ცვლილებას განიცდის (Murray, 2007).

## თავი III: რობერტ მერტონის თეორია კოსმოპოლიტურ და ლოკალურ ორიენტაციასთან დაკავშირებით და ქართული მედია კონტენტ-ანალიზი

სხვადასხვა მეცნიერს შორის, რომლებიც მსჯელობენ კოსმოპოლიტურ და ლოკალურ ორიენტაციებზე, გამორჩეული ადგილი უკავია რობერტ მერტონს და შეიძლება ის ერთ-ერთ პირველ საკვანძო ავტორადაც ჩავთვალოთ, რომელმაც საფუძვლიანად იკვლია ეს საკითხი. კოსმოპოლიტური და ლოკალური გავლენების იდეა მან შემოგვთავაზა 1957 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „სოციალური თეორია და სოციალური სტრუქტურა," რომელშიც მან აღწერა დაკვირვებები ადამიანებზე ტიპურ ამერიკულ ქალაქში (როვერე, ნიუ ჯერსი). აღნიშნულ ნაშრომში შემოთავაზებული ჩარჩო გვეხმარება ავხსნათ როგორ შეიძლება სხვადასხვა ინდივიდს სხვადასხვა პროფესიაში განსხვავებული პრიორიტეტები და ორიენტაციები ჰქონდეს (Merton, 1957).

აღნიშნული კვლევის მიზანი იყო გავლენების სტრუქტურის შესწავლა, კონკრეტულად კი, პიროვნებათშორისი გავლენების სტრუქტურაში მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების ადგილის განსაზღვრა. ავტორი კვლევას საპილოტეს უწოდებდა და იმედოვნებდა, რომ მომავალში ასეთი კვლევები უფრო ფართო მასშტაბით იქნებოდა შესწავლილი (Merton, 1957).

გამოყოფილი იყო კვლევის ოთხი საკითხი:

1. ისეთი ადამიანთა ტიპების იდენტიფიცირება და გამოყოფა, რომლებიც ითვლებოდნენ გავლენიანებად;
2. ამ ადამიანების როლებისა და კომუნიკაციაში ქცევითი ფორმების შესატყვისობის ძიება;
3. გავლენების მახასიათებლების შესწავლა;
4. ადგილობრივ თემში პიროვნებათშორისი გავლენების სისტემის კვლევა (Merton, 1957).

რობერტ მერტონი გავლენიანი ადამიანების ორ ტიპს გამოყოფდა: 1. „ლოკალსა" და 2. „კოსმოპოლიტს". ამ ორი კატეგორიის გამოყოფის შემდეგ, მნიშვნელოვანი იყო, დაედგინა, ამ გავლენიან ადამიანებს რა მახასიათებლები გააჩნიათ (მათ შორის იყვნენ ის ადამიანები, ვინც კითხულობდნენ უცხოურ ჟურნალ(ებ)ს). მათი მახასიათებლების

შესწავლისას მკვლევარმა იკვლია მათი მედია საშუალებების მოხმარების პატერნი. ავტორს აინტერესებდა, რამდენად ხელმისაწვდომი იყო აღნიშნული ჟურნალ(ებ)ი და გავლენიანი ადამიანები როგორ იყენებდნენ მას. მერტონმა გარდა გავლენიანი ადამიანებისა, ასევე, გამოიკვლია სხვა რიგითი მკითხველები. საკვლევი საკითხების, მათ შორის, პიროვნების იდენტიფიკაციის, პიროვნებათშორის ურთიერთობებში მისი გავლენის შესწავლის მიზნით, მან გამოიყენა კონკრეტული მეთოდები. მერტონმა ჩამოაყალიბა შეხედულება, რომ მაღალი სოციალური სტატუსი პიროვნებათშორისი ზემოქმედების დროს მნიშვნელოვანი ცვლადი არ არის, რადგან შესაძლებელია დაბალი სტატუსის მქონეთაც ქონდეთ დიდი გავლენები. მკითხველთა შორის გავლენიანი ადამიანები არაპროპორციულად არიან წარმოდგენილნი და შესაძლოა ისინი ჟურნალს სხვა მიზნისთვისაც იყენებდნენ. ამან იმოქმედა კვლევის მეთოდოლოგიაზე. ამიტომაც, რობერტ მერტონი მივიდა დასკვნამდე, საქმე გავლენიანი ადამიანების იდენტიფიცირებაში კი არ იყო (და ჟურნალიდან რა სარგებელს იღებენ ისინი), არამედ, საჯაროდ გამოვლენილ გავლენიანი ადამიანების ტიპებთან (მათი სხვადასხვა მიმართებით ჟურნალთან, როგორც ინფორმაციის წყაროსთან. ის ერთიან საზოგადოებას მიეკუთვნება და არა რომელიმე თემს). რობერტ მერტონის ამ შეხედულებით შეიცვალა კვლევის საწყის ეტაპზე დაშვებული ვარაუდი - ანუ გავლენიანი ადამიანების ტიპებს აქვთ თავიანთი საკუთარი დამოკიდებულება მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების მიმართ (Merton, 1957).

კვლევის მსვლელობისას პრობლემა ახლებურად იქნა გააზრებული. შემუშავდა ისეთი პროცედურები, რომელთა საშუალებითაც გამოვლინდა ინფორმაცია იმ ადამიანების შესახებ, რომელთაც დიდი გავლენა აქვთ. ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ირიბ გავლენებს, რომლებიც ეხება პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებს. ეს გადაწყვეტილებები საზოგადოების დიდ ნაწილზე ვრცელდება. ინტერვიუს დროს, რესპონდენტებს სთხოვდნენ, დაესახელებინათ ის ადამიანები, რომელთაც დახმარების ან რჩევისთვის მიმართავენ (აქ საუბარია იმ რესპონდენტებზე, რომლებიც გადაწყვეტილების მიღებისას ამა თუ იმ პიროვნებას მიმართავენ) და ასევე, მათ სთხოვდნენ დაესახელებინათ ის პიროვნებები, ვინც, საერთოდ, მსგავს სიტუაციებში სხვებს მიმართავდა. ისინი ასახელებდნენ იმ მიზეზებს, რის გამოც ადამიანები

მიმართავენ ამა თუ იმ პიროვნებას. ეს მიუთითებდა სოციალურ სისტემაში არსებულ ურთიერთგავლენაზე. 86 გამოკითხული რესპონდენტი ასახელებდა 379 ადამიანს, ვისაც მიმართავდნენ და რომლებსაც ჰქონდათ გავლენა მათი გადაწყვეტილების მიღებაზე. ასეთ ადამიანებზე მითითება რესპონდენტების პასუხებში ხანდახან მეორდებოდა, რაც მიჩნეული იქნა გავლენიანობის გამოვლენად. საბოლოოდ, შეირჩა ოცდაათი (30) გავლენიანი ადამიანი და მოხდა მათი გამოკითხვა. ისინი აფასებდნენ თავად მათ მიერ განხორციელებულ გავლენებს. გავლენები ეხებოდა როგორც ადგილობრივ, ასევე, საჯარო სტრუქტურებს. ამ ადამიანების განსხვავება შემდეგი სახით მოხდა: გამოიყო ის ადამიანები, რომლებსაც დღეს აქვთ გავლენა და პოტენცია ეს გავლენები მომავალშიც შეინარჩუნონ; ნაკლები, პასიური გავლენის მქონენი და ის პირები, რომლებსაც არ ქონდათ გავლენა. მან პირები, რომლებსაც არ ქონდათ გავლენა დაყო - იზოლირებულებად და რიგითებად (Merton, 1957).

რობერტ მერტონის აზრით, მოცემული კლასიფიკაცია თითქმის არაფრის მომცემია, მაგრამ მაინც მოხერხდა მათი დაკავშირება ჟურნალის საინფორმაციო ფუნქციასთან. აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი გავლენიანი ადამიანი ინფორმაციულ გამოცემებს (ჟურნალებს) არა მხოლოდ იმისთვის იყენებს, რომ უშუალოდ გაცნობოდა გარკვეულ ინფორმაციას, არამედ იმისთვის, რომ ეს დაენახებინა მათთვის, რომლებიც მათ რჩევისთვის მიმართავენ. ამგვარად, ჟურნალების ფუნქცია განსხვავებულია რიგითი და გავლენიანი მკითხველებისათვის. რიგითი მოქალაქისთვის ის ასრულებს პიროვნულ ფუნქციას, ხოლო გავლენიანისთვის - საზოგადოებრივს (Merton, 1957).

რობერტ მერტონი ამ კლსაიფიკაციით უკმაყოფილო იყო და კვლევის ახალ ჰორიზონტს ეძებდა. მიღებულ შედეგებზე დაკვირვებით გაირკვა, რომ გავლენიანი ადამიანები თავის პასუხებში, იმ შემთხვევაში როცა საუბარი იყო ქალაქ როვერზე, ზოგ კითხვებზე ერთნაირად პასუხობდნენ ლოკალური სიტუაციიდან გამომდინარე. ხოლო მეორენი, ძირითადად საუბრობდნენ იმაზე, თუ რა ხდება მთელ მსოფლიოში. პასუხები ან ლოკალური (ადგილობრივი) ცხოვრებით შემოიფარგლებოდა, ან საუბარი ისეთ საკითხებს ეხებოდა, როგორიცაა საერთაშორისო ამბები, მსოფლიო ეკონომიკა და სხვ. ავტორი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ, ძირითადად, შეიძლება გამოიყოს ორი ტიპის გავლენიანი ადამიანი: „ლოკალი“ და „კოსმოპოლიტი“. ასე გამოვლინდა გავლენიანი ადამიანების ორიენტაციები, რომლებიც ადგილობრივ ან უფრო ფართო

სოციალურ სტრუქტურებზე ახდენენ აპელირებასა და ზეგავლენას. ეს ბუნებრივია, რადგან „ლოკალი“ - ყურადღებას ამახვილებს სოციალური სტრუქტურის შიდა გავლენებზე, ხოლო „კოსმოპოლიტი“ ფართოდ განიხილავს სოციალურ სტრუქტურას (Merton, 1957).

რობერტ მერტონი კვლევის შედეგებს განიხილავს გავლენიანი ადამიანების მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით განპირობებულ ქცევასათან კავშირში. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებთან მიმართებით, პიროვნების ქცევა ყოველდღიური საქმიანობაა, როგორც ლოკალებისთვის, ასევე, კოსმოპოლიტებისთვის. კვლევისათვის შერჩეული იყო ჟურნალები, გაზეთები და რადიო გადაცემები, რომელთა საშუალებითაც მიღებული ინფორმაცია ასახავს მათ საბაზისო ორიენტირებას. ლოკალური და კოსმოპოლიტური ორიენტაციის პიროვნებები სოციალურ გარემოს თავიანთ განსხვავებულ მოთხოვნებს უყენებენ და, შესაბამისად, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებსაც სხვადასხვა მიზნით იყენებენ (Merton, 1957).

რობერტ მერტონის მიხედვით განვიხილოთ ლოკალების და კოსმოპოლიტების ნიშან-თვისებები მათ მიერ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების გამოყენების პატერნების მიხედვით.

**ჟურნალები**

**კოსმოპოლიტები** ბევრ ჟურნალს იწერენ, ინტენსიურად კითხულობენ და მათი რაოდენობა არაა შეზღუდული. ეს განპირობებულია მათი ცხოვრებისეული ორიენტაციით. მათ აინტერესებთ სხვა პიროვნებების ან ორგანიზაციების გამოცდილება, რომელიც მათ მიერ გამოწერილ ჟურნალებშია წარმოდგენილი. მათი ინტერესის სფერო ძალზედ ფართოა და ეხება მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს. მაგალითად, ისინი ჟურნალ „თაიმს“ ყველაზე ხშირად კითხულობენ. ამ უკანასკნელში საგარეო და საშინაო პოლიტიკა, ბიზნესი, განათლება, მეცნიერება, ხელოვნება დაწვრილებითაა განხილული. მათ ეს თემები აინტერესებთ და ახალ საერთაშორისო გამოცდილებას კარგად ითვისებენ. მათთვის ჟურნალები რამდენიმე ფუნქციას ასრულებს - ინფორმაციის გამავრცელებლის, სხვებთან სასაუბრო თემის, კულტურისა და გემოვნების ჩამომყალიბებელი ზემომქმედის ფუნქციებს. მსგავსი საერთაშორისო პერსპექტივების ამსახველი ჟურნალების მოხმარება, მერტონის აზრით,

კოსმოპოლიტების სხვებისგან დისტანცირებას იწვევს. მსგავსი ჟურნალების რეგულარული გამოყენება მათში იწვევს სრულყოფილების განცდასა და გარე სამყაროსთან ინტენსიური კონტაქტის შეგრძნებას. ამგვარად, ისინი გლობალურ სამყაროში განსხვავებულ სოციალურ როლს იძენენ (Merton, 1957).

**ლოკალები,** რადგან მათ აინტერესებთ ინფორმაცია პიროვნებათშორის ურთიერთობებზე და ადგილობრივ გარემოზე, საერთაშორისო პერსპექტივის მქონე ცოტა ჟურნალს იწერენ და შესაბამისად, ამ ტიპის ინფორმაციას ნაკლებად ეცნობიან. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არის ჟურნალები, რომლებსაც ორივე იდენტობის მქონე მოქალაქეები კითხულობენ (Merton, 1957).

**გაზეთები**

**კოსმოპოლიტები** კითხულობენ „ნიუ-იორკ თაიმსს", „ნიუ-იორკ ტელეგრაფსსა" და სხვა მსგავსი ტიპის გაზეთებს, სადაც ასახულია მსოფლიო ამბები. მათი ინტერესის თემებია - „პოლიტიკა, ეკონომიკა, მეცნიერება, ხელოვნება" (Merton, 1957).

**ლოკალები** კითხულობენ ისეთ გაზეთებს, რომლებიც მათ ქალაქში გამოდის, ადგილობრივია. ისინი იშვიათად კითხულობენ ისეთ გაზეთებს, როგორიცაა „ნიუ-იორკ თაიმსი", მაგრამ ეცნობიან სხვა ადგილობრივ გაზეთებს, რომლებიც ნაკლებ მნიშვნელოვანია და სადაც ბევრი ილუსტრაციაა. ამ გაზეთებში მოკლედაა აღწერილი მრავალი მოვლენა, თემა, სასტიკი დანაშაული და სხვ. (Merton, 1957).

**რადიო გადაცემები**

**კოსმოპოლიტები** უსმენენ და მოსწონთ რადიოკომენტარები, რომლებიც ანალიტიკურია. განიხილავენ საერთაშორისო მასშტაბით მიმდინარე მოვლენებს. შესაბამისად, ყურადღებას აქცევენ გადაცემებს, რომლებიც უცხოურია და სადაც კეთდება ანალიტიკური ინტერპრეტაციები (Merton, 1957).

**ლოკალებს** მოსწონთ ისეთი რადიოგადაცემები, რომლებშიც მხოლოდ ახალ ამბებს გადმოსცემენ, აგრეთვე ისეთი კომენტარები, რომლებშიც ადგილობრივ პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებს განიხილავენ. მათთვის ამგვარ გადაცემებს ემოციური ელფერი აქვთ. ეს კი ნიშნავს, რომ ხდება ინფომაციის პერსონიფიცირება. მაგალითად, მოსწონთ ისეთი პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების განხილვა, რომლებიც მათში გარკვეულ ემოციებს აღძრავს. ისინი უფრო ისეთ გადაცემებს უთმობენ ყურადღებას, რომლებიც მათ პროფესიასთან არის ახლოს. ლოკალებს

აინტერესებთ ისეთი ინფორმაცია, სადაც არის ჭორები და აქცენტები კეთდება პიროვნებებზე (Merton, 1957).

განვიხილოთ გავლენიანი ადამიანის ტიპები კომუნიკაციის ქცევის ფორმებთან დაკავშირებით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თავად ტერმინები „ლოკალური“ და „კოსმოპოლიტური“, მერტონმა აიღო ფერდინარდ ტიონისის ტერმინების - თემი (Gemainshaft) და საზოგადოება (Gesellshaft) ციმერმენისეული თარგმანიდან. ტერმინების შემოტანა იმითაც იყო განპირობებული, რომ აღნიშნული კვლევის ემპირიული მონაცემების აღწერის დროს, მეტად მნიშვნელოვანი იყო ორიენტაციების მიხედვით გავლენიანი ადამიანების დახასიათება. „ლოკალური“ და „კოსმოპოლიტური“ არ აღწერს რეგიონებს, რომელშიდაც ვრცელდება პიროვნებათშორისი გავლენები. კვლევამ აჩვენა, რომ ორივე ტიპის გავლენიანი ადამიანები მოქმედებენ ადგილობრივი ერთობის (თემის) ფარგლებში, რაც კონკრეტულად ქალაქ როვერს ეხებოდა (Merton, 1957).

ლოკალური ტიპის ინტერესები შემოფარგლულია თავისი თემით, რომელიც მისთვის მთელი სამყაროა, მის საზრუნავს ადგილობრივი პრობლემები შეადგენს და შეიძლება ითქვას, რომ მას საერთაშორისო და ეროვნული მოვლენები არ აღელვებს, მისი ორიენტაციები შემოსაზღვრულია გარკვეული არეალით. კოსმოპოლიტის ინტერესები, გარკვეულწილად, დაკავშირებულია მის საცხოვრებელ ქალაქთან, მაგრამ ის ასევე ორიენტირებულია ამ ქალაქის მიღმა არსებულ სამყაროზე და აინტერესებს საერთაშორისო მოვლენები; თავისი შეხედულებებით ის ძალზედ გახსნილია სამყაროს მიმართ (Merton, 1957).

რობერტ მერტონმა, თავის კვლევაში, შეისწავლა ლოკალური და კოსმოპოლიტური იდენტობების მქონე გავლენიანი ადამიანები და ყურადღება გაამახვილა მათ ურთიერთშეფასების ფორმებზე. გავლენიანი ადამიანების კვლევისას მან გამოავლინა მათ შორის არსებული პიროვნებათშორისი უპირატესობები, რომლებიც ასიმეტრიული სახითაა მოცემული. გავლენიანი ადამიანების შერჩევისას მან გავლენა აღწერა როგორც პროცესი, რომელიც, მინიმუმ, ორ ადამიანს შორის იჩენს თავს და განისაზღვრება იმით, თუ ვინ როგორ ახდენს ზეგავლენას და ვინ განიცდის უკუ ზეგავლენას. მკვლევარმა როვერის მაგალითზე სამი ტიპის გავლენიანი ადამიანები გამოყო:

1. ყველაზე გავლენიანი ადამიანები
2. საშუალო რანგის გავლენიანი ადამიანები
3. დაბალი რანგის გავლენიანი ადამიანები

კვლევამ გამოავლინა, რომ არსებობს კავშირი სოციალურ კლასებსა და გავლენებს შორის. ყველაზე მაღალი გავლენის წარმომადგენლები საზოგადოების ის ნაწილია, რომელიც სხვადასხვა სეგმენტზე ახდენს გავლენას და ქმნის ელიტას. ამ კუთხით დანახული გავლენა ერთი კლასის წარმომადგენლებზე ვრცელდება. გარკვეულ შემთხვევაში, ეს არ ამართლებს, რადგან ხშირად არის შემთხვევა, რომ გადაწყვეტილებებს ის დიდი ჯგუფები იღებენ, რომლებიც დაბალ საფეხურზე იმყოფებიან. გავლენის სტრუქტურაში, ყოველი ფენის წარმომადგენლებზე უფრო მეტად მსგავსი რანგის ადამიანები ახდენენ გავლენას და არა სხვა ფენის წარმომადგენლები. მიუხედავად იმისა, რომ მცირე რაოდენობის ინდივიდებში პიროვნებათშორისი ურთიერთობების დიდი კონცენტრაციაა, დიდი რაოდენობის ადამიანებს შორის ასეთი ზემოქმედების ფართე ველი მაინც არსებობს, როცა საქმე გავლენის სფეროში დაბალსაფეხურებს ეხება. ავტორი მიუთითებს, რომ ეს საკითხი მომავალ კვლევებშიც უნდა იქნეს გათვალისწინებული (Merton, 1957).

რობერტ მერტონი, აგრეთვე, გამოყოფს იმ ადამიანებს, რომლებიც გავლენას სხვადასხვა სფეროს მიხედვით ახდენენ, მაგალითად, მხოლოდ პოლიტიკაზე, მხოლოდ ეკონომიკაზე, ის ასეთ გავლენას მონომორფულ გავლენას უწოდებს. ხოლო გავლენას, რომლის დროსაც ადამიანები პიროვნებათშორისი ურთიერთობების სხვადასხვა სფეროს ეხებიან - პოლიმორფულ გავლენას უწოდებს. ლოკალები, უფრო პოლიმორფული გავლენების მატარებლებს მიეკუთვნებიან, კოსმოპოლიტები - მონომორფულს (Merton, 1957).

რობერტ მერტონის აზრით, კლასებზე, ხელისუფლებასა და პრესტიჟულ იერარქიებში მყოფთა მდგომარეობას, პოტენციურად აქვს მნიშვნელობა და ესაა პიროვნებათშორისი გავლენის სფერო, მაგრამ არ განსაზღვრავს მის ნამდვილ ძალას (Merton, 1957).

კვლევის შედეგად, გავლენიანი პირებიდან 14 რესპონდენტი მიეკუთვნა „კოსმოპოლიტის კატეგორიას," ხოლო 16 - „ლოკალის" კატეგორიას. ამ

რესპონდენტების პასუხებიდან გამოვლინდა, რომ მათ ნაწილს აღელვებდა ეროვნული, ხოლო ნაწილს საერთაშორისო მასშტაბის მოვლენები (მაგ. სტაბილური მსოფლიო, მშვიდობის სფეროში მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციები; სხვა შემთხვევაში მათი ინტერესი მიმართული იყო უშუალოდ ქალაქსა და პირად ცხოვრებაზე (აღნიშნული კვლევა 1943 წელს ჩატარდა) (Merton, 1957).

კვლევის ფარგლებში გამოვლენილი სხვა განსხვავებები ფუნდამენტური ხასიათის იყო, მაგალითად: ლოკალებთან ადგილმდებარეობის მიმართ ერთგულება ძალზედ მნიშვნელოვანია, მათ კავშირები აქვთ ქალაქის სხვა მაცხოვრებლებთან და დიდი ხანია ცხოვრობენ ქალაქ როვერში. ამ ადამიანებს არ სურთ წავიდნენ ამ ქალაქიდან და საშინაო პოლიტიკით არიან დაინტერესებულები (Merton, 1957).

რობერტ მერტონი ლოკალებსა და კოსმოპოლიტებს შორის განსხვავებებს ოთხ ჯგუფად ყოფდა:

1. განსხვავებები სოციალური ურთიერთობების სტრუქტურებში;
2. განსხვავებები გავლენების საშუალებებისა და გზებში;
3. განსხვავებები არსებულ სიტუაციაში, რომელიც სხვებზე გავლენის მოხდენად „ითარგმნება";
4. „კომუნიკაციაში, კომინიკაციურ ქცევაში არსებული განსხვავებები" (Merton, 1957, p. 572).

### ლოკალებსა და კოსმოპოლიტებს შორის არსებული განსხვავებები სოციალური ურთიერთობების სტრუქტურებში.

**ლოკალები** - თავის საცხოვრებელ ქალაქთან მიჯაჭვულები არიან და, თავს პატრიოტებად აიდენტიფიცირებენ, რაც იმაში გამოიხატება, რომ არ სურთ საცხორეველი ადგილის მიტოვება. ისინი ძირითადად, ამ ქალაქში არიან დასაქმებულები. ამ ჯგუფში ნაკლებად შეხვდებით ახალგაზრდებს. უყვართ ის თემი, რომელშიც ცხოვრობენ. მათი აზრით, სხვაგან წარმატებას ვერ მიაღწევენ და ქალაქთან მიჯაჭულობას ავლენენ. ყოველი მათგანი ეკონომიურადაც ამ ქალაქის რესურსებზეა დაკავშირებული. აქვთ პირადი კონტაქტები ქალაქის მაცხოვრებლებთან და სურვილი აქვთ, იცნობდნენ უფრო მეტ ადგილობრივ მკვიდრს. კარიერულ წინსვლაში ეხმარებიან სხვა ადამიანებს. სწორედ ასეთი მჭიდრო სოციალური ურთიერთობებით განიმტკიცებენ თავიანთ მდგომარეობას. ავლენენ სხვა ტიპის მხარდაჭერას და

ორმხრივი დახმარების იმედიც აქვთ. პირადი ურთიერთობები აქვთ მაცხოვრებლების დიდ ნაწილთან და მეგობრობენ მათთან (Merton, 1957).

**კოსმოპოლიტები** - თავის ქალაქზე (როვერზე) არ არიან მიჯაჭვულები. შეუძილათ, ადვილად დატოვონ ქალაქი და გადავიდნენ სხვა ქალაქში ან ქვეყანაში. ლოკალებთან შედარებით უფრო მობილურები არიან. უმეტესობა ამ ქალაქში არ არის დაბადებული. ასაკის მიხედვით ისინი, ძირითადად, ახალგაზრდები არიან. მიაჩნიათ, რომ ეს ქალაქი მათთვის ასპარეზის მომცემი არ არის. ფიქრობენ, რომ წარმატებულ კარიერას სხვაგან უფრო მიაღწევენ. პირად კონტაქტებს არ ანიჭებენ უპირატესობას და სოციალურ კავშირების გაბმას არ უთმობენ დიდ ყურადღებას. ასევე, არ სურთ, რომ ბევრ ადამიანს იცნობდნენ. კარიერული წინსვლისას არ ელიან სხვებისგან დახმარებას. ახლობლების ვიწრო წრე ჰყავთ და მათთან შერჩევით მეგობრობენ. სურვილი აქვთ არა მარტო ამ ქალაქში იცნობდნენ ბევრ ადამიანს, არამედ სხვაგანაც. თავიანთ შეხედულებებს მხოლოდ განსაზღვრულ პირებს უზიარებენ (Merton, 1957).

**ლოკალებისა და კოსმოპოლიტების ნებაყოფლობით ორგანიზაციებში მონაწილეობა**

ლოკალებისა და კოსმოპოლიტების ურთიერთობებში, რომლებიც ფორმალურ სახეს ატარებს, სოციალური კონტაქტები ძალზედ მნიშვნელოვანია. ეს ეხება ნებაყოფლობით ორგანიზაციებში მონაწილეობას. ორივე ტიპი დაკავშირებულია სხვადასხვა ორგანიზაციასთან, ვინაიდან, ისინი რიგითი მოქალაქეები არიან, სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებში ახერხებენ მუშაობას, სადაც მნიშვნელობა არა აქვს ხარ თუ არა კონკრეტულად ამ ქალაქის მოქალაქე (Merton, 1957).

**ლოკალები** - საშუალოდ 6 ორგანიზაციის წევრები არიან. ამ ფორმალურ ორგანიზაციებშიც ისინი ხშირად იყენებენ და უპირატესობას ანიჭებენ პირად ურთიერთობებს. ერთიანდებიან ისეთ ორგანიზაციებში, სადაც პრიორიტეტულია ურთიერთობები და პირადი კავშირები, მაგალითად: კლუბები, საძმოები. ამგვარი წევრობის მთავარი მიზანია ადამიანებთან ურთიერთობა და არა ორგანიზაციის ძირითადი მიზნები, ამიტომაც ამ ტიპის ადამიანებს პირველ რიგში აინტერესებთ არა ოორგანიზაციის საქმიანობა, არამედ პირველადი კავშირები. სახელმწიფო თანამდებობიდან როდესაც ირჩევენ პოლიტიკურ თანამდებობას, უპირატესობას

ანიჭებენ ისეთს, რომლის სახელიც ბევრ ადამიანთან ურთიერთობას გულისხმობს (მაგ., ადგილობრივი თვითმმართველობის სამოქალაქო კომიტეტები) (Merton, 1957).

**კოსმოპოლიტები -** საშუალოდ 8 ორგანიზაციის წევრები არიან. ხშირად იყენებენ ორგანიზაციულ არხებს. ძირითადად ერთვებიან ისეთ ორგანიზაციებში, სადაც შეუძლიათ გამოიყენონ მათი პროფესიული უნარ-ჩვევები და ცოდნა. მათი წევრობის ორგანიზაციები პროფესიულია. მაგალითად, სამოქალაქო თავდაცვა და ა.შ. ასევე სახელმწიფო თანამდებობზეც, სადაც დაკავებული თანამდებობის მიხედვით იქცევიან. ირჩევენ ისეთ თანამდებობას, სადაც მთავარი არ არის პოლიტიკური ქმედებები, არამედ სადაც საჭიროა პროფესიონალური უნარ-ჩვევების გამოვლენა (ჯანდაცვა, კავშირები, განათლების სისტემა). ინტერესდებიან ისეთი პროცესებით, რომელი საქმიანობაც მათთვის საინტერესოა (Merton, 1957).

ლოკალების და კოსმოპოლიტებისთვის ორგანიზაციების წევრობა სხვადასხვა დატვირთვის მატარებელია. განსხვავებული საბაზისო ორიენტაციების გამო, ამ ორი ტიპის ადამიანების ქცევა განსხვავებულ ფორმას და მნიშვნელობას იძენს (Merton, 1957).

## ლოკალებისა და კოსმოპოლიტების პიროვნებათშორისი გავლენები

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სამიზნე ქალაქში მნიშვნელოვანია ურთიერთობები ადგილობრივ მკვიდრებს შორის (შესაძლებელია ურთიერთობის ამ მნიშვნელოვანებას განაპირობებს ის ფაქტრი, რომ საკვლევ ქალაქში სულ 11,000 მოსახლე ცხოვრობდა გამოკითხვის დროს). ადგილობრივი მოქალაქეების მიმართ ლოკალებს და კოსმოპოლიტებს განსხვავებული ურთიერთობები გააჩნია (Merton, 1957).

**ლოკალებს** სოციალიზაცია ძირითადად გავლილი აქვთ ამ ქალაქის მოქალაქეებთან, ისინი ერთად დადიოდნენ სკოლაში, ცოტა ხნით ტოვებენ ქალაქს, აქვე შოულობდნენ თავიანთ სამუშაოს, ქონდათ კომერციული ზრდა. რაც მთავარია, ისინი თვლიან, რომ მათი ქალაქი ხელსაყრელი გარემოა კარიერული წინსვლისთვის. ამ ტიპის ადამიანები ქალაქის ყველა კუთხეს იცნობენ, შეგუებულები არიან ადგილობრივ პოლიტიკასთან, ბიზნესთან და საზოგადოებრივ ცხოვრებასთან და ამ სფეროებში ჩართულ ადამიანებთან აქვთ მრავალმხრივი ურთიერთობები. გავლენიანი ადამიანებისთვის, წარმატების მიღწევა ამ ქალაქურ გარემოში ხდება და

ეყრდნობა ურთიერთობის ფართე ველს. ლოკალების გავლენა ეყრდნობა არა მხოლოდ იმას, თუ რა იციან მათ, არამედ იმასაც, თუ ვის იცნობენ ისინი. ლოკალები თავს ახლო სოციალურ ურთიერთობაში ავლენენ და ამ ურიერთობაშივე წარმოშობილ წინააღმდეგობებს ერთობლივად გადაწყვეტენ (Merton, 1957).

**კოსმოპოლიტები** არ ეყრდნობიან პირად ურთიერთობებს და არ იქცევენ ამით ყურადებას. მათ აქვთ ე.წ. „გლამურული" გამოცდილება, პირადი პრესტიჟი და უნარი, რაც მათ ბიზნეს (პროფესიონალიზმს) უკავშირდება. პრესტიჟისთვის მაღალ სტანდარტებს აწესებენ და ამაში ეხმარებათ წარსული გამოცდილება. პირად ურთიერთობებს განხილვენ, როგორც პრობლემას და არა როგორც გავლენების ინსტრუმენტს. ამის გამო ამ ტიპის ადამიანები სწრაფად ხვდებიან გავლენიანები. ისინი 40 წელზე ნაკლების არიან. მათ არ აინტერესებთ ამ ქალაქში თუ ვინ რას იტყვის მათზე (Merton, 1957).

## ლოკალებისა და კოსმოპოლიტების სოციალური სტატუსი მოქმედებაში - პიროვნებათშორისი გავლენა

პიროვნებათშორისი გავლენების კუთხით თავისთავად სოციალური სტატუსი კი არ არის მნიშვნელოვანი, არამედ ამ სოციალური სტატუსის გამოყენება.

ქალაქ როვერში **ლოკალების** მცირე რაოდენობას აქვს საშუალო განათლება მიღებული, მაგრამ „დიდ ბიზნესში" არიან ჩართულები. პროფესიული სტატუსი პოლიტიკაში და ბიზნესში მეორეხარისხოვანია. ბიზნესში იყენებენ პირად ურთიერთობებს, რათა გააძლიერონ თავიანთი გავლენები. გავლენა აქვთ იმის გამო, რომ აქვთ ძლიერი სოციალური კავშირები და კარგად გამოსდით სხვებთან ურთიერთობა. სოციალური კავშირები მათ კრიზისულ სიტუაციებში ეხმარებათ, როდესაც რეციპროკულ დახმარებას უწევენ ერთმანეთს. შესაბამისად, მათ გააჩნიათ პიროვნებათშორისი დისტანციაც, რომელიც ურთიერთობას განსაზღვრავს (Merton, 1957).

**კოსმოპოლიტებს** ძირითადად სპეციალური განათლება აქვთ მიღებული. საშუალო განათლება მიღებული აქვთ პრესტიჟულ სასწავლებელში. რადგან პროფესიონალის სტატუსი მათთვის მთავარია, არსებულ სფეროში პროფესიონალებად ყალიბდებიან. ისინი ნაკლებად ერევიან პოლიტიკაში. თუ ისინი არიან ბიზნესმენები, მაშინ ოპერირებისას პირადულ ურთიერთობებს არ აქცევენ

ყურადღებას და ძირითად აქცენტს აკეთებენ საქმიან ურთიერთობებზე. ასეთ შემთხვევაში ისინი ექსპერტის როლში გამოდიან. აქვთ სიღრმისეული ცოდნა იმისა რასაც აკეთებენ. რადგან კოსმოპოლიტებს გააჩნიათ ექსპერტის პროფესიული უნარები, სხვებთან ურთიერთობებში ეს სოციალურ დისტანციას აყალიბებს. მათ შესწევთ უნარი მისცენ სხვებს რჩევა-დარიგება და გავლენა იქონიონ მათზე. ერთობაში (თემში) ფორმალური ლიდერების სახით წარმოდგებიან და ტოლერანტობას იჩენენ სამოქალაქო უფლებების მიმართ (Merton, 1957).

რობერტ მერტონის დაკვირვებამ აჩვენა, რომ „კოსმოპოლიტები“, როგორც წესი, მიისწრაფოდნენ წარმატებისკენ, რომელიც დაფუძნებული იყო მათ ცოდნაზე. „ლოკალები“ კი უფრო მეტად ეყრდნობოდნენ მეგობრულ, ნათესაურ და სხვა კავშირებს. „კოსმოპოლიტები“ გულგრილად ხვდებოდნენ ქალაქის ახალ მკვიდრებს, ხოლო „ლოკალები“ ცდილობდნენ, გაერკვიათ ყველაფრი ახალი მკვიდრის შესახებ. „კოსმოპოლიტები“ ადგილობრივ თვითმმართველობაში ხშირად იკავებდნენ თანამდებობებს, რომელთა საშუალებითაც ისინი ავლენდნენ თავიანთ გამოცდილებას, ცოდნასა და კომპეტენციას. „ლოკალები“ იკავებდნენ ისეთ თანამდებობებს, რომლებიც მათ მხოლოდ თავისი პოპულარობით შეეძლოთ მიეღოთ. ინტერვიუს დროს ისინი თავის ქალაქზე სიყვარულით საუბრობდნენ და აღნიშნავდნენ, რომ არ აპირებდნენ მის დატოვებას. კოსმოპოლიტებთან საუბრისას შეიძლება შეგექმნათ შეხედულება, რომ ისინი მზად არიან, ხვალვე დატოვონ თავიანთი ქალაქი (Merton, 1957).

რობერტ მერტონის მიერ დაფიქსირებული ტენდეცია სულ უფრო და უფრო მკვეთრი ხდება დღევანდელი გლობალიზაციის პირობებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლოიალობის გრძნობა ან ერთმანეთის ტოლად აღიარება, რაც „კოსმოპოლიტებს“ შორის ურთიერთობის დროს ვლინდება. მერტონი, ძირითადად, გეოგრაფიულ ცვლადსა და პოლიტიკურ ორიენტაციას აქცევდა ყურადღებას. მისი დაკვირვების ქვეშ მყოფი ადამიანები მოქმედებდნენ ან კონკრეტულ ადგილობრივ ერთობებში, ან ჰქონდათ ფართო ხედვა და თავს ერთობის მიღმა წარმოიდგენდნენ. ეს უკანასკნელნი საკუთარ თავს ხედავდნენ მოქალაქეებად და არა რაიმე კონკრეტული ერთობის წევრებად. აქედან გამომდინარე, მერტონი განასხვავებს „კოსმოპოლიტ“ პიროვნებებს, რომლებიც არიან ორიენტირებულნი მსოფლიოზე, კონკრეტული

ერთობის მიღმა და წარმოადგენენ ლოკალის ოპოზიციას. „ლოკალებს“ აქვთ განხსხვავებული ღირებულებები, რომლებიც მათ ლოკალურ კულტურაშია გავრცობილი (Merton, 1957).

## კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების კვლევა მედია საშუალებებში ასახული კონფლიქტების კონტენტ-ანალიზის საფუძველზე

როგორც შესავალ ნაწილში იყო აღნიშნული, სადისერტაციო ნაშრომის მომზადებისას, ერთ-ერთი კვლევა განხორციელდა რობერტ მერტონის მეთოდოლოგიური მიდგომით, ქართულ მედიაში ასახული მრავალფეროვანი კონფლიქტების ანალიზის საფუძველზე კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების გამოსავლენად. პოლიტიკურ პარტიებსა და სხვა სოციალურ აქტორებს შორის დაპირისპირების დეტალური ანალიზით, შევისწავლე ამ ორ ორიენტაციას შორის არსებული დინამიკა და ის, თუ როგორ აისახებოდა ისინი მედია ნარატივში.

## პოლიტიკური კონფლიქტი: დაპირისპირება კოსმოპოლიტურ და ლოკალურ ორიენტაციებს შორის

2012-2013 წლებში საქართველოში პოლიტიკური ლანდშაფტი ხასიათდებოდა ხელისუფლების მნიშვნელოვანი ცვლით, კონკრეტულად კი, ამ პერიოდში ხდებოდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიის მმართველობიდან პარტია „ქართული ოცნების“ მმართველობაზე გადასვლა. ეს ცვლილება არ იყო მხოლოდ მმართველობის ცვლილება, არამედ ხაზს უსვამდა უფრო ღრმა იდეოლოგიურ განხეთქილებას, რომელიც მუდმივად შუქდებოდა მედიის საშუალებით. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რეპრეზენტაცია ხშირად შუქდებოდა, როგორც პროდასავლური და კოსმოპოლიტური ორიენტაციის მქონე პოლიტიკური ძალის, რომელიც ძალისხმევას არ იშურებდა საქართველოს გლობალურ საზოგადოებაში ინტეგრირებისთვის. ეს სრულიად ეწინააღმდეგებოდა „ქართული ოცნების“ რეპრეზენტაციას, რომელსაც ხშირად ადანაშაულებდნენ მხოლოდ ადგილობრივ საკითხებზე ფოკუსირებაში, ხოლო ეს პოზიცია საფრთხეს შეუქმნიდა საქართველოს საერთაშორისო ინტეგგრაციას.

წინასაარჩევნო და პოსტსაარჩევნო პერიოდის მედია ნარატივები გაჯერებული იყო ამ კონტრასტული ორიენტაციების წარმოჩენით. პოლიტიკური პარტია „ერთიანი

ნაციონალური მოძრაობა“, ხშირად წარმოაჩენდა ძალაუფლების გადაცემის პროცესს, როგორც დემოკრატიულ პროცესს, რომელმიც ხელს უწყობდა საქართველოს საერთაშორისო იმიჯის გაძლიერებას, ხოლო „ქართული ოცნება“ პოზიციონირებდა, როგორც ადგილობრივი მოსახლეობის ერთიანი ნების მატარებელი პოლიტიკური ძალა, რომელიც მიზნად ისახავდა შიდა გამოწვევებთან გამკლავებას, რომლებიც უგულებელყოფილი იყო მათი წინამორბედების მიერ. 2012 წელს გავრცელებული "ციხის კადრები,“ რომლებიც ასახავდა პენიტენციალურ სისტემაში არსებულ ძალადობასა და წამებას, კიდევ უფრო მწვავედ წარმოაჩენდა ამ კონფლიქტს, რადგან იგი „ქართული ოცნების“ გუნდის მიერ გამოიყენებოდა წინა ხელისუფლების მიდგომების გასაკრიტიკებლად, რომელიც წარმოჩენილი იყო აგრესიულ ძალად, რომელიც ადგილობრივ რეალობას უგულვებელყოფდა.

### მედია კონტენტ-ანალიზში ორგანიზაციული კონფლიქტების გადამოწმების გამოწვევები

მედია კონტენტ-ანალიზის საშუალებით ორგანიზაციული კონფლიქტების შესწავლისას, რამდენიმე გამოწვევას წავაწყდი. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციების წარმომადგენლები აღიარებდნენ კონფლიქტების არსებობას, ისინი ხშირად ერიდებოდნენ იმ საკითხების განხილვას, მიუხედავად იმისა, რომ ისინი უკვე გაშუქებული იყო პრესისა და ტელევიზიის მიერ. ეს თავშეკავება სხვადასხვა მიზეზით იყო განპირობებული: ზოგიერთ პირს არ სურდა სადავო საკითხების ხელახლა გადახედვა, ზოგი კი თვლიდა, რომ დავების გადაწყვეტა უფრო კულუარულად შეიძლებოდა საზოგადოების და მედიის ჩართვის გარეშე (დევიძე-მამულაიშვილი, 2013).

ეს ტენდენცია ხაზს უსვამს ქართული ორგანიზაციული კულტურის ძირითად ასპექტს, სადაც კონფლიქტები, განსაკუთრებით რომლებმაც უკვე მიიპყრო მედიის ყურადღება, ხშირად საფრთხილოდ აღიქმება. შიდა დავების საჯარო განხილვის თავიდან აცილების ეს კულტურული ტენდენცია ასახავს ერთიანი საზოგადოებრივი იმიჯის შენარჩუნების უპირატესობას, თუნდაც, გამჭვირვალობის დათმობის ფასად. ეს ქცევა ემთხვევა ადგილობრივ ორიენტაციას, სადაც აქცენტი კეთდება შიდა გადაწყვეტილებებზე და ორგანიზაციული ჰარმონიის შენარჩუნებაზე, ვიდრე გარე ვალიდაციის ან მხარდაჭერის ძიებაზე (დევიძე-მამულაიშვილი, 2013).

## სხვადასხვა სექტორში მიმდინარე კონფლიქტის დინამიკა

მედიის კონტენტ-ანალიზმა აჩვენა, რომ სხვადასხვა სექტორში, პოლიტიკური ორგანიზაციებიდან დაწყებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩათვლით, გავრცელებული იყო კონფლიქტები. კვლევამ გამოავლინა კონფლიქტების რამდენიმე სახეობა, თითოეულს განსხვავებული მახასიათებლები და დინამიკა აქვს:

1. **"პიროვნება-პიროვნება"** ტიპის კონფლიქტები: ეს კონფლიქტები, რომლებიც გავრცელებულია ყველა სოციალურ ფენაში, ან იძულებითი გადაწყვეტით სრულდება, ან გადაიზრდება ხანგრძლივ დაპირისპირებაში. მსგავსი კონფლიქტების მაგალითებია სამეზობლო დავები, კონფლიქტი ნათესავებსა და მეგობრებს შორის, რაც ხშირად იწვევს ურთიერთობების დაძაბვას ან კავშირების სრულ გაწყვეტას. მსგავს კონფლიქტებში გვხვდება "დამდურება" ("ურთიერთობების შეწყვეტით"), "მოკვეთა", შემდეგ თაობებზე სიძულვილის გადაცემა ან ერთმანეთთან ყოველი შეხვედრისას სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება. სასამართლოს მიერ განიხილული პიროვნებებს შორის კონფილქტი არ მთავრდება ერთი ან ორი მოსმენით და შეიძლება იყოს ხანგრძლივი, თუნდაც, სასამართლო სტრუქტურიდან გამომდინარე. ეს კონფლიქტები ასახავს ღრმად ფესვგადგმულ ლოკალურ ორიენტაციას, სადაც ძალიან ფასდება პირადი ურთიერთობები და სოციალური ჰარმონია, თუმცა დავები ხშირად წყდება პირდაპირი კონფრონტაციით და არა დიალოგით (დევიძე-მამულაიშვილი, 2013).
2. **"პიროვნება-ორგანიზაცია"** ტიპის კონფლიქტი: ამ ტიპის კონფლიქტი, ხშირ შემთხვევაში, "პიროვნება-პიროვნება" ტიპის კონფლიქტით მთავრდება. აქ კონფლიქტის მიზეზი, უმეტესწილად, სამსახურიდან გათავისუფლებაა. რიგ შემთხვევებში, როდესაც პიროვნება ორგანიზაციასთან დავას აგებს, ის კონფლიქტში შედის ორგანიზაციის თანამშრომლებთან. 2013 წლის მასალებზე დაყრდნობით, შემიძლია დავასკვნა, რომ მსგავსმა კონფლიქტებმა არა მარტო სასამართლოში იპოვა გზა, არამედ მას-მედიაშიც. პიროვნებებმა თავიანთი კონფლიქტები თვითონვე გაასაჯაროვეს. საჯაროდ გამოტანილი კონფლიქტების მოგვარებაში ხშირად ერევიან არასამთავრობო ორგანიზაციები. მათი როლი განსაკუთრებით ოჯახურ კონფლიქტებთან, ბავშვებსა და

მოხუცებთან მიმართებაში ჩანს. ასევე, ხშირია როცა “პიროვნება-ორგანიზაცია” ტიპის კონფლიქტებს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები ეხმიანებიან და თანადგომას უცხადებენ. ამ ტიპის კონფლიქტი ასახავს ლოკალური და კოსმოპოლიტური ორიენტაციების კვეთას, სადაც პირადი საჩივრები ზოგჯერ საზოგადოებრივ დისკურსშია შემოტანილი, რათა მოიპოვოს უფრო ფართო საზოგადოების მხარდაჭერა ან ინტერვენცია (დევიძე-მამულაიშვილი, 2013).

3. **“ჯგუფი-ორგანიზაცია”** ტიპის კონფლიქტი: თუ “პიროვნება-ორგანიზაცია” ტიპის კონფლიქტის ძირითადი მიზეზი შრომის ანაზღაურება ან სამსახურიდან დათხოვნა შეიძლება იყოს, “ჯგუფი-ორგანიზაცია” ტიპის კონფლიქტები ხშირად დაკავშირებულია ისეთ საკითხებთან, როგორიცაა სახელფასო დავა ან სამუშაო პირობები. როგორც კვლევამ აჩვენა ეს კონფლიქტები ზოგჯერ გადაიზარდა ფართომასშტაბიან გაფიცვებში, როგორიც იყო მაგალითად, ტყიბულისა და ჭიათურის მაღაროების მუშაკების ან თბილისის ტაქსის მძღოლების გაფიცვები. მსგავსი კონფლიქტები თვალსაჩინო იყო მედიაში და ასახავდა დაძაბულობას ადგილობრივ საჭიროებებსა და უფრო ფართო ორგანიზაციულ მიზნებს შორის. არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვამ ამ კონფლიქტებში კიდევ უფრო გაართულა კოფნლიქტის გადაჭრის პროცესი, რადგან არასამთავრობო ორგანიზაციები ხშირად მოქმედებდნენ როგორც შუამავლები, რომლებიც მხარს უჭერდნენ კონკრეტული ჯგუფების უფლებებს და ლოკალური დავების გადასაწყვეტად შემოჰქონდათ კოსმოპოლიტური ელემენტები (დევიძე-მამულაიშვილი, 2013).

4. **“ორგანიზაცია-ორგანიზაცია”** ტიპის კონფლიქტი: ეს კონფლიქტები, როგორც წესი, დაკავშირებული იყო ისეთ საკითხებთან, როგორიცაა ტერიტორიული დავები, საბაზრო კონკურენცია ან ორგანიზაციის „წილების“ განაწილება. ამ კონფლიქტების მედია გაშუქება ხშირად ხაზს უსვამდა ბიზნეს ან ეკონომიკურ ასპექტებს, რაც უფრო მეტად შეესაბამება კოსმოპოლიტურ ორიენტაციას, რომელიც ფოკუსირებულია უფრო ფართო ბაზრის დინამიკასა და ორგანიზაციულ სტრატეგიებზე (დევიძე-მამულაიშვილი, 2013).

5. **“ჯგუფი-პიროვნება”** ტიპის კონფლიქტი: კონფლიქტები, სადაც ჯგუფები ეწინააღმდეგებოდნენ ინდივიდებს, ხშირად მოიცავდა დაპირისპირებას არა

მხოლოდ პიროვნებასთან, არამედ ორგანიზაციის ლიდერებთან. ეს კონფლიქტები ნაკლებად შუქდებოდა მედიაში, მაგრამ მიუხედავად ამისა, ხაზს უსვამდა ორგანიზაციებში ჯგუფურ დინამიკასა და ინდივიდუალურ როლებს შორის კომპლექსურ ურთიერთკავშირს (დევიძე-მამულაიშვილი, 2013).

*დიაგრამა 1: 2011-2013 წწ.-ში მედია კონტენტ-ანალიზით გამოვლენილი კონფლიქტების ტიპები*




მედია მონაცემების რაოდენობრივმა კონტენტ ანალიზმა აჩვენა, რომ კონფლიქტის ტიპების განაწილება იყო შემდეგი (იხ. დიაგრამა #1): 31% იყო „პიროვნება-ორგანიზაციის“ კონფლიქტი, 27% იყო „პიროვნება-პიროვნების კონფლიქტი“, 18% იყო ჯგუფ-ორგანიზაციის კონფლიქტი, 15% იყო ორგანიზაცია-ორგანიზაციის კონფლიქტი და 9% სხვა სახის კონფლიქტები. მედიის კონტენტ-ანალიზის ეს შედეგები მიგვითითებს, რომ მედიაში უფრო მეტად ჩნდება ადგილობრივი ორიენტაციები, მაშინ როდესაც კოსმოპოლიტური ორიენტაციები, ძირითადად, შეინიშნება ორგანიზაციულ ან სახელმწიფო დონეზე კონფლიქტების დროს (დევიძე-მამულაიშვილი, 2013).

მედიის ნარატივებში, განსაკუთრებით ბეჭდურ და სამაუწყებლო მედიაში დომინირებდა ადგილობრივი თემები, სადაც უფრო ხშირად განიხილებოდა ლოკალური ორიენტაციები. მეორეს მხრივ, კოსმოპოლიტური ორიენტაციები უფრო დომინირებდა პარტიული დაპირისპირების ან სახელმწიფო დონის დავების

კონტექსტში, სადაც გლობალური პერსპექტივები და საერთაშორისო ურთიერთობები უფრო ინტენსიურად იჩენდა თავს (დევიძე-მამულაიშვილი, 2013).

კონფლიქტის ტიპებისა და ორიენტაციების ეს განაწილება ხაზს უსვამს ქართულ საზოგადოებაში არსებულ დაძაბულობას ლოკალურ და კოსმოპოლიტურ პერსპექტივებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ საჯარო დისკურსში დომინირებს ადგილობრივი საკითხები და ლოკალური ორიენტაციები, მართალია ნაკლებად, მაგრამ მაინც გვხვდება კოსმოპოლიტური პერსპექტივები, განსაკუთრებით, პოლიტიკურ და ორგანიზაციულ კონფლიქტებში. ეს დაძაბულობა ასახავს უფრო ფართო სოციალურ განხეთქილებას მათ შორის, ვინც პრიორიტეტს ანიჭებს ადგილობრივ პრობლემებს და მათ, ვინც უფრო გლობალური პერსპექტივის მომხრეა.

მედია კონტენტ-ანალიზის შედეგები მიუთითებს, რომ დიქოტომია კოსმოპოლიტურ და ლოკალურ ორიენტაციას შორის მნიშვნელოვანი ფაქტორია ქართულ საზოგადოებაში კონფლიქტის დინამიკის გასაგებად. მედია ნარატივებში ლოკალური ორიენტაციების გაბატონება მიგვანიშნებს, რომ ადგილობრივი გამოწვევები და ღირებულებები ღრმად არის გამჯდარი საზოგადოების ცნობიერებაში, მაშინ როცა კოსმოპოლიტური ორიენტაციები უფრო ჩნდება სპეციფიკურ კონტექსტში, მაგალითად, როგორიცაა პოლიტიკური ან ორგანიზაციული დავები.

რადგან წარმოდგენილი მოდელი საშუალებას გვაძლევს სხვადასხვა ტიპის კონფლიქტში მივაკვლიოთ კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების საფუძველზე წარმოშობილ დაპირისპირებას, სასურველია მსგავსი ტიპის კვლევის გაგრძელება. მომავალი კვლევები შეიძლება ფოკუსირებული იყოს კონკრეტულ სფეროებზე ან ორგანიზაციებზე, რათა შეისწავლოს თუ როგორ მოქმედებს კოსმოპოლიტური და ადგილობრივი ორიენტაციები კონფლიქტების მოგვარების პროცესებზე და ორგანიზაციულ ქცევაზე (დევიძე-მამულაიშვილი, 2013). გარდა ამისა, საჭიროა გამოვიკვლიოთ, თუ როგორ ვითარდება ეს ორიენტაციები უფრო ფართო საზოგადოების ცვლილებების საპასუხოდ, როგორიცაა გლობალიზაცია და საერთაშორისო ჩართულობის გაზრდა.

წარმოდგენილი მედიის კონტენტ-ანალიზი ერთი მხრივ ადასტურებს, რომ რობერტ მერტონის მიდგომა - მედია საშუალებები გამოვიყენოთ კოსმოპოლიტური

და ლოკალური ორიანტაციის გამოვლენის საშუალებად - მართებულია, და მეორე მხრივ კი, ავლენს ქართულ საზოგადოებაში კოსმოპოლიტური და ადგილობრივი ორიენტაციების გავრცელებისა და დინამიკის შესახებ მნიშვნელოვან ტენდენციებს. დასკვნები ხაზს უსვამს ორივე ორიენტაციის გათვალისწინების მნიშვნელობას კონფლიქტების გაგებისა და მოგვარებისას, განსაკუთრებით საზოგადოებაში, რომელიც ადგილობრივ ტრადიციებსა და გლობალურ გავლენებს შორის კომპლექსურ ურთიერთქმედების პროცესშია.

## თავი IV: კოსმოპოლიტების და ლოკალების ნიშან-თვისებები საკვანძო ავტორებთან

მეორე დამოუკიდებელი კონცეფცია შემუშავებული იქნა ამერიკელი სოციოლოგის ელვინ გოულდნერის მიერ. მისი სტატია სახელწოდებით, „კოსმოპოლიტები და ლოკალები: ლატენტური სოციალური როლების ანალიზი" გამოქვეყნდა 1957 წელს ჟურნალში ადმინისტრაციული მეცნიერების კვარტალური გამოცემა და ის წარმოადგენს ორგანიზაციული სოციოლოგიის ერთ-ერთ პირველ და გავლენიან ნაშრომს. აღნიშნული შრომა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ინდივიდების ორგანიზაციებსა თუ ინსტიტუტებში განხორციელებულ ქცევას შეისწავლიდა. ეს სტატია ეფუძნება როლების და ორგანიზაციული ქცევების თეორიულ ჩარჩოს და გვთავაზოვს ტიპოლოგიას, რაც გვიხსნის იმას, თუ განსხვავებულმა სოციალურმა როლმა როგორ შეიძლება გავლენა იქონიოს ორგანიზაციის ფუნქციონირებაზე (Gouldner, 1957); (დევიძე, 2015).

გოულდნერის ამ ნაშრომის მთავარი მიგნება არის ორგანიზაციის წევრების ორი იდეალური ტიპის - კოსმოპოლიტებისა და ლოკალების - დახასიათება. ეს ტიპები ჩამოყალიბდა მათი ლატენტური სოციალური როლების ანალიზიდან, თუმცა მათ შორის განსხვავება მყისიერად უხილავია და მხოლოდ ორგანიზაციაში მათ ქცევასა და ინტერაქციაზე დეტალური დაკვირვების შედეგად ხდება ხილული. გოულდნერის ეს კატეგორიზაცია არ იყო მხოლოდ კონცეპტუალური, არამედ ემყარებოდა სხვადასხვა ორგანიზაციაში მის მიერ განხორციებელულ ემპირიულ დაკვირვებებს (Gouldner, 1957); (დევიძე, 2015).

ელვინ გოულდნერი კოსმოპოლიტს ოთხი ნიშან-თვისებით ახასიათებს: პროფესიული ორიენტაცია, მობილობა და ამბიცია, ექსტერნალური კავშირები და ორგანიზაციული გავლენა. განვიხილოთ თითოეული ნიშან-თვისება:

**კოსმოპოლიტები** ისეთი ინდივიდები არიან, რომლებიც მათი დასაქმების სფეროსთან ან პროფესიასთან იდენტიფიცირდებიან. ისინი ორიენტირდებიან ექსტერნალურ სტანდარტებზე, რომლებიც პროფესიულმა ასოციაციებმა ან ფართო აკადემიურმა ერთობამ განსაზღვრა. ისინი როგორც გეოგრაფიულას ისე პროფესიულად უფრო მობილურნი არიან, ეძიებენ ისეთ შესაძლებლობებს, რომლებიც მათ კარიერული მიზნების ასრულებაში დაეხმარებათ, თუნდაც ეს დამსაქმებელი

ორგანიზაციის დატოვებად დაუჯდეთ. კოსმოპოლიტები ინარჩუნებენ ძლიერ ექსტერნალურ კავშირებს და ორგანიზაციაში შემოაქვთ მის ფარგლებს მიღმა გავრცელებული ინოვაციები და იდეები. ისინი ფოკუსირდებიან ფართომასშტაბიან და ზოგჯერ გლობალურ ტრენდებსა და განვითარების ტენდენციებზე. რადგან კოსმოპოლიტები ორგანიზაციაში ინოვაციის და ცვლილების მაპროვოცირებლები არიან, მათი ლოიალობა ორგანიზაციის მიმართ შეზღდულია, ორგანიზაციის მიზნების გაუცნობიერებლობამ კი შესაძლოა ისინი პოტენციურ კონფლიქტებამდეც მიიყვანოს (Gouldner, 1957).

**ლოკალები** დამსაქმებელი ორგანიზაციის მიმართ მაღალი ლოალობის გრძნობით გამოირჩევიან და როგორც წესი, ერთ ორგანიზაციაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში არიან დასაქმებულნი. მათთვის პრიორიტეტულია ორგანიზაციის შიდა სამზარეულო, მათ შორის ორგანიზაციაში არსებული სტაბილურობა, განგრძობადობა და გავრცელებული პრაქტიკის შენარჩუნება. მათ ნაკლებად აინტერესებთ გარე ტენდენციები და მხოლოდ იმ შემთხვევაში ინტერესდებიან, თუ ეს დენდენციები უშუალოდ მათ ორგანიზაციაზე ახდენს გავლენას. რადგან ისინი სტაბილურობას მიიჩნევენ პრიორიტეტად, ცვლილებებს, როგორც წესი, ეწინააღმდეგებიან, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ეს მათ ორგანიზაციულ სტრუქტურას ან კულტურას ემუქრება. მათი სოციალური კავშირები ძირითადად ინტერნალურია და ისინი დაინტერესებულნი არიან ორგანიზაციის შიგნით ჰქონდეთ მყარი და სანდო ურთიერთობები, რომელიც მნიშვნელოვანია ორგანიზაციაში შემაკავშირებელი კულტურის არსებობისთვის (Gouldner, 1957).

გოულდნერის აღნიშნული ტიპოლოგია გვეხმარება უფრო მკაფიოდ გავიგოთ ორგანიზაციაში არსებული დინამიკა. ორგანიზაციაში ორივე ტიპის დასაქმებულთა ოპერირება ქმნის ინოვაციასა და სტაბილურობას შორის დაპირისპირებას, თუმცა თუ მათ შორის იქნება ჯანსაღი ურთიერთობები, ამან შეიძლება პირიქით ორგანიზაცია ჰარმონიულად განავითაროს. უფრო კონკრეტულად კი, კოსმოპოლიტებსა და ლოკალებს შორის ინტერაქციამ შეიძლება დიდი გავლენა მოახდინოს ორგანიზაციის შესაძლებლობებზე დანერგოს ინოვაცია ისე რომ შეინარჩუნოს სტაბილურობა. თუ კოსმოპოლიტები ეცდებიან ახალი იდეებისა და ცვლილებების დანერგვას, ლოკალები ეცდებიან ეს ცვლილებები ისე განხორციელდეს, რომ ორგანიზაციის

ფუნქციონირებას საფრთხე არ შეუქმნას. მეორე მხრივ, კოსმოპოლიტებსა და ლოკალებს შორის ურთიერთობა კონფლიქტისა და შეკავშირების ურთიერთმიმართებას ქმნის. კოსმოპოლიტებისა და ლოკალების დაპირისპირებუმა ორიენტაციებმა ორგანიზაციაში შეიძლება კონფლიქტი გამოიწვიოს, განსაკუთრებით კი ორგანიზაციის მიზნების და ღირებულებების კუთხით. თუმცა, ეს დაძაბულობა შეიძლება იყოს პროდუქტიული, და ინოვაციურობასა და ტრადიციულობას შორის ბალანსი შექმნას. და ბოლოს, რადგან გოულდნერი კოსმოპოლიტებსა და ლოკალებს იდეალურ ტიპებად წარმოგვიდგენს, რეალურ ორგანიზაციებში შეიძლება შეგვხვდეს ისეთი ადამიანები, რომლებსაც ორივე ტიპის ნიშან-თვისება გააჩნია და რომელიც უფრო იმ თვისებას გაააქტიურებს, რომელიც კონტექსტუალურად იქნება საჭირო. მსგავსი მოქნილობა კი ორგანიზაციას დაეხმარება გარემოში მიმდინარე ცვლილებების მიმართ ადაპტაციაში (Gouldner, 1957).

მიუხედავად იმისა, რომ ელვინ გოულდნერის ეს თეორია ნახევარსაუკუნეზე მეტი ხნის წინ შეიქმნა და რეალობაში მსგავსი იდეალური კოსმოპოლიტებისა და ლოკალების ანალოგების პოვნა თითქმის შეუძლებელია, ეს ნაშრომი კვლავ გვეხმარება ორგანიზაციებში არსებული დინამიკის შესასწავლად და რიგ შემთხვევაში კვლავ გამოიყენება ოპერირებისთვის.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს შეხედულებები, სადაც კოსმოპოლიტიზმი განხილულია უფრო კომპლექსურად, ვიდრე გოულდნერის და მერტონის შრომებში. მაგალითად, განასხვავებენ „ლოკალებს“ და „ნონ-კოსმოპოლიტებს“ და, ასევე, განიხილავენ „კოსმოპოლიტებს“, „ლოკალებსა“ და “მოგზაურებს” (ტურისტებს). ეს, ძირითადად, უკავშირდება მარკეტინგულ სფეროს. ასეთ შემთხვევაში, „კოსმოპოლიტები“ საკუთარი კულტურის სფეროს ჩარჩოებში მოქმედებენ (დევიძე, 2015).

ულფ ჰანერცის აზრით „ლოკალობა-კოსმოპოლიტობა“ ფართო მნიშვნელობით უნდა იქნეს განხილული, რადგან მათი დამოკიდებულებები, ღირებულებები, ცხოვრების სტილი განსხვავებულია. ხშირად, ტურისტებს (“მოგზაურებს”) მოიხსენებენ, როგორც „კოსმოპოლიტებს“, მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, ისინი სხვა კატეგორიაში ხვდებიან. ნამდვილი „კოსმოპოლიტების“ იდენტობები განსხვავებულია, “მოგზაურების” იდენტობა კი შეიძლება „ლოკალურიც“ აღმოჩნდეს.

ამ მიდგომაში დაშვებულია, რომ ამ ტიპებს შორის არსებობს ტრანზიტულობა. მიაჩნიათ, რომ ვაჭრობის სფეროში მომუშავეები უფრო „კოსმოპოლიტები“ არიან. ავტორი უშვებს, რომ „კოსმოპოლიტები“ და „ლოკალები“ უკიდურეს პოლარულობას არ ქმნიან (Hannerz, 1990).

„კოსმოპოლიტები“ ხასიათდებიან მაღალი პასუხისმგებლობით ორგანიზაციისა და პროფესიის მიმართ. ეს სხვადასხვა განზომილებაა და არა საპირისპირო მდგომარეობები. მათ დამოუკიდებელი კონსტრუქტის სტატუსი ენიჭება. ამგვარად, „კოსმოპოლიტები“ შეიძლება მოვიაზროთ „ლოკალებთან“ მიმართებაში. „კოსმოპოლიტებს“ თავისი კულტურა გააჩნიათ და ადგილობრივებისგან განსხვავებული სტილით ცხოვრობენ (Hannerz, 1990)

ჰიუ ქენონი და ატილა იაპრაკი (Cannon & Yaprak, 2001) თავის ნაშრომში განიხილავენ რა თანამედროვე თეორიებს კოსმოპოლიტიზმის შესახებ, მიუთითებენ, რომ კოსმოპოლიტიზმი უფრო კომპლექსურია, ვიდრე ამას გოულდრენის და მერტონის შრომები გვთავაზობენ. ის კულტურული ტრანსცენდენციის ტიპს წარმოადგენს. თუმც, კოსმოპოლიტებს ხშირად აცვიათ ადგილობრივების სამოსი, არაკოსმოპოლიტები კი ხშირად ჩნდებიან მსოფლიო მოგზაურების სამოსში. მაგალითად, ჰანერცი (Hannerz, 1990) განასხვავებს კოსმოპოლიტებს, ადგილობრივებსა და ტურისტებს. **კოსმოპოლიტები** არიან ადამიანები, რომლებმაც უარი თქვეს თავიანთი კულტურისადმი მიკერძოებაზე. **ლოკალები,** პირიქით, სამყაროს ხედავენ და განსჯიან ადგილობრივი კულტურის პერსპექტივიდან. ისინი თავიანთ დამოკიდებულებებს, ღირებულებებსა და ცხოვრების წესს ხედავენ როგორც „კარგს“ და ყველაფერი, რაც ამას ეწინააღმდეგება, განიხილება, როგორც ერთგვარი ბოროტი დაბინძურება. **ტურისტებს** აქვთ კოსმოპოლიტების ხიბლი, რადგან უყვართ მოგზაურობა და ახალი ადგილებისა და ცხოვრების ახალი გზების ძიება. მათი კოსმოპოლიტური სამოსი მხოლოდ ერთგვარ ცნობისმოყვარეობაზე მიუთითებს. მრავალფეროვნების გამოცდილება, რომელსაც ისინი ხვდებიან, მათ არ მიაჩნიათ როგორც კულტურული დამსახურება ან პიროვნული შესაბამისობა. მაშასადამე, ისინი ადგილობრივები არიან, რომელთა კულტურა აერთიანებს სხვა ადამიანების შესწავლას, როგორც სოციალურ ნორმას. ჰანერცის აზრით, კოსმოპოლიტები ის ადამიანები არიან, რომლებიც აქტიურად ცდილობენ კულტურული მიკერძოების

იდენტიფიცირებასა და დათმობას. თუ ტურისტები დამკვირვებლები არიან, თავად კოსმოპოლიტები მონაწილეების როლში არიან. ისინი ცდილობენ, რეალურად განიცადონ კულტურული მრავალფეროვნება, რაც მათ პიროვნული ზრდისა და ცვლილებების მუდმივ სტიმულს აძლევს. ეს შეხედულებები მსგავსია გოულდნერისა (Gouldner, 1957-58) და მერტონის (Merton, 1957) ადრინდელი კონციეფციებისა, მაგრამ განსხვავებით ამ ავტორებისგან ჰანერცი ხაზგასმით მიუთითებს, რომ ის თანდაყოლილი არაა (Hannerz, 1990).

ერთ-ერთი გზა, ავხსნათ ჰანერცის (Hannerz, 1990) კულტურის მაძიებელი კოსმოპოლიტიზმის კონცეფცია, არის ის, რომ კოსმოპოლიტების „იდეალური ტიპი" იშვიათად არსებობს (Thompson & Tambyah, 1999). ავტორების არგუმენტი კი ისაა, რომ ნამდვილი კოსმოპოლიტი შედარებით ცოტაა, მაშინ როდესაც უმრავლესობა ლოკალურიდან კოსმოპოლიტურ ორიენტაციაზე გადასვლის პროცესში არიან. ამ პოზიციის მხარდასაჭერად ტომპსონი და ტამბია ეწინააღმდეგებიან ჰანერცის წარმოდგენას ტურისტის, როგორც ცნობისმოყვარე ლოკალის შესახებ. დინ მაკქენელის (MacCannell, 1999) შრომებზე დაყრდნობით, ისინი ამტკიცებენ, რომ ტურისტები ნამდვილად არიან კულტურის მაძიებლები, რომლებიც იმედოვნებენ, რომ იპოვიან იმ წარმოდგენებს, რაც დაკარგულია მათ თანამედროვე საზოგადოებებში. მათ პოზიციას მხარს უჭერს ტურიზმის ხელშეწყობის ნარატივების კვლევები, რომლებიც მოგზაურებს ჰპირდებიან ისეთ რამეებს, როგორიცაა თავგადასავალი, პიროვნული გამდიდრება და უნიკალური კულტურული გამოცდილება (Urry, 1990; Shields, 1992; Arnould and Price, 1993; Craik, 1997). თუ ტურისტების მოსაზიდად განკუთვნილი შეთავაზებები დაკავშირებულია მათი სამიზნე ბაზრის საჭიროებებთან, ამ შეთავაზებებში შეგვიძლია გამოვავლინოთ კოსმოპოლიტური განწყობებიც. ეს კი გულისხმობს ფუძემდებლურ თეორიას იმის შესახებ, თუ რატომ უნდა იყვნენ მომხმარებლები მოტივირებულები გახდნენ უფრო კოსმოპოლიტები (Thompson & Tambyah, 1999). კოსმოპოლიტური მახასიათებლების შეძენით მომხმარებლები ეძებენ ერთგვარ სოციალურ სტატუსს ან „კულტურულ კაპიტალს" (Bourdieu, 1987). მაღალი კულტურული კაპიტალის მქონე მომხმარებლები - კოსმოპოლიტები - მიდრეკილნი არიან, გაურბოდნენ თავიანთ ადგილობრივ, მაგალითად, სათემო კულტურას, რათა ეზიარონ ახალ და საინტერესო

გამოცდილებას, როგორიცაა ეგზოტიკური საკვები, მუსიკა და სხვ. (Holt, 1997, Holt, 1998). ბუნებრივია, მომხმარებლები, რომლებიც ისწრაფიან, მაღალი კულტურული კაპიტალის სტატუსისკენ, შეეცდებიან ამ გემოვნების კულტივირებას. მოგზაურობა მთავარ როლს თამაშობს კოსმოპოლიტიზმის დისკუსიებში, რადგან ის განიხილება, როგორც პრაქტიკული გავლენისგან თავის დაღწევის გზა, ეგზოტიკით ნაგულისხმევი დახვეწილობისა და ამქვეყნიური მსოფლმხედველობის მისაღწევად (Belk, 1998; Morris, 1998). მოგზაურობას შეიძლება ჰქონდეს ტურიზმის ფორმა ან, როგორც ტომპსონისა და ტამბიას ფაქტობრივი სუბიექტების შემთხვევაში, მისი მიღწევა შესაძლებელია საზღვარგარეთ ცხოვრებითა და მუშაობით (Cannon & Yaprak, 2001, p. 24).

ქენონი და იაპრაკი კოსმოპოლიტიზმს განიხილავენ როგორც შეძენილი კულტურული ორიენტაციების ერთობლიობას - ჩვევების, უნარებისა და სტილის ერთგვარი "ინსტრუმენტების ნაკრებს,“ საიდანაც ადამიანები ქმნიან მოქმედების სტრატეგიებს“ (Cannon & Yaprak, 2001). ავტორები ნაშრომში გვთავაზობენ არა მხოლოდ ჰანერცის (Hannerz, 1990) მიერ წამოყენებულ აქტიური კულტურის მაძიებელის ქცევის ნიმუშს, ასევე, მსოფლიო მოქალაქეობის შესახებ აშკარად საპირისპირო მოსაზრებებს და ამ მოსაზრებების მიზეზებს, რაც გვიხსნით თუ როგორ უკავშირდება ერთმანეთს ეს სხვადასხვა პოზიცია და როგორ იცვლება ისინი დროთა განმავლობაში. შესაბამისად, ისინი გვიხსნიან, რომ, ასევე, მნიშვნელოვანი პერსპექტივა კოსმოპოლიტიზმის ბუნების შესახებ, აჩვენა ბოლო კვლევებმა, რომელთა მიხედვითაც, კოსმოპოლიტიზმი არ არის ლოკალიზმის საპირისპირო, როგორც ამას დისკუსიების უმეტესობა ვარაუდობს. ცალკე უნდა გამოიყოს განსხვავება ადგილობრივ და გლობალურ კოსმოპოლიტებს შორის. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კოსმოპოლიტები „ყალიბდებიან“ და ისინი არ „იბადებიან“, მაშინ ისმის კითხვა: რა ფაქტორები უწყობს ხელს მათ ჩამოყალიბებას? სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ადამიანები შეიძლება გახდნენ კოსმოპოლიტები მრავალი ფაქტორის ზემოქმედებით, რომელთაგან თითოეული ქმნის განსხვავებულ გავლენას კოსმოპოლიტურ ქცევაზე (Cannon & Yaprak, 2001, pp. 24-25).

კოსმოპოლიტური ორიენტაციის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა კულტურის მრავალფეროვნებას აქვს, როდესაც ინდივიდი მოგზაურობის და ინტერკულტურული

გაცვლითი ღონისძიებების პირობებში განსხვავებულ კულტურებს ეცნობა ან ხვდება მულტიკულტურულ გარემოში. ასევე მნიშვნელოვანი დეტერმინანტია განათლება. ისეთი ტიპის საგანმანათლებლო პროგრამები, რომლების გულისხმობენ მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე მოვლენებზე ინფორმირებულობის ზრდას, ეყრდნობიან კროსკულტურულ და საერთაშორისო პერსპექტივებს ხელს უწყობს კოსმოპოლიტური ორიენტაციის ჩამოყალიბებას. ასევე ძლიერი გავლენა აქვს მედია საშუალებებს, რომლებიც საერთაშორისო ინფორმაციითა და დისკურსებით არის გაჟღენთილი. საერთაშორისო მასშტაბით სოციალური კავშირები ასევე წარმოადგენს კოსმოპოლიტობის განვითარების წინაპირობას, როდესაც ადამიანი განსხვავებული ცხოვრების წესის შესახებ ინფორმირებულია და უვითარდება მსოფლიოზე მიკუთვნებულობის განცდა. პიროვნული თვისებები და განწყობები ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია. გამოცდილების მიმართ ღიაობა, ცნობისმოყვარეობა, შემოქმედებითობა, ინოვაციურობისა და მრავალფეროვნების მოთხოვნილება კოსმოპოლიტური ორიენტაციის ჩამოყალიბების წინაპირობებია. ერთ-ერთი დეტერმინანტი ასევე არის ინდივიდის სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა. მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლებს აქვთ უფრო მეტი შანსი იმოგზაურონ, გაეცნონ მრავალფეროვან კულტურებს, ისწავლონ უფრო მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამეზე და ენობრივი კომპეტენციის ქონით ისარგებლონ საერთაშორისო მედია კონტენტებით. ეს იმას არ ნიშნავს, რომ კოსმოპოლიტური ორიენტაცია მხოლოდ მდიდარი ფენის წარმომადგენლებს აქვთ, უბრალოდ მათ მეტი შესაძლებლობა აქვთ ხელი მიუწვდებოდეთ კონსმოპოლიტური ორიენტაციის ჩამოყალიბებისათვის საჭირო რესურსებთან (Cannon & Yaprak, 2001).

## კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების ემპირიული კვლევა ქართველ მიგრანტთებთან და საქართველოში მაცხოვრებლებთნ

### კვლევაში მონაწილე პირების სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლები

აღნიშნულ ქვეთავში განვიხილავ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ინდივიდების დამოკიდებულებებისა და შეხედულებებისა კვლევას კოსმოპოლიტურ და ლოკალური ორიენტაციებთან მიმართებაში. კვლევის ინსტრუმენტში შეტანილი იყო მრავალფეროვანი სოციო-დემოგრაფიული ცვლადები,

რათა გამომევლინა ამ ორიენტაციის განმსაზღვრელი სხვადასხვა კონტექსტუალური ფაქტორები. დეტალურად განვიხილოთ კვლევის შედეგები:

**გენდერული განაწილება:** რესპონდენტთა გენდერული განაწილება აჩვენებს შესამჩნევ განსხვავებას საქართველოსა და საზღვარგარეთ მცხოვრებთა შორის. საქართველოში გამოკითხულთა 78,9% ქალია, საზღვარგარეთ რესპონდენტთა 66,1%-თან შედარებით. პირიქით, საქართველოში გამოკითხულთა 21,1% მამაკაცია, საზღვარგარეთ 33,9% (იხ. დიაგრამა #3). ეს განსხვავება შეიძლება ასახავდეს კვლევაში ჩართულობის ან ხელმისაწვდომობის განსხვავებულ დონეს მამაკაცებსა და ქალებს შორის სხვადასხვა გეოგრაფიულ კონტექსტში და გასათვალისწინებელია კოსმოპოლიტურ და ადგილობრივ ორიენტაციასთან დაკავშირებული შედეგების ინტერპრეტაციისას.

**ასაკობრივი განაწილება:** რესპონდენტთა უმრავლესობის ასაკი, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, მერყეობს 25-დან 45 წლის კატეგორიაში. საშუალო ასაკი საქართველოში არის 38,06 ხოლო საზღვარგარეთ - 33.13 (იხ. დიაგრამა #4). ეს დემოგრაფიული მსგავსება იძლევა შედარებითი ანალიზის საშუალებას, რადგან რესპონდენტები არიან ცხოვრების საერთო ეტაპზე და გამოვლენილი განსხვავება შეგვიძლია უფრო მეტად მივაწეროთ კოსმოპოლიტურ ან ლოკალურ ორიენტაციებს.

**ეთნიკური იდენტობა:** რესპონდენტთა უმრავლესობა, 95,9%, თავს ეთნიკურ ქართველად მიიჩნევს, მაშინ როდესაც მცირე პროცენტი მიეკუთვნება ისეთ ეთნიკურ ჯგუფებს, როგორიცაა რუსი (2,1%), სომეხი (1,5%) და აზერბაიჯანელი (0,5%) (იხ. დიაგრამა #5). ეს შედეგი ახლოსაა საქართველოს დემოგრაფიულ სურათთან (გამონაკლისი გახლავთ ეთნიკური რუსების სიჭარბე). თუმცა რადგანაც ეთნიკურად განსხვავებული ჯგუფები ნაკლებად არიან კვლევით დაფარული, ამ იდენტობის გავლენა კოსმოპოლიტურ/ლოკალურ ორიენტაციებზე მოითხოვს დამატებით კვლევას. რადგან კოსმოპოლიტურ ან ლოკალურ ორიენტაციის ჩამოყალიბებაზე გავლენის მქონე ფაქტორი შეიძლება წინაპრის განსხვავებული ეთნიკური იდენტობა იყოს, კვლევის ფარგლებში რესპონდენტებს ვეკითხებოდით, როგორც მშობლების, ასევე წინაპრების ეთნიკურ წარმოშობაზე. გამოკითხულთა უმეტესობა, როგორც

საქართველოში, ასევე უცხოეთში, აფიქსირებს მშობლების ქართულ წარმომავლობას. ასევე გამოკითხულთა უმეტესობას არ ყოლია სხვა ეთნიკური იდენტობის მქონე წინაპარი (67 %). თუმცა, 33%-მა აღნიშნა, რომ ჰყავდათ განსხვავებული ეთნიკური იდენტობის წინაპრები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ღიაობის განსხვავებული ხარისხი სხვა კულტურების მიმართ და გავლენა მოახდინოს კოსმოპოლიტურ ორიენტაციაზე.

**რელიგიური იდენტობა:** რელიგიური კუთვნილება არის კიდევ ერთი კრიტიკული ცვლადი, რომელიც გავლენას ახდენს რესპონდენტთა კოსმოპოლიტურ და ლოკალურ ორიენტაციებზე. საქართველოში რესპონდენტთა მნიშვნელოვანი უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია, ისევე როგორც საზღვარგარეთ მცხოვრებთა 78%. თუმცა, საზღვარგარეთ მცხოვრებ რესპონდენტთა 22% სხვა რელიგიურ კონფესიებს მიეკუთვნება (იხ. დიაგრამა #6). ეს განაწილება შეიძლება პოტენციურად მიუთითებდეს კოსმოპოლიტური ღიაობის სხვადასხვა ხარისხზე, რომელიც გავლენას ახდენს რელიგიურ მრავალფეროვნებაზე და მის როლზე ინკლუზიური ან ექსკლუზიური მსოფლმხედველობების განვითარებაში. რელიგიურობის საზომი მეორე ცვლადი აღწერს რელიგიურ მსახურებებზე დასწრების სიხშირეს. კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ რესპონდენტთა უმეტესობა, განურჩევლად ადგილსამყოფელისა, რეგულარულად არ ესწრება რელიგიურ მსახურებებს, მნიშვნელოვანი პროცენტი ესწრება მხოლოდ დიდ დღესასწაულებზე (15.3%). უცხოეთიში მცხოვრები რესპონდენტები ან არ ესწრებიან ან იშვიათად ესწრებიან რელიგიურ მსახურებას (მაგ., უცხოეთი - არ ესწრება 27.1 %, იშვიათად ესწრება 25.4 %; საქართველო - იშვიათად ესწრება 44.7 % (მხოლოდ (ეს მონაცემია სხვასთან შედარებით მაღალი) (იხ. დიაგრამა #7). განსხვავებები შეინიშნება რეგულარულ დასწრებაში ადგილმდებარეობის მიხედვით. საქართველოში რესპონდენტთა მხოლოდ 2.6% ესწრება ყოველკვირეულად, საზღვარგარეთ 13.6%-თან შედარებით. ეს განსხვავება შესაძლოა ასახავდეს მიგრანტებისთვის რელიგიური იდენტობის მნიშვნელობასა და რესპონდენტთა სოციალურ-რელიგიურ გარემოში არსებულ განსხვავებებზე, რაც, თავის მხრივ, შეიძლება გავლენას ახდენდეს მათ კოსმოპოლიტურ და ლოკალურ ორიენტაციაზე.

**ქორწინების მდგომარეობა და ოჯახური გარემო:** ორივე ცვლადი მნიშვნელოვან როლს თამაშობს რესპონდენტთა კოსმოპოლიტური თუ ლოკალური ორიენტაციის ფორმირებაში. ოჯახური მდგომარეობის მონაცემები აჩვენებს, რომ საქართველოში რესპონდენტთა უფრო დიდი პროცენტი (65.6%) არის დაქორწინებული ქართველებზე, ხოლო ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად დაბალია საზღვარგარეთ მცხოვრებთათვის (15.4%). პირიქით, უცხოელზე დაქორწინება უფრო ხშირია საზღვარგარეთ მცხოვრებ რესპონდენტებში (28.8%), ვიდრე საქართველოში (2.2%). განქორწინების, გაშორების და თანაცხოვრების მცირე რაოდენობა ფიქსირდება უცხოეთში მცხოვრებ რესპონდენტებში, განსხვავებით საქართველოში გამოკითხული რესპონდენტებისგან (იხ. დიაგრამა #8). უცხოელებთან ქორწინების მაღალი მაჩვენებელი მიგრანტებში შეიძლება მეტყველებს იმაზე, რომ საზღვარგარეთ მცხოვრებ პირებს შეიძლება ჰქონდეთ კულტურული ურთიერთქმედების მეტი შესაძლებლობა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს უფრო მეტი კოსმოპოლიტური ტენდენციები.

ანალოგიურად, ოჯახის შემადგენლობის ფაქტორი კიდევ უფრო აძლიერებს ამ ვარაუდს. რესპონდენტთა უმეტესობა, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, გაიზარდა მრავალთაობიან ოჯახებში (იხ. დიაგრამა #9), რომელთაც ახასიათებთ ძლიერი ოჯახური და კულტურული ღირებულებები. ასეთ გარემოში აღზრდა როგორც წესი აძლიერებს ლოკალურ ორიენტაციებს. თუმცა, მათთვის, ვინც დაქორწინებულია უცხოელებზე და სოციალიზაციასა და რესოციალიზაციას განიცდის განსხვავებულ კულტურულ კონტექსტში, შესაძლებელია დამახასიათებელი იყოს კოსმოპოლიტური პერსპექტივები.

კვლევის პროცესში რესპონდენტები 5 ბალიან სკალაზე აფასებდნენ მათი ოჯახის ტრადიციულობას. ადგილმდებარეობის ჭრილში ანალიზმა აჩვენა, რომ გერმანიაში მცხოვრები ქართველები ოდნავ უფრო მეტად ტრაიდიციულად აფასებენ ოჯახს, ვიდრე საქართველოში მცხოვრები პირები (იხ. დიაგრამა #10). თუ შედარებას საშუალო არითმეტიკული მაჩვენებლით გავაკეთებთ, აქაც დავინახავთ სხვაობას, 5 ბალიან სკალაზე სადაც 5 არის ძალზე ტრადიციული, ხოლო 1 ძალზე არატრადიციული, გერმანიაში მცხოვრებ რესპონდენტთა შეფასების საშუალო 3.92-ია, ხოლო საქართველოში მცოვრებთა საშუალო 3.78. ასეთ ტრადიციულ ფონს შეუძლია მნიშვნელოვნად იმოქმედოს რესპონდენტთა ორიენტაციაზე და განაპირობოს

ლოკალური ორიენტაციის ჩამოყალიბება. ტრადიციული ოჯახები ხშირად ხაზს უსვამენ განგრძობადობის, კულტურული იდენტობის შენარჩუნებისა და დადგენილი ნორმების დაცვის მნიშვნელობას, რამაც შეიძლება შეზღუდოს კოსმოპოლიტიზმთან დაკავშირებული ახალი იდეებისა და პრაქტიკისკენ სწრაფვა.

ქორწინების მდგომარეობა და აღზრდის გარემო, წარმოადგენს რესპონდენტთა კოსმოპოლიტური ან ლოკალური ორიენტაციის ჩამოყალიბებაზე გავლენის მქონე ფაქტორებს, მაშინ როდესაც, ძლიერმა ტრადიციულმა ოჯახურმა ფონმა შეიძლება გააძლიეროს ლოკალური ორიენტაციები კულტურული განგრძობითობისა და ცვლილებებისადმი რეზისტანტულობის კუთხით. ამ ცვლადების გამოყენებით ჩვენ შეგვიძლია ვაჩვენოთ, თუ რა როლს თამაშობს ოჯახის დინამიკა გლობალური პერსპექტივებისადმი ინდივიდის ღიაობის ან ადგილობრივი ღირებულებებისადმი უპირატესობის ფორმირებაში.

**რესპონდენტთა განსახლების გეოგრაფიული ასპექტები:** კვლევის სამიზნე ორივე ჯგუფი, რომელიც ცხოვრობს საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ, ავლენს ურბანულ პრეფერენციებს. დიდი უმრავლესობა ცხოვრობს მეგაპოლისებში ან საშუალო ზომის ქალაქებში, მაშინ როდესაც, მხოლოდ მცირე ნაწილი ირჩევს რურალურ საცხოვრებელ გარემოს (იხ. დიაგრამა #11). რადგან ურბანული გარემო უფრო ხასიათდება კულტურული მრავალფეროვნებითა და ინტერნაციონალური კავშირით და წარმოადგენს სხვადასხვა კულტურის, ენისა და მსოფლმხედველობის შერწყმის არეალს. აქედან გამომდინარე, ეს ურბანული იდენტობა შეიძლება დაკავშირებული იყოს კოსმოპოლიტური ორიენტაციის მიღების უფრო მაღალ ალბათობასთან, რადგან ქალაქური ცხოვრება უფრო გლობალურ ხედვასა და სხვა კულტურების მიმართ ლოიალობას უწყობს ხელს.

საქართველოში მცხოვრებ რესპონდენტთა 80%-ს არასოდეს უცხოვრია სამშობლოს ფარგლებს გარეთ, მაშინ როდესაც ემიგრანტებს უფრო მეტად აქვთ საზღვარგარეთ ცხოვრების გამოცდილება (47.1%) (იხ. დიაგრამა #12). ეს განსხვავება მიუთითებს კულტურათაშორისი ზემოქმედების განსხვავებულ დონეზე. კულტურათაშორისი გამოცდილება, როგორიცაა სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრება, ერთ-ერთი საკვანძო დეტერმინანტია კოსმოპოლიტური პერსპექტივების განვითარებისთვის, რადგან ის უზრუნველყოფს უშუალო სხვადასხვა კულტურასთან,

სოციალურ ნორმებთან და მსოფლმხედველობასთან კონტაქტს, რაც ავითარებს ინკლუზიურ და ღია აზროვნებას.

**განათლება:** საქართველოში და გერმანიაში გამოკითხულთა უმეტესობას აქვს უმაღლესი განათლება (საქართველო 65.6%, უცხოეთში 70.2 %) (იხ. დიაგრამა #13), რაც ტიპურად დამახასიათებელია ქართული საზოგადოებისთვის. სამეცნიერო ხარისხი საქართველოში გამოითხულ მეტ რესპონდენტს აქვს, რაც წარმოადგენს კვლევის შერჩევის შეზღუდვის შედეგს (რადგან გამოყენებული იყო მიზნობირივი შერჩევის მეთოდი). იმის გათვალისწინებით, რომ უმაღლესი განათლება ხშირად ხელს უწყობს კრიტიკულ აზროვნებას და გლობალურ ცნობიერებას, ამ ფაქტორმა შეიძლება მნიშვნელოვნად იმოქმედოს კოსმოპოლიტურ-ლოკალურ დიქოტომიაზე. რესპონდენტთა უმრავლესობამ განათლება საქართველოში მიიღო, თუმცა საზღვარგარეთ მცხოვრებთა 37.5%-ს განათლება საქართველოს ფარგლებს გარეთაც აქვს მიღებული (იხ. დიაგრამა #14). სხვადასხვა საგანმანათლებლო სისტემებმა ინტელექტუალური და კულტურული პერსპექტივების გაფართოებით შეიძლება გააძლიეროს კოსმოპოლიტური ორიენტაციები.

**ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა:** შესამჩნევი განსხვავებაა საქართველოსა და გერმანიაში გამოკითხული რესპონდენტების ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებაში (იხ. დიაგრამა #15). საქართველოში მცხოვრები რესპონდენტები თავიანთი ოჯახის ეკონომიკურ სტატუსს უფრო საშუალოს აფასებენ (გამოკითხულთა 58.9%), მაშინ როდესაც საზღვარგარეთ მყოფები უფრო მაღალ ეკონომიკური სტატუსზე მიუთითებენ (43.3%, რაც საქართველოში მცხოვრებ რესპონდენტებთან 22.2%-ია). ეს განსხვავება ვლინდება შეფასებების საშუალო არითმეტიკულშიც. 5 ბალიან სკალაზე სადაც 5 ბალი ნიშნავს ძალზე მაღალ ეკონომიკურ მდგომარეობას, ხოლო 1 ბალი, ძალზე დაბალს, გერმანიაში მცხოვრებთა საშუალო შეფასება 3.81-ია, ხოლო საქართველოში მცხოვრებთა 3.12. ეკონომიკური სტაბილურობა ხშირად დაკავშირებულია გლობალური გამოცდილებისა და გავლენებთან, რაც პოტენციურად კოსმოპოლიტური ორიენტაციის განვითარებას უწყობს ხელს.

## კვლევაში მონაწილე პირების კომუნიკაციისა და კულტურული პრაქტიკის პატერნები

კვლევის პროცესში ვეცადე გამომევლინა, თუ როგორ საუბრობენ ქართველი რესპონდენტები სხვადასხვა სიტუაციებში - როგორც საქართველოში, ისე გერმანიაში. პატერნები უნდა გამოგვევლინა ოთხ გარემოში - სამსახურში, სახლში, მეგობრებთან თუ ერთობის/თემის გარემოში. კვლევამ შემდეგი განსხვავებები აჩვენა (იხ. ცხრილი #2):

**სამსახურში კომუნიკაციის პატერნი:** როგორც საქართველოში (81,6%), ისე მის ფარგლებს გარეთ (94,9%), უმეტესობა სამსახურში „გამართულად" საუბრობს. ეს გვიჩვენებს, რომ პროფესიულ გარემოში ფორმალური კომუნიკაცია მნიშვნელოვანია. საზღვარგარეთ ენის „სწორი" გამოყენების უფრო მაღალი პროცენტი ასევე შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ მიგრანტები უცხო კონტექსტში თავიანთი კომპეტენციის გამოსახატავად უფრო ფორმალური კომუნიკაციის პატერნს ანიჭებენ უპირატესობას.

**კომუნიკაციის პატერნი სახლში:** საქართველოში რესპონდენტთა 84,2% სახლში გამართულად საუბრობს, მაშინ როდესაც გერმანიაში კომუნიკაციის გამართულ პატერნს 63,6% მიმართავს. უცხოეთში ქართველი მიგრანტები სახლის გარემოში უფრო ხშირად იყენებენ ჟარგონს (16,9%), დიალექტს (34,7%) და უცხო სიტყვებს (47,5%). ეს მიუთითებს ოჯახში ენის უფრო თავისუფალ და კომბინირებულ გამოყენებაზე.

**მეგობრებთან კომუნიკაციის პატერნი:** მეგობრებთან კომუნიკაციისას ჟარგონის (31.0%), დიალექტის (25.9%) და უცხო სიტყვების (48.3%) გამოყენება უფრო ხშირია გერმანიაში მცხოვრებ ქართველებში, ვიდრე საქართველოში მცხოვრებ რესპონდენტებში. ამის მიზეზი შეიძლება იყოს იმის, რომ მათი სოციალური წრეები საზღვარგარეთ უფრო მრავალფეროვანია და ისინი უფრო მეტად ირჩევენ თავისუფალი კომუნიკაციის პატერნს.

**ერთობაში/თემში კომუნიკაციის პატერნი:** მაშინ, როდესაც კომუნიკაციისთვის საქართველოში გამოკითხულთა 69.7% იყენებს გამართულ ენას თემში, გერმანიაში მცხოვრებთა ოდნავ უფრო მაღალი პროცენტი (73.6%) იყენებს კომუნიკაციის ამ პატერნს იგივე კონტესტში. თუმცა, გერმანიაში მცხოვრებლების სოლიდური წილი,

კვლავ იყენებენ ჟარგონს (19.1%), დიალექტს (7.3%) და უცხო სიტყვებს (30.0%) ერთობაში, რაც აჩვენებს იმას, რომ ისინი ენის გამოყენებას გარემოდან გამომდინარე არეგულირებენ.

ენობრივი კოდის შეცვლას ადამიანები ხშირად მიმართავენ სიტუაციიდან და თანამოსაუბრიდან გამომდინარე. სამეცნიერო დისკუსიებში ამას უწოდებენ კოდის გადართვას. კოდების გადართვა ჩვეულებრივი მოვლენაა, როდესაც მოსაუბრეები ცვლიან ენებს ან კომუნიკაციის პატერნს კონტექსტის, აუდიტორიის ან სოციალური გარემოს მიხედვით. ამით შეიძლება აიხსნას, თუ რატომ იყენებენ გერმანიაში მყოფი ქართველი მიგრანტები უცხო სიტყვებს, ჟარგონს ან დიალექტს სხვადასხვა სოციალურ კონტექსტში, რასაც საქართველოში გამოკითხულ რესპონდენტებში უფრო ნაკლებად ვხვდებით. სხვადასხვა (ქართულ და გერმანულ) ენაზე ნავიგაციის აუცილებლობამ და მულტიკულტურული გარემოს გავლენამ შესაძლოა გამოიწვიოს მიგრანტებს შორის კოდის უფრო ხშირი გადართვა.

სოციოლინგვისტიკა ვარაუდობს, რომ ენის გამოყენება კონტექსტზეა დამოკიდებული. შესაბამისად, სამსახურში, სადაც მოსალოდნელია ფორმალური კომუნიკაცია, ორივე ჯგუფი (საქართველო და საზღვარგარეთ მცხოვრები პირები) პირველ რიგში იყენებს „გამართულ“ ენას. თუმცა, უფრო არაფორმალურ გარემოში, როგორიცაა სახლში ან მეგობრებთან კომუნიკაცია, უცხოეთში მცხოვრებთა შორის იზრდება ჟარგონის, დიალექტისა და უცხო სიტყვების გამოყენება. ეს იმაზე მეტყველებს, რომ კონტექსტი გავლენას ახდენს ენის ფორმალობის ხარისხზე.

ბერის აკულტურაციის მოდელის მიხედვით (Berry, 1997), მიგრანტები სხვადასხვა აკულტურაციის სტრატეგიებს ითვისებენ, როგორებიცაა ინტეგრაცია, ასიმილაცია, სეპარაცია ან მარგინალიზაცია. გერმანიაში მცხოვრები ქართველი მიგრანტების მიერ უცხო სიტყვების გამოყენება შეიძლება მიუთითებდეს „ინტეგრაციის“ სტრატეგიაზე, სადაც ისინი ინარჩუნებენ მშობლიურ ენას მასპინძელი ენის ასპექტების ჩართვით. პირიქით, ჟარგონისა და დიალექტის უფრო მაღალი გამოყენება შეიძლება მიუთითებდეს განცალკევებაზე ან ბიკულტურულ (ორმაგკულტურულ) ორიენტაციაზე, სადაც ისინი ადგილობრივ ენობრივ ნორმებთან ერთად მტკიცედ ინარჩუნებენ ეთნიკურ იდენტობას.

კვლევის შედეგები იძლევა ღირებულ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ ინარჩუნებენ გერმანიაში მცხოვრები ქართველი მიგრანტები თავიანთ ენობრივ იდენტობებს და როგორ ახდენენ კომუნიკაციის პატერნების ადაპტირებას სხვადასხვა კონტექსტთან. სოციოლინგვისტიკის და აკულტურაციის თეორიული ჩარჩოები გვიხსნიან მიგრანტებისა და არამიგრანტების მიერ საუბრის პატერნების განსხვავებებულ გამოყენებას. მიგრანტების მიერ უცხო სიტყვების, ჟარგონისა და დიალექტების გახშირებული გამოყენება საზღვარგარეთ ასახავს რთულ ურთიერთმიმართებას მათი იდენტობის და კულტურული ფესვების შენარჩუნების მცდელობას და ახალ გარემოსთან ადაპტაციას შორის.

კვლევის პროცესში საქართველოში და გერმანიაში მცხოვრებ რესპონდენტებს ვეკითხებოდით ჩაცმის როგორ სტილს მიმართავდნენ (იხ. დიაგრამა #16). კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოში (36.7%) და გერმანიაში (30.8%) გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი იცვამს „თანამედროვედ“. ეს მიუთითებს ქართველების სწრაფვას ფეხი აუწყონ თანამედროვე ტენდენციებს, იქნება ეს სამშობლოში თუ მიგრაციაში. ეს არჩევანი შეიძლება მიუთითებდეს გლობალურ სტილისა და მოდის ნორმების გაზიარების სურვილს, რაც ორივე კონტექსტში კოსმოპოლიტურ ორიენტაციაზე მიუთითებს. რესპონდენტთა შემდეგი დიდი წილი როგორც საქართველოდან (33,3%), ასევე გერმანიიდან (27,9%) ირჩევს „დახვეწილად ან გემოვნებიანად“ ჩაცმას. ჩაცმის მოკრძალებული ან კლასიკური სტილისთვის პრიორიტეტის მინიჭება შეესაბამება ქართულ კულტურაში გავრცელებულ უფრო კონსერვატიულ ან ტრადიციულ ღირებულებებს. გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოში (18.9%) და გერმანიაში (24.0%) აღნიშნავს, რომ ყურადღებას არ აქცევს ჩაცმულობას. ამ კატეგორიაში გერმანიაში უფრო მაღალი პროცენტი შეიძლება ასახავდეს საზღვარგარეთ ცხოვრების გამოწვევებს და პრაქტიკულ მოსაზრებებს, სადაც ტანსაცმლის სტილი შეიძლება არ იყოს პრიორიტეტული ცხოვრების სხვა ასპექტებთან შედარებით, როგორიცაა სამუშაო ან ინტეგრაცია. ეს ასევე შეიძლება მიუთითებდეს ჩაცმისადმი პრაგმატულ მიდგომაზე, რაც უპირატესობას ანიჭებს კომფორტს. მცირე, მაგრამ შესამჩნევი განსხვავება შეიმჩნევა გერმანიაში მცხოვრებთა მხირდან „მოდურად“ ჩაცმისთვის უპირატესობის მინიჭებაში (9.6%), რაც საქართველოში შედარებით დაბალია (4.4%). ეს იმაზე მეტყველებს, რომ ზოგიერთი

ქართველი მიგრანტი გერმანიაში უფრო მიდრეკილია მოდური სტილისკენ, რაც პოტენციურად შეიძლება მიუთითებდეს მასპინძელ ქვეყანაში უფრო პოპულარულ მოდის კულტურის არსებობაზე. როგორც საქართველოში (3.3%), ისე გერმანიაში (2.9%) ძალიან ცოტა რესპონდენტი მიუთითებს „ტრადიციების გათვალისწინებით“ ჩაცმულობის სტილის არჩევაზე. ეს დაბალი პროცენტი მიგვითითებს იმაზე, რომ ტრადიციული ჩაცმულობა არ არის ყოველდღიურად გამოყენებული და ადამიანების უმეტესობა უფრო თანამედროვე სტილისკენ იხრება. ორივე ჯგუფში გამოვლენილი მსგავსი ტენდენცია კი, მიუთითებს იმაზე, რომ მიგრაცია ან მასპინძელი კულტურის გავლენა ამ მიმართულებით გავლენას არ ახდენს. ეს დაბალი პროცენტი მიგვითითებს იმაზე, რომ ტრადიციული ჩაცმულობა ყოველდღიურობისთვის არ არის დამახასიათებელი და რომ ადამიანების უმეტესობა უფრო თანამედროვე სტილისკენ იხრება. ეს შედეგები მიგვითითებს, რომ ქართველები როგორც მშობლიურ ქვეყანაში, ასევე გერმანიაში, ძირითადად უპირატესობას ანიჭებენ თანამედროვე და დახვეწილი გემოვნებით ჩაცმას, რაც ასახავს ბალანსს თანამედროვეობასა და კონსერვატიზმს შორის. მიგრანტებისთვის, ეს ასევე შეიძლება განიხილებოდეს ბერის აკულტურაციის მოდელის (Berry, 1997) გამოვლინებად, რომლის მიხედვით ახალ კულტურაში ინტეგრაციამ შეიძლება გამოიწვიოს ახალი გავლენის შერწყმა ორიგინალურ კულტურულ ღირებულებებთან. ისინი, ვინც ემხრობა „თანამედროვეს“ და „მოდურს“, შეიძლება ჩაითვალოს ინტეგრაციის ან ასიმილაციის სტრატეგიების მიმღებად, სადაც ისინი უფრო მეტად ერწყმის ან შეესაბამება მასპინძელი კულტურის მოდის ნორმებს. ამის საპირისპიროდ, მათ, ვინც უპირატესობას ანიჭებს "დახვეწილად/გემოვნებით" ჩაცმას, შეიძლება ახასიათებდეს განცალკევების სტრატეგია, რათა შეინარჩუნონ თავიანთი კულტურული ფესვები.

კვლევის ფარგლებში ასევე გამოვავლინეთ თუ რა ტიპის დასახლებას ანიჭებს უპირატესობას საქართველოში და გერმანიაში მცხოვრები ქართველები (იხ. დიაგრამა #17). აღნიშნული შედეგების გააზრებისთვის პირველ რიგში დავძენ, რომ კოსმოპოლიტები, როგორც წესი, უპირატესობებას ანიჭებენ მრავალფეროვან, მულტიკულტურული გარემოს, სადაც უფრო იგრძნობა გლობალური გავლენები. ამ ორიენტაციის მატარებელი ადამიანები მიდრეკილნი არიან ცხოვრობდნენ ქალაქებში, რაც იძლევა კულტურული გაცვლის, პროფესიული ზრდისა და მრავალფეროვანი

გამოცდილების ზიარების შესაძლებლობებს; მეორე მხრივ ლოკალებს ურჩევნიათ გარემო, სადაც მათ შეუძლიათ შეინარჩუნონ მჭიდრო სოციალური კავშირები, შეკრული თემი და დაიცვან ადგილობრივი ტრადიციები და ნორმები. ამიტომაც, ისინი ძირითადად უფრო მეტად არიან მიჯაჭვულნი წარმოშობის ადგილთან და ურჩევნიათ იცხოვრონ ისეთ გარემოში, რომლის კულტურული და სოციალური პრაქტიკა მშობლიურია.

საქართველოში გამოკითხულთა მნიშვნელოვნად მაღალი პროცენტი (56.7%) ამჯობინებს დედაქალაქში ცხოვრებას. ეს უფრო კოსმოპოლიტურ ორიენტაციაზე მიუთითებს. დედაქალაქი წარმოადგენს მრავალფეროვანი შესაძლებლობების, გლობალურ ქსელებზე წვდომის, მულტიკულტურალიზმისა და კოსმოპოლიტური ღირებულებების კერას. თუმცა  ამის მიზეზი შეიძლება პრაგმატულიც იყოს, რადგან საქართველოში დედაქალაქი სთავაზოვს მოქალაქეებს დასაქმების მაღალ შესაძლებლობებს, სხვადასხვა ტიპის სერვისზე, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და კულტურულ ღონისძიებებზე უპირატეს ხელმისაწვდომობას. გერმანიაში ქართველი მიგრანტების მხოლოდ 25%-ს ურჩევნია დედაქალაქში ცხოვრება. ეს დაბალი პროცენტი შეიძლება მიუთითებდეს კოსმოპოლიტურ გარემოსთან შერჩევით ადაპტაციაზე ან სტრატეგიულ არჩევანზე, რადგან საშუალო და მცირე ზომის ქალაქები გერმანიაში (რასაც იქ მცხოვრები რესპონდენტები ანიჭებენ უპირატესობას) დედაქალაქის მსგავსად არის კეთილმოწყობილი და რეზიდენტებს ცხოვრების უფრო ნელ და მართვად ტემპს სთავაზობს. სწორედ ამიტომ, გერმანიაში მცხოვრები რესპონდენტები უფრო მეტად ანიჭებენ უპირატესობას ქალაქებში ცხოვრებას (45.2%), ვიდრე საქართველოში მცხოვრები რესპონდენტები (26.7%). აქვე გასათვალისწინებელია ის, რომ გერმანული ქალაქები (და არა მხოლოდ დედაქალაქი) გამოირჩევა თანაბრად განვითარებული ინფრასტრუქტურითა და მრავალფეროვანი ეკონომიკური შესაძლებლობებით. ასევე, მიგრანტებმა შესაძლოა დედაქალაქს რიგით ქალაქში ცხოვრება ამჯობინონ უფრო დაბალი საცხოვრებელი ხარჯების ან ნაკლებად კონკურენტული გარემოს გამო. საქართველოსგან განსხვავებით (1.1%), გერმანიაში მცხოვრებთა შესამჩნევ ნაწილს (10.6%) ურჩევნია მუნიციპალურ ან რეგიონულ ცენტრში ცხოვრება. ორივე ქვეყნიდან გამოკითხულთა მცირე პროცენტი ანიჭებს პატარა ქალაქებში ცხოვრებას უპირატესობას. ამ ტიპის დასახლების მომხიბვლელობა

ოდნავ მაღალია გერმანიაში (4.8%), ვიდრე საქართველოში (2.2%), რაც შეიძლება ასახავდეს წყნარ, ნაკლებად მჭიდროდ დასახლებულ საცხოვრებელ გარემოსთვის უპირატესობის მინიჭებას, დიდი ქალაქების ქაოსის და აურზაურის თავიდან აცილების მიზნით. ბარის სოფელში ცხოვრების უპირატესობა მსგავსია საქართველოსა (5.6%) და გერმანიაში (6.7%). როგორც ჩანს ბუნებრივი სილამაზე, მშვიდი გარემო და მჭიდრო სათემო ურთიერთობები ორივე ქვეყანაში მცხოვრებთა მხოლოდ მცირე ნაწილს იზიდავს. მთის სოფლებში ცხოვრების უპირატესობა ორივე ჯგუფში თითქმის იდენტურია (საქართველო - 7.8%, გერმანია - 7.7%). ეს შეიძლება მიუთითებდეს მთიანი რეგიონების მიერ შემოთავაზებული უნიკალური ცხოვრების მიმზიდველობაზე.

დასახლების ტიპის პრეფერენციასთან დაკავშირებით განსხვავება კოსმოპოლიტურ და ლოკალურ ორიენტაციას შორის შეიძლება არ იყოს მკაფიო, განსაკუთრებით იმ მიგრანტებისთვის, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ კოსმოპოლიტური გამოცდილება, მაგრამ ასევე ინარჩუნებენ ძლიერ ადგილობრივ კავშირებს. მაგალითად, გერმანიაში მიგრანტები, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ ქალაქებს (45,2%) ან მუნიციპალურ ცენტრებს (10,6%), შეიძლება ატარებდნენ კოსმოპოლიტურ ორიენტაციებს (მრავალფეროვნების, სერვისების და შესაძლებლობების ხელმისაწვდომობის კუთხით), ისევე როგორც ლოკალურ ორიენტაციებს (სათემო კავშირების და მართვადი გარემოს პრეფერენცია).

საქართველოში მცხოვრებთათვის მცირე ტიპის დასახლებებისგან განსხვავებით, დედაქალაქისთვის აშკარა უპირატესობის მინიჭება (56.7%), მიუთითებს კოსმოპოლიტურ-ლოკალურ ორიენტაციებს შორის ძლიერ განხეთქილებაზე. საქართველოში დედაქალაქი არის შედარებით ინტერნაციონალიზებული სივრცე, მაშინ როდესაც, სხვა ტიპის დასახლებები უფრო მეტად შეესაბამება ტრადიციულ ადგილობრივ ღირებულებებს. მიღებული შედეგები მიუთითებს, რომ კოსმოპოლიტიზმი და ლოკალიზმი არ არის ურთიერთგამომრიცხავი და შეიძლება თანაარსებობდეს ინდივიდუალური გარემოებებისა და კონტექსტების შესაბამისად. თუ საქართველოში დედაქალაქი წარმოადგენს კოსმოპოლიტიზმის მთავარ კერას, რასაც ადგილობრივები უმეტესად ირჩევენ; გერმანიაში ქართველი მიგრანტები ავლენენ კოსმოპოლიტური და

ლოკალური ორიენტაციის სპექტრს, რაც მიუთითებს დინამიურ ურთიერთკავშირზე კულტურული ფესვების შენარჩუნებასა და ახალ, მრავალფეროვან გარემოსთან ადაპტაციას შორის. ეს შედეგი კი თავის მხრივ ასახავს იმ სირთულეს, რაც უკავშირდება კოსმოპოლიტური და ადგილობრივი ორიენტაციების სხვადასხვა სოციალურ, კულტურულ და გეოგრაფიულ კონტექსტში ემპირიულად შესწავლას.

სხვა ცვლადებთან ერთად, კვლევაში შეტანილი იყო გასტრონომიული პრეფერენციების საზომი ცვლადი (იხ. დიაგრამა #18). შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოში მცხოვრები რესპონდენტები გაცილებით მეტ უპირატესობას ანიჭებენ ტრადიციულ კერძებს (20.0%), ვიდრე გერმანიაში მცხოვრები ქართველი მიგრანტები (4.8%). ეს მიუთითებს საქართველოში რესპონდენტთა ძლიერ ლოკალურ ორიენტაციაზე, რაც ასახავს მათ მშობლიური კვების კულტურასთან მიჯაჭვულობას. გერმანიაში ტრადიციული სამზარეულოს მიმართ ლოიალობის დაბალი პროცენტი შეიძლება გამოწვეული იყოს მულტიკულტურულ გარემოში არსებული სამზარეულოების უფრო ფართო სპექტრის ზემოქმედებით, რაც უფრო მეტად შეესაბამება კოსმოპოლიტურ ორიენტაციას. სახლში უცხოური კერძების მოხმარების შედარებით დაბალი პროცენტი ორივე ჯგუფში მიუთითებს იმაზე, რომ ოჯახთან ერთად სახლში კვება ან შერეულ ან ტრადიციულ საკვებ რაციოს მოიაზრებს. თუმცა, გერმანიაში ამ პრაქტიკის მიმდევართა მცირედით მაღალი პროცენტი (9.6%), (საქართველოსთან შედარებით - 4.4%) შეიძლება ასახავდეს უცხოურ გავლენებს და კოსმოპოლიტიზმისკენ მიდრეკილებას. „სახლში შერეული, ტრადიციული და უცხოური, კერძებით“ კვებისთვის უპირატესობის მინიჭება ორივე ჯგუფისთვის დამახასიათებელია, თუმცა საქართველოში (56,7%) გერმანიასთან შედარებით (47,1%) ოდნავ უფრო მაღალი ხვდომილებაა. საქართველოში რესპონდენტებისთვის ეს შეიძლება ასახავდეს კოსმოპოლიტურ ორიენტაციას, სადაც გლობალური გავლენები ინკორპორირებულია ადგილობრივ პრაქტიკასთან. გერმანიაში მცხოვრებ მიგრანტებთან ეს შეიძლება მიუთითებდეს ტრადიციული კულტურული კავშირების შენარჩუნებასა და ახალ, მრავალფეროვან გავლენებს შორის დამაბალანსებელი პრაქტიკის გამოყენებაზე, რაც გარდამავალი ან ჰიბრიდული კოსმოპოლიტურ-ლოკალური ორიენტაციის ნიშანია. გერმანიაში მცხოვრებ რესპონდენტებს შორის სწრაფი კვების ობიექტების მოხმარება უფრო მაღალია (12.5%), ვიდრე საქართველოში

(3.3%). ეს შეიძლება მიუთითებდეს გერმანიაში მიგრანტების კოსმოპოლიტურ ცხოვრების წესთან ადაპტაციაზე, სადაც კვების პრაქტიკაზე გავლენას ახდენს სწრაფი ურბანული ცხოვრება და გლობალური გასტრონომიული ტენდენციები. გერმანიაში რესპონდენტთა შესამჩნევად უფრო მაღალი პროცენტი (26.0%) ამჯობინებს ჯანსაღ საკვებს, ვიდრე საქართველოში (15.6%). ეს უპირატესობა ემთხვევა კოსმოპოლიტურ ორიენტაციას, სადაც ინდივიდებზე გავლენას ახდენენ ჯანსაღი კვების გლობალური დისკურსები. საქართველოში რესპონდენტები შესაძლოა უფრო მეტად იყვნენ მიბმული ტრადიციულ გასტრონომიულ წესებზე. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ქართველ რესპონდენტებსა და გერმანიაში მყოფ ქართველ მიგრანტების გასტრონომიულ პრეფერენციებზე გავლენას ახდენს როგორც ლოკალური, ისე კოსმოპოლიტური ორიენტაცია. მიუხედავად იმისა, რომ ქართველები თავიანთ ქვეყანაში ავლენენ უფრო ძლიერ მიდრეკილებას ტრადიციული სამზარეულოს მიმართ, ისინი ასევე გლობალური გავლენის მიმღებლები არიან. პირიქით, ქართველი მიგრანტები გერმანიაში აჩვენებენ უფრო კოსმოპოლიტურ ორიენტაციას, რაც ასახავს მათ მულტიკულტურულ და მრავალფეროვან გასტრონომიულ გარემოში ინტეგრაციას, მაშინ როდესაც ისინი მცირე დოზით ინარჩუნებენ ტრადიციული კვების გარკვეულ ელემენტებს. კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების ეს ნაზავი ხაზს უსვამს სხვადასხვა სოციალურ და გეოგრაფიულ კონტექსტში კულტურული ადაპტაციის ცვალებად და დინამიურ ბუნებას.

კვლევის პროცესში დავსვი კითხვა, გართობის რომელ ფორმას ანიჭებდნენ უპირატესობას ხუთ განსხვავებულ კონტექსტში - თანამშრომლებთან, მეგობრებთან, ოჯახში, თემში და უცხოებთან (იხ. ცხრილი #3) (ეს გახლდათ მრავალპასუხიანი კითხვა, შესაბამისად, თითოეული კატეგორიისათვის ჯამური პროცენტი 100-ს აღემატება). როგორც გერმანიაში, ისე საქართველოში მცხოვრები რესპონდენტები თანამშრომლებთან გართობისას უპირატესობას ანიჭებენ ტრადიციულ სუფრას (საქართველო - 47.4%, გერმანია - 48.5%). გერმანიაში გამოკითხულთა უფრო დიდ წილს (61.9%) ურჩევნია გართობის არატრადიციული ფორმები, ვიდრე საქართველოში (42.1%), რაც მიუთითებს მიგრანტებში კოსმოპოლიტურ ორიენტაციებზე. ოჯახის წევრებთან ორივე ჯგუფი დიდი უპირატესობა ენიჭება ტრადიციულ სუფრასთან გართობას (საქართველო - 48.7%, გერმანია - 54.1%), რაც ხაზს უსვამს ლოკალურ

ორიენტაციას და კულტურულ განგრძობადობას. თუმცა, რესპონდენტთა მნიშვნელოვანი წილი გერმანიაში (67.6%) ასევე მხარს უჭერს ოჯახში არატრადიციულ გართობის ფორმას, რაც მიუთითებს სიახლეების შეთვისებასა და ლოკალური და კოსმოპოლიტური ორიენტაციის შერწყმაზე. მიგრანტები უმეტესად უპირატესობას ანიჭებენ მეგობრებთან ერთად ტრადიციულ შეკრებებს (93,7%), ვიდრე საქართველოში მცხოვრები პირები (53,7%), რაც მიუთითებს საზღვარგარეთ ნაცნობი ადათ-წესების შენარჩუნების ძლიერ სურვილზე. საწინააღმდეგოდ, მეგობრებთან არატრადიციული სოციალიზაციის ფორმა ნაკლებად გავრცელებულია გერმანიაში (3.9%), ვიდრე საქართველოში (41.1%), რაც გულისხმობს სოციალური ჩართულობის ახალი ფორმების ნაკლებპრიორიტეტულობაზე. ორივე ჯგუფი სათემო გარემოში ტრადიციულ შეკრებებს უჭერს მხარს (საქართველო - 84.6%, გერმანია - 80.2%), რაც ხაზს უსვამს კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა და ლოკალური ორიენტაციის მნიშვნელობას სათემო გარემოში. საქართველოში უცნობ ადამიანებთან რესპონდენტები უპირატესობას ანიჭებენ ტრადიციული გართობის ფორმას (59.2%), ვიდრე გერმანიაში მცხოვრები მიგრანტები (52.2%). ამასთანავე, მიგრანტები უცხო გარემოცვაში მარტო ყოფნას ამჯობინებენ, ვიდრე საქართველოში მცხოვრები პირები (34.4%). საერთო ჯამში, შედეგები მიუთითებს, რომ ქართველი მიგრანტები საზღვარგარეთ აბალანსებენ ლოკალურ და კოსმოპოლიტურ ორიენტაციას. ისინი მიდრეკილნი არიან შეინარჩუნონ ტრადიციული პრაქტიკა, განსაკუთრებით ახლო და ნაცნობ გარემოში (მაგ., ოჯახთან და მეგობრებთან), რაც ასახავს ლოკალურ ორიენტაციას. თუმცა, პროფესიულ და უფრო ფართო სოციალურ გარემოში (მაგ., თანამშრომლებთან ან უცნობებთან), შესამჩნევია კოსმოპოლიტიზმისკენ გადახრა, რაც გულისხმობს გართობის მრავალფეროვანი და არატრადიციული ფორმების გამოყენებას. გართობის როგორც ტრადიციული, ისე არატრადიციული ფორმების გამოყენება მიგრანტებში კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციებს შორის დინამიურ ურთიერთკავშირზე მიგვანიშნებს.

კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციის ემპირიული გამოვლენისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლადია უცხოელებთან ურთიერობების სიმარტივე (იხ. დიაგრამა #19). საქართველოში მცხოვრებ რესპონდენტთა 73,3%-მა აღნიშნა, რომ ადვილად ამყარებს კონტაქტს უცხოელებთან, გერმანიაში კი ეს მაჩვენებელი 65,4%-ს

შეადგენს. ეს განსხვავება იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოში ინდივიდების უფრო დიდი ნაწილი თავს უფრო თავდაჯერებულად ან ღიად გრძნობს სხვადასხვა კულტურული წარმომავლობის ადამიანებთან ურთიერთობაში, რაც კოსმოპოლიტური ორიენტაციის შესაბამისია. კოსმოპოლიტებს ახასიათებთ სხვა კულტურების მიმართ ცნობისმოყვარეობა, ადაპტირება და გლობალური ხედვა. გერმანიაში მცხოვრებ ქართველ მიგრანტებს შორის ოდნავ დაბალი პროცენტი (65.4%) შეიძლება ასახავდეს უცხო ქვეყანაში მათი ადაპტაციის პროცესს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი მაინც ავლენენ კოსმოპოლიტურ თვისებებს, მიგრანტად ყოფნის გამოცდილებამ შესაძლოა გამოიწვიოს ადგილობრივებთან ურთიერთობისგან თავის შეკავება. ამის საწინააღმდეგოდ, გერმანიაში მცხოვრებ რესპონდენტთა 19,2%-მა აღნიშნა, რომ უჭირს უცხოელებთან კონტაქტის დამყარება, საქართველოში კი ეს მაჩვენებელი 14,4%-ია. ეს განსხვავება იმაზე მეტყველებს, რომ გერმანიაში მყოფი ქართველი მიგრანტების მნიშვნელოვან ნაწილს სხვადასხვა წარმოშობის ადამიანებთან ურთიერთობსას შეიძლება ჰქონდეს დისკომფორტი. იმ რესპონდენტთა წილი, ვისაც პასუხის გაცემა გაუჭირდა, შედარებით მსგავსია: 12,2% -საქართველოში და 15,4% - გერმანიაში. რესპონდენტთა მსგავსი ამბივალენტური განწყობა შეიძლება მიუთითებდეს, რომ ინდივიდები ან არ არიან დარწმუნებულნი კულტურათაშორისი ურთიერთქმედების კომფორტულობაში, ან ჰქონიათ წინააღმდეგობრივი გამოცდილებები. შედეგები აჩვენებს, რომ რესპონდენტები როგორც საქართველოში, ასევე გერმანიაში, კოსმოპოლიტურ ორიენტაციებს ავლენენ, გამოკითხულთა უმრავლესობა მიუთითებს უცხოელებთან კონტაქტის სიმარტივეზე.

კვლევის პროცესში გამოვავლინე, თუ რამდენად თავშეკავებულები არიან უცხოებთან ურთიერთობაში საქართველოში და გერმანიაში მცხოვრები რესპონდენტები (იხ. დიაგრამა #20). საქართველოში უფრო მეტმა რესპონდენტთა (72.2%) განაცხადა, რომ უცხო ადამიანებთან ურთიერთობაში თავშეკავებულნი არიან, ვიდრე გერმანიაში (47.1%). უცხოებთან ურთიერთობისას თავშეკავებულობის მაღალი მაჩვენებელი საქართველოში მცხოვრებ რესპონდენტებთან უფრო ლოკალურ ორიენტაციაზე მიუთითებს, რადგან სოციალურ ინტერაქციაში ისინი სიფრთხილეს იჩენენ. მეორეს მხრივ, ქართველი მიგრანტები გერმანიაში უფრო მეტ კოსმოპოლიტურ თვისებებს ავლენენ და თავისუფლად ოპერირებენ უცნობ სოციალურ გარემოში. ეს

განსხვავება მიუთითებს, რომ გარემო და კონტექსტი გავლენას ახდენს სოციალურ ქცევაზე.

რესპონდენტთა ინტერკულტურული გამოცდილება შევაფასე ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ მოგზაურობის სიხშირით. ზოგადად, კოსმოპოლიტები უფრო მობილურები არიან და მზად არიან შეიმეცნონ ახალი გარემო, თუნდაც იმ ქვეყნის საზღვრებში, სადაც ისინი ცხოვრობენ. კვლევამ გამოავლინა, რომ გერმანიაში მცხოვრები ქართველი მიგრანტები უფრო ხშირად მოგზაურობენ (17.3% მოგზაურობს „თვეში რამდენჯერმე“), ვიდრე საქართველოში მცხოვრები რესპონდენტები (7.8% მოგზაურობს „თვეში რამდენჯერმე“) (იხ. დიაგრამა #21). პირიქით, საქართველოში უფრო მეტი ადამიანი მოგზაურობს „თვეში ერთხელ“ (17,8%), ვიდრე გერმანიაში (7.3%). თუ თვეში რამდენჯერმე ან თვეში ერთხელ მოგზაურობას შევაჯამებთ, დიდი განსხვავება საქართველოში და გერმანიაში მცხოვრებ პირთა მოგზაურობის პატერნში არ გამოვლინდება (24.6% გერმანია და 25.1% საქართველო). ორივე ქვეყანაში ადამიანების მნიშვნელოვანი რაოდენობა აღნიშნავს, რომ მოგზაურობს „სამ თვეში ერთხელ“ ან „ექვს თვეში ერთხელ“. ქართველი მიგრანტები გერმანიაში „სამ თვეში ერთხელ“ უფრო ხშირად მოგზაურობენ (26,9%), ვიდრე საქართველოში (16,7%). იმ ადამიანთა პროცენტული მაჩვენებელი, ვინც მოგზაურობს მხოლოდ „წელიწადში ერთხელ“ ან „უფრო იშვიათად,“ ორივე ჯგუფში მსგავსია (დაახლოებით 16-17% საქართველოში და გერმანიაში). საქართველოში რესპონდენტთა მცირედით მეტმა პროცენტმა (8.9%) განაცხადა, რომ ისინი არ მოგზაურობენ ქვეყნის შიგნით, ვიდრე გერმანიაში (3.8%). კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ ქართველი მიგრანტები გერმანიაში ავლენენ მცირედით უფრო კოსმოპოლიტურ ქცევას, რაც ჩანს მათი ქვეყნის შიგნით მოგზაურობის მაღალი სიხშირით, ვიდრე საქართველოში მცხოვრები რესპონდენტები. საქართველოში მოგზაურობის სიხშირის განაწილება შედარებით უფრო ლოკალისტურ ორიენტაციას გვთავაზობს, რადგან მოგზაურობა ნაკლებად ხშირია და ინდივიდების უფრო დიდ ნაწილს ურჩევნია დარჩეს ნაცნობ გარემოში. თუმცა აქვე გასათვალისწინებელია სოციო-ეკონომიკური ფაქტორიც, რადგან საქართველოში მცხოვრები რესპონდენტების ეკონომიკურ მდგომარეობა გერმანიაში მცხოვრები პირების ეკონომიკურ მდგომარეობაზე დაბალია, რაც მოგზაურობის დაბალ სიხსირეს უთიოდ განსაზღვრავს.

ორივე ქვეყანაში მცხოვრებ რესპონდენტთა ქვეყნის გარეთ მოგზაურობის სიხშირე გაცილებით უფრო დაბალია, ვიდრე ქვეყნის შიგნით მოგზაურობის (იხ. დიაგრამა #22). ორივე ჯგუფი (საქართველო და გერმანია) ყოველთვიურად ან უფრო ხშირად მოგზაურობის ძალიან დაბალ სიხშირეს აფიქსირებს (საქართველო - 1.1%, გერმანია 1.0%). "სამ თვეში ერთხელ" მოგზაურობა უფრო ხშირია გერმანიაში (18,3%), ვიდრე საქართველოში (8,9%). ანალოგიურად, გერმანიაში მიგრანტები უფრო ხშირად მოგზაურობს „ექვს თვეში ერთხელ" (28,8%), ვიდრე საქართველოში (18,9%). ორივე ჯგუფის თითქმის თანაბარი წილი მოგზაურობს საზღვარგარეთ წელიწადში ერთხელ (28.9% საქართველოში, 28.8% გერმანიაში). საქართველოში მცხოვრები პირების საგრძნობლად უფრო მაღალი პროცენტი (21.1%) აცხადებს, რომ არ მოგზაურობს ქვეყნის გარეთ, ვიდრე გერმანიაში, სადაც ეს მაჩვენებელი 7.7%-ია. საზღვარგარეთ მოგზაურობის სიხშირით გერმანიაში მცხოვრები მიგრანტები გამოირჩევიან, რაც კოსმოპოლიტური ორიენტაციის ნიშანია, თუმცა, საქართველოს და გერმანიას შორის ეკონომიკური უთანასწორობა, აქაც გასათვალსიწინებელი ინდიკატორია, რამაც შეიძლება ეს განსხვავება განაპირობოს.

კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციის გამოსავლენად საკვანძო მნიშვნელობა ჰქონდა რესპონდენტთა სხვა კულტურის მიმართ ღიაობის შეფასებას. მათ ვუსვამდე კითხვას: „ადვილია თუ არა თქვენთვის სხვა კულტურის ღირებულებების და ნორმების გათავისება?" (პასუხებისთვის იხილეთ დიაგრამა #23). საქართველოში გამოკითხულთა 76,7% აცხადებს, რომ ადვილად ითვისებს სხვა კულტურის ღირებულებებსა და ნორმებს. ეს მაღალი პროცენტი მიუთითებს ღიაობის მაღალ დონეზე და მზადყოფნაზე ჩაერთოს სხვადასხვა კულტურებთან ინტერაქციაში, მიუხედავად იმისა, რომ გერმანიაში ქართველ მიგრანტებთან შედარებით ცხოვრობენ შედარებით ნაკლებად გლობალიზებულ გარემოში. ეს გახსნილობა შეიძლება ასახავდეს კოსმოპოლიტიზმისკენ მისწრაფებებს. გერმანიაში მყოფ ქართველ მიგრანტებს შორის 63,5%-ს უადვილდება სხვა კულტურის ღირებულებებისა და ნორმების გათავისება, ეს პროცესი კი 36,5%-ს უჭირს. მიგრანტები ყოველდღიურად ეჩეხებიან კულტურულ განსხვავებებს, რაც რიგ შემთხვევაში შეიძლება მტკივნეული პროცესი იყოს. სწორედ ეს მიზეზი შეიძლება მიუთითებდეს მათი ნაწილის ლოკალური ორიენტაციისკენ გადახრაზე, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ბევრად

უფრო გლობალურ გარემოში ცხოვრობენ. მიგრანტებს როგორც წესი, ექმნებათ კულტურული ინტეგრაციისა და საკუთარი კულტურული იდენტობის შენარჩუნების დილემა, ამიტომაც, მათი მესამედი მიუთითებს, რომ უჭირთ სხვა კულტურის ღირებულებების და ნორმების გათავისება.

გამოკითხვამ ასევე გამოავლინა საქართველოში და გერმანიაში მცხოვრებ რესპონდენტთა შორის ქართული ტრადიციების მნიშვნელობა (იხ. დიაგრამა #24). საქართველოში გამოკითხულთა 14,4%-მა განაცხადა, რომ მათთვის მნიშვნელოვანია ყველა ქართული ტრადიცია, ხოლო 41,1%-მა თქვა, რომ ტრადიციების უმეტესობა მნიშვნელოვანია. ეს ასახავს ადგილობრივ წეს-ჩვეულებებთან და კულტურასთან ძლიერ მიჯაჭვულობას, რაც ლოკალიზმის ნიშანია. გერმანიასთან შედარებით საქართველოში შედარებით მაღალი პროცენტი იმაზე მეტყველებს, რომ მშობლიურ გარემოში ყოფნა ხელს უწყობს კულტურული ტრადიციების შენარჩუნებას და დაცვას. ლოკალური ორიენტაციის მატარებელი პირები ხშირად განიხილავენ ადგილობრივ ტრადიციებსა და ღირებულებებს, როგორც მათი იდენტობის აუცილებელ კომპონენტს, და ეს მონაცემები ადასტურებს, რომ საქართველოში ადამიანები უფრო მეტ სიახლოვეს გრძნობენ თავიანთ ფესვებთან. გერმანიაში მყოფ ქართველ მიგრანტებს შორის მხოლოდ 9,6%-მა განაცხადა, რომ ყველა ქართული ტრადიცია მნიშვნელოვანია, ხოლო 26,9%-მა განაცხადა, რომ ტრადიციების უმეტესობა მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, გამოკითხულთა 17.3%-მა განაცხადა, რომ მათთვის ქართული ტრადიცია არ არის მნიშვნელოვანი, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება საქართველოში არსებული ტენდენციისგან (ეს პასუხი საქართველოში მცხოვრებ რესპონდენტთა 2.2%-მა მიუთითა). ეს იმაზე მეტყველებს, რომ მიგრანტები უფრო მეტად ითვისებენ კოსმოპოლიტურ თვისებებს, სადაც მათ შეუძლიათ პრიორიტეტი მიანიჭონ გლობალურ ან მასპინძელი ქვეყნის ღირებულებებს. ამ ტენდენციის ახსნისას ასევე გასათვალისწინებელია ის, რომ მიგრანტები ხშირად განიცდიან ახალ კულტურულ გარემოსთან ინტეგრაციისა და ადაპტაციის პროცესში წნეხს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ტრადიციულ წეს-ჩვეულებებთან და ღირებულებებთან კავშირების შესუსტება.

ქართული ტრადიციების მნიშვნელობასთან ერთად, კვლევის პროცესში, გავზომე სხვა კულტურის ღირებულებებისა და ნორმების მიმართ ლოიალობა (იხ.

დიაგრამა #25). როგორც საქართველოდან, ასევე გერმანიიდან რესპონდენტთა დიდი ნაწილი ავლენს სხვა კულტურის ღირებულებებისა და ნორმების მიმართ ლოიალობის მაღალ დონეს. საქართველოში გამოკითხულთა 47.8% ამბობს, რომ სხვა კულტურის ღირებულებებისა და ნორმების მიმართ „უფრო ლოიალურია, ვიდრე არალოიალური“, ხოლო 22.2% ამბობს, რომ - „ძალიან ლოიალურია“. შესაბამისად, გერმანიაში გამოკითხულთა 28,8% და 26,9% იგივე განწყობას გამოხატავს. ეს მაჩვენებლები ხაზს უსვამს კულტურული მრავალფეროვნებისადმი ძლიერ ღიაობას და ადაპტირებას, რაც კოსმოპოლიტიზმის მთავარი მახასიათებელია. კოსმოპოლიტები უფრო მეტად იღებენ სხვა კულტურებს და მზად არიან მოახდინონ ახალი ღირებულებების თავიანთ მსოფლმხედველობაში ინტეგრირება. მეორე მხრივ, რესპონდენტთა წილი, რომლებიც სხვა კულტურის ღირებულებებისა და ნორმების მიმართ „უფრო არალოიალურია, ვიდრე ლოიალური“ ან „საერთოდ არლოიალურია“ შედარებით დაბალია, საქართველოში (4.4%), ვიდრე გერმანიაში (10.6%). რესპონდენტთა ეს მცირე რაოდენობა, შეიძლება წარმოადგენდეს უფრო ძლიერი ლოკალისტური ტენდენციების მქონე პირებს - მათ, ვინც ამჯობინებს შეინარჩუნოს საკუთარი კულტურული ფასეულობები და შეეწინააღმდეგონ სხვა კულტურის ნორმების მიღებას.

რესპონდენტებს ასევე უნდა შეეფასებინათ საკუთარი ერის (აქ ერს ეთნონაციონალური მნიშვნელობით ვიყენებ და არა მოქალაქეობის კუთხით) კულტურით კმაყოფილება (იხ. დიაგრამა #26). საქართველოში რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა კმაყოფილია თავისი კულტურით. კონკრეტულად, 45.6% "უფრო კმაყოფილია, ვიდრე უკმაყოფილო", ხოლო 32.2% "ძალიან კმაყოფილია". ეს მიუთითებს ადგილობრივ კულტურასთან ძლიერ მიჯაჭვულობაზე, რომელიც უფრო მეტად შეესაბამება ლოკალიზმს, სადაც ინდივიდები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ადგილობრივ ტრადიციებსა და კულტურას. მხოლოდ 17,8% არის ნეიტრალური, ხოლო არცერთი რესპონდენტი არ არის „ძალიან უკმაყოფილო“. ეს მიუთითებს ქართული კულტურული ნორმებითა და ღირებულებებით გავრცელებულ სიამაყეზე. გერმანიაში მცხოვრებ ქართველ მიგრანტებს შორის ტენდენცია განსხვავებულია. უფრო დაბალი პროცენტი (15.4%) არის „ძალიან კმაყოფილი“ ქართული კულტურით, ხოლო შედარებით მაღალი პროცენტი „არც

კმაყოფილია და არც უკმაყოფილო“ (24.0%). გარდა ამისა, რესპონდენტთა მცირე წილი უკმაყოფილოა თავისი კულტურული ფესვებით (6.7% არის „ძალიან უკმაყოფილო“ და 9.6% „უფრო უკმაყოფილო, ვიდრე კმაყოფილი“). ეს შედეგები მიუთითებს კოსმოპოლიტიზმისაკენ გადახრისკენ, სადაც უცხო გარემოში მყოფი ინდივიდები შეიძლება უფრო ღია იყვნენ ახალი კულტურული ნორმების მიღებისთვის და ნაკლებად მჭიდროდ იყვნენ მიბმული მშობლიურ კულტურასთან.

## კვლევაში მონაწილე პირების კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების ემპირიული ანალიზი

თუ აქამდე განხილული ცვლადები ლოკალიზმსა და კოსმოპოლიტიზმს კონცეპტუალურ დონეზე გამოვლენილი მნიშვნელობების მიხედვით ზომავდა, ამ ნაწილში განვიხილავთ ლოკალური და კოსმოპოლიტური ორიენტაციის შესახებ ინფორმირებულობას და თვითიდენტიფიკაციას. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ საქართველოში გამოკითხულთა 88,9%, ხოლო გერმანიაში 88,5% იცნობს „ლოკალის“ ტერმინს (იხ. დიაგრამა #27). ამის საპირისპიროდ, როგორც საქართველოში ისე გერმანიაში მცხოვრებ რესპონდენტთა მხოლოდ მცირე პროცენტმა არ იცის ამ ცნების შესახებ (7,8%-მა საქართველოში და 5,8%-მა გერმანიაში, უპასუხა "არა"), ხოლო 3.3%-მა საქართველოში და 5.8%-მა გერმანიაში მიუთითა პასუხი „მიჭირს პასუხის გაცემა“. რაც შეეხება ტერმინს „კოსმოპოლიტი“, კიდევ უფრო მაღალია ამ ცნების შესახებ ინფორმირებულობა. კითხვას „იცით თუ არა, რას ნიშნავს „კოსმოპოლიტი“?“ „დიახ“ უპასუხა საქართველოში გამოკითხულთა 93,3%-მა და გერმანიაში 92,3%-მა. საქართველოში მხოლოდ 2.2%-მა და გერმანიაში 3.8%-მა არ იცის ტერმინი კოსმოპოლიტი, ხოლო 4.4%-მა საქართველოში და 3.8%-მა გერმანიაში თავი შეიკავა პასუხისგან. ეს მაჩვენებლები მიუთითებს ორივე ქვეყანაში ადგილობრივი და კოსმოპოლიტური ცნებების შესახებ მაღალ ინფორმირებულობაზე, ტერმინი „კოსმოპოლიტური“ ლიდერობს, რაც შეიძლება ასახავდეს გლობალურ პერსპექტივების შესახებ უფრო დიდ ცოდნას. ის ფაქტი, რომ ორივე გარემოში უფრო მეტ რესპონდენტს ესმის ტერმინი „კოსმოპოლიტი“, მიუთითებს კოსმოპოლიტური ღირებულებებისკენ მიდრეკილებაზე.

კვლევაში ყველაზე კრიტიკული კითხვა იყო რესპონდენტთა თვითთიდენტიფიკაცია ლოკალად ან კოსმოპოლიტად (იხ. დიაგრამა #28). ეს კითხვა

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა მას შემდეგ, რაც კვლევამ გამოავლინა, რომ რესპონდენტები ტერმინებს „ლოკალი“ და „კოსმოპოლიტი“ იცნობდნენ. კვლევამ შესამჩნევი განსხვავება გამოავლინა საქართველოსა და გერმანიაში გამოკითხულ რესპონდენტებს შორის. ლოკალად თვითიდენტიფიკაციას გერმანიაში გამოკითხული ყოველი მეოთხე რესპონდენტი მიიჩნევს (24.5%), რაც საქართველოში გამოკითხულთა შორის მხოლოდ 12,5%--ია. შესაბამისად, საქართველოში მნიშვნელოვანმა უმრავლესობამ, 68,8%-მა უპასუხა, რომ თავს არ მიიჩნევენ ლოკალად, ხოლო გერმანიაში 60,8%-მა ასევე უპასუხა იგივე. სხვა კითხვებთან შედარებით, ამ კითხვაზე შედარებით მაღალია იმ რესპონდენტების წილი, ვისაც ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა (საქართველოში 18,8% და გერმანიაში 14,7%). მეორე მხრივ, ორივე ქვეყანაში გამოკითხულთა უფრო მაღალი პროცენტი მიიჩნევს თავს კოსმოპოლიტად (საქართველოში გამოკითხულთა 68.8% და გერმანიაში გამოკითხულთა 50.0%). კოსმოპოლიტური ორიენტაციის გამზიარებლად თავი არ მიმიჩნია საქართველოში რესპონდენტთა 6.3%-მა, ხოლო გერმანიაში 19.6%-მა, ხოლო საქართველოში 25.0%-ს და გერმანიაში 30.4%-ს კვლავ გაუჭირდა აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა. ლოკალად და კოსმოპოლიტად თვითიდენტიფიკაციის ინკლუზიურობის გამოსავლენად მოვახდინეთ ამ ორი ცვლადის კროსტაბულაცია. აღნიშნულმა სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ საქართველოში მხოლოდ ორმა რესპონდენტმა და გერმანიაში მხოლოდ ოთხმა რესპონდენტმა მიაკუთვნა თავი ორივე კატეგორიას (ანუ ორივე კითხვაზე - „მიგაჩნიათ თავი ლოკალად?“ „მიგაჩნიათ თავი კოსმოპოლიტად“? - უპასუხა დიახ). ინკლუზიურობის პრინციპის დაცვისთვის, შემდეგი ანალიზისას ეს ორი შემთხვევა ამოვიღეთ ბაზიდან.

ავხსნათ გერმანიისა და საქართველოს შედეგებს შორის კონტრასტი. კვლევის შედეგები გვკარნახობს, რომ საქართველოში რესპონდენტები უფრო მეტად ახდენენ კოსმოპოლიტურ თვითიდენტიფიკაციას, მიაჩნიათ, რომ უფრო ადვილად იზიარებენ გლობალურ ან მულტიკულტურულ კონცეფციებს. ეს ტენდენცია მცირედით განსხვავებულია გერმანიაში, სადაც ნახევარი თავს კოსმოპოლიტად მიიჩნევს, თუმცა ყოველი მეოთხე ლოკალური ორიენტაციისენ გადახრილად მიიჩნევს თავს, რაც პოტენციურად მიუთითებს მათ მიერ ადგილობრივი კულტურული ნორმებისთვის უპირატესობის მინიჭებაზე ან გლობალურ იდენტობებთან ადაპტაციის გამოწვევებზე.

ეს ხაზს უსვამს საინტერესო დინამიკას, რომ საქართველოში მცხოვრები რესპონდენტები, მიუხედავად იმისა, რომ უფრო ტრადიციულად ადგილობრივ კონტექსტში არიან, უფრო კოსმოპოლიტებად მიიჩნევენ თავს, ვიდრე მათი თანამემამულეები გერმანიაში.

საქართველოსა და გერმანიაში მსგავსი იდენტობის (ლოკალი თუ კოსმოპოლიტური) მქონე პირების სიმრავლის გამოსავლენად რესპონდენტებს დავუსვით კითხვა: "იცნობთ თუ არა  თქვენს მსგავს ადამიანს/ადამიანებს (ლოკალს/კოსმოპოლიტს)?" (პასუხები იხილეთ დიაგრამაზე #29). საქართველოში მცხოვრებ რესპონდენტთა უფრო წილი (66.7%) აცხადებს, რომ იცნობს მათნაირ (ლოკალს/კოსმოპოლიტს) პიროვნებებს, რაც მიუთითებს მსგავსი იდენტობის მქონე პირთა უფრო ძლიერ ქსელზე, რაც ასახავს ქართულ საზოგადოებაში კოსმოპოლიტური იდენტიფიკაციის უფრო დიდ ხარისხს. კოსმოპოლიტები მიდრეკილნი არიან იოლად მოახდინონ ნავიგაცია როგორც ლოკალურ, ისე გლობალურ კონტექსტში. ამის საპირისპიროდ, გერმანიაში გამოკითხულთა მხოლოდ 50.0%-მა თქვა, რომ იცნობს მათნაირ ადამიანებს, ხოლო დიდმა ნაწილმა (46.2%) არ იცის მათ შესახებ. აქ გასათვალისწინებელია, რომ ეს შეიძლება მიუთითებდეს გერმანიაში მცხოვრებ რესპონდენტებს შორის უფრო ძლიერ ადგილობრივ ორიენტაციაზე ან უფრო იზოლირებულ გამოცდილებაზე. ამის მიზეზი შეიძლება იყო კოსმოპოლიტურ ქსელებში ინტეგრაციის ნაკლებობა და უფრო ხისტი სოციალური სტრუქტურები ან მიგრანტთა შორის ადგილობრივ იდენტობაზე უფრო ძლიერი აქცენტი.

ეს ტენდენცია საინტერესოა კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციის კონტექსტში. ის რესპონდენტები, რომლებიც თავს კოსმოპოლიტად მიიჩნევენ, საქართველოში მათი 18.2% და გერმანიაში მათი 3.9% აღნიშნავს რომ  არ იცნობენ მსგავსი ორიენტაციის ადამიანებს. თუ იგივე ტენდენციას ვნახავთ ლოკალური ორიენტაციის მქონე პირებთან, დავინახავთ, რომ საქართველოში მცხოვრებთა 50% და გერმანიაში მცხოვრებთა 4% არ იცნობს თავისი მსგავსი (ანუ ლოკალური) ორიენტაციის ადამიანს. ეს ტენდენცია მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში კოსმოპოლიტთა ქსელი უფრო ფართოა, ვიდრე ლოკალების.

და ბოლოს, აქცენტი გავაკეთეთ ლოკალური და კოსმოპოლიტური ორიენტაციის მქონე პირების კონფლიქტებზე განსხვავებული ორიენტაციის მქონე პირებთან (იხ. დიაგრამა #30). კვლევამ ორივე კონტექსტში გამოავლინა კონფლიქტის დაბალი დონე: რესპონდენტთა უმრავლესობა როგორც საქართველოში (90%) დაე გერმანიაში (88.5%) აღნიშნავს, რომ არ აქვს კონფლიქტი სხვა იდენტობის (ლოკალური ან კოსმოპოლიტური) მქონე ადამიანებთან. ეს იმაზე მეტყველებს, რომ მიუხედავად ამ ორ ორიენტაციას შორის თეორიული განსხვავებისა, ლოკალებს და კოსმოპოლიტებს შორის იდენტობის დაძაბულობა ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად არ შეინიშნება ან არ აღიქმება რესპონდენტების მიერ. ეს შეიძლება მიუთითებდეს ორივე საზოგადოებაში განსხვავებული ღირებულებების მქონე პირების უფრო მშვიდობიან თანაარსებობაზე ან ამ ჯგუფებს შორის პირდაპირი დაპირისპირების არარსებობაზე. გერმანიაში რესპონდენტთა ოდნავ უფრო მეტმა პროცენტმა (11.5%) მიუთითა, რომ აქვს კონფლიქტი სხვადასხვა იდენტობის მქონე პირ(ებ)თან, ვიდრე საქართველოსში (10.0%). ეს შეიძლება გამოწვეული იყოს გერმანიაში, როგორც მიგრანტების დიდ მიმღებ ქვეყანაში, ინტეგრაციის რთულ პროცესზე რამაც შეიძლება გააძლიეროს იდენტობაზე დაფუძნებული დაძაბულობა. მიგრანტებს შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული დამოკიდებულება ლოკალიზმისა და კოსმოპოლიტიზმის მიმართ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ცდილობენ დააბალანსონ თავიანთი კულტურული მემკვიდრეობა მათი მასპინძელი საზოგადოების ნორმებთან.

სხვა ორიენტაციის მატარებელ ტიპებთან კონფლიქტების კვლევისას შედეგები შევადარეთ ორიენტაციის მიხედვით. კვლევამ აჩვენა, რომ ლოკალური ორიენტაციის მქონე პირებ ოდნავ მეტად აქვთ კონფლიქტები სხვა ტიპის (ანუ კოსმოპოლიტური) ორიენტაციის მქონე ადამიანებთან (14.8%), ვიდრე კოსმოპოლიტებს (12.9%). თუ ამ შედეგებს ვნახავთ ქვეყნების მიხედვით, დავინახავთ, რომ როგორც კოსმოპოლიტებს, ისე ლოკალებს კონფლიქტი ოდნავ უფრო ხშირად გერმანიაში აქვთ, ვიდრე საქართველოში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მიგრაციის კონტექსტში ლოკალური იდენტობის მქონე პირს კიდევ უფრო უჭირს სოციალურ გარემოსთან ჰარმონიული თანაარსებობა, ვიდრე კოსმოპოლიტური იდენტობის ადამიანებს.

## ლოკალური და კოსმოპოლიტური ორიენტაციის სოციო-დემოგრაფიული მდგენელები

ლოკალური და კოსმოპოლიტური ორიენტაციის ჩამოყალიბების კუთხით, მნიშვნელოვანია შევისწავლოთ აქვთ თუ არა მათზე სხვადასხვა სოციო-დემოგრაფიულ ცვლადებს გავლენა. ამ კუთხით, პირველ რიგში გამოვიანგარიშე ყველა ზემოთ განხილულ სოციო-დემოგრაფიული ცვლადის კორელაცია კოსმოპოლიტურ და ლოკალურ ორიენტაციასთან. კორელაციური კავშირი მხოლოდ ქორწინების მდგომარეობასთან გამოვლინდა. კროსტაბულაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ლოკალური ორიენტაციის მაღალი წილი გვხვდება დაუოჯახებელ პირებში (დაუოჯახებელთა 55.6% ავლენს ლოკალურ თვითიდენტიფიკაციას, მაშინ როდესაც დაუოჯახებელთა 35.5% მიიჩნევს თავს კოსმოპოლიტად). მცირედი განსხვავებაა ასევე მეუღლის წარმოშობის კუთხით, ქართველზე დაქორწინებულები უფრო მეტად მიიჩნევენ თავს ლოკალებად (22.2%), ვიდრე უცხოელებზე დაქორწინებულები (18.5%).

მიუხედავად იმისა, რომ სხვა ცვლადებს შორის კორელაციური კავშირი არ გამოვლინდა, მაინც შევეხები კროსტაბულაციური ანალიზისას გამოვლენილ სხვადასხვა ტენდენციებს. მაგალითად, ლოკალად და კოსმოპოლიტად თვითიდენტიფიკაციისას განსხვავება სქესის კუთხით არ გამოვლინდა, თუმცა კითხვაზე პასუხის გაცემა უფრო ხშირად მამაკაცებს გაუჭირდათ, ვიდრე ქალებს[1]. ლოკალებად თვითიდენტიფიცირებული პირების საშუალო ასაკი ოდნავ დაბალია (31.5 წელი), ვიდრე კოსმოპოლიტებად (33.4 წელი), თუმცა ეს განსხვავება სტატისტიკურად არასანდოა. კოსმოპოლიტებად თვითიდენტიფიცირებულ პირებს შორის პროტესტანტებისა და კათოლიკეების შედარებით მაღალი წილია, ვიდრე სომხური სამოციქულო ეკლესიის მრევლის, მართლმადიდებლებისა და მუსლიმების (აქ გასათვალისწინებელია, რომ არამართმლმადიდებლების წილი იმდენად დაბალია, რომ არ შეიძლება ეს განსხვავება ვალიდურ დასკვნის საფუძვლად მივიჩნიოთ). რელიგიურ ღვითისმსახურებაზე დასწრების კუთხით, კი ჩანს, რომ კოსმოპოლიტები უფრო იშვიათად ან არასდროს სწრებიან ღვთისმსახურებას, ვიდრე ლოკალები

---

[1] კითხვაზე - „ხართ ლოკალი?“, მამაკაცების 17.5%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა და ქალების 14.1%, კითხვაზე „ხართ კოსმოპოლიტი?“, მამაკაცების 37.5%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა, ხოლო ქალების 25.6%-ს.

(კოსმოპოლიტების 37.1% მიუთითებს, რომ ან ყოველდღიურად, ან თვეში რამდენჯერმე ან მთავარ დღესასწაულებზე დადიან ღვთისმსახურებაზე, მაშინ როდესაც იგივეს ლოკალების 44.4% უთითებს). კოსმოპოლიტური ორიენტაცია ოდნავ მეტია უმაღლესი განათლების მქონე პირებში (77.4%), ვიდრე ლოკალური ორიენტაცია (70.4%). განსხვავება გამოვლინდა ოჯახის ტრადიციულობის კუთხითაც. ეს განსხვავება დავინახეთ საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით (5 ბალიან სკალაზე, სადაც 5 ნიშნავს - ძალზე ტრადიციულს და 1 ძალზე არატრადიციულს). ლოკალების მიერ ოჯახის ტრადიციულობის შეფასება 4.19-ია, ხოლო კოსმოპოლიტების - 3.71.

სოციო-დემოგრაფიული მდგენელების ანალიზი ხაზს უსვამს იმას, რომ ოჯახური მდგომარეობა, განსაკუთრებით, კი ის, არის თუ არა პირი დაქორწინებული ან დაქორწინებულია ადგილობრივ თუ უცხოელ მეუღლეზე, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ლოკალურ და კოსმოპოლიტურ ორიენტაციაზე. მიუხედავად იმისა, რომ სხვა ფაქტორები, როგორიცაა ასაკი, რელიგია, განათლება და ოჯახის ტრადიციულობა, ასევე კავშირშია ლოკალურ და კოსმოპოლიტურ ორიენტაციასთან, ისინი არ აჩვენებენ ძლიერ კორელაციას. კოსმოპოლიტების პროფილი კი ასეთია: მათ აქვთ უმაღლესი განათლება, ნაკლებად სავარაუდოა, რომ რეგულარულად ესწრებოდნენ რელიგიურ მსახურებებს და თავიანთ ოჯახებს ნაკლებად ტრადიციულად აღიქვამენ. ეს დასკვნები კი გვკარნახობს, რომ კოსმოპოლიტური ორიენტაცია ყალიბდება უფრო მოქნილი, თანამედროვე მსოფლმხედველობით, ხოლო ადგილობრივი ორიენტაცია უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული ტრადიციულ ღირებულებებთან და ოჯახის სტრუქტურასთან. მიუხედავად იმისა, რომ ეს განსხვავებები, ზოგიერთ შემთხვევაში სუსტია, მაინც ასახავს კომპლექსურ ურთიერთკავშირს სოციალურ-დემოგრაფიულ ფაქტორებსა და ინდივიდუალურ იდენტობის ფორმირებას შორის.

### ლოკალური და კოსმოპოლიტური თვითიდენტიფიკაციის კავშირი სხვა შინაარსობრივ ცვლადებთან

აღნიშნულ ქვეთავის მიზანია გამოვავლინოთ რამდენად შეესაბამება რესპონდენტების ლოკალური და კოსმოპოლიტური თვითიდენტიფიკაციია მათი ზოგად ღირებულებით ორიენტაციებს. ამისათვის გავზომე კორელაცია ლოკალურ და კოსმოპოლიტურ იდენტობების თვითიდენტიფიკაციის ცვლადებსა და ყველა სხვა შინაარსობრივ ცვლადებს შორის. კორელაცია რამდენიმე მნიშვნელოვან ცვლადთან

გამოვლინდა და ცალკ-ცალკე განვიხილოთ ის შემთხვევები, სადაც კავშირი სტატისტიკურად სანდოა.

კოსმოპოლიტურ/ლოკალურ ორიენტაციასა და ჩაცმულობას შორის საშუალო დონის კორელაციაა (0.228). როგორც დიაგრამა #31-ზე არის ნაჩვენები მცირედით მეტი ლოკალი ტრადიციულად და თანამედროვედ; მაშინ როდესაც კოსმოპოლიტები უფრო მეტად იცვამენ დახვეწილად/გემოვნებით და მოდურად; ასევე უფრო მეტი ლოკალი არ აქცევს ყურადღებას ჩაცმულობას. რომ შევაჯამოთ, კოსმოპოლიტები მიდრეკილნი არიან უფრო დახვეწილი, გემოვნებიანი და მოდური ჩაცმისკენ, რაც ასახავს მათზე გლობალური ტენდენციებისა და ნორმების ფართო ზემოქმედებას. მიუხედავად იმისა, რომ ტრადიცია არ თამაშობს მნიშვნელოვან როლს არც ერთი ჯგუფის ჩაცმაში, კოსმოპოლიტები უფრო მეტად აცნობიერებენ თავიანთ სტილსა და მოდას, ხოლო ლოკალები ატარებენ უფრო თავისუფალ ან პრაქტიკულ მიდგომას ტანსაცმლის მიმართ.

შედარებით მაღალი კორელაციაა კოსმოპოლიტურ და ლოკალურ თვითიდენტიფიკაციასა და უცხო ადამიანებთან კომუნიკაციის სიადვილეს შორის (0.345) (კროსტაბულაციური მიმართება იხილეთ დიაგრამაზე #32). კოსმოპოლიტების 38.1% აცხადებს, რომ იოლად ამყარებენ უცხოებთან კომუნიკაციას. თუმცა ბუნდოვანია კოსმოპოლიტების ყველაზე დიდ წილს რატომ უჭირს ამ კითხვაზე პასუხი (42.9%). ეს ერთი მხრივ ცხადყოფს, რომ კოსმოპოლიტებსაც აქვთ გამოწვევები, რომლებიც დაკავშირებულია ენასთან და კულტურულ განსხვავებებთან. ლოკალების უფრო დიდი ნაწილი მიუთითებს, რომ აქვს უცხოებთან ურთიერთობის პრობლემა (67.1%), რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ნაცნობებისთვის უპირატესობის მინიჭებასა და უცხოელებთან ნაკლებ ინტერაქციაზე. ეს ემთხვევა ლოკალიზმის არსს, როდესაც ამ ორიენტაციის მქონე ინდივიდები უფრო მეტად არიან მიჯაჭული თავიანთ მშობლიურ გარემოსთან და თავს იკავებენ თავიანთ უშუალო კულტურულ საზღვრებს მიღმა ურთიერთობიგან. პასუხების - „მიჭირს პასუხის გაცემა" - დაბალი პროცენტი მიუთითებს იმაზე, რომ ლოკალები უფრო დარწმუნებულნი არიან თავიანთ პოზიციაში, ან აშკარად აცხადებენ უცხოელებთან კონტაქტის ნაკლებობას ან ნაკლებად არიან ღია ასეთი ურთიერთობისთვის. ეს ტენდნეცია აძლიერებს იმ აზრს, რომ კოსმოპოლიტები უფრო ღია არიან და, შესაძლოა, უფრო ხშირად არიან

ჩართულნი უფრო ფართო სოციალურ კომუნიკაციაში, ვიდრე ლოკალები. თუმცა, კოსმოპოლიტების მაღალი წილი რომლებიც ამ კითხვაზე პასუხს არ სცემს, მიუთითებს იმაზე, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამ ორიენტაციის მქონე ადამიანები ფართო სოციალური ურთიერთობებისკენ ისწრაფვიან, ეს ურთიერთქმედება ყოველთვის შეიძლება არ იყოს მარტივი ან სრულიად კომფორტული. ლოკალები მეორეს მხრივ, ერიდებიან ან თავს ნაკლებად კომფორტულად გრძნობენ უცხოებთან ურთიერთობისას, რაც შეესაბამება მათ ახლო და ნაცნობ გარემოსთან ურთიერთქმედების პრეფერენციას.

კვლევაში გამოვლინდა სუსტი, მაგრამ სტატისტიკურად სანდო კორელაციაა კოსმოპოლიტურ და ლოკალურ თვითიდენტიფიკაციასა და ქვეყნის შიგნით (0.189) და გარეთ (0.182) მოგზაურობის სიხშირის ცვლადებს შორის (იხ. დიაგრამა #33 და დიაგრამა #34). კროსტაბულაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ლოკალები უფრო ხშირად მოგზაურობენ თავიანთ ქვეყანაში, ვიდრე კოსმოპოლიტები, რაც სავარაუდოდ გამოწვეული საკუთარი ქვეყნის კულტურასთან მიჯაჭულობით: ლოკალები ქვეყნის შიგნით მოგზაურობენ თვეში რამდენჯერმე (22.2%), ვიდრე კოსმოპოლიტები (16.1%); კოსმოპოლიტები (33.9%) მოგზაურობენ სამ თვეში ერთხელ, ხოლო ლოკალები (18.5%); ლოკალების უფრო მაღალი პროცენტი (25,9%) მოგზაურობს წელიწადში ერთხელ, ვიდრე კოსმოპოლიტების (21%). საერთო ჯამში ეს ტენდენცია გვიჩვენებს იმას, რომ ლოკალები უფრო ხშირად მოგზაურობენ საკუთარ ქვეყანაში, რაც ასახავს მათ კავშირს ადგილობრივ გარემოსთან. მეორეს მხრივ, კოსმოპოლიტებს აქვთ უფრო იშვიათი დაგეგმილი მოგზაურობის პატერნი, მოგზაურობენ სამ თვეში ერთხელ ან უფრო იშვიათად, რადგან უფრო მეტ ყურადღებას ამახვილებენ საერთაშორისო მოგზაურობებზე. კვლევამ აჩვენა, რომ კოსმოპოლიტები უფრო ხშირად მოგზაურობენ საზღვარგარეთ. საზღვარგარეთ სამ თვეში ერთხელ მოგზაურობს კოსმოპოლიტთა 22,6%, ხოლო ექვს თვეში ერთხელ მოგზაურობს მათი 30,6%. ლოკალები უფრო ნაკლებად მოგზაურობენ, მათი 14,8% მოგზაურობს სამ თვეში ერთხელ, ხოლო 29,6% მოგზაურობს ექვს თვეში ერთხელ. უფრო მეტი ლოკალი მოგზაურობს საზღვარგარეთ წელიწადში ერთხელ (33.3%), ვიდრე კოსმოპოლიტი (29%). კოსმოპოლიტები, როგორც მოსალოდნელი იყო, უფრო ხშირად მოგზაურობენ საზღვარგარეთ, მაშინ როდესა ლოკალები უფრო ხშირად მოგზაურობენ ქვეყნის შიგნით. ეს ტენდენცია სრულად

შეესაბამება კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციის კონცეფციას, რადგან ამ ორიენტაციია მატარებელი პირები უფრო გლობალურ კავშირებზე არიან ორიენტირებულნი და მობილურობით გამოირჩევიან. ლოკალები უფრო მიჯაჭულნი არიან თავის უშუალო გარემოსთან, ნაკლებად ხშირად მოგზაურობენ საზღვარგარეთ და პრიორიტეტს ანიჭებენ თავის ქვეყანას.

სხვა კულტურის ღირებულებების და ნორმების გათავისების სიმარტივესა და კოსმოპოლიტურ/ლოკალურ ორიენტაციას შორის საშუალო კორელაცია დაფიქსირდა (0.200) (კორტაბულაციური მიმართება იხ. დიაგრამაზე #35). კოსმოპოლიტთა უმრავლესობა (63.3%) ადვილად ითავისებს სხვა კულტურების ღირებულებებსა და ნორმებს, რაც ასახავს უფრო ღია და ადაპტირებულ აზროვნებას. ლოკალების მხოლოდ 17,7% განიცდის იგივეს, რაც მიუთითებს საკუთარ კულტურულ იდენტობასთან უფრო ძლიერ მიჯაჭვულობაზე და სხვა კულტურულ ნორმებთან ადაპტირების ნაკლებ სურვილზე. მეორე მხრივ, ლოკალების უმეტესობას (72.2%) უჭირს სხვა კულტურის ღირებულებების და ნორმების გათავისება, რაც უფრო რეზისტენტულ ან ექსკლუზიურ მიდგომების მახასიათებელია. საწინააღმდეგოდ, კოსმოპოლიტთა მხოლოდ 12,7% მიუთითებს სხვა კულტურის ღირებულებების და ნორმების გათავისების სირთულეზე. კვლევამ აჩვენა ზომიერი პოზიტიური კავშირი კოსმოპოლიტურ ორიენტაციასა და სხვა კულტურული ფასეულობების ათვისების სიმარტივეს შორის. კოსმოპოლიტები უფრო მიდრეკილნი არიან ადაპტირდნენ სხვადასხვა კულტურულ კონტექსტებთან, ხოლო ლოკალები მიდრეკილნი არიან უფრო ძლიერად მიეჯაჭვონ საკუთარი ტრადიციებს. ეს ტენდენცია კიდევ ერთხელ ადასტურებს თეორიულ დაშვებას იმის შესახებ, რომ კოსმოპოლიტ ინდივიდებს ზოგადად აქვთ უფრო ფართო გლობალური პერსპექტივა და მზად არიან უფრო ღია ინტერკულტურული გაცვლისთვის.

კოსმოპოლიტურ და ლოკალურ ორიენტაციასა და სხვა კულტურის ღირებულებებისა და ნორმების მიმართ ლოალურობის ცვლადებს შორის ასევე გამოვლინდა კორელაცია (0.235). რადგან ლოიალურობა იზომებოდა 5 ბალიან სკალაზე (სადაც 1 ნიშნავს ძალზე არალოიალური, ხოლო 5 ძალზე ლოიალური), ეს დამოკიდებულება ავსახეთ საშუალოების შედარებით (იხ. დიაგრამა #36). კოსმოპოლიტებს აქვთ უფრო მაღალი საშუალო ქულა (4,10) ლოკალებთან შედარებით

(3,56), რაც იმაზე მიუთითებს, რომ კოსმოპოლიტები უფრო ლოიალურები და გახსნილები არიან სხვა კულტურის ღირებულებებისა და ნორმების მიმართ. ლოკალები, მიუხედავად იმისა, რომ ავლენენ ლოიალობის შედარებით ზომიერ დონეს (3.56), კოსმოპოლიტებთან შედარებით ეს დაბალი მაჩვენებელი, რაც ასახავს მათ ტრადიციულ ორიენტაციას. ამ ცვლადებს შორის შეჭიდულობა კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ კოსმოპოლიტები აჩვენებენ ღიაობას და გლობალურ პერსპექტივებთან სიახლოვეს. ამის საპირისპიროდ, ლოკალები, თუმცა ზომიერად ლოიალურები არიან, მაგრამ მაინც მიდრეკილნი არიან პრიორიტეტი მიანიჭონ თავიანთ კულტურულ ნორმებს. ეს განსხვავება ადასტურებს თეორიულ მსჯელობას იმის შესახებ, რომ კოსმოპოლიტები უფრო მეტად ითვისებენ კულტურულ მრავალფეროვნებას, მაშინ როცა ლოკალები მეტად მიჯაჭულნი არიან საკუთარ კულტურაზე.

## ემპირიული კვლევის მიგნებები

რაოდენობრივი გამოკითხვის ემპირიულ მონაცემებზე და ლიტერატურის მიმოხილვაში განხილულ თეორიულ შეხედულებებზე დაყრდნობით, წარმოგიდგენთ მიგნებებს, რომლებიც პასუხობს ჩემი სადოქტორო დისერტაციის ერთ-ერთ ამოცანას: შეგვიძლია თუ არა ემპირიულად გამოვიკვლიოთ კოსმოპოლიტური/ლოკალური ორიენტაციები და რამდენად თანმიმდევრულია ორიენტაციის ეს განზომილება მოსახლეობის ზოგადი მახასიათებლებთან? გარდა ამისა, ეს ნაწილი ავლენს კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციები შეიძლეება თუ არა გახდეს ადგილობრივ თუ გლობალურ კონტექსტში კონფლიქტების მიზეზი, როგორც საქართველოში, ისე ქართველი მიგრანტების მიმღებ საზოგადოებაში. ემპირიული კვლევა, რომელიც დაეყრდნო კოსმოპოლიტიზმისა და ლოკალიზმის შესახებ თეორიულ მსჯელობას, აჩვენებს, რომ ეს ორიენტაციები ემპირიულად იდენტიფიცირებადი და გაზომვადია. საქართველოში და გერმანიაში მცხოვრებ ქართველ მიგრანტებს შორის ჩატარებული გამოკითხვა ცხადყოფს, რომ კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციები მრავალგანზომილებიანია და ამ ორიენტაციებზე გავლენას ახდენს რამდენიმე სოციალურ-დემოგრაფიულ და ღირებულებითი ფაქტორები.

ანალიზმა აჩვენა, რომ სქესი, ასაკი, ქორწინების მდგომარეობა და ოჯახის ტრადიციულობა ინდივიდებში კოსმოპოლიტური ან ლოკალური ორიენტაციის ჩამოყალიბების მდგენელებია. უმაღლესი განათლება, ნაკლებტრადიციული ოჯახი, რელიგიურ რიტუალებში ნაკლები ჩართულობა და ქვეყნის გარეთ ხშირი მოგზაურობა ახასიათებს კოსმოპოლიტური ორიენტაციის ადამიანებს და შესაბამისობაშია გოულდნერის (Gouldner, 1957) და ქენონ და იაპრაკის (Cannon & Yaprak, 2001) მიერ შემოთავაზებულ თეორიულ მოდელებთან. კოსმოპოლიტებს ახასიათებთ უცხო გარემოსთან ადაპტაცია, ახალი გამოცდილებისადმი გახსნილობა და მობილურობა, ხოლო ლოკალები თავიანთ კულტურასთან მიჯაჭულნი არიან და სოციალურ სტაბილურობას ანიჭებენ უპირატესობას.

მნიშვნელოვანი მიგნებაა ის, რომ ქორწინების მდგომარეობა და მეუღლის ეთნიკური წარმომავლობა დაკავშირებულია ლოკალურ ან კოსმოპოლიტურ თვითიდენტიფიკაციასთან. ქორწინებაში მყოფი და განსაკუთრებით კი უცხოელებზე დაქორწინებული პირები უფრო მიდრეკილნი იყვნენ კოსმოპოლიტიზმისკენ, რაც გვკარნახობს იმას, რომ სხვადასხვა კულტურებთან პირადი კავშირის მეშვეობით უფრო გლობალურ მსოფლმხედველობა ყალიბდება.

რესპონდენტთა ცხოვრების სტილის ანალიზი, განსაკუთრებით კი ისეთი ცვლადები, როგორებიცაა ჩაცმის სტილი და გასტრონომიული პრეფერენციები, კოსმოპოლიტებსა და ლოკალებს შორის განსხვავებას ავლენს. კოსმოპოლიტები უფრო მიდრეკილნი არიან მოიხმარონ დახვეწილი, გემოვნებიანი და მოდური ტანსაცმელი, რაც ასახავს მათ გლობალურ ტენდენციებთან სიახლოვეს, ხოლო ლოკალები უფრო ხშირად ირჩევენ ტრადიციულ ან თანამედროვე სტილს, მოდაზე ზედმეტად ფიქრის გარეშე. ამ ორი ორიენტაციის მქონე პირთა განსხვავებული ცხოვრების წესი ემთხვევა ქენონისა და იაპრაკის (Cannon & Yaprak, 2001) კოსმოპოლიტებზე, როგორც გლობალური მაძიებლებზე, რომლებიც გარესამყაროდან მიღებულ გავლენებს მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში ამკვიდრებენ. გამოკითხვამ ასევე დაადგინა, რომ კოსმოპოლიტები უფრო ხშირად მოგზაურობენ საზღვარგარეთ, ვიდრე ლოკალები, რაც კიდევ უფრო ადასტურებს მოსაზრებას, რომ მობილურობა არის კოსმოპოლიტიზმის განმსაზღვრელი მახასიათებელი, როგორც შემოთავაზებული იყო ულფ ჰანერცის მიერ (Hannerz, 1990). ამის საპირისპიროდ, ლოკალები თავიანთ

უშუალო გარემოში უფრო მეტად ინტეგრირებულნი არიან და ხშირად მოგზაურობენ თავიანთ ქვეყანაში, რაც მიუთითებს ადგილობრივ კონტექსტთან უფრო მჭიდრო კავშირზე.

კვლევის შედეგები ასევე ხაზს უსვამს იმას, რომ კოსმოპოლიტები აჩვენებენ უფრო დიდ უნარს, აითვისონ სხვა კულტურების ღირებულებები და ნორმები. კოსმოპოლიტთა მნიშვნელოვანმა პროცენტმა აღნიშნა, რომ ადვილად ერგება სხვადასხვა კულტურის ნორმებს, რაც მიუთითებს მათ ღიაობასა და გლობალურ მსოფლმხედველობაზე. ამის საპირისპიროდ, ლოკალებისთვის უფრო რთული აღმოჩნდა უცხო კულტურასთან შეთავსება, რაც მათ იზოლირებულ პერსპექტივებზე მიუთითებს.

ორიენტაციებს შორის ამ დაპირპისპირებას ადასტურებს უცხოებთან კონტაქტის სიმარტივეც. კოსმოპოლიტები უფრო კომფორტულად ურთიერთობენ სხვადასხვა წარმომავლობის ადამიანებთან, მაშინ როცა ლოკალები უფრო ყოყმანობენ ან თავს არიდებენ ასეთ ურთიერთობებს. ეს ემპირიული ტენდენციაც შეესაბამება გოულდნერის (Gouldner, 1957) და ჰანერცის (Hannerz, 1990) კოსმოპოლიტების და ლოკალების თეორიულ მოდელებს.

მიუხედავად იმისა, რომ ემპირიული კვლევით კოსმოპოლიტებსა და ლოკალებს შორის ნაკლებად გამოავლინდა კონფლიქტები, ნიშნადობლივია, რომ გერმანიაში მცხოვრები ლოიკალებად თვითიდენტიფიცირებული ინდივიდები უფრო ხშირად მიუთითებენ კოსმოპოლიტური ორიენტაციის პირებთან კონფლიქტზე, ვიდრე ამას საქართველოში მცხოვრებ რესპონდენტებთან ვხვდებით. ეს კი გვაჩვენებს, რომ თუ მიმღებ საზოგადოებაში მიგრანტი თავისი ეთნოკულტურის მიმართ მაღალი ლოალობითა და ჩაკეტილობით ხასიათდება, მას აუცილებლად ექნება ინტეგრაციის გამოწვევები; ანუ მიგრაცია, თავისთავად ისეთი პროცესია, რომელიც კულტურულ ღიაობას და კოსმოპოლიტურ ორიენტაციას მოითხოვს. შესაბამისად, თუ მიგრანტი ძლიერ მიეჯაჭვება თავის კულტურულ ღირებულებებსა და სოციალურ ნორმებს, ეს მასა და გარემოს შორის უთანხმოებას გამოიიწვევს. თუმცა, ლოკალებსა და კოსმოპოლიტებს შორის პოტენციური კონფლიქტის საშიშროების თეორიული მოლოდინის მიუხედავად, განსაკუთრებით კი ორგანიზაციებში (როგორც ეს გოულდნერმა თქვა), ემპირიული კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ეს დაძაბულობა

ყოველთვის არ არის აშკარა ან გაცნობიერებული. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში ინდივიდებს შეუძლიათ ღირებულებითი ორიენტაციებით გამოწვეული დაძაბულობის მართვა, მისი ფართომასშტაბიან კონფლიქტში გადაზრდის გარეშე, კონტექსტის შესაბამისი ქცევის ადაპტირებით.

ემპირიული მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ კოსმოპოლიტურ-ლოკალური ორიენტაციის განზომილება არა მხოლოდ შესაბამისობაშია ინდივიდების ზოგად მახასიათებლებთან, არამედ ასახავს დინამიურ ურთიერთკავშირს პიროვნულ, კულტურულ თუ სოციალურ ფაქტორებს შორის. განათლება, მობილურობა, ოჯახის ტრადიციულობა, რელიგიურობა და პირადი გამოცდილება, განსაკუთრებით კულტურათაშორისი ურთიერთქმედების კუთხით, აყალიბებს ინდივიდების ორიენტაციას. კოსმოპოლიტებს, როგორც წესი, ახასიათებთ გახსნილობა, ადაპტირება და მულტიკულტურული ურთიერთობების სურვილი, ხოლო ლოკალები უფრო მეტად მიჯაჭვულნი არიან ტრადიციებზე, სტაბილურობასა და ადგილობრივ თვითმყოფადობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება არსებობდეს დაძაბულობა კოსმოპოლიტურ და ლოკალურ ორიენტაციას შორის, მონაცემები ასევე მიუთითებს, რომ ეს სულაც არ არის ანტაგონისტური მიმართება. პირიქით, ისინი ასახავს იდენტობათა სპექტრს, სადაც ინდივიდებმა კონტექსტიდან გამომდინარე შეიძლება გამოავლინონ ლოკალური და კოსმოპოლიტური თვისებების ნაზავი. მიგრანტებს შორის ეს ბალანსი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მათ უწევთ ქართულ კულტურულ მემკვიდრეობასა და ახალ, ინტერნაციონალურ გარემოსთან ადაპტაციის მოთხოვნებს შორის ბალანსის მოძებნა.

დასასრულს კი მინდა დავძინო, რომ კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციები არის ემპირიულად გაზომვადი და თანმიმდევრული განზომილებები, რომლებზეც გავლენას ახდენს სოციო-დემოგრაფიული, ქცევითი და კულტურულ მახასიათებლების ფართო სპექტრი. ერ-სახელმწიფოს ფარგლებში ეს ორიენტაციები ნაკლებად იწვევს კონფლიქტს, განსხვავებით მიგრანტების მიმღები საზოგადოებისგან. თუმცა ეს ბინალური ოპოზიციები შეიძლება თანაარსებობდნენ დინამიური გზებით, კონტექსტის რელევანტური ქცევის განხორციელებით. გარდა შინაარსობრივი მიგნებებისა და თეორიის შესაბამისი ემპირიული რეალობის

გამოვლენისა, წარმოდგენილი კვლევა ადასტურებს, რომ კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციები გაზომვადი ინდიკატორებია და რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში შესაძლებელია მისი მიმართების დადგენა სხვა სოციალურ ფაქტორებთან.

# თავი V: „ლოკალურ-კოსმოპოლიტური“ ორიენტაციების დონეების განსაზღვრა ორგანიზაციებში

სანამ უშუალოდ გადავალთ ორგანიზაციებში ლოკალური და კოსმოპლიტური ორიენტაციების დონეების განსაზღვრაზე, მოკლედ განვიხილოთ ორგანიზაციების კვლევების განვითარების ისტორია. ორგანიზაციული თეორების განვითარება მეოცე საუკუნიდან დაიწყო და მასზე გავლენა მოახდინა სხვადასხვა მკლევრის ნაშრომებმა, რომლებიც შეისწავლიდნენ ორგანიზაციების ფუნქიოცნირების, ადაპტაციის და განვითარების თავისებურებებს. ორგანიზაციის თეორიის განვითარებაში ერთ-ერთი პირველი მოაზროვნე იყო სოციოლოგი მაქს ვებერი და მისი შრომა ბიუროკრატიის შესახებ, რომელიც დიდ ინსტიტუტებში წესრიგისა და ეფექტურობის შესანარჩუნებლად ხაზს უსვამდა ფორმალური სტრუქტურების და რაციონალურ-სამართლებრივი უფლებამოსილების მნიშვნელობას (Weber, 1947 (1922)). ვებერის იდეები ინსტრუმენტული აღმოჩნდა მენეჯმენტის კლასიკური თეორიების განვითარებაში, რომელიც ხსნიდა იერარქიის, შრომის დანაწილების და ორგანიზაციის კონტროლისას ‘ზემოდან-ქვემოთ“ (top-down) მიდგომის მნიშვნელობას. ინდუსტრიულ ხანაში ეს თეორიები საკვანძო სახელმძღვანელოდ იქცა კომპლექსური ფორმალური ორგანიზაციების მართვაში.

მას შემდეგ, რაც ორგანიზაციების უფრო კომპლექსური და უფრო დინამიური გახდა, მეცნიერებმა დაიწყეს კლასიკური მიდგომის შეზღუდვებზე საუბარი. ადამიანთა ურთიერთობების მოძრაობამ (human relations movement), რომლითაც სხვა მკლევრებთან ერთად ხელმძღვანელობდა ელტონ მეიო (1933), შემოიტანა ახალი პერსპექტივა, რომელიც ხაზს უსვამდა სამუშაოს სოციალურ და ფსიქოლოგიურ განზომილებებს. მეიოს და მისი კოლეგების მიერ ჩატარებულმა ცნობილმა ჰოუტორნის კვლევამ, ერთი მხრივ, გამოავლინა სოციალური ურთიერთობების გავლენა დასაქმებულთა კმაყოფილებაზე და, მეორე მხრივ, არაფორმალური ჯგუფების როლი შრომითნაყოფიერებაში. ამ კვლევამ სათავე დაუდო ორგანიზაციული დინამიკის შესწავლისას უფრო ჰოლისტური მიდგომის განვითარებას, რომელიც არა მხოლოდ ფორმალურ სტრუქტურას უსვამდა ხაზს, არამედ დასაქმებულთა ორგანიზაციული ქცევის ადამიანურ და სოციალურ ელემენტებს (Mayo, 1933).

ლია მეზვრიშვილი თავის ნაშრომში „ეკონომიკური სოციოლოგია“ ორგანიზაციის თეორიების განვითარების სამ ძირითად ეტაპს გამოყოფს (მეზვრიშვილი, 2003):

**პირველი** ეტაპი აღწერს ეპოქას, როდესაც მოთხოვნა იყო ორგანიზაციის, ფირმის ორგანიზების ერთადერთი საუკეთესო გზის შემუშავება. ეს ეტაპი დაიწყო XX ს-ის დასაწყისში და გაგრძელდა 40-იან წლებამდე. აქ საქმე გვაქვს ორგანიზაციის კლასიკური თეორიის აღმოცენებასთან, რომელიც განვითარდა ტეილორიზმის სახელწოდებით, სადაც ორგანიზაციის ფორმალური სტრუქტურის ანალიზი ხდება (მეზვრიშვილი, 2003, გვ. 261).

**მეორე** ეტაპი გარკვეულ წილად, იყო „რეაქცია პირველ ეტაპზე გაბატონებული ანალიზის ავთენტურობაზე და მისი მიზანი იყო საწარმოს, ორგანიზაციის ადამიანური მხარის წინ წამოწევა“ (მეზვრიშვილი, 2003, გვ. 262). ამ ეტაპის დასაწყისად მიჩნეულია ორმოცდაათიანი წლები, რომელიც გაგრძელდა 60-იან წლებამდე, სადაც ყურადღება ექცეოდა ორგანიზაციის არაფორმალურ მხარეს.

60-იანი წლებიდან ორგანიზაციის შესწავლის პარალელური მხარე უფრო მრავალფეროვანი გახდა. „ორგანიზაციის თეორიაში განხორციელდა სოციალური თეორიების გამოყენება ორგანიზაციული რეალობის მიმართ“ (მეზვრიშვილი, 2003, გვ. 262). სწორედ ამ, **მესამე** ეტაპზე გამახვილდა ყურადღება ჰუმანისტურ მიდგომებზე, ყურადღება დაეთმო ძალაუფლების საკითხს და მის აღმოფხვრას ორგანიზაციებში. ამგვარად, ორგანიზაციის თეორიებს ლია მეზვრიშვილი აკლასიფიცირებს, როგორც ორგანიზაციის კლასიკურ თეორიას (1), ადამიანური რესურსების თეორიას (2), ორგანიზაციის თანამედროვე სტრუქტურალისტურ თეორიას (3), ორგანიზაციის სისტემურ თეორიას (4), ორგანიზაციის, როგორც სოციალური კონტრაქტის თეორიას (5), ორგანიზაციის კულტურის, ორგანიზაციის სიმბოლური მენეჯმენტის თეორია (6). ავტორი ორგანიზაციის ამ თეორიებს ეტაპობრივად განიხილავს და, ასევე, ეხება ორგანიზაციული კონფლიქტის საკითხს, რომელიც განიხილება „ადგილობრივისა“ და „კოსმოპოლიტური“ ორიენტაციის კონტექსტში (მეზვრიშვილი, 2003).

ორგანიზაციის კლასიკური თეორია, რომელიც მეოცე საუკუნის 30-იან წლებში დომინირებდა, ეფუძნება რაციონალური ეკონომიკური პრინციპების განვითარებას ორგანიზაციებსა და საწარმოებში, „ადამიანის, როგორც Homo Economicus-ის და

ორაგნიზაციის, როგორც რაციონალური ეკონომიკური მიზნების მისაღწევად შექმნილი ობიექტის მოდელს“. ამ პერიოდში ყურადღება გამახვილდა მეცნიერული მენეჯმენტის თეორიული პრინციპებზე (მეზვრიშვილი, 2003).

შემდეგ წლებში ამ მიდგომებმა საგრძნობი ცვლილებები განიცადა. უფრო მეტად „ადამიანური რესურსების“ მართვას მიექცა ყურადღება და ორგანიზაცია, რომელიც უფრო წარმოდგენილი იყო როგორც დახურულ სისტემა, გადავიდა ღია სისტემებზე. ორგანიზაციის ეს თეორიები ადამიანურ ფაქტორს აქცევდა ყურადღებას და ორგანიზაციის მართვა უფრო ეყრდნობოდა ურთიერთობებს, პიროვნულ და ჯგუფურ გადაწყვეტილებებს. ასეთ ორგანიზაციებში კონფლიქტები ძალაუფლებაზე დაყრდნობით იცვლებოდა. ამასთანავე, ორგანიზაციის ფორმალური მხარეც იცვლებოდა. კონფლიქტების გადაჭრა, ამ შემთხვევაში, სუბიექტური შეხედულების გათვალისწინებით ხდებოდა. „ჰოუტორნის ექპერიმენტების შედეგებმა საგრძნობლად შეარყია Homo-Economicus-ის პარადიგმა ორგანიზაციული ქცევის სფეროში“ (მეზვრიშვილი, 2003, გვ. 267). შემდგომში შემუშავდა ადამიანური რესურსების თეორია და მან პოპულარულობა მოიპოვა „მეცნიერულ მენეჯმენტში“. ყურადღება მიექცა ადამიანური მოთხოვნლებების დაკმაყოფილებას ორგანიზაციაში, რა თქმა უნდა, გაწერილი, ნორმატიული ფაქტორიც იყო გათვალისწინებული. ადამიანებს შორის არსებული კონფლიქტების მოგვარება ხდებოდა, პირველ რიგიში, სხვა ცვლილებების გათავალისწინებით, რაც ეფექტურად ხორციელდებოდა. ყურადღება გამახვილდა ჯგუფებს შიგნით მოქმედებებზე, რათა სამუშაოთი კმაყოფილება აშკარად ამაღლებულიყო. ადამიანების როლის გათვალისწინება მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა შრომითი კმაყოფილების გაძლიერების პროცესში. ყურადღება ექცევა, ძალაუფლებისა და დამოკიდებულებების მიმართების საკითხს. მაგალითად, ხელფასის ზრდა. ადამიანის პოტენციალის განხილვა და მისი გამოყენება ორგანიზაციის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გახდა. თანამშრომლობის პრინციპების გამოყენებით კონფლიქტების გადაჭრა, მოლაპარაკებები, მნიშვნელოვან პროცესად და პროცედურებად იქცა, ასევე, გათვალვალისწინებული იქნა ორგანიზაციაში არაფორმალური ურთიერთობები. ამასთანავე ყალიბდება ორგანიზაციის ისეთი თეორიები, რომელებიც უნიკალურია გარკვეული ორგანიზაციებისთვის. ორგანიზაციებს გააჩნიათ ფორმალური და არაფორმალური

სტრუქტურები. ყურადღება ექცევა ორგანიზაციებში მომუშავე პირებს. ფორმალური სტრუქტურების პარალელურად, არსებობს, ასევე, არაფორმალური სტრუქტურებიც. აქედან გამომდინარე, არაფორმალური სტრუქტურები უფრო მოქნილია გარემოსთან ადაპტაციისათვის. ასეთ შემთხვევაში, თეორიები იშველიებენ ადამიანური ფაქტორების მნიშვნელობას (მეზვრიშვილი, 2003).

ლია მეზვრიშვილი შემდეგი სახით ახასიათებს ორგანიზაციის არაფორმალურ სისტემას: „არაფორმალურ პრაქტიკების მაგალითად შეიძლება გამოდგეს პერსონალის შიდა დაყოფა გარკვეული ლატენტური სოციალური როლების შესაბამისად. მაგ., დიდი, კომპლექსური ორგანიზაციების წევრებს შეიძლება ჰქონდეთ ორი ლატენტური სოციალური იდენტურობა, რომლებსაც უწოდებენ „კოსმოპოლიტებსა" და „ადგილობრივებს" (მეზვრიშვილი, 2003, გვ. 274). ამ რეალობის კვლევა პარალელურად უნდა წარიმართოს ფორმალური სტრუქტურის ჯგუფთან. მათი გამოყოფა ხელს უწყობს ორგანიზაციაში ლატენტური იდენტობის ჩამოყალიბებას, რომელიც ორიენტირებულია ფართო სამყაროზე და მათ ეწოდებათ კოსმოპოლიტები, ხოლო ისინი, ვინც განსხვავებულ იდენტობას, ანუ საპირისპიროს ამჟღავნებენ - „ადგილობრივები". ადგილობრივები ვიწრო სფეროთი შემოიფარგლებიან. ლატენტური იდენტობები, რომლებიც განთავსებულია კონტინიუმზე კოსმოპოლიტიზმისა და ლოკალიზმის უკიდურესი წერტილებით, „განისაზღრება სამი ცვლადით: 1. დამქირავებელი ორგანიზაციისადმი ლოიალობით; 2. პროფესიული უნარებისადმი დამოკიდებულებით; 3. რეფერენტული საორიენტაციო ჯგუფით" (მეზვრიშვილი, 2003, გვ. 275). როგორც ავტორი მიუთითებს, მიუხედავად იმისა, რომ ლატენტურ იდენტობას ფორმალიზებულ შეფასების კრიტერიუმად არ იყენებენ ორგანიზაციებში, რეალურად სწორედ ის წარმოადგენს ხშირად დასაქმებულთა შორის კონფლიქტის წყაროს.

ჯონ ჰარი (Harr, 1999) თავისი სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში, რომელიც აღმოსავლეთ ტენესის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლისას განახორციელა, იკვლევდა შეერთებულ შტატებისა და კანადის ქრისტიანული კოლეჯების ადმინისტრაციულ პერსონალთან კოსმოპოლიტურ-ლოკალურ ორიენტაციასა და სამუშაოთი კმაყოფილებას შორის მიმართებას. მისი კვლევის პირველადი მიზანი იყო ქრისტიანული კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალთა სამუშაო კმაყოფილების

დონის და კოსმოპოლიტურ-ლოკალური ორიენტაციის შემოწმება, ხოლო შემდეგ კი იმის დადასტურება, არსებობს თუ არა რაიმე კავშირი ამ ორ ცვლადს შორის. გამოკითხულ იქნა ქრისტიანული კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალის ეროვნული ასოციაციის (The National Association of Christian College Admissions Personnel - NACCAP) ყველა წევრი. გამოკითხვა მოიცავდა სამუშაოს აღწერის ინდექსს (JDI, 72 ცვლადი), სამუშაოს შეფასების ზოგად სკალას (the Job in General scale – JIG, 18 ცვლადი), კოსმოპოლიტურ-ლოკალური განზომილების შეფასების ინსტრუმენტს (19 ცვლადი) და ექვს (6) დემოგრაფიულ ცვლადს. ანკეტა ფოსტით გაეგზავნა 723 რესპონდენტს. ხოლო 723-დან 490 რესპონდენტმა შევსებული კითხარი ფოსტით უკან გამოაგზავნა (ანუ გამოპასუხების მაჩვენებლი 68% იყო). გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ ქრისტიანულ კოლეჯებში დასაქმებულთა უმრავლესობა ახალგაზრდაა (საშუალო ასაკი 26.1 წელი) და სამუშაო გამოცდილებაც ნაკლებად აქვთ (საშუალოდ 2.2 წელი მთლიანი დაწესებულის, ხოლო 2.3. იმ დასაქმებულების, რომლებიც მიმღებში, მრჩევლის პოზიციაზე მუშაობენ). დირექტორის ასისტენტის/თანაშემწის დონეზე საშუალო ასაკი 32.5 წელი იყო. მათი სამუშაო გამოცდილება დაწესებულებაში - საშუალოდ 6.2 – 6.3 წელი. დირექტორისა და მასთან მიახლოებული თანამდებობების დონეზე თანამშრომლები იყვნენ საშუალოზე უფროსი ასაკის (საშუალო ასაკი - 40 წელი) და შესაბამისად, უფრო გამოცდილები (საშუალოდ, დასაქმების 9.2 – 9.9 წელი). საერთო ჯამში, გამოკითხვაში მონაწილეთა დაახლოებით 64%-ს ჰქონდა ხუთი ან ნაკლები წლის მუშაობის გამოცდილება, ხოლო 25.7%-ს ერთი წლის ან ნაკლები მუშაობის გამოცდილება (მუშაობის გამოცდილების საერთო საშუალო წელი 4.7 იყო). რესპონდენტთა დაახლოებით 67% დასაქმებული იყო შესაბამისი პროფილის დაწესებულებებში ხუთი წლის ან ნაკლები ხნის განმავლობაში, ხოლო თითქმის 30% დასაქმებული იყო ერთი ან ნაკლები წლის განმავლობაში. რაც შეეხება სქესს, დასაქმებულთა უმრავლესობა მიმღებში, მრჩეველთა დონეზე (53.7%) იყო ქალი. დირექტორის ასისტენტის/თანაშემწის დონეზე მდედრობითი სქესის წარმომადგენლების პროცენტული მაჩვენებელი 41.6%-მდე შემცირდა, ხოლო დირექტორის დონეზე, ქალთა პროცენტული მაჩვენებელი 26.7%-მდე დაეცა. რაც შეეხება სამუშაოთი კმაყოფილებას: ქვედა რგოლის, მიმღები პერსონალის ჯგუფი, მთლიანობაში, ძალიან კმაყოფილი იყო მათი სამუშაოს ძირითადი ასპექტებით.

კერძოდ, ჯგუფს ჰქონდა კმაყოფილების მაღალი საშუალო ქულა თავად სამუშაოს აღწერის (WORK), თანამშრომლობის (CO WORK), ზედამხედველობის (SUPER) და სამუშაოს შეფასების ზოგად სკალის მიხედვით (JIG) (Harr, 1999).

დაწინაურების შესაძლებლობა (PROMO) იყო შრომით კმაყოფილების ერთადერთი ცვლადი, რომლის მედიანური ქულა დაეცა "უკმაყოფილო" დიაპაზონში. PROMO-ს მედიანური ქულა მთელი სანიმუშო ჯგუფისთვის მოხვდა უკმაყოფილო დიაპაზონში, ისევე როგორც მესამე დონის თანამშრომლის მედიანური ქულა. ყველაზე დაბალი მედიანური ქულა იყო მიმღები მრჩევლებისთვის, დირექტორებმა და დირექტორების ასისტენტებმა/თანაშემწეებმა, მცირე განსხვავებით, ოდნავ მეტი ქულა მიიღეს. ეს დასკვნები შეესაბამებოდა გრიფონ-ფილდსის (1992) დასკვნებს, რომ მიმღები პერსონალის სამუშაოთი უკმაყოფილება, ნაწილობრივ, გამოწვეული იყო პროფესიული წინსვლის შესაძლებლობის არქონით (Harr, 1999).

ხელფასის, ანაზღაურების ცვლადის მედიანური ქულა (რომელიც, ამ სფეროში ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე, მოსალოდნელი იყო, რომ ყოფილიყო ერთ-ერთი ცვლადი, რომელიც გამოიწვევდა უკმაყოფილების მაღალ ხარისხს), მოხვდა „ნეიტრალურ ან ამბივალენტურ“ დიაპაზონში. თანამშრომლების დონის მიხედვით დაჯგუფებული ანაზღაურების ცვლადის ქულების შემოწმებისას, დირექტორის მედიანური ქულა დაეცა დიაპაზონში "კმაყოფილი", ხოლო დირექტორის თანაშემწეებისა და მრჩევლების მედიანური ქულები "ნეიტრალურ ან ამბივალენტურ" დიაპაზონში. მიმღებ პროფესიონალთა შედარებით მაღალი კმაყოფილების დონე განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ფარდობითი ნორმების ჯგუფის ქულებთან. როდესაც მიმღებ პროფესიონალების ჯგუფის სამუშაო კმაყოფილების მედიანური ქულები შეადარეს JDI არაკომერციული ნორმების ჯგუფის მედიანურ ქულებს, მიმღებ პროფესიონალთა ქულები აღემატებოდა ნორმის ჯგუფის ქულებს სამუშაოთი კმაყოფილების ექვსივე ცვლადისთვის (Harr, 1999). რაც შეეხება კოსმოპოლიტურ-ლოკალურ ორიენტაციებს, გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ რესპონდენტები პროფესიული ორიენტაციის მიხედვით მრავალფეროვან ჯგუფს წარმოადგენდნენ, რომლებიც ფლობდნენ როგორც კოსმოპოლიტურ, ასევე ლოკალურ მახასიათებლებს. ეს შეესაბამებოდა კოსმოპოლიტურ-ლოკალური ორიენტაციების შესახებ არსებულ მოსაზრებებს, რომ წმინდა კოსმოპოლიტური ან წმინდა ლოკალური ორიენტაცია

მხოლოდ თეორიულად არსებობს. რომ კოსმოპოლიტისა და ლოკალის იდეალური ტიპი, მხოლოდ თეორიული კონსტრუქტია. ხუთი კოსმოპოლიტურ-ლოკალური ცვლადიდან სამის შედეგები უფრო ლოკალურ ორიენტაციაზე მიუთითებს: 1) უმაღლესი საშუალო ქულა, მიმღებ პროფესიონალთა საერთო ჯგუფისთვის (და თანამშრომლების ქვეჯგუფებზე) ორგანიზაციის მიზნების ზრუნვის (Concern with Organizational Goals, COG) ცვლადზე მოდიოდა. COG ცვლადის უფრო მაღალი ქულა ითვლება ლოკალური ორიენტაციის მანიშნებლად; 2) საერთო ჯგუფისა და ქვეჯგუფების ქულები ასევე იყო ორგანიზაციული უძრაობის (Organizational Immobility, OI) შესაძლო ქულების დიაპაზონის შუა წერტილზე. უფრო მაღალი ქულა ორგანიზაციული უმოძრაობის უფრო მაღალ ხარისხზე და უფრო ლოკალურ ორიენტაციაზე მიუთითებს (ანუ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ რესპონდენტი სხვა დაწესებულებაში გადავიდეს); 3) საერთო ჯგუფისა და ქვეჯგუფის საშუალო ქულები გარე ორიენტაციისთვის (External Orientation, EO) იყო დიაპაზონის შუა წერტილის ქვემოთ (ქვედა ქულები ლოკალური ორიენტაციის მაჩვენებელია). დანარჩენი ორი კოსმოპოლიტურ-ლოკალური ცვლადის, „პროფესიული ვალდებულება“ და „ზრუნვა წინსვლაზე“ (Professional Commitment, PC და Concern with Advancement, CA), შედეგები უფრო კოსმოპოლიტურ ორიენტაციას ასახავდა. უმაღლესი ქულა CA-ზე მიუთითებს იმაზე, რომ უფრო მაღალია შეშფოთება პროფესიაში წინსვლის შესახებ, ხოლო უფრო მაღალი ქულა PC-ზე მიუთითებს პროფესიისადმი ერთგულების უფრო დიდ ხარისხზე. ასე რომ, ლოკალურ ორიენტაციასთან დაკავშირებით, ჯგუფი, როგორც ჩანს, დაინტერესებულია დაწესებულების მიზნების მიღწევით, რომელიც მათ ასაქმებს. შესაბამისად, მათ აქვთ უფრო შიდა, ვიდრე გარე ორიენტაცია და დამსაქმებელი ორგანიზაციის ცვლილებით არ არიან დაინტერესებულნი, ორგანიზაციულად უმოძრაოები არიან. რაც შეეხება კოსმოპოლიტურის მხრივ, ზრუნავს მიმღებ პროფესიაში კარიერულ წინსვლაზე და თავისი პროფესიის ერთგულია. ჰარი აღნიშნავს, რომ ორგანიზაციის უმოძრაობის უფრო მაღალი ქულები, კარიერული წინსვლისა და პროფესიული ვალდებულების შესახებ, მის კვლევაში, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, შეესაბამებოდა გრიფონ-ფილდსის 1992 წლის დასკვნებს. მიუხედავად იმისა, რომ პასუხების მრავალფეროვნება გარკვეულწილად ართულებს განზოგადებებს მთელი ჯგუფისთვის, კოსმოპოლიტურ-ლოკალური

გამოკითხვის შედეგები შეიძლება ძალიან სასარგებლო იყოს პროფესიონალებისთვის ინდივიდუალურ დონეზე, რათა გამოიკვლიონ საკუთარი პროფესიული ორიენტაცია. ჰარი თავის ნაშრომში, სამუშაოთი კმაყოფილების ცვლადებისა და კოსმოპოლიტურ-ლოკალური ორიენტაციის კავშირზე საუბრისას, ხაზს უსვამს, რომ ვერ იქნა მოძიებული შესაბამისი ლიტერატურა, სადაც აღწერილი იქნებოდა კვლევები შრომით კმაყოფილებასა და კოსმოპოლიტურ-ლოკალურ ორიენტაციებს შორის ურთიერთობაზე რომელიმე პროფესიაში. მის მიერ ჩატარებულმა კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ არსებობდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი კოსმოპოლიტურ-ლოკალური ცვლადების სიმრავლესა და შრომით კმაყოფილების თითოეულ ცვლადს შორის. როდესაც თითოეული კოსმოპოლიტურ-ლოკალური ცვლადი დაწყვილდა სამუშაოთი კმაყოფილების თითოეულ ცვლადთან, გამოვლინდა რამდენიმე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დადებითი (13) და უარყოფითი (6) კავშირი. უარყოფითი კავშირი მოიცავდა გარე ორიენტაციის (External Orientation, EO) კოსმოპოლიტურ-ლოკალურ ცვლადს, სამუშაოთი კმაყოფილების თითოეულ ცვლადთან მიმართებაში. EO ცვლადი მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად იზიარებდნენ რესპონდენტები პროფესიულ ინტერესებს თავიანთ დაწესებულებაში სხვებთან და მიიღეს თუ არა ინტელექტუალური სტიმულირება დაწესებულების შიგნით თუ გარეთ. ამ კვლევაში, რაც უფრო მაღალია კმაყოფილების დონე სამუშაოთი კმაყოფილების ექვსი ცვლადიდან თითოეულისთვის, მით უფრო დაბალია გარე ორიენტაცია (ან უფრო დიდი შიდა ორიენტაცია). რაც შეეხება კოსმოპოლიტურ-ლოკალური და სამუშაოთი კმაყოფილების ცვლადების, 30 წყვილს შორის, მნიშვნელოვან დადებით კავშირებს, შემდეგია: კოსმოპოლიტურ-ლოკალური ცვლადი, რომელსაც ყველაზე მეტი მნიშვნელოვანი ურთიერთობა ჰქონდა სამუშაოთი კმაყოფილების ცვლადებთან, იყო ორგანიზაციული უმოძრაობის (Organizational Immobility, OI) ცვლადი. OI ცვლადი ფოკუსირებული იყო ფაქტორებზე, რომლებიც იწვევდნენ რესპონდენტებს დარჩნენ ან დატოვონ თავიანთი სამუშაო დაწესებულებები (რაც უფრო მაღალია ქულა, მით მეტ უმოძრაობაზე მიუთითებს). როგორც ჰარი აღნიშნავს, მოსალოდნელი პოზიტიური ურთიერთობა სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ სამუშაოთი კმაყოფილების ნებისმიერ ცვლადზე უფრო მაღალი ქულა ასევე ნიშნავს უფრო მაღალ ქულას ორგანიზაციულ უმოძრაობაზე. (Harr, 1999,

pp. 75-78). ჰარის აზრით, მომავალი კვლევები, რომლებიც მიზნად ისახავს გამოიკვლიოს კავშირი შრომით კმაყოფილებასა და მიმღებ პროფესიონალთა კოსმოპოლიტურ-ლოკალურ ორიენტაციას შორის, უნდა მოიცავდეს პირებს, რომლებმაც დატოვეს მიმღების პროფესია და აღნიშნავს, რომ განსაკუთრებით საინტერესო იქნება, იყო თუ არა მნიშვნელოვანი განსხვავებები სამუშაოთი კმაყოფილების დონესა და კოსმოპოლიტურ-ლოკალურ ორიენტაციაში ამჟამად დასაქმებულებსა და ამ სფეროში ადრე დასაქმებულებს შორის.

„ლოკალურ-კოსმოპოლიტური“ ორიენტაციების შესახებ ზოგადი თეორიული მსჯელობის შემდეგ განვიხილოთ ორგანიზაციებში კოსმოპოლიტებს და ლოკალებს შორის დაპირისპირება სამეცნიერო კვლევებში.

ორგანიზაციული კოსმოპოლიტიზმის ერთ-ერთი საინტერესო აღმოჩენაა ის, რომ ზოგიერთი ადამიანი დიდ ვალდებულებას ავლენს როგორც თავისი ორგანიზაციის, ასევე, პროფესიის მიმართ (Gouldner, 1957; Blau, P. M. & Scott, W. R., 1962; Kornhauser, 1962; Glaser, 1963; Filley & R., 1969). ეს იმაზე მეტყველებს, რომ წინა შეხედულების საპირისპიროდ, კოსმოპოლიტიზმი და ლოკალიზმი შეიძლება რეალურად წარმოადგენდნენ დამოუკიდებელ ცვლადებს, რასაც ქენონის, იუნის, მაკგოუვანისა და იაპრაკის (Cannon, H. M., Yoon, S.-J., McGowan, L., Yaprak A., 1994) კვლევები და სხვადასხვა ქვეყნის მონაცემები ადასტურებს. ძირითადი თეორიული პერსპექტივა ეფუძნებოდა დაშვებას, რომ კოსმოპოლიტებს მიდრეკილება აქვთ, განსაზღვრონ საკუთარი თავი და შეაფასონ თავიანთი ქცევა ფართო მსოფლიო კონტექსტში არსებული საუკეთესო პრაქტიკის ობიექტური შეფასების საფუძველზე, მაშინ როდესაც, ამ კატეგორიის მიღმა არსებული ადამიანები, საკუთარ თავს განსაზღვრავენ და თავიანთ ქცევას აფასებენ სოციალური ნორმებისა და კონკრეტული ჯგუფის პერსპექტივებზე დაყრდნობით. ლოკალები აფასებენ ადგილობრივ კულტურასა და ურთიერთობებს, ხოლო გლობალები - მიდრეკილნი არიან, გაექცნენ ადგილობრივ მიჯაჭვულობას გლობალური კულტურისა და კავშირების სასარგებლოდ. თუ კოსმოპოლიტიზმი და ლოკალიზმი დამოუკიდებელი კონსტრუქტებია, შეიძლება არსებობდეს კოსმოპოლიტების ორი განსხვავებული ტიპი: 1) ისინი, ვინც საკუთარ თავს ლოკალურ კონტექსტში მოიაზრებენ და 2) პირიქით. ვინც საკუთარ თავს ლოკალურ კონტექსტში განიხილავენ, თავიანთი ორიენტაციის

მიხედვით ადგილობრივი კოსმოპოლიტები არიან, ანუ, ისინი არ არიან მიკერძოებულნი და, ვიწრო მსოფლმხედველობით არ გამოირჩევიან, უბრალოდ, აფასებენ ადგილობრივ ურთიერთობებს, კულტურასა და კუთვნილების გრძნობას (Cannon & Yaprak, 2001, pp. 25-26).

ჰიუ ქენონი და ატილა იაპრაკი გვთავაზობენ დამოუკიდებელ მოდელს, რომელიც, მათი შეხედულებით, გამოსადეგია გლობალურ მარკეტინგულ სფეროში, რეკლამაში, მომხმარებლის ქცევასა და პროდუქტის  სეგმენტირებაში (დევიძე, 2015). მათი აზრით, მერტონისა (Merton, 1957) და გოულდნერის (Gouldner, 1957-58) ძირითადი ამოსავალი პრინციპების შერწყმა უნდა მოხდეს. სქემა #2 ასახავს ორ განზომილებას. პირველ რიგში, იგი ითვალისწინებს ლოკალური ორიენტაციის ხარისხს (ლოკალური ორიენტაციის დონეებს). ადგილობრივები იდენტიფიცირებას ახდენენ კონკრეტულ ლოკალურ არეალთან ან კულტურასთან, ხოლო გლობალები არა. სქემა #2, ასევე, განიხილავს კოსმოპოლიტური ორიენტაციის ხარისხს (კოსმოპოლიტური ორიენტაციის დონეებს). კოსმოპოლიტებს, როგორც წესი, ფართო აზროვნება აქვთ და ავტორების შეფასებით, ობიექტურები არიან, ხოლო ადგილობრივები, სამყაროს ვიწრო, მიკერძოებული პერსპექტივიდან უყურებენ. სქემის თითოეული უჯრედის შიგნით არის აღწერილი სარეკლამო მიმართვის სახე, რომელიც, თეორიის ვარაუდით, ყველაზე შესაფერისია (Cannon & Yaprak, 2001) .

ეს მოდელი სქემატურად ისეთი სახისაა (სქემა #2), სადაც გამოხატულია ორი ძირითადი დონე: „კოსმოპოლიტური ორიენტაცია“ და „ლოკალური ორიენტაცია“. „კოსმოპოლიტური ორიენტაცია“, თავის მხრივ შედგება  - 1. „კოსმოპოლიტებისგან“ და 2. „ადგილობრივებისგან“. რაც შეეხება „ლოკალური ორიენტაციის“ დონეს, აქაც ორი ძირითადი მახასიათებელია გამოყოფილი – 1. „გლობალური“ და 2. „ლოკალური“. მათი მიმართებები იძლევა ოთხ ძირითად ორიენტირს (დევიძე, 2015).

*სქემა 2: კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციის დონეები*

| კოსმოპოლიტური ორიენტაციის დონეები | | ლოკალური ორიენტაციის დონეები | |
|---|---|---|---|
| | | **გლობალი** | **ლოკალი** |
| | **კოსმოპოლიტი** | რეაგირებს მარკეტინგულ პროგრამებზე, რომლებიც ხაზს უსვამს გამორჩეულ (მაღალი ხარისხის) და კულტურის გლობალურ სტანდარტებს. 1 | რეაგირებს მარკეტინგულ პროგრამებზე, რომლებიც ხაზს უსვამს ადგილობრივ კულტურულ საჭიროებებსა და საზრუნავს, თუმცა ისინი დაკავშირებულია გამორჩეულ (მაღალი ხარისხის) გლობალურ სტანდარტებთან. 2 |
| | **ადგილობრივი** | პასუხობს მარკეტინგულ პროგრამებს, რომლებიც დაფუძნებულია მომხმარებელთა განსაკუთრებულ საჭიროებებსა და მიკერძოებებზე (არ ახასიათებს სწრაფვა გამორჩეული (მაღალი ხარისხის) და კულტურის გლობალურ სტანდარტებისკენ) 3 | რეაგირებს მარკეტინგის პროგრამებზე, რომლებიც დაფუძნებულია ადგილობრივ კულტურაზე, საჭიროებებსა და მიკერძოებულობაზე (როგორც გლობალის საწინააღმდეგო ერთეულს, არ ახასიათებს სწრაფვა გამორჩეული (მაღალი ხარისხის) და კულტურის გლობალურ სტანდარტებისკენ) 4 |

*წყარო: Cannon & Yaprak, 2001: 26*

ავტორთა აზრით, ასეთი მიმართებები საუკეთესოა მომხმარებლების ქცევისა და საქონლის დახარისხებისათვის, რომელსაც შესაბამისი დახასიათებები ახლავს. ამავე მიმართებების საფუძველზე, შესაძლებელია ქცევის აღწერაც. შევეხოთ ყოველ მათგანს. კოსმოპოლიტი, ადგილობრივი, გლობალი და ლოკალი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ერთეულებს წარმოადგენენ. გარდა მარკეტინგული ქცევის თავისებურებისა, ქენონისა და იაპრაკის შრომაზე დაყრდნობით ზოგადად დავახასიათოთ თითოეული ერთეულის სპეციფიკა ორგანიზაციებში (Cannon & Yaprak, 2001).

**<u>კოსმოპოლიტები</u>** – აქვთ მაღალი პასუხისმგებლობა თავიანთი ორგანიზაციისა და პროფესიის მიმართ. ისინი საკუთარი ქცევის განსაზღვრისა და შეფასების ობიექტურ კრიტერიუმებს ეყრდნობიან, ყურადღებას აქცევენ მათ პრაქტიკულობას და ეს მსოფლიოს კონტექსტშია განხილული, განსხვავებით ვიწრო ადგილობრივი ღირებულებებისა და დამოკიდებულებებისაგან (დევიძე, 2015).

ადგილობრივები – მაღალი პასუხისმგებლობა აქვთ, მაგრამ შეფასებისას უფრო სუბიექტურები არიან. ყურადღებას აქცევენ რეფერენტული ჯგუფის აზრებს, მათი მსგავსი ჯგუფების სოციალურ ნორმებსა და ღირებულებებს იზიარებენ. შესაბამისად, მათი ქცევა შეზღუდულია, ჩარჩოებშია მოქცეული და ქცევაც მხოლოდ კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალსა ან კონკრეტულ ადგილობრივ ორგანიზაციებზე ორიენტირდება (დევიძე, 2015).

გლობალები – მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა აქვთ ორგანიზაციისა და თავისი პროფესიის მიმართ. მათი ქცევა გლობალურ სტანდარტებს შეესაბამება. მათი მოქმედების მასშტაბები გლობალურ ნორმებსა და ღირებულებებს ეყრდნობა (დევიძე, 2015).

ლოკალები – აქვთ პასუხისმგებლობა თავიანთი ლოკალური ორგანიზაციისა და კონკრეტული პროფესიების მიმართ. მათი ღირებულებები ვრცელდება ლოკალური კულტურული არეალის ფარგლებსა და ჩაკეტილ კომუნიკაციებში. ადგილობრივი კულტურის ზეგავლენით მოქმედების არეალი შემცირებული აქვთ. მათ თავიანთ ერთობაში ჩამოყალიბებული ნორმები და ზემოქმედების წესები აქვთ. ამგვარად, ლოკალები ადგილობრივი კულტურის წარმომადგენლები არიან (დევიძე, 2015).

ორგანიზაციებში ოპერირებისას ერთეულების ზოგადი მახასიათებლების აღწერის შემდეგ, განვიხილოთ მიმართებები ამ ძირითად კატეგორიებს შორის: 1. კოსმოპოლიტი-გლობალი, 2. ადგილობრივი-გლობალი, 3. კოსმოპოლიტი-ლოკალი და 4. ადგილობრივი-ლოკალი (იხ. სქემა #2). ასეთი პროფილების გამოყენება შესაძლებლობას გვაძლევს, გამოვავლინოთ ორგანიზაციებში მომუშავე ადამიანებს შორის უფრო მცირე, არა პოლარული, განსხვავებებიც კი.

1. კოსმოპოლიტი-გლობალი - პასუხისმგებლობით ასრულებენ მარკეტინგულ პროგრამებს, რომლებიც გლობალურ სტანდარტებს შეესატყვისება თავიანთი კულტურითა და სტატუსით. ისინი ორიენტირებულნი არიან სამუშაოსა და მოგებაზე. მათ შესწევთ უნარი, იმუშაონ საერთაშორისო ორგანიზაციებში, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, სხვადასხვა ქვეყანაში. ძირითადად, იციან ორი ან მეტი უცხო ენა. მიზანსწრაფულები არიან და ძალიან გამოხატული

ინდივიდუალიზმი აქვთ. უმეტეს შემთხვევაში, უპირისპირდებიან ადგილობრივ-გლობალებს და არ ესმით მათი (Cannon & Yaprak, 2001).

2. <u>ადგილობრივი-გლობალი</u> – პასუხიმგებლობით ასრულებენ მარკეტინგის პროგრამებს, რომლებიც ეყრდნობა მყიდველის (მომხმარებლის) სპეციფიკურ მოთხოვნილებებსა და მოთხოვნებს. ისინი, უმეტესად, არ ეთანხმებიან სტატუსის ობიექტურ სტანდარტებს. ასეთი პიროვნებები, ძირითადად, არჩევენ, იმუშაონ საკუთარი ქვეყნის უცხოურ ორგანიზაციებში და წარმოადგენენ შუამავალ რგოლს საერთაშორისო და ადგილობრივებს შორის. ფლობენ რამდენიმე უცხო ენას, მიზანსწრაფულები არიან, აღიარებენ საკუთარი კულტურის ღირებულებებს და დადებითი დამოკიდებულება აქვთ ადგილობრივი ერთობების მიმართ. შესაძლოა, კოსმოპოლიტ-გლობალისაგან განსხვავებით გარკვეულ საკითხებში საპირისპირო, სხვა პოზიცია დაიკავონ (Cannon & Yaprak, 2001).

3. <u>კოსმოპოლიტი-ლოკალი</u> – პასუხისმგებლობით ასრულებენ მარკეტინგულ პროგრამებს, რომლებიც ეყრდნობა ლოკალურ კულტურას, მათ მოთხოვნებსა და მოთხოვნილებებს. ამას ემატება სტატუსის გლობალური სტანდარტების გაზიარება, ისინი ახერხებენ, დაამყარონ კავშირები როგორც საერთაშორისო დონეზე, ასევე, ლოკალურ დონეზე. ძირათადად, მუშაობენ საკუთარ ქვეყნებში იქ, სადაც უცხოური ინვესტიციებია. მათი ღირებულებები და დამოკიდებულებები პრინციპულია. ეს ერთეული კოსმოპოლიტისა და ლოკალის ნაზავს წარმოადგენს. ფლობენ ერთ ან ორ უცხო ენას, ძალიან აფასებენ საკუთარ კულტურას და პატივს სცემენ სხვისას. მათი ოჯახური ცხოვრება, ძირითადად, ლოკალურ დონეზე ხორციელდება. ადგილობრივ ერთობებსა და რეფერენტულ ჯგუფებს დიდ პატივს სცემენ. ზოგიერთ საკითხში ვერ უგებენ ადგილობრივ-ლოკალს (Cannon & Yaprak, 2001).

4. <u>ადგილობრივი-ლოკალი</u> – პასუხისმგებლობით ეკიდებიან მარკეტინგულ პროგრამას, რომელიც ლოკალურ კულტურას ახასიათებს, ასევე, იზიარებენ იმ ლოკალურ და ადგილობრივ მოთხოვნილებებსა და მოთხოვნებს, რაც მათი რეგიონის მომხმარებლებს გააჩნიათ. ისინი უპირისპირდებიან გლობალურ სტანდარტებს, მათ სტატუსს. ხშირ შემთხვევაში არ ფლობენ უცხო ენას.

მიჩნიათ, რომ ბიზნესი უნდა დაეფუძნოს  ტრადიციულ ღირებულებებს, ეროვნულ “სულს.” ძალიან დადებითი დამოკიდებულება აქვთ  ტრადიციული ფასეულობების მიმართ. უპირატესობას ანიჭებენ კოლექტიური ცხოვრების სტილს, პასუხისმგებლობით ეკიდებიან რეფერენტული ჯგუფების გადაწყვეტილებებს, ადგილობრივ ერთობებს წინა პლანზე აყენებენ (Cannon & Yaprak, 2001).

# თავი VI: კონფლიქტები ორგანიზაციებში

ორგანიზაციაში მიმდინარე კონფლიქტების აღწერა გულისხმობს მათ ჰოლისტურ მიდგომას, სადაც კონფლიქტები ორგანიზაციის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იჩენს თავს. ორგანიზაციის განვითარება მის მთელ სისტემას მოიცავს, დაწყებული სტრუქტურული ერთეულებიდან, დამთავრებული თანამშრომლების დამოკიდებულებების, შეხედულებებისა და ღირებულებების გამოვლენის ჩათვლით. ასეთი სისტემა ყველა ელემენტის შესაბამის განვითარებას გულისხმობს. რომელიმე ქვესისტემის განუვითარებულობა აისახება სხვა მომიჯნავე ქვესისტემაზეც.

შევეხოთ ორგანიზაციის განვითარების სტრუქტურულ-ფუნქციურ მხარეს. ორგანიზაციის განვითარების თეორიებს შორის უნდა გამოვყოთ ავსტრიელი პროფესორის ფრიდრიხ გლაზლის შეხედულება, რომელიც ემპირიულ კვლევებსა და პრაქტიკულ გამოცდილებას ემყარება. მისი აზრით, ორგანიზაციის განვითარება მენეჯერების მიერ წინასწარაა დაგეგმილი. განსხვავებულ სტადიებზე მათი ჩარევა ყოველ დონეზე მიმდინარეობს და ისინი სხვადასხვა საკვლევი ინსტრუმენტის გამოყენებით განსაზღვრავენ ეფექტურობასა და ეფექტიანობას. ამ შემთხვევაში ხორციელდება ორგანიზაციის სტრატეგიისა და სტრუქტურის განსაზღვრა. რაც ყველაზე მთავარია, ის, ასევე, გულისხმობს ყველა წევრის პროფესიულ და პიროვნულ განვითარებას. ასეთი მოქმედებებით წინასწარ გეგმავენ, განსაზღვრავენ, თუ რა ცვლილება უნდა მოხდეს ორგანიზაციაში. გლაზლი გამოყოფს ორგანიზაციის განვითარების ოთხ ფაზას (Glasl & Livegoed, 2016). მის მიერ აღწერილი ორგანიზაციის ზრდა და განვითრება სხვადასხვა ფაზას მოიცავს, რომლებშიც შედის ორგანიზაციის განვითარების პროცესის აღწერა, დიფერენცირება და, ბოლოს, ინტეგრაცია. ეს ფაზები შემდეგია:

1) პიონერული ფაზა
2) დიფერენციაციის ფაზა
3) ინტეგრაციის ფაზა
4) ასოციაციის ფაზა.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

1. **პიონერული ფაზა** - ამ ფაზაში გადმწყვეტი როლი ეკისრებათ პიროვნებებს, მათ უნარებს, მიმართებებსა და დამოკიდებულებებს. ამ სახით მათ უშუალო კავშირები აქვთ მომხმარებელსა და ერთმანეთთან. საერთო მიზნიდან გამომდინარე, ორგანიზაცია, ძირითადად, მუშაობს საკუთარი კლიენტების დაკმაყოფილებისთვის, რათა მოიპოვონ მათი ნდობა და ამით გააღრმავონ ურთიერთკავშირები. შესაძლოა, ეს ურთიერთკავშირები უშუალო კონტაქტით არ ხდებოდეს, არამედ ბაზრის პირობებით ან ციფრული ინფორმაციის გადაცემით იყოს გაშუალებული. ამ ფაზაში ორგანიზაციის ლიდერები უფრო მეტად დირექტიულად მოქმედებენ და უშუალო მონაწილეობას იღებენ ყველა საკითხის დაგეგმვაში, რომლებიც ორგანიზაციის განვითარებას უწყობს ხელს. ისინი ორგანიზაციაში მომუშავე დაქვემდებარებულ პირებს განიხილავენ, როგორც მხოლოდ საქმის შემსრულებლებს.

თუ ეს ფაზა ორგანიზაციული განვითარებისთვის ხანგრძლივი აღმოჩნდა და დროში გაიწელა, დიდი ალბათობაა, რომ სხვადასხვა ჯგუფსა და სტრუქტურაში მივიღოთ დაძაბულობა, ან, სხვა შემთხვევაში, ლიდერების უპირობო აღიარება და მათი ზეგავლენის ქვეშ მოქცევა. ამ შემთხვევაში, შესაძლოა ინტერესთა კონფლიქტი განვითარდეს ან მმართველსა და დაქვემდებარებულებს შორის დაპირისპირება გამოიწვიოს. ამ ფაზას თან ახლავს ბუნდოვანება და, შესაბამისად, არ არსებობს სტანდარტები, საქმიანობის ფორმალიზება და, შედეგად, მოქმედებენ მოთხოვნების უკუკავშირის საფუძველზე. ამ ფაზაში არაფორმალური ურთიერთობა დიდ როლს თამაშობს და „შინაურული" ურთიერთდამოკიდებულებებით ერთპიროვნულ ლიდერს ემორჩილებიან. ასეთ შემთხვევაში, ლიდერი აღიქმება, როგორც შესაბამისი ცოდნის, ძალაუფლების მქონედ და ორგანიზაციის სტრატეგიის უბადლო განმახორციელებლად. ამ სახით ლიდერი სწრაფად ხდება ქარიზმატული, რომელიც საქმეზე პასუხისმგებლობას პირადად იღებს და მომუშავეები ნაკლებად არიან ჩართული მართვაში და აღიქმებიან, როგორც გამოუცდელნი. უმეტესწილად, ასეთი ორგანიზაციები წარმატებას

ნაკლებად აღწევენ, შესაძლოა, მათი მოგებაც შემცირდეს, წარმოიშვას კონფლიქტები სხვადასხვა დონეზე და მოიმატოს მომხმარებლის პრეტენზიებმა. ეს განპირობებულია ორგანიზაციაში მიმდინარე არაფორმალური ურთიერთობებით, სადაც ერთპიროვნული ლიდერი აწესრიგებს საქმეებს. ამ ფაზაზე კონსულტანტების, ექსპერტების, კრიზის-მენეჯერების ჩარევა აუცილებელია, რათა მოხდეს თანამშრომლებს შორის ურთიერთობის დარეგულირება და ბაზრის ახალ რეალობასთან ადაპტირება, სადაც მომხმარებლის მოთხოვნილებები და მოთხოვნები იქნება გათვალისწინებული (Glasl & Livegoed, 2016, p. 55).

2. **დიფერენციაციის ფაზა** - ორგანიზაციაში ეს ფაზა იწყება იმ შემთხვევაში, თუ ლიდერები სოციალურ გარემოს მოთხოვნებთან სხვა ხედვით წარსდგებიან, რადგან მათ ორგანიზაციაში კრიზისული სიტუაციის ნიშნები უკვე სახეზეა. სწორედ ამ შემთხვევაში, ორგანიზაციის წინაშე დგება საკითხი, განახორციელოს ცვლილებები. ცვლილებების მიმართ დამოკიდებულებების შეცვლა უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ, რაც შეცვლის ორგანიზაციის მართვის სტილს და დაამკვიდრებს ახალს და აღარ დაუბრუნდება იმას, რაც იყო პიონერულ სტადიაზე. როდესაც არსებობს თანხმობა და განზრახვა, რომ აუცილებელია ცვლილებების განხორციელება. მაშინ იწყება გონივრული მოქმედებები, რათა დასახული ცვლილებების შესატყვისი მმართველობის სტილი ჩამოყალიბდეს. ამ სახის მართვა გულისხმობს ორგანიზაციის რაციონალური შეხედულებებითა და შესაბამისი მიდგომებით მართვას, რომელშიც შედის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობა, სამუშაოზე სხვადსხვა ერთეულის მუშაობის სისტემაში ჩართვა, ყველა მოქმედებისა და საქმიანობის სტანდარტიზირების განხორციელება და, რაც ყველაზე მთავარია, მენეჯერთა შორის კოორდინაცია. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია დადგენილი საქმიანობის ფორმალიზაცია, რომელიც წინასწარვეა ჩამოყალიბებული და გაწერილი. დიდი ალბათობით, ამ ფაზაშიც, შეიძლება განვითარდეს კრიზისი. ეს ხდება იმ შემთხევევაში, როცა ორგანიზაცია გადაჭარბებულადაა წესებსა და ფორმალიზებულ ურთიერთობებზე

აქცენტირებული. კრიზისი, შესაძლოა, გაამწვავოს მხოლოდ რეგულაციებზე დაყრდნობილმა გადაწყვეტილებებმა და მის მისაღწევად ჩარჩოებში მოქცეულმა მოქმედების წესებმა. ეს პროცესები რომ არ განვითარდეს, საჭიროა მომხმარებლებთან ურთიერთობის შეცვლა, იერარქიის ისე ჩამოყალიბება, რომ პრობლემები სხვადასხვა დონეზე წყდებოდეს. ყოველივე ეს წინასწარვე უნდა იქნეს გათვლილი. იერარქია გულისხმობს ისეთ სტრუქტურებს, რომელშიც დაცულია დისციპლინა, ჰყავთ ავტორიტეტი, მაგრამ თანამშრომლები გარკვეულ დონეზე ჩართულნი არიან გადაწყვეტილების მიღებაში. თუ არ არის ეს პირობა დაცული და ორგანიზაცია დელეგირებას ვერ ახდენს, მაშინ კრიზისი აუცილებლად იჩენს თავს. ასეთი კრიზისის დროს მომუშავეები ვერ უგებენ ერთმანეთს, წარმოიშობა სხვადასხვა ინტენსივობის დაპირისპირება. შესაძლოა, რომელიმე მხრიდან თავი იჩინოს დიდმა ამბიციებმა და ეს ყველაფერი გამოიწვევს მოტივაციის შემცირებას და შესასრულებელი სამუშაოც არაეფექტიანი იქნება. სწორედ ამიტომ ამ ფაზაზე შემოაქვთ სტანდარტული სისტემები და ფორამლიზებული წესები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს ურთიერთობების დარეგულირებას. ამ ფაზის დონეზე განვითარებული ორგანიზაცია ახალ სტრუქტურებს იძენს და ეს ვრცელდება მის ყველა ერთეულზე. შესაბამისად, ნაკლებადაა მოსალოდნელი დაპირისპირება და დეპარტამენტში (სტრუქტურულ ერთეულში) პასუხისმგებლობა შესაბამისადაა გადაწილებული. ამ ფაზაზე არა მხოლოდ შიდა სტრუქტურებს ექცევა ყურადღება, არამედ, ასევე ბაზრის პირობებსა და იმ მოთხოვნებს, რომლებსაც ისინი უყენებენ ორგანიზაციებს. სწორი და დაგეგმილი ქმედებით კომუნიკაცია ეფეტური ხდება. სამუშაოზე და რა თქმა უნდა, განყოფილებებს შორის ინტეგრაცია ფართოვდება და ნაკლებადაა მოსალოდნელი კრიზისული პერიოდები. მოკლედ, რეგულაციებისა და წესების ძალიან გაზრდა იწვევს დაპირისპირებას. სხვა შემთხვევაში, ორგანიზაცია უკვე ფიქრობს მაღალ საფეხურზე გადასვლას. (Glasl & Livegoed, 2016, p. 56)

**3. ინტეგრაციის ფაზა** - ამ ფაზაში ორგანიზაცია აუცილებლად აყალიბებს ახალ

მიდგომებს, მართვის შესაბამის პრინციპებს და უკვე ორგანიზაციის წევრებს რთავენ მმართველობით საქმიანობაში. მმართველი რგოლის ასეთი სახის ქმედება და სურვილი, რომ ყოველი მონაწილე იყოს ჩართული ორგანიზაციის წინსვლაში, ნიშნავს, რომ უკვე აქცენტები გადატანილია თანამშრომლებსა და ურთიერთობის ახალ საფეხურზე გადასვლაზე. იმ შემთხვევაში, როცა არსებობს ინტეგრაციის განზრახვა, მაშინ სოციალური, ტექნიკური და კულტურული სისტემები ერთმანეთთან ჰარმონიაში არიან. უშუალო აქცენტები კეთდება მმართველობაზე - გადაწყვეტილების მიღებაზე, პრობლემის ერთობლივად განხილვასა და ეფექტიანი მოქმედებების განხორციელებაზე. ამ ფაზაზე უკვე ყალიბდება ქვეჯგუფები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან კონკრეტულ სამუშაოზე. ისინი მათზე დაკისრებულ სამუშაოზე გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად იღებენ. ამ შემთხვევაში, სახეზეა უფლება-მოვალეობების დელეგირება და შემცირებულია ვერტიკალურად მიწოდებული დავალებების რაოდენობა. ამ ფაზაზე მყოფ ორგანიზაციებში შიდა და გარე ფაქტორებს თანაბრად ექცევა ყურადღება. ძირითადი აქცენტები კოლექტივზეა ორიენტირებული. ამ ფაზაზეც არის მოსალოდნელი კრიზისი. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როცა ირღვევა შიდა და გარე მხარეებს შორის ჰარმონიული აქცენტები და მხოლოდ შიდა მხარეზე ხდება ორიენტირება, ხოლო გარემოსთან ინტეგრაცია შემცირებულია.

ამ ფაზის დროს ძირითადი ყურადღება გამახვილებულია სოციალურ სუბსისტემებზე, ჩამოყალიებებულია საერთო ღირებულებათა სისტემა, მკაცრადაა გააზრებული ორგანიზაციის მიზნები. გლაზლი 6 ფუნქციას გამოყოფს:

1. შიდა და გარე კავშირები
2. პროცესის მართვა
3. რესურსების მართვა და გამოყენება
4. საერთო პოლიტიკის ძირითადი პოსტულატების შემუშავება
5. შინაგანი კონტაქტების შენარჩუნება

6. ინფორმაციით უზრუნველყოფა და მართვა (Glasl & Livegoed, 2016, p. 57)

ჩამოთვლილი ფუნქციების განხორციელებას დიდი ყურადღება ექცევა. ყურადღებას ამახვილებენ ერთობასა და ინტეგრაციაზე, ჯანსაღ კომუნიკაციაზე, პიროვნებებზე აქცენტების გაკეთებაზე, კვალიფიკაციის ამაღლებაზე, ადამიანური რესურსების განვითარებაზე, ორგანიზაციასთან იდენტიფიცირებაზე, დასაქმებულთა ინტეგრაციაზე, მომხმარებლების ინტერესების სრულ გათვალისწინებაზე. ამ დროს მატულობს სამუშაოს ეფექტურობა და მოქმედების ეფექტიანობა, თანამშრომლები უფრო ინტეგრირებულნი და მოტივირებულები ხდებიან.

**4. ასოციაციის ფაზა** - ამ ფაზაზე ორგანიზაციის გადასვლა დამოკიდებულია მენეჯმენტზე, განვითარების მის ფართო ხედვაზე. რადგანაც ორგანიზაცია ინტეგრირებულია გარემოსთან, ეს ნიშნავს, რომ შიდა და გარე მოქმედებების თანაბარი განვითარება ხორციელდება. რაც მჭიდრო კავშირებითაა განპირობებული. შესაბამისად, ხორციელდება თანამშრომელთა გადამზადება, რათა ახალ გარემოსთან შეგუება მოხდეს. ამ შემთხვევაში, სამივე მხარის - სოციალურის, კულტურულისა და ტექნიკურის სრული ინტეგრაცია ხდება. ამ ფაზაში კრიზისი ვითარდება მაშინ, როცა რთული ურთიერთმიმართებაა სხვადასხვა ორგანიზაციას შორის. ეს კი ნიშნავს, რომ გაერთიანებები ხშირად სხვა ოფიციალურ ორგანიზაციებთან არიან დაპირისპირებულები. ამიტომაც, ასეთ ორგანიზაციებში ცდილობენ მოქმედების საზღვრების გაფართოებას, რასაც ხელმძღვანელობენ მოქნილი დირექტორთა საბჭო და ეფექტური ტოპმენეჯერები. მათ მიერ შექმნილია ქსელები, რომელთა საშუალებითაც უზრუნველყოფილია ამ ფაზაზე ორგანიზაციის შენარჩუნება. ასეთი სახის ორგანიზაციები მათ წევრებს შორის ნდობით სარგებლობენ და მჭიდრო ურთიერთობა აქვთ მომხმარებელთან. ამ სტადიაზე დიდი ყურადღება ექცევა პროდუქტის ხარისხსა და მის მდგრადობას (Glasl & Livegoed, 2016, p. 58).

ორგანიზაციის განვითარების ოთხივე ფაზა ერთმანეთთანაა დაკავშირებული და თანამიმდევრულად ხდება მათი განვითარება. როგორც აღვნიშნეთ, ამ სტადიებზე თავს იჩენს კრიზისული მდგომარეობები. კრიზისი, შესაძლოა, იყოს შემდგომი განვითარების საწყისი, ან დესტრუქციის წინაპირობა. დესტრუქციის შემთხვევაში, ორგანიზაციები, შეიძლება, უფრო დაბალ საფეხურზე დაეშვან, ან, საერთოდ დაიხურონ. რაც შეეხება კრიზისის ნიშნულს, რომელიც ვლინდება სტადიებს შორის, სწორად მართვის შემთხვევაში, განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლის საფუძველი ხდება. სწორედ კრიზისის ამ პერიოდშია კონფლიქტები მოსალოდნელი. ამ მიზნით შევეხოთ კონფლიქტების გამოვლენასა და განვითარებას.

ვილიამ ლინკოლნი კონფლიქტების ანალიზის შემდეგ ცვლადებს გამოჰყოფს: მხარეები, ღირებულებები, ინტერესები, პოზიციები (მიზნები), ინფორმაცია, ძალაუფლება და ძალა, ურთიერთდამოკიდებულებები, მოტივაცია, ურთიერთწარმოდგენები. მას ყურადღების მიღმა არ რჩება ისეთი ცვლადები, როგორიცაა, კონფლიქტის ისტორია, ამჟამინდელი მდგომარეობა, არსებული ტენდეციები და ზოგადი შეხედულებები, რომლებშიც კონფლიქტში ჩართული ორთავე მხარის აზრია გასათვალისწინებელი. დიდ მნიშვნელობას იძენს კონფლიქტის არსობრივი მხარე. კონფლიქტის დროს, დასაწყისშივე, აუცილებელია, დადგინდეს მისი მიზეზები და ფორმები, რომელთა საშუალებითაც შევძლებთ კონფლიქტის ტიპების კლასიფიცირებას. ლინკოლნი, სხვა ტიპოლოგიის გამოყენებით, გამოყოფს ხუთი ტიპის კონფლიქტს: ინფორმაციული, ინსტიტუციური/სტრუქტურული, ღირებულებითი, ურთიერთმიმართებითი და ინტერესთა/ქცევითი. კონფლიქტის ანალიზისას ზუსტად უნდა დადგინდეს, კონფლიქტის რომელ კლასს (ტიპს) მიეკუთვნება ესა თუ ის კონფლიქტი (Lincoln, 1995).

ქვემოთ შევეხოთ კონფლიქტის ხუთივე ტიპს:

1. **ინფორმაციული კონფლიქტი** - ესაა ინფორმაცია, რომელიც მისაღებია ერთი

მხარისთვის და მიუღებელია მეორე მხარისთვის. ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია, არასრულ და არაზუსტ ფაქტებთან გვქონდეს საქმე. ეს ინფორმაცია კონფლიქტის წარმოშობას ან მის ისტორიას ეხება. ზოგ შემთხვევაში, სხვა ფაქტების წინ წამოწევასთანაც გვაქვს საქმე. ამ დროს სააშკარაოდ გამოტანილი ინფორმაცია შეიძლება მეორე მხარისთვის შეურაცხმყოფელი აღმოჩნდეს. შესაძლოა, ინფორმაციაში ფაქტები სათანადოდ არ იქნეს შეფასებული და ეჭვი გაჩნდეს, რომ ისინი წინასწარი განზრახვითაა დამალული. აქვე შეიძლება უნებლიე დეზინფორმაციით ან შეტყობინების სახით საწინააღმდეგოდ იყოს დაგეგმილი. დიდია ალბათობა, გავრცელდეს ჭორებიც. შესაძლოა, ავტორიტეტული ადამიანების ჩანაწერები ან ნათქვამიც იქნეს გამოყენებული, რათა დაიძაბოს სიტუაცია და რომელიმე მხარემ მიაღწიოს საკუთარ მიზანს. ამ ტიპის კონფლიქტების დროს თავს იჩენს სადავო საკითხები, კანონმდებლების, პოლიტიკური შეხედულებების, სტერეოტიპული შეხედულებების შეფასებების დროს (ჯორბენაძე, 2001, გვ. 31).

2. **ინსტიტუციური/სტრუქტურული კონფლიქტი** - კონფლიქტში სტრუქტურული ფაქტორების გამოჩენა დაკავშირებულია მდგრად სიტუაციებთან, რომელთა შეცვლაც ძალიან ძნელია. ეს შეიძლება ეხებოდეს ფორმალურ და არაფორმალურ ორგანიზაციებს. კანონმდებლობა, სხვადასხვა მატერიალური რესურსი, სტატუსი, როლი, გენდერული უფლებები, გეოგრაფიული მდებარეობა, უსაფრთხოების სისტემები, ტრადიციები, პოლიტიკური შეხედულებები, კონტაქტები, ხელშეკრულებები, მემორანდუმები, რელიგიური რწმენები, რეფერენტული ჯგუფების გავლენები, ადამიანთა სტატუსი, სხვადასხვა სოციალური ნორმა და სტანდარტები, საკუთრების საკითხი, ტექნიკაზე წვდომა, სხვადასხვა ინსტიტუციური წესი (რაც განსაზღვრავს ქცევას), ვალდებულებები, რაც ეკონომიკურ სფეროს ეხება და ა.შ. კონფლიქტის სტრუქტურული ტიპი ეს იგივეა, რაც არის სამართლებრივი და ფორმალური წესები (ჯორბენაძე, 2001, გვ. 32).

3. **ღირებულებითი კონფლიქტი** - ეს იმ პრინციპიებსა და შეხედულებებს უკავშირდება, რომლებიც სხვადასხვა მხარისთვის განსხვავებულია და მათ მიერ ისეა ინტერიორიზებული, რომ ძალიან ძნელია შეთანხმების მიღწევა. მხარეთათვის ეს პრინციპები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მათი შეცვლა ან სრულიად უარყოფა ძალიან გაძნელებულია. ადამიანები იცავენ ღირებულებებს, რომლებშიც

დაფიქსირებულია ამა თუ იმ ჯგუფში ან მთლიანად საზოგადოებაში, გავრცელებული სპეციფიკური აზრები თუ შეხედულებები და ღირებულებები ერთმანეთისგან განსხვავდება მოქმედების ძალითა და მნიშვნელობით. მათში მოიაზრება რწმენათა პირველადი სისტემა, ქმედებების შეფასება, ჯგუფური შეხედულებები, იდენტიფიცირებული საზოგადოებრივი რწმენებისა და ქცევის წესების უპირობო მიღება, რელიგიური შეხედულებები, მეცნიერული, კულტურული, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა ღირებულებითი სისტემები. ღირებულებები აისახება იდეოლოგიებშიც. ღირებულებების შეფასება პოლარული სკალის გამოყენებას გულისხმობს. მაგალითად: კარგი-ცუდი, მისაღები-მიუღებელი, მნიშვნელოვანი-უმნიშვნელო და სხვ. კონფლიქტების დროს მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, რამდენად ტოლერანტულია ერთი ჯგუფის ღირებულებითი შეხედულებები მეორის მიმართ. აქვე უნდა იქნეს გათვალსიწინებული ეთიკის ასპექტებიც (ჯორბენაძე, 2001, გვ. 33).

4. **ურთიერთმიმართებითი კონფლიქტი** - ურთიერთობა კონფლიქტური სიტუაციის დროს დაკავშირებულია მეორე მხარის მიღება-არმიღებასთან, ან მათთან ურთიერთობის დაკმაყოფილებასთან ან არდაკმაყოფილებასთან. გასათვალისწინებელია, რომ ურთიერთობა, შესაძლოა, იყოს თანხმობით ან იძულებით ნაკარნახევი, სხვების მოლოდინების გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რამდენად მნიშვნელოვანია ეს ურთიერთობა მხარეებისთვის და რამდენად პოზიტიური ან ნეგატიურია, რამდენად განისაზღვრება დროში ხანგრძლივობით, რა დონის ნდობა აქვთ ერთმანეთთან და როგორ აღიარებენ ერთმანეთის ავტორიტეტს. მნიშვნელოვანია მხარეთა შორის წარსული კონტაქტების ნეგატიური ან პოზიტიური მხარე, მათ შორის ურთიერთობის ისტორიის ხანგრძლივობა და რა ძალთა ბალანსია მათ შორის. ურთიერთობაში მოქმედებს სტატუსებს შორის განსხვავებაც და ის განწყობები, რაც მხარეებს წინასწარ აქვთ განსაზღვრული (ჯორბენაძე, 2001, გვ. 34).

5. **ინტერესთა/ქცევითი კონფლიქტი** - ეს, ძირითადად, დაკავშირებულია მოთხოვნილებებთან და ეხება მეორე მხარესთან მიმართებაში განხორციელებულ ქცევას. ქცევა სხვადასხვა სახისაა, მაგალითად: ძალისმიერი, უპასუხისმგებლო, ეგოისტური, უხეში, დამამცირებელი, შიშის გამომწვევი, არასამართლიანი, ცალმხრივი და უმიზნო. მათი აქტივობები, შესაძლოა, სხვადასხვა სახით აღიქმებოდეს, იწვევდეს სტრესსა და ღირებულებათა სისტემის დარღვევას, რასაც

მოწინააღმდეგე მხარე მიმართავს. ის შეიძლება შეეხოს უსაფრთხოებას, იყოს მტრული, იწვევდეს სხვადასხვა ქცევით რეაქციას, თვითშეფასების შემცირებას, რწმენა-წარმოდგენების დაცვასა და სხვ. (ჯორბენაძე, 2001, გვ. 36)

კონფლიქტის ეს ტიპები დაპირისპირების დროს განსხვავებული სახით იჩენს თავს. შესაძლოა, ყველა ტიპმა ერთობლივად იჩინოს თავი ან წყვილებში ან ცალ-ცალკე. აქედან გამომდინარე, კონფლიქტის ანალიზის დროს საჭიროა გაირკვეს, თუ რომელ ტიპთან გვაქვს საქმე, მათი გამოვლინების მიხედვით.

ანალიზისას აუცილებელია, შემდეგ ეტაპზე გაირკვიოთ, თუ ვინაა ჩართული კონფლიქტში - მხარეები, ჯგუფები, ორგანიზაციები, სახელმწიფოები თუ ცალკეული პიროვნებები. ამ სახით ხდება კონფლიქტში მონაწილე მხარეებისა და მასში სხვა აქტორების გამოვლენა (ჯორბენაძე, 2001).

მხარეების კლასიფიცირება შეიძლება მოხდეს მათი მოქმედების და ძალაუფლების გამოვლენის მიხედვით:

1. **ძირითადი დაინტერესებული მხარეები** - კონფლიქტების ანალიზის ამ ეტაპზე აუცილებლად უნდა გამოვყოთ, თუ ვინაა ძირითადი დაინტერესებული პირები, ორგანიზაციები, ჯგუფები და რა სახით მონაწილეობენ ისინი კონფლიქტში. ძალიან საინტერესოა მათი კონკრეტული პოზიციები და ინტერესები. გამოსავლენია, პოზიციებიდან რომელი ეხება უშუალოდ კონფლქიტს და თავად ამ კონფლქტის ესა თუ ის საკითხი რატომაა მათთვის მნიშვნელოვანი. უნდა დადგინდეს, თავად იღებენ მონაწილეობას კონფლიქტში თუ მათი წარმომადგენლები.
2. **მეორეხარისხოვანი, პოტენციური მონაწილეები** - დასადგენია, ყველაზე მეტად რომელი მხარის ინტერესები არ არის გათვალისწინებული. ვინაა ის, ვინც შესაძლოა ჩერთოს კონფლიქტში, როცა ვხედავთ, რომ კონკრეტული კონფლიქტის დროს არიან სხვა, მეორეხარისხოვანი პირებიც, რომლებსაც საკუთარი ინტერესები აქვთ.
3. **ცალკეული პირები** - ცალკეული პირები არიან ის ადამიანები, რომლებიც კონფლიქტში ჩართულები არიან მხარეთა უშუალო წარმომადგენლებად. აუცილებელია, გაირკვეს, თუ რა წინადადებებით არიან ეს მხარეები

წარმოდგენილნი, რათა გადაიჭრას კონფლიქტი. შესაძლოა, ასევე, საზოგადოების მხრიდანაც იყვნენ ჩართულები. დასადგენია, რა სახის გზავნილები და შეხედულებები გააჩნიათ მათ, რას ფიქრობენ კონფლიქტის გადაჭრაზე. ამ წარმომადგენლებიდან ვინ შეიძლება ძირითად დაპირისპირებულ მხარეებზე მოახდინოს ზეგავლენა. გასარკვევია, ხომ არ უწყობენ ეს პირები ხელს კონფლიქტის ესკალაციის ინტენსივობის მატებას, რა სახის მოგება და სარგებელი აქვთ მათ ამ კონფლიქტიდან, ასევე, ამ წარმოდგენათა უკან ვინ არის კიდევ სხვა ოფიციალური პირი.

4. **ორგანიზატორები** - აქ იგულისხმება მცირე და დიდი ჯგუფები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ კონფლიქტში, მაგრამ, შესაძლოა, ისინი აშკარად არ ჩანდნენ. ასეთ შემთხვევაში, აუცილებელია გაირკვეს, როგორ ხდება გადაწყვეტილების მიღება ჯგუფსა და ორგანიზაციებში, რამდენად მტკიცეა მათი ერთობლივი გადაწყვეტილება, აქვთ თუ არა ჩამოყალიბებული კოალიციები, ასევე, რამდენადაა მოსალოდნელი, რომ მათზე სხვები ზეგავლენას მოახდენენ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ორგანიზაციები ხშირად ფარულადაც მოქმედებენ.

კონფლიქტის ანალიზისთვის საჭიროა, გამოვლინდეს მხარეთა ღირებულებები, პოზიციები, ინტერესები (Lincoln W. F., 1995). ეს პროცესი საკმაოდ რთულ პირობებში ვლინდება, რადგან, ხშირად, მხარეები კონფლიქტის ესკალაციის მიზნით მალავენ საკუთარ მისწრაფებებს ან შენიღბულად წარმართავენ მათ. შესაძლოა, თავდაცვის მიზნით მიღებულ კანონებსაც დაეყრდნონ ან მათი ინტერპრეტაცია საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენონ.

1. **მიზნები (პოზიციები)** - აუცილებლადაა დასადგენი, რა მიზნები ამოძრავებთ მხარეებს და რა პოზიციების გამოვლენა ხდება მათ მიერ მოცემულ პრობლემასთან დაკავშირებით. დასადგენია, ეს მიზნები აშკარად თუ შენიღბულადაა გამოხატული. ასევე, მხარეებს რამდენად შეუძლიათ ამ მიზნების განხორციელება. ყურადღება უნდა მივაქციოთ მხარეთა ემოციურ-გრძნობად გამოხატვას გარკვეული მიზნების მისაღწევად, აგრეთვე, მათ პირად აზრებს, შეხედულებებს. გამოვყოთ ისინი და დავუკავშიროთ მიზნებს.

2. **ღირებულებები (რწმენები)** - მხარეებს გააჩნიათ საკუთარი სხვადასხვა რწმენა, რომლებშიც ერთიანდება შესაბამისი ღირებულებები. ისინი გარკვეული კლასტერის სახით არიან წარმოდგენილი. ღირებულებათა ასეთი სისტემის დარღვევა ძალიან ძნელია, მაგრამ მათი შესწავლა აუცილებელია. თავიდანვე უნდა გავარკვიოთ, რა ღირებულებებს ეყრდნობიან და იზიარებენ კონფლიქტში ჩართული მხარეები, რომლებშიც მათი ქცევის დეტერმინანტებია. ეს, შესაძლოა, ეხებოდეს გადაწყვეტილების ხანმოკლე ან ხანგრძლივ პერსპექტივას, განვითარებას ან არგანვითრებას. ღირებულებების გამოყოფისას დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ პიროვნულ, იდეოლოგიურ, კულტურულ, რელიგიურ და ა.შ. განსხვავებებს. გამოყოფილი ღირებულებები, შესაძლოა, პიროვნებასთან ან ჯგუფთან იყოს დაკავშირებული, რაც, თავისთავად, სხვადასხვა სახის პრობლემას წრმოშობს.
3. **ინტერესები** - ინტერესების ფარგლებში იგულისხმება მოთხოვნილებები და საჭიროებები, რომლებიც აუცილებლად უნდა დაკმაყოფილდეს კონფლიქტის მოგვარების საერთო პროცესში. აქედან გამომდინარე, საჭიროა, გამოვყოთ მხარეთა ინტერესები, ვაჩვენოთ, რა განსხვავებებია მათ შორის, რა საერთო აქვთ მხარეებს ინტერესებთან დაკავშირებით და რამდენად შეუწყობს ხელს კონფლიქტის დარეგულირებას ან გახდება თუ არა კონფლიქტის დარეგულირების საფუძველი.

ინტერესების დაფიქსირებისას მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, თუ რამდენად სანდო წყაროს ვეყრდნობით. მხარეთათვის მნიშვნელოვანია, გაიგონ, ინფორმაციის გავრცელება რომელ წყაროს ეყრდნობა, ვალიდურია ეს წყარო თუ არა და, ასევე, მნიშვნელოვანია, რომ მხარეები ამ წყაროს ენდობოდნენ. დასადგენია, ის წყარო, საზოგადოდ, გავრცელებულია თუ ინდივიდუალურადაა მიღებული. სწორედ, პოზიტიური პასუხის მიღებისას, წყაროებთან დაკავშირებით, შესაძლოა, ახლებურად დაისვას საკითხი, რაც, პირველ რიგში, ურთიერთგანწყობებს ეხება. ე.ი მხარეებს რა დამოკიდებულება აქვთ სადავო საკითხის მიმართ, რა წყაროზეა დაყრდნობილი დამოკიდებულებების სიზუსტე, მეორე მხარის მიმართ ხომ არ არის ფარული ან აშკარა მტრობა, ვინ გამოხატავს მას და როგორ. მხარეთა დამოკიდებულებების გაგება, ასევე, დაკავშირებულია მოლოდინებთან, რომებიც იმ საკითხს უკავშირდება, თუ როგორ

უნდა გადაწყდეს კონფლიქტები და არსებობს კი მათ შორის რაიმე სხვა სახის ურთიერთობები. ამგვარი დამოკიდებულების შესწავლით შესაძლებელია იმის გარკვევა, თუ რა წარმოდგენები აქვთ მხარეებს ერთმანეთის შესახებ - ანუ, პირველ რიგში, გამოსაკვლევია, მხარეებს რა წარმოდგენები აქვთ ერთმანეთზე, რა სახის ძალასთან აიგივებენ საკუთარ თავს, მოქმედებენ დამოუკიდებლად თუ სხვისი ჩარევით/დახმარებით და რამდენად აქვთ ეს გაცნობიერებული. სწორედ ასეთი პრინციპების შესახებ შეხედულებები გვაძლევს იმის საშუალებას, რომ აშკარად დავინახოთ მხარეთა ინტერესები. ამ პროცესში, ასევე, მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, მხარეები კონფლიქტს როგორ აღიქვამენ, რეალურია თუ არა კონფლიქტი, შესაძლებელია თუ არა მეორე მხარესთან მოლაპარაკება და ა.შ. (ჯორბენაძე, 2001)

კონფლიქტის გაანალიზებისას მხარეები აშკარად ხედავენ ერთმანეთის ძალასა და ძალაუფლებას. ძალისა და ძალაუფლების გამოვლენა საკმაოდ რთული პროცესია და სწორედ ამიტომ, აქ ყურაღება უნდა მივაქციოთ ავტორიტეტს, საზოგადოებრივ აზრს, ადამიანურ და მატერიალურ სავარაუდო რესურსებს, ცოდნას, კანონს, პოლიტიკას, დროის ფაქტორს, მოკავშირეებს, სამხედრო ძალას, სტატუსს, სიმტკიცეს, შეზღუდულ რესურსებს, კონტაქტებს, რეპუტაციას, პიროვნულ მახასიათებლებს, უარყოფასა და დასჯას. გასათვალისწინებელია, რა მოტივაცია ამოძრავებს მხარეებს, რომლებიც კონკრეტულ კონფლიქტში არიან ჩართულები. ეს პროცედურა მხარეებმა ცალ-ცალკე უნდა გამოყონ და დადგინონ, რეალისტურია თუ არა მიზნები და მოლოდინები. სწორედ ასე მოხდება იმის დადგენა, თუ რა ამოძრავებს მხარეებს. ამ პროცესში გასათვალისწინებელია მხარეთა წარსული გამოცდილება და პრეტენზიები ერთმანეთის მიმართ. მოტივაცია მიმართულია ძალაუფლებისა და გავლენის მოპოვებაზე, მატერიალური რესურსების დაუფლებასა თუ სხვა მოთხოვნებზე. ყოველივე ეს თავის თავში გულისხმობს ქცევითი სტილის ჩამოყალიბებას, რაც განზოგადებული სახით ვლინდება (ჯორბენაძე, 2001).

კონფლიქტის ანალიზის შემდეგი ეტაპია ის, თუ რა ქცევითი სტილით იჩენს თავს მხარეების განზრახვები. სწორედ ამისთვის, მნიშვნელოვანია, კონფლიქტი აღვწეროთ განსხვავებული ქცევითი სტრატეგიებით. ეს სტილი, ასევე, ითვლება მხარეთა სტრატეგიებად, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს გამარჯვება-დამარცხების

პრინციპის ვარიაციებში, მაგ.: „მოგება-წაგება“, „მოგება-მოგება“, „წაგება-მოგება“ და „წაგება-წაგება“ (ჯორბენაძე, 2001).

ქვევით მოცემულია ქცევითი სტრატეგიები:

1. კონკურენცია
2. თანამშრომლობა
3. კომპრომისი
4. განრიდება
5. ადაპტირება

ხუთივე სტრატეგია შეიძლება წარმოვადგინოთ ქენეთ თომასისა და რალფ კილმანის მიერ შემუშავებული კონფლიქტის მართვის მოდელის სახით (იხ. სქემა #3) (Kilman & Thomas, 1974).

*სქემა 3: თომასისა და კილმანის კონფლიქტის ქცევითი სტრატეგიები*




ხუთივე ქცევითი სტრატეგია კონფლიქტებში ორ კოორდინატს შორის არის განთავსებული. ვერტიკალურ ღერძზე მოთავსებულია მიზანზე/შედეგზე ორიენტირება, ხოლო ჰორიზონტალურზე - კოოპერირებაზე ორიენტაცია. მიზანზე ორიენტაცია გულისხმობს პირადი მოთხოვნილებებისა და ინტერესებისკენ აქტივობის განხორციელებას, ხოლო კოოპერირება - თანამშრომლობას, დათმობებსა და მეორე, სხვა მხარის მოთხოვნილებებისა და ინტერესების გათვალისწინებულ მოქმედებას (Kilman & Thomas, 1974).

ქვემოთ განვიხილოთ თითოეული მათგანი:

**კონკურენცია** - ეს სტრატეგია კონფლიქტში გამოიყენება, როგორც დომინირების ტენდენცია ან ძალის მანიფესტაცია. საბოლოო შედეგი, შესაძლოა, მეორე მხარის განადგურებაც იყოს. შეიარაღებული კონფლიქტები სწორედ ამის დამადასტურებელია. სხვა მხრივ, შესაძლებელია, კონკურენცია ძალადობას კი არ გულისხმობდეს, არამედ, გარკვეულ შემთხვევაში, წარმატების მისაღწევი მოქმედებების სტიმულირებისაკენ იყოს მიმართული. ასეთ შემთხვევაში, მოქმედების პრინციპია „მოგება-წაგება“. კონკურენციის სტრატეგია, ძირითადად, გამოიყენება, როცა მხარეები უკვე არსებულ კონფლიქტს უბრუნდებიან და ერთმანეთის მიმართ მტრობას ავლენენ, ან მაგალითად, შურისძიების მიზანი ამოძრავებთ. ასეთ შემთხვევაში, ადგილი აქვს ემოციურ-ირაციონალურ ქმედებებს, სწრაფვას ძალაუფლების მოპოვებისკენ. მათი მიზანია, აჯობონ სხვას. აღნიშნული სტრატეგია, ასევე, გულისხმობს უნდობლობას მხარეებს შორის. ისინი იცავენ საკუთარ პოზიციებს, პრესტიჟს, მატერიალურ სარგებელს და ა.შ. ხშირად ამ სტრატეგიას მიმართავენ, როცა ღირებულებითი ტიპის კონფლიქტთან გვაქვს საქმე. ასევე, გვხვდება იმ შემთხვევაში, როცა შეურაცხყოფილად გრძნობენ თავს, საკუთარი შეხედულებით სამართლიანობის პრინციპს იცავენ ან მოითხოვენ კანონის მკაცრად დაცვას (Kilman & Thomas, 1974).

**თანამშრომლობა** - ეს სტრატეგია კონფლიქტის პოზიტიური გზით გადაჭრის დროს გამოიყენება, როდესაც მხარეები (ან მხოლოდ ერთი მხარე) მზად არიან ითანამშრომლონ მეორესთან, საკუთარი და სხვისი მოთხოვნებისა და ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით. ამ შემთხვევაში მოქმედების პრინციპია - „მოგება-მოგება“. აქ შესაძლებელია მხარეთა ინტერესების ინტეგრირება, რაც მოლაპარაკების ან მედიაციის პროცესში თვალსაჩინოა. ამ დროს, მოლაპარაკებები მშვიდობიანად მიმდინარეობს და ორივე მხარისათვის დამაკმაყოფილებელია. მხარეები გადაწყვეტილების მიღებასა და შესრულებაზე, საკუთარი და, შესაბამისად, სხვისი ინტერესების დაკმაყოფილებისთვის, პასუხისმებლობას იღებენ საკუთარ ქცევაზე (Kilman & Thomas, 1974).

**კომპრომისი** - ეს სტრატეგია გულისხმობს, რომ მხარეები ურთიერთდათმობებისთვის

მზად არიან. ამ სტარტეგიის ძირითადი პრინციპია „წაგება-წაგება“ ან საუკეთესო შემთხვევაში - „მოგება-მოგება“ (იმ შემთხვევაში თუ შემდეგ მხარეები ითანამშრომლებენ). კომპრომისი გულისხმობს, რომ დანაკარგი ორივე მხარისთვის მისაღები უნდა იყოს. ზოგჯერ დანაკარგი, შესაძლოა, ასიმეტრიული იყოს. ასეთ დროს მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულო ხდება ორივე მხარისთვის. ამგვარად, აქ ორივე მხარე თმობს და არა მხოლოდ ერთი (Kilman & Thomas, 1974).

**განრიდება** - ეს სტრატეგია კონფლიქტში გამოიხატება თავად ამ კონფლიქტის სიტუაციის მიტოვებით, იგნორირებით, უარყოფით. კონფლიქტის დროს მხარეები ამ სტრატეგიის გამოყენებისას სხვადასხვა მიზნით მოქმედებენ. მაგალითად, როცა ფიქრობენ, რომ პრობლემა რეალურად არ არსებობს, ან თუ არსებობს, ძალიან უმნიშვნელოა. ასვე, ფიქრობენ, რომ ეს მათი პრობლემა არაა, ან ძალიან უმნიშვნელოა. ერთი მხარე ან ორივე მხარე ისე მოქმედებს, რომ არ ერევა დავაში ან არ იღებს პასუხისმგებლობას არსებული საკითხის გადაჭრაზე. შესაძლოა, ეს ქმედება იმითაცაა განპირობებული, რომ მხარეები სადავო საკითხს სათანადო დონეზე არ იცნობენ, ან არ სურთ წაგებულები იყვენენ. ისინი ერიდებიან, შეტევას შეტევითვე უპასუხონ. მათ მიჩნიათ, რომ დრო ყველაფრის მკურნალია და არ ერთვებიან კამათში. არის შემთხვევები, როცა არ სიამოვნებთ კონფლიქტში ჩართვა. მათი პიროვნებისთვისაც მიუღებელია დავაში მონაწილეობა. ძირითადად, აქ მოქმედებს ქცევითი პრინციპი „მოგება-„მოგება“ ან „წაგება-წაგება“ (Kilman & Thomas, 1974).

**ადაპტირება** - კონფლიქტში ეს სტრატეგია იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც ერთი მხარე თმობს მეორესთან იმ მიზეზით, რომ შეინარჩუნოს მასთან შემდეგი ურთიერთობა და ასე იზრუნოს გადარჩენაზე. ასეთ შემთხვევაში, ხორციელდება დათმობები და ხდება სხვა მხარის ინტერესებისა და პოზიციების გათვალისწინება. ასეთ დროს ამქომედებულია პრინციპი „წაგება-მოგება“. რა თქმა უნდა, აქ მეორე მხარის მოგებაზეა ხაზგასმა. არსებობს სხვადასხვა მიზეზი, თუ რატომ ირჩევენ ამგვარ სტრატეგიას და რატომ მიდიან დათმობებზე. ძირითადად, ამ შემთხევევაში, დამთმობი მხარე გამოხატავს „კეთილ ნებას“, ცდილობს, არ დაუშვას კონკურენცია, მისი

ინტენსივობის გაზრდა და ის განზრახვა ამოძრავებს, რომ მალე დასრულდეს კონფლიქტი. ასევე, დამთმობს მიაჩნია, რომ ეს არ არის „დიდი მსხვერპლი“ მისი მხრიდან. აქ ხდება ურთიერთობების შენარჩუნება, არ მატულობს დაძაბულობა (Kilman & Thomas, 1974).

ყოველი ქცევითი სტრატეგია კონფლიქტში მხარემ შეიძლება გამოიყენოს თანამიმდევრულად ან გარკვეული პრინციპის სახით, ან კონკრეტულად რომელიმე სტრატეგიას გაჰყვეს ბოლომდე. ზოგიერთი სტრატეგია ძაბავს სიტუაციას და იწვევს კონფლიქტის ესკალაციას. ეს სტრატეგიები გამოიყენება მოლაპარაკების დროსაც.

კონფლიქტის ანალიზის შემდეგი ეტაპი კონფლიქტის ინტენსივობაზე დაკვირვებაა. კონფლიქტის დინამიკა ეხება მის ესკალაციასა და დეესკალაციას. ეს დინამიკური პროცესია და გულისხმობს „ზრდა-შემცირების“ პირობებს. ესკალაციის აღწერა სხვადასხვა მიდგომით შეიძლება (ჯორბენაძე, 2001): წრფივი და ციკლური. კონფლიქტების ინტენსივობის მატება კარგად აისახება ციკლურ მოდელებში, სადაც ყოველ ახალ ციკლს მოსდევს დაძაბულობის უფრო მაღალი ინტენსივობის დონე. ესკალაცია გულისხმობს სადავო საკითხის თაობაზე შეუთანხმებლობას. აქ დამოკიდებულება რთულდება პიროვნული ან გუნდური სარისკო გადაწყვეტილების არჩევით. ციკლურ მოდელებში, ესკალაციის ყოველი საფეხური ხელს უწყობს დაძაბულობის ზრდას, ზღუდავს ურთიერთგაგებას და კონფლიქტი ნელ-ნელა ახალ და ახალ ფაზაში გადადის (ჯორბენაძე, 2001).

არსებობს ესკალაციის სხვადასხვა მოდელი, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, განვიხილოთ და დავადგინოთ კონფლიქტის დინამიკა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ფრიდრიხ გლაზლის (Glasl, 2002) მოდელი, რომელიც კონფლიქტის ესკალაციის ცხრა საფეხურს შეიცავს. ეს საფეხურები იყოფა 3 სტადიად (რომლებშიც შედის სამ-სამი საფეხური):

**პირველი სტადია:**

1. განმტკიცება - „გამყარება“;
2. „დებატები და პოლემიკა“;
3. სიტყვიდან საქმისკენ/მოქმედებისკენ - „საქმე სიტყვების ნაცვლად“;

**მეორე სტადია:**

4. „იმიჯი და კოალიციები“;

5. „სახის დაკარგვა, თავდასხმა“;

6. „მუქარის სტრატეგია“;

**მესამე სტადია:**

7. შეზღუდული ქმედებები - „მუქარების რეალობაში განხორციელება“;

8. გახლეჩვა - „მტრის დანაწევრება“

9. „ერთად უფსრკულისკენ” (Glasl, 2002).

აქ გამოყოფილი დონეები ადეკვატურად აღწერს კონფლიქტის დინამიკას.

ახალ დონეზე გადასვლისას, როცა გამოიყენება უფრო მეტი ძალაუფლება, მხარეთა შორის, შესაბამისად, კლებულობს მოქმედებების შესაძლებლობები. შესაძლებლობები, ასეთ შემთხვევაში, შემცირებულია და სხვა ალტერნატივები იგნორირებულია. მხარეები საკუთარი მიზნების განსახორციელებლად მოქმედებენ, რაც მოტივირებულია და გარკვეულ სახის შეხედულებებს აყალიბებს. ემოციურად მიმართულნი არიან არასრულფასოვნებისკენ, მაგრამ ფაზებში უკვე მომწიფებულია შემდგომი დაპირისპირება. ყალიბდება შესაბამისი ქცევის სახე და შეფასებები, იცვლება ურთიერთდამოკიდებულებები.

განვიხილოთ ზემოთ მოცემული საფეხურები:

**პირველი საფეხური** - განმტკიცება - „გამყარება“. ჩვეულებრივი დაძაბულობისაგან განსხვავებულია, როდესაც სხვადასხვა შეხედულება და აზრი არ ემთხვევა ერთმანეთს (ეს ვრცელდება, ასევე, მცირე და დიდ ჯგუფებზე). მხარეებს პოზიციები უკვე განმტკიცებული აქვთ და სწორედ ამ სახით ხდება მათი დაპირისპირება. კონკრეტულ პიროვნებებსაც ეტყობათ, რომ ემოციური ჩავარდნები და სტრესი აქვთ. ასეთ შემთხვევაში, მხარეები ჯერ კიდევ ინარჩუნებენ იმედს, რომ მოლაპარაკებით შეიძლება გადაწყდეს მოცემული დავა. ისინი მზადყოფნას გამოხატავენ, რომ ითანამშრომლებენ მეორე მხარესთან. მხარეები ნაკლებად გახსნილები არიან, იდეების კრისტალიზება ხდება. გარკვეული სახის სიმპათიები ჩნდება მომხრეების მიმართ, თუმცა, ყოველი მათგანი გარკვეული ფილტრით შეირჩევა. სხვა დაპირისპირებულ მხარეში ნაკლებად ხედავენ პოზიტიურს. შესაბამისად, პიროვნებები ან ჯგუფები საკუთარ თავზე ირგებენ როლებს, რომლელთა საშუალებითაც

ხდება კომუნიკაციაში ჩართვა. აქვე სხვების დამოკიდებულების (ვინ არის მომხრე და ვინ არა) გათვალისწინებაც ხდება. როლებიდან გამომდინარე, მხარეები ცდილობენ, მოაგვარონ კონფლიქტი, მაგრამ, ამავე დროს, მზად არიან, ესკალაციის ინტენსივობის ზრდასთან დაკავშირებით იმოქმედონ. სწრაფად ხდება იმის აღმოჩენა, რომ კონფლიქტი კონტროლს არ ექვემდებარება, მაგრამ მიაჩნიათ, რომ ყველაფერი სცადეს, რათა კონფლიქტი შეეჩერებინათ. თუ ორივე მხარე ცდილობს, მოაგვაროს პრობლემა, ეს მხარეებისგან თავის ფლობასა და დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ისე ჩანს, თითქოს მხარეთა შორის არ არის დაძაბული ურთიერთობა, მაგრამ ისინი წინააღმდეგობებს უკვე ადექვატურად აღიქვამენ. მიუხედავად იმისა, რომ მხარეები თავის შეხედულებებს და ქმედებებს უპირატესად და სამართლიანად თვლიან, არ სურთ დაძაბულობის მატებას შეუწყონ ხელი. მათ ჯერ კიდევ მიაჩნიათ, რომ ამ საფეხურზე შესაძლოა კონფლიქტის მოგვარება, რომ არგუმენტირებულად დაძლევენ დავას, მაგრამ აუცილებლად უნდა შეიცვალონ თავიანთი შეხედულებები. თუმცა, ეს პროცესი ხელს უწყობს სტრესული სიტუაციის ჩამოყალიბებას. ხშირად, ასეთ შემთხვევაში, მხარეებს შორის არსებობს გაუგებრობა, მახინჯდება ფაქტები, რაც, თავისთავად, ხელს უშლის დებატებს დავის საგნის შესახებ. ამ საფეხურზე შეიძლება მხარეებს შორის კოოპერაცია დამყარდეს (Glasl, 2002).

**მეორე საფეხური** - „დებატებისა და პოლემიკის“ - ამ საფეხურზე ხდება მხარეთა პოლარიზება და დებატებში ჩართვა. ამ შემთხვევაში ურთიერთობაში კლიმატი იცვლება და მხარეებს შორის ჩამოყალიბებას იწყებს უხეში მოქმედებები. ასეთ დროს დაპირისპირება ვერბალურად გამოიხატება, რათა საკუთარი პოზიციები დაიცვან. მხარეთა მოტივაცია მიმართულია ზეგავლენის მოხდენისაკენ. შეხედულებებში ხდება პოლარიზება, რაც ემოციურად გამოიხატება და სამყაროს აფასებენ „შავ-თეთრი“ პრინციპით. სიტყვიერი ზეწოლა მატულობს, რასაც აშკარად გამოხატავენ და საჯაროდ აქვეყნებენ. გლაზლის მიხედვით, რომ ამ დროს მოქმედებს ტრანსაქციული ანალიზის ძირითადი პრინციპები. მატულობს კონკურენცია. რაც უფრო მჭიდროა მხარეთა ერთობა, მით აშკარა ხდება პოზიციების გამოვლენა.

ძირითადი დავა ეხება სტატუსს, პრესტიჟს და ხდება მათი დაცვა. სიტუაციასაც სუბიექტურად აღიქვამენ, რაც, უმეტეს შემთხვევაში, ხელს უწყობს პოზიციების დაცვას. ეს კი, თავისთავად, ქმნის სიტუაციას, სადაც მეორე მხარეზე გავლენა უფრო ქმედითია. ასეთი სახით ხდება მეორე მხარის შესახებ ისტორიების გახსენება. მხარეები იხსენებენ, თუ როგორ იქცეოდნენ ისინი წარსულში. ყოველივე ეს სტერეოტიპულ სახეს იძენს, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის გენერალიზირებული. ასეთი სტერეოტიპული შეხედულებები ხელს უწყობს საკუთარი თავის პოზიტიური კუთხით წარმოჩენას. მეორე მხარეს გმობენ და საკუთარ დარწმუნებულობაშიც ეჭვი ეპარებათ. აქ ხდება მეორე მხარის მიერ პირველის პატივისცემის აღიარება. საუბარი დებატებს ემსგავსება, სადაც ყოველი არგუმენტი თითოეული მხარის პოზიციის გამყარებას ემსახურება. კომუნიკაცია მრავალარხიანი ხდება. სწორედ აქ იყენებს გლაზლი ერიკ ბერნის ტრანზაქციულ ანალიზს. ტრანზაქციების განმახორციელებელი მხარეები იყენებენ სამ პოზიციას - მშობლის, მოზრდილისა და ბავშვის პოზიციებს. ასეთ პოზიცებს შორის გადამკვეთი ტრანზაქციები აძლიერებენ დავას. დასაბუთებისათვის იყენებენ ლოგიკურ დასკვნებს, აქვთ ექსტრემალური დასკვნები, უფრო გონებრივი გააზრებით პასუხობენ და მეორე მხარეს დილემის წინაშე აყენებენ (Glasl, 2002).

**მესამე საფეხური** - სიტყვიდან საქმისკენ/მოქმედებისკენ -„საქმე სიტყვების ნაცვლად“. ამ საფეხურზე მხარეები გადადიან მოქმედებაზე. ასეთ შემთხვევაში, უკანა ფლანგზე (პლანზე) იწევს ვერბალურად წარმართული დებატები. შერჩულია სტრატეგია, რომელიც მომხდარ ფაქტებს აქცევს ყურადღებას და შესაბამისი რეაქციებით პასუხობს. ხშირია შეცდომების დაშვება სადავო საკითხების ინტერპრეტაციის დროს. მატულობს უნდობლობა მეორე მხარის მიმართ და მხარეთა როლები (როგორც დაპირისპირებულების) აშკარადაა გამოკვეთილი. ემოციურად მხარეები ადეკვატურად ვერ აფასებენ ერთმანეთს. მატულობს კონკურენციის სტრატეგიების გამოყენება და შესაბამისი ტაქტიკების დაგეგმვა. ყოველივე ეს იწვევს საკუთარი პოზიციების გაძლიერებას. მხარეებს მკაცრად აქვთ გადაწყვეტილი, დაუპირისპირდნენ მეორე მხარეს. უჩნდებათ აზრი, რომ მოლაპარაკება საქმეს არ უშველის და საჭიროა მოქმედებით

გადაჭრან საკითხი. შესაძლოა, ერთი მხარე ფიქრობდეს, რომ მკაცრი პოზიციების დაცვით, მეორე მხარე, სხვადასხვა სიტუაციის გათვალსწინებით, მალე დანებდება. ძალაუფლება  თუ ერთის მხარესაა, სწორედ ამ მხარეს მიაჩნია, რომ მეორე მხარეს დაამარცხებს. ამიტომაც, ისეთ ტაქტიკებს იყენებენ, რომელთა საშუალებითაც მეორე მხარეს შეაჩერებენ. ასეთი სახის დაპირისპირება მართებულად მიიჩნიათ. ჯგუფებში ასეთი მხარე ბლოკებს ქმნის მეორე მხარის დასამარცხებლად. ამ დროს ურთიერთობები იძაბება და მნიშვნელობას იძენს  მეორე მხარის სტრატეგია. თავად ჯგუფებში, როდესაც ბლოკებად იკვრებიან, თვითშეფასება მცირდება, ჩნდება ისეთი აზრები, როდესაც მიაჩნიათ, რომ მართლები არიან მეორე მხარესთან მიმართებაში. ასეთ ჯგუფებში აღიარებენ ერთსულოვნებას. ამიტომაც, უმეტეს შემთხვევაში, მათი წევრები კონფორმულები არიან. ამ ტიპის ჯგუფებში ჯგუფური გრძნობები ინდივიდუალურ შეგრძნებებს ჭარბობს. ხშირ შემთხვევაში,  მეორე მხარის მიმართ ყალიბდება სტერეოტიპები. მხარეთა არავერბალური კომუნიკაცია იცვლება, მანძილი მხარეებს შორის (ფიზიკურად) უფრო და უფრო დაშორებულია, ქმედებაც დამახინჯებულად აღიქმება (Glasl, 2002).

**მეოთხე საფეხური** - „იმიჯი და კოალიციები“.  ამ საფეხურზე მხარეები უკვე ჩამოყალიბებული სტერეოტიპების მიხედვით მოქმედებენ, ქმედებით განიმტკიცებენ საკუთარ იმიჯს, რომელშიც ძალაუფრებრივი ქმედებაა წარმმართველი. ხშირია ხმების გავრცელება მოწინააღმდეგე მხარეების შესახებ. მხარეები ერთმანეთს ნეგატიურ თვისებებსა და როლებს მიაწერენ. არსებობს შემთხვევებიც მოწინააღმდეგეზე ძალადობრივი ქმედების ან მცდელობა მათი გადმობირების. მხარეები ცდილობენ, განიმტკიცონ თავიანთი მდგომარეობები. ასეთ დროს ისინი მზად არიან საბრძოლველად, მიისწრაფვიან მოგებისა და მოწინააღმდეგის დამარცხებისკენ. ამ საფეხურზე მხარეების მიერ აგრესიის გამოვლენაც არსებობს. მათ აზროვნებაში ყველაფერი „შავ და თეთრ“ ფერებშია წარმოდგენილი. თუ მსგავსებები არსებობს, ისინი აღიქმება საპირისპიროდ მეორე მხარესთან შედარებით. ჩნდება „მტრის ხატის“ კონტურები. დაპირისპირებულ მხარეებს უკვე აქვთ მკაცრად  ჩამოყალიბებული პოზიცია, რომელსაც არ გადაუხვევენ.

მოწინააღმდეგის სახე ნეგატიურია, დამახინჯებულია მათი შეფასება. ასეთ დროს საქმე გვაქვს პოლარიზაციასთან. თვითხატი აღიქმება პოზიტიურად, მოწინააღმდეგე მტრად. იცავენ საკუთარ რეპუტაციას, რომელიც მათ მიერ შექმნილ სახეს (ხატს) შეესაბამება. სანამ ამგვარი სახეა შენარჩუნებული, მხარეთა ჯგუფს საკუთარი თავის მიმართ პოზიტიური შეფასება აქვს. დაპირისპირებული მხარეები მზად არიან, განსაჯონ მეორე მხარე მათი არაადექვატური ქმედებისათვის. დაპირისპირებული მხარე დიდ ყურადღებას აქცევს როგორია სხვა ადამიანებთან ან ჯგუფებთან ალიანსები, მათი მხარდაჭერა მეორე მხარესთან ურთიერთობაში და მომხრეთა საშუალებით მანიპულირებას კარგად ახერხებენ. მოკავშირეები, რა თქმა უნდა, მხარს უჭერენ და მოტივაცას აძლევენ მათ. ამგვარად, ბრძოლა მიმდინარეობს ერთგვარი სახის ჩამოყალიბებისა და მიზანმიმართული ქცევის განსხეულებისთვის, რათა მეორე მხარე დამარცხდეს. ამდენად, ამ საფეხურზე იქმნება ალიანსები, კოალიციები, თანამოაზრეთა ჯგუფები. აქ სადავო საკითხს ყურადღება არ ექცევა იმდენად, რამდენადაც ურთიერთობის საკითხს. ასეთ შემთხვევაში ყალიბდება იდენტობები, რომელთაც მყარი საფუძველი აქვთ. მხარეები აცნობიერებენ, რომ შემდეგ უფრო რთული სტადია იწყება და დაპირისპირების ინტენსივობაც მატულობს. ამიტომაც, ცდილობენ, რომ ურთიერთობას არ მოჰყვეს საკუთარი „სახის დაკარგვა“. სწორედ ამ საფეხურზე იცვლება კონფლიქტური სიტუაციების მიმართ დამოკიდებულებისა და კონფლიქტის აღქმა. საბოლოოდ, მხარეები უკვე მოწინააღმდეგეებს წარმოადგენენ და ერთმანეთის მიმართ მტრულ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ (Glasl, 2002).

**მეხუთე საფეხური** - „სახის დაკარგვა, თავდასხმა“. ამ საფეხურზე ხდება პირდაპირი შეტევა მოწინაღმდეგის იმიჯზე. ასეთ დროს ერთმანეთს აშკარად განასხვავებენ ტერმინებში „ჩვენიანი-სხვა“, „მე-შენ“, „წმინდანი-ურჩხული“ და ა.შ. მხარეები ამ დროს ცდილობენ, გამოეყონ სხვებს და მიმართავენ იზოლაციას. მეორე მხარის მიმართ გამოხატავენ სიძულვილს. იცავენ განსაკუთრებულ ღირებულებებს, რაც მათთვისაა მისაღები, აყალიბებენ საკუთარ იდეოლოგიას და ეს გამოიხატება მათ პრინციპებში. ქმედებები და

საქმის განხილვა განსაკუთრებულ ელფერს იღებს. თვით ინციდენტი და მონაწილე მხარეები ტიპურად განიხილება. ყოველივე აღიქმება ერთ სისტემაში. ეძებენ ფაქტებს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, რომელთა საშუალებითაც ავლენენ ჭეშმარიტებასა და მცდარობას, ლიდერსა და მეორეხარისხოვან ადამიანს და ა.შ. თითოეული მხარე ამ საფეხურზე, იდეტიფიკაციას ახდენს პოზიტიურთან, ხოლო მეორე მხარეს აიგივებენ ნეგატიურთან. საკუთარ თავზე მიწერილი პოზიტიური თვისებები და ღირებულებები აღიარებულია ჭეშმარიტებად. აქ უკვე საუბრობენ საერთო პოზიციების, საზოგადოების სახელით, „ხალხის სახელით“ და ა.შ. აქტიური მხარე მეორე მხარის პირადი პოზიციებიდან კი არ ელაპარაკება, არამედ თავისი ჯგუფის სახელით. ამ პროცესში მხარეები ერთმანეთისგან გარკვეულ დისტანცირებას ახდენენ. სწორედ ასეთი პოზიციის დაცვით, ისინი ცდილობენ, დაიცვან გარკვეული პოზიცია (შესაძლოა მცდარიც, მაგრამ სუბიექტურად გამართლებული) და შეინარჩუნონ თავისი სახე. „სახის დაკარგვას“ მხარეები მძიმედ აღიქვამენ. ერთი მხარე ცდილობს, მეორე მხარეს დააკარგვინოს სახე, იმისდა მიუხედავად, რომ ასეთ პროცესს უკურეაქცია მოსდევს. ამგვარად, იდენტობის დაკარგვას უკურეაქცია მოსდევს, მოწინააღმდეგის რაციონალურობის გადაფასება ხდება. სწორედ ასეთ შემთხვევაში „მითოშემოქმედებას“ მიმართავენ. ამ დროს მორალური პრინციპები ერთვება საქმეში და ღირებულებებიც განსხვავებულია, ეს კი ხელს უწყობს ურთიერთუნდობლობის ჩამოყალიბებას. მეორე მხარეს აცხადებენ კანონგარეშედ და კანონს თვითონ განსაზღვრავენ. მეორე მხარეზე შეტევა სავალდებულოც კი ხდება. ძლიერდება საკუთარი ალიანსების ზადეც და კოალიციებიც (Glasl, 2002).

**მეექვსე საფეხური** - „მუქარის სტრატეგია“ - ასეთ დროს მატულობს მუქარა და კონტრმუქარა. მხარეთა შორის მოთხოვნები მატულობს და ამიტომაც მხარეები უფრო და უფრო რადიკალურები ხდებიან. აქ სიმძიმის ძალა ესკალაციის ინტენსივობაზე გადადის. იყენებენ ხელთ არსებულ ძალაუფლებას და იწყებენ შეტევით მოქმედებებს. სტრატეგიები უფრო და უფრო მუქარის შემცველელია, რითიც ცდილობენ, მეორე მხარეზე

ზემოქმედება მოახდინონ. თავიდან, მხარეები უფრო მუქარას ახორციელებენ, რომ ანახონ მეორე მხარეს საკუთარი თავის დაუმარცხებლობა. აქ მუქარა გამოიხატება მოთხოვნებსა და სანქციებში. მსგავსი ქმედებით ყურადღებას იქცევენ და მეორე მხარეში შიშს აღძრავენ, აჩვენებენ ძალას, რომ პროცესებს ისინი აკონტროლებენ და მათ ემუქრებიან სანქციებით. მოგვიანებით, ასეთი მუქარა ზუსტად ჩამოყალიბებული, ცალსახა და გადაწყვეტილი ხდება. ბოლოს კი, ულტიმატუმს უყენებენ მეორე მხარეს. მეორე მხარესთან მიმართებაში ექსტრემიზაციაა დამახასიათებელი. მეორე მხარე აღიქმება, როგორც მტერი და მის მიმართ „მტრის ხატი“ კვლავ მოქმედებს. შემტევი მხარე აკვირდება მეორე მხარის მოქმედებებსა და რეაქციებს, სტრატეგიებსა და ტაქტიკებს. ამ შემთხვევაში, მეორე, დასაჩაგრ მხარეს, შექმნილ ვითარებასა და დაძაბულობაზე ეკისრება პასუხისმგებლობა. ამ დროს მხარეები ვეღარ აღწევენ კონსენსუსს და მოქმედებს პრინციპი, რომ აუცილებელია და სავალდებულო, რადაც არ უნდა დაუჯდეს, მოუგოს მეორე მხარეს. ამგვარად, მუქარა შედგება სამი ნაწილისგან - მოთხოვნები, სანქციები და სანქციების პოტენციალი. ამ საფეხურზე მუქარის რეალობაში გადატანა მნიშვნელოვანია (Glasl, 2002).

**მეშვიდე საფეხური** - შეზღუდული ქმედებები - „მუქარების რეალობაში განხორციელება“. ამ საფეხურზე იწყება დამანგრეველი ქმედებები. მხარეები ფიქრობენ საკუთარ არსებობაზე და არ აღელვებთ მეორე მხარე. მეორე მხარე აღიქმება იმ დაბრკოლებად, რომელიც უნდა განადგურდეს. მხარეები ერთმანეთთან თითქმის აღარ არიან კონტაქტში. მზად არიან, ზიანი მიაყენონ ერთმანეთს. ამისთვის მიმართავენ სხვადასხვა მანევრს. შეტევა, შესაძლოა, სხვადასხვა მიმართულებით ან ტოტალურად განხორციელდეს. მხარეები უფრო და უფრო აღიზიანებენ ერთმანეთს. ისინი ისეთ ტაქტიკებს ირჩევენ, რომლებიც გაანადგურებს მეორე მხარეს. საკუთარი პოზიციიდან მოქმედებენ და მიაჩნიათ, რომ ესაა ერთადერთი სამართლიანი გზა. უკუკავშირების არხები ცნობიერადაა დახურული. ამ შემთხვევაში, მზადდება შეტევის საფუძველი და უკანდასახევი გზა აღარ არსებობს. აქ იძაბება კონფლიქტი. თითქმის აღარ

არსებობს მორალური და ჰუმანური ღირებულებები. მთავარი პრინციპია „მე მოვიგო და შენ წააგო“ (Glasl, 2002).

**მერვე საფეხური** - გახლეჩვა - „მტრის „დანაწევრება“. ამ საფეხურზე ერთი მხარე ცდილობს, მეორე მხარე „დაანაწევროს“, ანუ, ის ძირითადი ძალა შეავიწროვოს, რაც მოწინააღმდეგეს აქვს. ასეთ შემთხვევაში, არა მხოლოდ ფიზიკურ განადგურებაზეა ლაპარაკი, არამედ ისინი უნდა „გაითიშონ“. ეს კი ნიშნავს სხვის სრულ მოსპობასა და გაქრობას (Glasl, 2002).

**მეცხრე საფეხური** - „ერთად უფსკრულისკენ“ - აქ მოქმედებს პრინციპი „არც ერთი ნაბიჯი უკან“. თითოეული მხარე მონდომებულია, დაამარცხოს მეორე. შესაძლოა, ამ პროცესს თვითგანადგურებაც მოჰყვეს. აქ უკანდახევა აღარ არსებობს (Glasl, 2002).

ორგანიზაციაში კონფლიქტის ანალიზი, ასევე, გულისხმობს მხარეთა ურთიერთმიმართების დაწვრილებით შესწავლას. ამ შემთხვევაში მხარეები ჯგუფების სახითაა წარმოდგენილი. ყოველ კონფლიქტს თავისი ისტორია გააჩნია. რა ტენდენციებია ძირითადი, როგორ ფასდება ყოველი პერიოდი და საბოლოოდ, რაშია კონფლიქტის არსი, ამისათვის საჭიროა (Glasl, 2002):

**პირველი - კონფლიქტის ისტორიის განხილვა** - ყოველ კონფლიქტს, რომლის ანალიზსაც ვაპირებთ, გააჩნია საკუთარი განვითარების ისტორია. მხარეები (როგორც ჯგუფები) კონფლიქტის შემთხვევაში ძალასა და ძალაუფლებას იყენებენ. მნიშვნელოვანია, გავარკვიოთ, რა სახის ძალაუფლებას ფლობდნენ, რა გამოიყენეს და რა სახით. ასევე, დასაფიქრებელია, რა რეაქცია არსებობდა ასეთი ძალაუფლების გამოყენების დროს, რაში გამოიხატა ის და რა საფეხურები განვლეს მხარეებმა. აუცილებლად უნდა მივუთითოთ, რა სახისა და ტიპის კონფლიქტთან გვქონდა საქმე, როგორ მიმდინარეობდა კომუნიკაციები საკუთარ გუნდში და სხვებთან. გამოსაყოფია დროითი ფაქტორიც, ანუ რამდენი ხანია, მხარეებმა იციან ამ პრობლემის შესახებ, როგორ დაადგინეს საწყისი პოზიცია, როგორ იცვლებოდა პოზიციები დროის გარკვეულ მონაკვეთებში, ადგილი ჰქონდა თუ არა მათ ტრანსფორმაციას ინტერესებში. აუცილებელადაა გამოსავლენი,

მხარეებს შორის არსებობდა თუ არა მოლაპარაკებები, რა ქმედებები განახორციელდა კონფლიქტების მოსაგვარებლად, რა იყო შედეგი, რა პერსპექტივაზე იყო გათვლილი და ა.შ.

**მეორე - კონფლიქტის უშუალო ნაწილის აღწერა** - ისტორიის აღწერისას გამოყენებული ყველა პუნქტი უნდა დავაფიქსიროთ და, რაც მთავარია, ხაზგასმა უნდა გავაკეთოთ არსებული კონფლიქტის ბოლო პერიოდზე, რა დაპირისპირება იყო მხარეებს შორის, ან ხომ არ იყო კონფლქიტის დეესკალაციის მცდელობა.

**მესამე - ტენდეციების განხილვა** - ტენდეციები ძირითადად, ეხება ჯგუფების მომავალ გეგმებს, მათი მხრიდან პერსპექტივაში რაა დაგეგმილი, რა ძალაუფლების მქონენი არიან მხარეები, როგორ მიდის მათ შორის კომუნიკაცია და, საერთოდ, რა ტენდენციები აქვთ მათ, რომ კონფლიქტი მშვიდობიანი გზით გადაჭრან.

**მეოთხე - საერთო შეფასებების დაფიქსირება** -ასეთი სახის შეფასებებისთვის საჭიროა, დავაფიქსიროთ კონფლიქტის, ძალაუფლებისა და ძალის ცვლილებების ქცევითი რეაქციები, აგრეთვე, საერთო ინტერესები და სხვ. საჭიროა შევაფასოთ, მხარეებს თუ სურთ, მესამე მხარის ჩარევით გადაიჭრას კონფლიქტი.

**მეხუთე - კონფლიქტის ძირითადი არსის გამოყოფა** - აქ ფიქსირდება ძირითადი ინტერესები და პოზიციების ცვლილებები. გამოვლინდება, რა პრობლემები არსებობს ინტერესთა ინტეგრაციისთვის. საერთო ინტერესების დადგენა იძლევა იმის დანახვის საშუალებას, თუ რამდენად ადვილადაა შესაძლებელი კონფლიქტის გადაჭრა. უნდა აღვნიშნოთ მეორეხარისხოვანი პრობლემები, ანუ ის, თუ რა ქვესაკითხებია, რომლებიც გადაჭრას საჭიროებენ, ვინ უნდა მოაგვაროს ისინი, ასევე, ვინ მონაწილეობს მათ მოგვარებაში, რა სახით და როგორ ნაწილდება პასუხისმგებლობა. უნდა მივუთითოთ პრობლემის გადაჭრის გზებზე, აგრეთვე იმაზე, რა გარანტიებს იძლევიან მხარეები და ვინ რა სახის პასუხისმგებლობას იღებს მათზე (Glasl, 2002).

ამგვარად, ჩვენ შეგვიძლია კონფლქიტების ანალიზისთვის გამოვიყენოთ თითოეული მონაცემი, პუნქტი, რაც ორგანიზაციაში მიმდინარე კონფლქიტს აღწერს. ეს აღწერა სქემატურად შემდეგი სახისაა (იხ. სქემა #4):

*სქემა 4: ორგანიზაციაში კონფლიქტის გამოვლენისა და მართვის თანმიმდევრობა*



# თავი VII: კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების სკალის შემუშავება ორგანიზაციულ კონტექსტში

## Q - სორტირების მეთოდის შემუშავების ისტორია

Q-მეთოდოლოგია თავდაპირველად განვითარდა უილიამ სტეფენსონის მიერ მე-20 საუკუნის შუა წლებში და სოციალურ მეციერებებში სუბიექტური მოსაზრებებისა და დამოკიდებულების შესასწავლ ფართოდ გავრცელებული ინსტრუმენტად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ ბუნდოვანების გამო კვლევის ეს მეთოდოლოგია თავდაპირველად მივიწყებული და ზოგჯერ გაკრიტიკებულიც იყო, მოგვიანებით ადამიანის სუბიექტური ბუნების ინოვაციური გზით გაგების შესაძლებლობის გამო, მან აღიარება მოიპოვა. უილიამ სტეფენსონის 1953 წლის მთავარმა ნაშრომმა, „ქცევის შესწავლა: Q-ტექნიკა და მისი მეთოდოლოგია," სხვადასხვა დისციპლინებში ფართოდ გავრცელებულ საკვანძო მეთოდს ჩაუყარა საფუძველი (Stephenson, 1953).

დებატებმა Q და R მეთოდოლოგიების მომხრეებს შორის ხაზგასმით მიუთითეს Q-მეთოდოლოგიის გამორჩეულობაზე, რომელიც სტეფენსონის მტკიცებით სუბიექტურობის კვლევის საფუძველი იყო მეცნიერებაში. სტეფენსონი თავიდანვე აღნიშნავდა, რომ R მეთოდოლოგია მიმართული იყო (m) ტესტის პოპულაციიდან (n) ინდივიდის გასაზომად (მაგ., პასიური ზმნა, რომელიც იზომება), ხოლო Q-მეთოდოლოგია ზომავდა (n)-ს. Q-მეთოდოლოგიის გამოყენებისას ინფორმაცია შეიძლება ავიღოთ სხვადასხვა ტესტიდან ან ესედან, ჩანახატიდან ან სხვა საზომი საშუალებებიდან. R-მეთოდოლოგიისგან განსხვავებით, რომელიც პასიურად აკვირდება და ზომავს არსებულ მახასიათებლებს, Q-მეთოდოლოგია მკვლევარებს საშუალებას აძლევს აითვისონ ის დინამიური და პერსონალური გზები, როგორებიც ინდივიდები აღიქვამენ სამყაროს და თავისი გამოცდილების ინტერპრეტირებას ახდენს (Stephenson, 1953).

სტეფენსონის ერთ-ერთი კვლევა (1936 წელი) ეხებოდა სხეულის 25 მახასიათებელს - მკლავის სიგრძე, ბარძაყის სიგანე, ფეხის ზომა და ა.შ. თითოეული იზომებოდა ინჩებში. კვლევა 20 ადამიანზე ჩატარდა. R ფაქტორული ანალიზისას აღმოჩნდა, რომ სხეულის რვა ფაქტორი გადაიკვეთა მხრების სიგანესთან, მკლავების

სიგრძესთან, მტევნების სიგანესა და ფეხის სიგრძესთან, და, ერთ ფაქტორში გაერთიანდა, ხოლო მკერდი და წელი სხვა ფაქტორში. აღმოჩნდა რომ 99 %-იანი ნდობის ინტერვალი იყო იმისა, რომ ადამიანები მსგავსები არიან (Stephenson, 1936).

სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის დარგში მეცნიერებმა სტეფანსონის მოსაზრებას ძალზე დადებითი შეფასება მისცეს. მას შემდეგ Q-მეთოდოლოგიის ბუნება განხილვის საგანი გახდა მეცნიერების სხვადასხვა დარგში. მას საკმაოდ ბევრი ნაშრომი მიეძღვნა.

ეს არის უფრო მიზანმიმართული მოდელირება ინდივიდუალურობის ფარგლებში, ვიდრე, უბრალოდ, ადამიანებს (ინდივიდებს) შორის, რომელიც იყენებს დახარისხების (სორტირების) სპეციფიკურ ტექნიკას. ის წარმოადგენს სუბიექტურ მტკიცებას. Q-მეთოდოლოგია შედგენილია და განკუთვნილია სუბიექტური კომუნიკაციის სპექტრის ასახვისთვის. იგი გამოიყენება ექსპერიმენტული მიზნით (Brown, 1996).

უილიამ სტეფენსონი პირველი იყო, ვინც Q - სორტირების ფარგლებში მოქაცია შეფასების ეს პროცესი. ფუნდამენტურად, Q - სორტირება მოიცავს დებულებაზე დათანხმებას +5 ქულიდან (სრულიად ვეთანხმები), -5 პუნქტამდე - სრულიად არ ვეთანხმები. ამ ორ პუნქტს შორის, რასაკვირველია ნაწილობრივ დათანხმების პუნქტის დაფიქსირებაც არის შესაძლებელი. მაგ., +3 და -3. ასევე, არის პუნქტი „არც ვეთანხმები და არც უარყოფ“, ეს არის ერთგვარი ნეიტრალური პოზიციის შენარჩუნება. ეს რასაკვირველია, ყველა ადამიანისთვის ინდივიდუალური და განსხვავებულია. Q-მეთოდოლოგია შედგებოდა 20 დებულებისგან და ეს 20 დებულება თანხმობიდან არ დათანხმებას შორის მოიცავდა პუნქტებს. Q მეთოდოლოგიისთვის შედგენილი დებულებები შერჩეულია თეორიის ფაქტორული ანალიზის შედეგად (Stephenson, 1936).

Q მეთოდოლოგიის ტექნიკის გამოყენებისას მონაცემთა ანალიზის დროს უილიამ სტეფენსონი უპირატესობას ანიჭებდა ფაქტორულ ანალიზს, დისპერსიული ანალიზის საპირწონედ. დისპერსიული ანალიზი ეყრდნობა Q მეთოდოლოგიის დებულების ნიმუშების ძირითად მნიშვნელობებს და ზუსტად ისეა დაკავშირებული ეფექტთან როგორც R მეთოდოლოგია. Q მეთოდოლოგიის ფაქტორული ანალიზი, მეორე მხრივ, უფრო მეტად ამახვილებს ყურადღებას იმ მნიშვნელობებზე, რომლებიც

დებულებებში ჰქონდათ მონაწილეებს გამოყენებული და ისინი ფაქტების ანალიზის პასუხების შესაბამისი არიან.

Q-მეთოდოლოგია არ არის მხოლოდ პროცედურების ერთობლიობა; ის მოიცავს უფრო ფართო თეორიას და ფილოსოფიას, რომელიც თვისებრივ კვლევას ეფუძნება. Q ტექნიკის უპირველესი მიზანია ინდივიდებს მიაწოდოს საშუალებები, რათა ჩამოაყალიბონ და დახვეწონ საკუთარი პოზიციები სხვადასხვა საკითხებზე, რაც მას ფასდაუდებელ ინსტრუმენტად აქცევს კვლევებისთვის ისეთ მრავალფეროვან სფეროებში, როგორიცაა მარკეტინგი, ფარმაცია, პოლიტიკური მეცნიერება, ბავშვთა ფსიქოლოგია, ფსიქოანალიზი, საზოგადოება. პოლიტიკა, რელიგია და სახელმწიფო მმართველობა. გარდა ამისა, მან იპოვა აქტუალობა განვითარებად ინტელექტუალურ მოძრაობებში, როგორიცაა პოსტმოდერნიზმი, დეკონსტრუქცია, იდენტობის თეორია, ფემინიზმი და კულტურული და ეთნიკური კვლევები (McKeown, 1988).

მისი ფართო გამოყენებისა და სოლიდური თეორიული საფუძვლის გათვალისწინებით, Q-მეთოდოლოგია რჩება ადამიანის სუბიექტური ბუნების თავისებურებებს შესასწავლის ძლიერ იარაღად. შემდეგ ქვეთავში დეტალურად იქნება აღწერილი სპეციფიკური პროცედურები, რომლებიც გამოვიყენე კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციის გაზომვის სკალის შესაქმნელად, რაც აჩვენებს Q-მეთოდოლოგიის პრაქტიკულ გამოყენებას თანამედროვე კვლევის კონტექსტში.

### სკალის შემუშავების აღწერა

Q-სორტირების მეთოდი მიმართულია პიროვნების დამოკიდებულებების გასაზომად, რომელშიც მისი ინდივიდუალური ბუნება ვლინდება. მნიშვნელოვანია, რომ აქ სხვადასხვა სტიმულებს შორის კავშირი მეორდება, რაც ასევე ეხება რესპონდენტებს. აბსოლუტური მაჩვენებლით სკალირებისგან განსხვავებით, Q-სორტირების მეთოდი უფრო შედარებითი მეთოდია, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ ინდივიდების დამოკიდებულებების ცვლილება სხვადასხვა პერიოდში. Q-სორტირების მეთოდით მიღებული ქულა გვიჩვენებს რესპონდენტის თანხმობა-ართანხმობის დონეს. მიი საშუალებით შეიძლება გაიზომოს სიტუაციური დამოკიდებულებები მოვლენების მიმართ, რაც შესძლოა, დროში იცვლებოდეს.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ Q-სორტირების მეთოდი მარტო დებულებებით არ აიგება, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს სტიმულის სხვადასხვა ნიმუში, სურათი და

სხვა. მაგალითად, მანქანის მოდელები და ა.შ.  დებულებები, რესურსები ან სხვა მასალა კონკრეტული მიზნიდან გამომდინარე შეირჩევა.

Q-სორტირების სკალის შედგენა რამდენიმე მნიშვნელოვან ეტაპს მოიცავს: **პირველი** - ხდება შესასწავლი საკითხის აღმწერი დებულებების შერჩევა და შედარება. აღნიშნული დებულებების რედაქტირება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ისინი ზუსტად უნდა ასახავდნენ შესასწავლ ობიექტს. დებულებების დახვეწისა და სრულყოფის მიზნით, მათი რედაქტირების პროცესში ჩართულია ექსპერტთა მცირე ჯგუფი, რომლებსაც შესასწავლი საკითხის შესახებ აკადემიური ან პრაქტიკული ცოდნა და გამოცდილება აქვთ. Q-სორტირებისთვის დებულებების შერჩევა ხდება სხვადასხვა წყაროებიდან - ინტერვიუებიდან, ცხოვრებისეული სიტუაციებიდან, საჯარო გამოსვლებიდან ან შესაბამისი ლიტერატურიდან. პირველადი დებულებების რიცხვი უფრო მეტია, რომელთა რაოდენობა რედაქტირებისას საბოლოოდ მცირდება. დახვეწის შემდეგ, როგორც წესი, მიიღება 60-ზე მეტი დებულება, რომლენიც არიან შესასწავლი ობიექტის ზუსტი და რელევანტური აღმწერები.

უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს მოდიფიცირებული ვერსიები, სადაც დებულებათა რაოდენობა მცირეა, რაც დაკავშირებულია საკვლევი საგნის ბუნებასთან. რადგანაც, საბოლოოდ სკალა არ აჩვენებს ფიქსირებულ პოლარიზებულ მაჩვენებლებს და სუბიექტურ შეხედულებებს ენიჭება მნიშვნელობა, თავიდან ყველა სახის დებულების შეგროვება ხდება. მთავარია, ეს დებულებები თავისი შინაარსით საკვლევი ობიექტის ყოვლისმომცველი შესწავლას უზრუნველსაყოფდნენ. დებულებების შერჩევისას უნდა გამოვიყენოთ შემდეგი სქემა (იხ. სქემა #5).

*სქემა 5: დებულებების შერჩევის სქემა*

| | | სტიმულის ნიმუში - A ტიპი | |
|---|---|---|---|
| | | **სპორტული** | **საოჯახო** |
| სტიმულის ნიმუში -B ტიპი | **რეტრო** | 25 | 25 |
| | **თანამედროვე** | 25 | 25 |

მაგალითად, 100 დებულების შემთხვევაში ისინი შეიძლება განაწილდნენ შესასწავლი ობიექტის სტიმულის ნიმუშის მიხედვით. თვალსაჩინოებისთვის მოვიყვანოთ მაგალითი: თუ გვსურს შევაფასებინოთ მსუბუქი ავტომანქანების

სურათები, შესაძლოა ისინი გადავანაწილოთ რეტრო და თანამედროვე ავტომანქანებად, ხოლო მეორე გადანაწილება განვახორციელოთ სპორტული და საოჯახო მანქანების სახით. ერთობლიობაში ვიღებთ 100 სურათს და ამის შემდეგ ხდება მათი შედარება ნორმალური განაწილების სკალაზე. თითოეული დებულება იწერება ბარათზე, რომლის უკანა მხარეს მოთავსებული იქნება ამ დებულების უნიკალური ნომერი. რესპონდენტთა მიერ ამ ბარათების განთავსება სკალაზე ხორციელდება ქვემოთ მოყვანილი #6 სქემის მიხედვით.

*სქემა 6: სკალაზე ბარათების განთავსება*

სკალა 2 4 8 14 18 24 18 14 8 4 2 სტიმულის ნიმუში



ამ შემთხვევაში, სკალაზე განლაგებული იქნება 116 დებულება. როდესაც ამ დებულებებს ექსპერტები განიხილავენ, მნიშვნელოვანია, რომ ყურადღება მიექცეს მასში აღწერილ შინაარსს, რათა სუბიექტური ინტერპრეტაციები მინიმუმამდე იყოს დაყვანილი. დებულებები აუცილებლია იყოს სპეციფიკური კვლევის თემისთვის და არა აბსტრაქტული, რაც თავისთავად უზრუნველყოფს შეფასების პროცესში სიცხადეს და თანმიმდევრულობას. ექსპერტებმა, შესაძლოა, დებულებების შეფასებისას იხელმძღვანელონ სხვადასხვა სკალით, მაგ., თერთმეტსაფეხურიანი სკალით, რომელიც მოცემულია სქემაზე #7.

*სქემა 7: შეფასების თერთმეტსაფეხურიანი სკალა*

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| არდათანხმება | | | | | | | | | | | | დათანხმება |

სწორედ ასეთ „დათანხმება - არდათანხმების" სკალაზე ფასდება ესა თუ ის დებულება. ექსპერტები აფასებენ დებულებაში გამოთქმულ აზრს და არა თავიანთ შეხედულებას ამა თუ იმ საკითხზე. ექსპერტთა მონაცემების შესაჯამებლად, ყოველი დებულების მიმართ გამოთქმული პოზიციის დასაფიქსირებლად, სკალაზე შესაძლოა გამოყენებულ იქნეს თურსტოუნის მიერ შემუშავებული კვარტილური გადახრების და მედიანის გამოთვლის მეთოდი, რომლითაც დავაფიქსირებთ დებულებების განაწილებას სკალაზე.

დებულებათა განლაგებულია საბოლოო (ნორმალური განაწილების) სკალაზე. ამ სკალაზე დებულებათა ძირითადი ნაწილი კლასტერიზდება შუაში, ხოლო მცირე ნაწილი განლაგდება უკიდურეს პოლუსებზე, მაგ., -2, +2 წერტილებში და სწორედ ეს ნიშნავს, რომ რესპოდენტმა ამ სკალურ პოზიციაზე ორი დებულება უნდა მოათავსოს. დებულებების უმეტესობა განთავსებულია ცენტრში, რაც ასახავს პასუხების სუბიექტურ ხასიათს და არა რაიმე წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმს. ასეთი განლაგება ავლენს კვლევის ობიექტის მიმართ პიროვნულ დამოკიდებულებას.

შემდომ ეტაპზე სკალა გამოიყენება რიგით რესპონდენტებთან, რომელთაც წინასწარ ეძლევათ ინსტრუქცია, თუ როგორ უნდა განალაგონ დებულებები საკუთარი შეხედულებების მიხედვით, სკალაზე მითითებული ფიქსირებული რიცხვების გათვალისწინებით. მათ ევალებათ დათანხმება - არდათანხმება გამოხატონ

შესასწავლი საკითხის მიმართ გამოყოფილი დებულებებისადმი. პროცედურის ჩატარების გაადვილების მიზნით, თავდაპირველად დებულებების გადანაწილება ხდება სამ კატეგორიაში (იხ. სქემა #8).

*სქემა 8: რესპონდენტებთან პირველი ეტაპის შეფასების სტრუქტურა*

| სრულად ვეთანხმები | ნაწილობრივ ვეთანხმები | სრულიად არ ვეთანხმები |
|---|---|---|

ამ სამ კატეგორიაში მოთავსებული დებულებების გადანაწილება შემდგომ ხდება ნორმალურ განაწილების სკალაზე. როდესაც რესპონდენტი დაასრულებს სკალაზე დებულებების განლაგებას, მას კვლავ სთხოვენ, ერთხელ კიდევ თავიდან გადახედოს მის მიერ განლაგებულ დებულებებს და თუ სურს, ცვლილება განახორციელოს.

პროცედურების დასრულების შემდეგ ყველა კატეგორიისთვის მკვლევარი იწერს დებულებების ნომრებს მათი შედარების მიზნით. დიდი რაოდენობის მონაცემების შემთხვევაში, საჭიროებისამებრ, იყენებენ ფაქტორულ ანალიზს. ასევე, შესაძლებელია, სხვადასხვა პიროვნებების მონაცემები შევადაროთ ერთმანეთს. სწორედ ამგვარად იზომება სხვადასხვა პერიოდში განხორციელებულ გამოკითხვებში დამოკიდებულებები. ამგვარად, მიღებული მონაცემები ერთი და იმავე პიროვნების შესახებ საშუალებას გვაძლევს, ვისაუბროთ, რა ცვლილება მოხდა (სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედების შედეგად) მათი დამოკიდებულებების ახლებურად გააზრებისას.

ეს სკალა მიჩნეულია „იძულებით - ნორმალური“ განაწილების სკალად, როდესაც რესპოდენტს სთხოვენ, სკალურ დაჯგუფებაში მკაცრად განსაზღვრული კონკრეტული დებულება შეიტანოს (დურგლიშვილი, 2006). არსებობს Q-სკალის ელექტრონული ფორმით ჩატარების საშუალებაც (წულაძე, 2022) მსგავსი სკალით პროფესორმა მარინა მუსხელიშვილმა შეისწავლა კონსტიტუციის დისკურსული მხარე (მუსხელიშვილი, 2006).

### სკალის შედგენის პროცედურა

მას შემდეგ რაც ზოგადად განვიხილეთ Q-მეთოდოლოგიის განვითარების ისტორია, არსი და მისი გამოყენების სპეციფიკა, წარმოდგენილ თავში დეტალურად აღვწერ კოსმოპოლიტურობა-ლოკალურობის სკალის აგების ჩემ მიერ გამოყენებულ

პროცედურას. კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციის გასაზომი სკალის აგებისთვის განვახორციელე Q-სორტირების მეთოდოლოგიის შესაბამისი დებულებების შერჩევის და რედაქტირების სისტემატური პროცესი. რადგანაც სკალის შედგენა ეხება საგანმანათლებლო ორგანიზაციას, Q-სორტირების სკალის აგების პრინციპებიდან გამომდინარე, საჭიროა, ამ ორგანიზაციის ყველა ერთეულის წარმომადგენელის აზრი იყოს გათვალისწინებული. მაგალითად, ჩემ შემთხვევაში ავიღე – კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტირებისთვის სამეცნიერო საქმიანობა, სწავლა–სწავლების პროცესი, სტუდენტების განათლების ეფექტურობა და უმაღლესი სასწავლო დაწესებულების (უსდ) მიზნობრივ-სტრატეგიული პოზიცია.

*სქემა 9: უსდ-სთვის დებულებების განაწილება*

| | სამეცნიერო საქმიანობა | სწავლა-სწავლება |
|---|---|---|
| უსდ, (მიზნობრივ-სტრატეგიული პოზიცია) | 16 | 16 |
| სტუდენტები | 16 | 16 |

სწორედ, ამ რუბრიკებში გადანაწილდა დებულებები. თავდაპირველად 97 დებულება შეგროვდა, რომლებიც სისტემატურად დაიყო ოთხ კატეგორიად. თითოეული დებულება ადაპტირდა და რედაქტირდა შესაფასებელ სკალასთან. თითოეულ რუბრიკაში დარჩა 16–16 დებულება. შესაბამისად, საბოლოოდ, მივიღე 64 დებულება (იხ. სქემა #9).

სკალის ვალიდაციისთვის მივმართე 10 ექსპერტს, რომლებიც მუშაობენ სამეცნიერო-სასწავლო ორგანიზაციაში. ექსპერტთა შერჩევის კრიტერიუმი იყო უნივერსიტეტის ან ინსტიტუტის სამეცნიერო და სასწავლო სფეროში მათი ჩართულობა/მონაწილეობა. ექსპერტებს მიეწოდებოდათ თერთმეტსაფეხურიანი სკალა, რომელზედაც უნდა განელაგებინათ დებულებები, იმის შესახებ, თუ რამდენად გამოხატავდნენ ან არ გამოხატავდნენ კოსმოპოლიტურ და ლოკალურ

დამოკიდებულებებს („საერთოდ არ შეესაბამება“ (1) „სრულად შეესაბამება“ (11)). სკალა შემდეგი სახის იყო (სქემა #10):

*სქემა 10: ექსპერტების მიერ დებულებების შეფასების სკალა*

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სრულიად არ შეესატყვისება | | | | | | | | | | | | სრულად შეესატყვისება |

სკალები ცალ-ცალკე იყო მიწოდებული კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების გამოსავლენად. ექსპერტების შეფასების შემდეგ პასუხები გაანალიზდა თურსტოუნის მეთოდის გამოყენებით კვარტიული გადახრებისა და მედიანური მნიშვნელობების გამოთვლით. კვარტილური გადახრა კუმულაციურ გრაფიკზე დაფიქსირდა, რათა დადგენილიყო მონაცემთა გავრცელება და ცენტრალური ტენდენციები. თითოეული დებულების ცენტრალური პოზიციის შესაფასებლად ასევე განისაზღვრა მედიანური მნიშვნელობები (M). ხოლო იმ შემთხვევებში, სადაც გამოვლინდა მაღალი კვარტიული გადახრა, რაც მიუთითებდა ექსპერტთა შორის კონსენსუსის ნაკლებობაზე, გამოირიცხა საბოლოო სკალიდან. ამ შეფასების პროცესმა ხელი შეუწყო დებულებების დახვეწას და მათ შემცირებას 64 დებულებამდე (რომლებიც ზუსტად ზომავდა კოსმოპოლიტურ ან ლოკალურ ორიენტაციას). კვარტილური გადახრა გამოითვლება 100 % სკალაზე უმაღლესი და უმდაბლესი კვარტილებით, რაც რესპოდენტთა მონაცემების განაწილებით მიიღება. კვარტილური გადახრის (Q) ფორმულა შემდეგია: $Q = Q_2 - Q_1 : 2$ სადაც $Q_2$ არის 75 % უმაღლესი, ხოლო $Q_1$ – 25 %, უმდაბლესი კვარტილი.

ამგვარად, დაგვრჩა 64 დებულება, რომლებიც უმაღლეს დაწესებულებაში კოსმოპოლიტურ და ლოკალურ ორიენტაციებს გამოხატავს. მოვიყვანოთ კოსმოპოლიტური ორიენტაციის საზომი დებულების მაგალითი. სამეცნიერო საქმიანობებიდან ავიღოთ №12 დებულება - „საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა და უცხოელების ჩამოყვანა საკუთარ ქვეყანაში“ - ეს დებულება შეფასდა საკმაოდ მაღალი მაჩვენებლით, სადაც მედიანა იყო M=10.2, ხოლო კვარტილური გადახრა Q=0.75. რაც იმას ნიშნავს, რომ ექსპერტის უმრავლესობა მას აფასებს როგორც უკიდურესად კოსმოპოლიტურ დებულებად (იხ. დიაგრამა #2).

*დიაგრამა 2: #12 დებულების შეფასების გრაფიკი*




მსგავსი პროცედურა ჩატარდა ყველა დებულებაზე. ის დებულებები, რომლებსაც კვარტილური გადახრა მაღალი მაჩვენებლით უფიქსირდებოდათ, ყოველი მათგანი ამოღებულ იქნა. ამგვარად, დებულებების რაოდენობა დავიდა 64-ზე. შესაბამისად, ამოღებული იქნა 33 დებულება.

რედაქტირებული დებულებები დაიყო ორ ძირითად ჯგუფად, რომელთაგან თითოეული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში კოსმოპოლიტურ ან ლოკალურ ორიენტაციას წარმოადგენს. ეს საბოლოო დებულებები ქმნიან სკალას, რომელიც გამოიყენება ამ ორიენტაციების გასაზომად (იხ. ცხრილი #1), რაც უზრუნველყოფს სანდო და ვალიდურ ინსტრუმენტს მომავალი ემპირიული კვლევებისთვის.

*ცხრილი 1: კოსმოპოლიტურ-ლოკალური ორიენტაციების საზომი დებულებების ცხრილი*

| კოსმოპოლიტი | |
|---|---|
| სამეცნიერო საქმიანობა - 8 დებულება | სწავლა-სწავლება - 7 დებულება |
| 1. უცხოელ მკვლევარებთან ერთად ერთობლივად მსგავს სამეცნიერო საკითხებზე მუშაობა და საერთაშორისო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნება | 1. სტუდენტებს თანამედროვე საერთაშორისო დონის და მოთხოვნების განათლება უნდა მივცეთ |
| 2. პროფესიულ საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებებში გაერთიანება | 2. სტუდენტები სადიპლომო ნაშრომს უცხოეთში უნდა აკეთებდნენ |
| 3. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე სტატიების წარდგენა | 3. სტუდენტები უცხოელი პროფესორების ტრენინგებსა და სემინარებს ხშირად უნდა ესწრებოდნენ |
| 4. საერთაშორისო სამეცნიერო კონსულტანტის სტატუსის ქონა | 4. მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურზე სტუდენტებმა უცხოეთში უნდა დაიცვან თემები |
| 5. უცხოურ სამეცნიერო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა | 5. საკუთარ უსდ-ში ისეთი სპეციალისტები უნდა მოვამზადოთ, რომლებიც თავისუფლად იმუშავებენ უცხოეთის უნივერსიტეტებში |
| 6. უცხოურ პროგრამებში ჩართვა და სტაჟირება უცხოეთში | 6. საკუთარ ქვეყანაში უსდ-ში სტუდენტი საერთშორისო ორგანიზაციებში მუშაობისთვის უნდა მოვამზადოთ |
| 7. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, და უცხოელი მეცნიერების ჩამოყვანა საკუთარ ქვეყანაში | 7. სწავლება საკუთარ უსდ-ში საერთაშორისო სამეცნიერო ენად აღიარებულ ენაზე (ინგლისური) უნდა მიმდინარეობდეს |
| 8. საკვლევ სამეცნიერო თემის შერჩევა საერთაშორისო უახლესი მოთხოვნის (ტრენდის) საფუძველზე | |
| სტუდენტები - 8 დებულება | უსდ - 8 დებულება |
| 1. სტუდენტების უცხოეთში სასწავლებლად გაშვება | 1. მიზანშეწონილია უცხოური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა საკუთარ უსდ-ში |
| 2. სტუდენტის მიერ პროფესიის არჩევისას ყურადღება საერთაშორისო დონეს უნდა მიექცეს | 2. ჩვენი უსდ-თვის მნიშვნელოვანია უცხოელი ლექტორების ჩართვა საგანმანათლებლო პროგრამებში |
| 3. სტუდენტები უცხოელ პროფესორების ტრენინგებს და სემინარებს ხშირად უნდა ისმენდნენ | 3. ჩვენი უსდ-ს მისია საერთაშორისო დონეზეა ორიენტირებული |

| | |
|---|---|
| 4. სტუდენტებმა პროფესია საერთათაშორისო მოთხოვნების მიხედვით უნდა აარჩიონ | 4. ჩვენი უსდ საერთაშორისო რეიტინგებში ხშირადაა მოხსენიებული |
| 5. სტუდენტები უნდა გაერთიანდნენ საერთაშორისო სტუდენტურ ორგანიზაციებში | 5. უსდ-ში სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის ხარისხი საერთაშორისო დონეს უნდა აკმაყოფილებდეს |
| 6. სტუდენტები ზაფხულობით უნდა ისვენებდნენ საერთაშორისო ბანაკებში | 6. ჩვენი უსდ თანამშრომლებს პერიოდულად უნდა უშვებდეს უცხოეთში კვალიფიკაციის ასამაღლებლადასამაღლებლად |
| 7. უცხოელი და ჩვენი სტუდენტები აუცილებლად კამპუსში ერთად უნდა ცხოვრობდენენ | 7. ხელი უნდა შევუწყოთ უცხოელ კოლეგებთან ერთად ერთობლივი პროგრამების შექმნას, რათა ერთობლივი დიპლომები გაიცეს |
| 8. უნივერსიტეტი ისეთ კარიერულ განვითარებას უნდა აძლევდეს სტუდენტს , რომ უცხოეთში თავისუფლად შეძლოს მუშაობა | 8. ჩვენი უსდ-ს ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნები საერთაშორისო დონის მაღალ სტანდარტებს აკმაყოფილებს |
| **ლოკალი** | |
| სამეცნიერო საქმიანობა<br>8 დებულება | სწავლა-სწავლება<br>9 დებულება |
| 1. მნიშვნელოვანია მეცნიერთა სტატიები ადგილოვრივ სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნდეს | 1. სტუდენტები უნდა მოვამზადოთ ქვეყანაში არსებული სამუშაო ადგილების შესაბამისად |
| 2. ჩვენი მეცნიერები, აუცილებელია, იყვნენ ადგილობრივი სამეცნიერო გამოცემების რედაქტორები | 2. უსდ-მ ახალი სასწავლო პროგრამების შექმნას ხელი უნდა შეუწყოს |
| 3. ადგილობრივ და საკუთარი უსდ-ს ფარგლებში სამეცნიერო გარნტები უნდა არსებობდეს და მასში მონაწილეობდნენ ჩვენი მეცნიერები | 3. მიმაჩნია, რომ ჩვენი სასწავლო პროგრამები საკმაოდ წარმატებული და ხარისხიანია |
| 4. თანამდებობის დასაკავებლად მეცნიერს ადგილობრივ სამეცნიერო და სასწავლო ორგანიზაციებში მინიმუმ 5 წლის მუშაობის სტაჟი უნდა ქონდეს. | 4. ჩვენი პროფესორები სტუდენტებს მაღალ დონეზე ასწავლიან |
| 5. საგანმანათლებლო პროგრამებში ჩვენთან მომუშავე ლექტორები ცოდნისა და განათლების მიხედვით უნდა იყვნენ ჩართულები | 5. სტუდენტების სამეცნიერო ნაშრომები ადგილობრივი წარმოების, მრეწველობის მოთხოვნებს უნდა ეხებოდეს |

| | |
|---|---|
| 6. საჭიროა ხელი შევუწყოთ ახალი იდეების და შეხედულებების (ინოვაციების) წინ წამოწევასა და უცხოელი მეცნიერებისთვის მათ შეთავაზებას | 6. ლექტორები სწავლების დროს საკუთარ სალექციო კურსს უნდა სთავაზობდნენ სტუდენტებს |
| 7. ადგილობრივმა სხვადასხვა ორგანიზაციამ და მეწარმემ უნდა დააწესოს სამეცნიერო გრანტები, რომელთა საშუალებითაც მეცნიერები მათთის საინტერესო თემატიკაზე იმუშავებენ | 7. მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტების სამეცნიერო თემები ადგილობრივი პრობლემებს უნდა ეხებოდეს |
| 8. უცხოელ სპეციალისტებს სურვილი უჩნდებათ, გაიგონ, თუ რა სამეცნიერო სამუშაოებს ვასრულებთ და ჩვენთან კავშირებს ამყარებენ | 8. სასწავლო სახელმძღვანელოები, ძირითადად, სახელმწიფო ენაზე უნდა იყოს შესრულებული |
| | 9. ჩვენი უსდ-ს კურსდამთავრებულები ისეთ სპეციალისტებად უნდა მომზადნენ, რომლებიც შეძლებენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ორგანიზაციაში მუშაობას |
| სტუდენტები -<br>8 დებულება | უსდ -<br>8 დებულება |
| 1. ჩვენი უსდ-ს კურსდამთავრებულები ისეთ სპეციალისტებად იქნებიან მომზადებულნი, რომლებიც შეძლებენ ჩვენს ქვეყანაში არსებულ სხვადასხვა ორგანიზაციაში ეფექტურ და ხარისხიან მუშაობას | 1. ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებს ხელშეწყობაა საჭირო |
| 2. ჩვენი უსდ-ს კურსდამთავრებულები ისეთ სპეციალისტებად მომზადდებიან, რომლებიც მაღალი დონის სპეციალისტებად შეძლებენ მუშაობას ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ორგანიზაციაში | 2. ადგილობრივი ბაზრის გათვალისწინებით საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა საკუთარ უსდ-ში |
| 3. სტუდენტების ჩართულობა უსდ-ს მართველობაში მნიშვნელოვანია | 3. ჩვენი უსდ-ს მისია ითვალისწინებს წარსულ მეცნიერულ გამოცდილებას |
| 4. სტუდენტებისთვის უნდა არსებობდეს თავისუფალი სემესტრი, რათა საკუთარ ქვეყანას კარგად გაეცნონ და იმოგზაურონ | 4. ჩვენი უსდ ქვეყნის რეიტინგებში მოწინავეა |

| | |
|---|---|
| 5. ლექტორი და სტუდენტი ერთობლივ სამეცნიერო სამუშაოში უნდა იყვნენ ჩართულები | 5. საკუთარ უსდ-ში სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის ხარისხის ასამაღლებლად საჭიროა ყურადღების გაძლიერება |
| 6. სტუდენტის კარიერის დაგეგმვისას გასათვალისწინებელია ადგილობრივ მეცნიერთა აზრი | 6. ჩვენთან გარკვეულ სამეცნიერო სფეროში შეიძლება უცხოელებმაც აიმაღლონ კვალიფიკაცია |
| 7. საკუთარ ქვეყანაში სტუდენტებისათვის სხვადასხვა ორგანიზაციაში უნდა არსებობდეს სტაჟირების კურსები | 7. ჩვენი უსდ, ქვეყნის საჭიროებიდან გამომდინარე, ამზადებს სპეციალისტებს |
| 8. ჩვენი სტუდენტები ადვილად იწყებენ შიდა ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად მუშაობას სხვადასხვა ორგანიზაციებში სხვადასხვა ორგანიზაციასა და დაწესებულებაში | 8. შესაბამისი ანაზღაურებით უნდა დაფასდნენ ადგილობრივი მეცნიერები და ლექტორები |
| 9. ჩვენი უსდ-ს კურსდამთავრებულები ისეთ სპეციალისტებად იქნებიან მომზადებულნი, რომლებიც შეძლებენ ჩვენს ქვეყანაში არსებულ სხვადასხვა ორგანიზაციაში ეფექტურ და ხარისხიან მუშაობას | |

სადისერტაციო ნაშრომის ამ თავში წარმოვადგინე სხვადასხვა საგანმანათლებლო კონტექსტში კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების გასაგებად Q მეთოდოლოგიის გამოყენებით სკალის შექმნის პროცესი და მისი გამოყენების პერსპექტივები. ეს მეთოდი, რომელიც ეფუძნება უილიამ სტეფენსონის პიონერულ ნაშრომს, საშუალებას იძლევა სუბიექტური შეხედულებები შევისწავლოთ სისტემატური და რაოდენობრივი მიდგომით, რაც მას ფასდაუდებელ ინსტრუმენტად აქცევს სოციალურ მეცნიერებათა კვლევაში. Q-სორტირების ტექნიკის გამოყენებით, სკალა უზრუნველყოფს კოსმოპოლიტიზმთან და ლოკალიზმთან დაკავშირებული პერსპექტივების მრავალფეროვნების დეტალურ შესწავლას, რითაც ამდიდრებს ჩვენს გაგებას, თუ როგორ ვლინდება ეს ორიენტაციები საგანმანათლებლო ორგანიზაციების სხვადასხვა სეგმენტში.

საგანმანათლებლო ორგანიზაციაში კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების გასაზომად Q-სკალის შემუშავება აჩვენებს ამ მეთოდის მრავალმხრივობასა და ეფექტურობას. პროცესი მოიცავდა დებულებების ფრთხილად

შერჩევას და რედაქტირებას, რომლებიც შემდგომ შეფასდა ექსპერტების მიერ მათი შესაბამისობისა, სიზუსტის და ვალიდურობის უზრუნველსაყოფად. ამ პროცესის შედეგად მიღებული სკალა მოიცავს 64 დებულებას და წარმატებით აფასებს ინდივიდი ატარებს კოსმოპოლიტურ თუ ლოკალურ შეხედულებებს. სკალის სანდოობა დასტურდება მკაცრი ტესტირების პროცესით, მათ შორის, დებულებების სიზუსტე და მათი ვალიდობა უზრუნველყოფილია თურსტოუნის კუმულაციური პროცენტული გრაფიკის და ინტერკვარტილური დიაპაზონის გამოთვლების გამოყენებით.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩატარებულმა კვლევის პროცესმა აჩვენა, რომ Q-სორტირების ტექნიკა წარმოადგენს ეფექტურ გზას ქართულ საგანმანათლებლო კონტექსტში შეფასდეს საკვლევი ობიექტების კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციები. საგამანათლებლო სივრცის სპეციფიკის გათვალისწინებით კი რეკომენდირებულია საკვლევი ობიექტები იყოს მრავალფეროვანი და მოიცავდეს როგორც ცოდნის შექმნისა და გადაცემის პროცესში ჩართულ პირებს (პროფესურა, უსდ-ს ადმინისტრაცია, მეცნიერ-თაამშრომლები), ასევე ბენეფიციარებს (სტუდენტებს). Q-სორტირებით შექმნილი სკალის ვალიდაციის შემდეგ კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცხრილ #1-ში წარმოდგენილი სკალა სანდო ინსტრუმენტს წარმოადგენს მკლევართათვის (Devidze, 2024).

## თავი VIII: დასკვნა

კოსმოპოლიტიზმისა და ლოკალიზმის კონცეფციის ისტორიული ევოლუციის განხილვა ნათლად წარმოაჩნეს იმ პოლიტიკურ, ფილოსოფიურ თუ კულტურულ გავლენებს, რისი საშუალებითაც ეს კონცეფცია ჩამოყალიბდა ანტიკურობიდან დღემდე. ძველი ბერძნული ფილოსოფიის კონტექსტში კოსმოპოლიტიზმი გლობალური მოქალაქეობის იდეას ეყრდნობოდა. მოგვიანებით, სხვა მნიშვნელოვანი მოაზროვნეები, კოსმოპოლიტიზმის იდეას წარმოაჩენდნენ, როგორც მორალურ და ფილოსოფიურ იდეალს, რომელიც დაფუძნებულია უნივერსალურ ადამიანურ ღირებულებებსა და ნორმებზე.

დროთა განმავლობაში კოსმოპოლიტიზმისა და ლოკალიზმის ცნებები სხვადასხვა ისტორიული პერიოდის საჭიროებებსა და რეალობას მოერგო. რომის იმპერიასა და შუა საუკუნეებში კოსმოპოლიტიზმმა რელიგიური კონოტაცია შეიძინა. განმანათლებლობის ხანაში კოსმოპოლიტიზმი გახდა გამორჩეული ინტელექტუალური კონცეფცია. ემანუელ კანტი მასზე ამყარებდა საყოველთაო მშვიდობისა და თანამშრომლობის პერსპექტივას. ეს იდეა მე-20 საუკუნეშიც აქტუალური იყო, განსაკუთრებით კი, მარქსისტული ინტერნაციონალიზმისა და გლობალური პროლეტარიატის შესახებ ლენინური შეხედულებების კონტექსტში.

მოდერნულ ხანაში, განსაკუთრებით ცივი ომის შემდგომ პერიოდში, კოსმოპოლიტიზმი გლობალური ინტეგრაციის, ტრანსნაციონალური თანამშრომლობისა და მულტიკულტურალიზმის სიმბოლოდ იქცა. ულრიხ ბეკი და ენტონი გიდენსი ამტკიცებენ, რომ მომავალმა გლობალურმა საზოგადოებამ უნდა დაძლიოს კოსმოპოლიტურ ტოლერანტობასა და ფუნდამენტალისტურ აზროვნებას შორის დაძაბულობა, რადგან ინტერნაციონალურ კონტექსტში სხვადასხვა აქტორთა თანამშრომლობა სწორედ კოსმოპოლიტური ორიენტაციის საფუძველზე არის შესაძლებელი. ამავდროულად, გლობალიზაციის პირობებში, სხვა ავტორები (მაგ., კლიფორდ გირცი და ულფ ჰანერცი) ლოკალიზმს ავთენტური კულტურებისა და ტრადიციების გადარჩენის გზად მიიჩნევენ. კოსმოპოლიტიზმის და ლოკალიზმის კონცეფციების ისტორიულ მიმოხილვაში ვლინდება მათი დაპირისპირებული ბუნება. ორივე ღირებულებითი ორიენტაცია ქმნის ერთგვარ კონცეპტუალურ ჩარჩოს,

რთულ კულტურულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში ინდივიდებისა და საზოგადოებების ნავიგაციის მექანიზმს.

რობერტ მერტონის კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების ფუნდამენტური თეორია განასხვავებს ლოკალური და კოსმოპოლიტური პერსპექტივების მქონე ინდივიდებს და აანალიზებს სოციალურ სტრუქტურებში ამ პერსპექტივების მქონე პირთა ინტერპერსონალური კომუნიკაციის, მედია მოხმარებისა და კონფლიქტების პატერნებს. ლოკალებისა და კოსმოპოლიტების კომუნიკაციის პატერნების, სოციალური კავშირების და ორგანიზაციული ქცევის შესახებ მერტონის კვლევის მიგნებები განსაკუთრებით სასარგებლოა ქართულ მედიაში ასახული კონფლიქტების გასაანალიზებლად.

ქართული მედიის კონტენტ-ანალიზმა გამოავლინა ლოკალურ და კოსმოპოლიტურ ორიენტაციას შორის არსებული დაძაბულობა პოლიტიკურ ლანდშაფტში. 2012-2013 წლებში ძალაუფლების „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ „ქართულ ოცნებაზე“ გადასვლის პროცესში, ნათლად გამოვლინდა კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების გავლენა მედიაში ასახულ ნარატივებზე. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოზიციებში ჭარბობდა კოსმოპოლიტური ორიენტაციისთვის დამახასიათებელი არგუმენტები. მაგალითად, საქართველოს საერთაშორისო სივრცეებში ინტეგრაციის მნიშვნელობა, ხოლო ლოკალური ორიენტაციებისათვის დამახასიათებელი არგუმენტები კი წარმოდგენილი იყო „ქართული ოცნების“ მხრიდან, რომლებიც ქვეყნის საშინაო საკითხების მოგვარების პრიორიტეტულობაზე მიუთითებდა.

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებულმა ემპირიულმა კვლევამ ცხადყო, რომ ლოკალური და კოსმოპოლიტური ორიენტაციების დიქოტომია ქართულ საზოგადოებაში კონფლიქტის დინამიკის შესწავლის ეფექტური ინსრუმენტია. მერტონის თეორიის დახმარებით წარმოჩინდება ამ დაპირისპირებულ ორიენტაციათა გავლენა არა მხოლოდ ინდივიდუალურ ქცევაზე, არამედ, უფრო ფართო ორგანიზაციულ და სოციალურ სტრუქტურებზე. მიუხედავად იმისა, რომ ლოკალური ორიენტაციები ღრმად არის ფესვგადგმული ქართულ საზოგადოებრივ ცნობიერებაში, კოსმოპოლიტური პერსპექტივები, კრიტიკულ როლს თამაშობს პოლიტიკურ და ორგანიზაციულ კონფლიქტებში.

საკვანძო ავტორებთან კოსმოპოლიტების და ლოკალების ნიშან-თვისებების შესახებ დისკუსიების საფუძველზე ჩამოვაყალიბე ორივე ტიპის პროფილი: კოსმოპოლიტები უპირატესობას ანიჭებენ მათ პროფესიულ ეთიკას, არიან კარიერულ წინსვლაზე ორიენტირებულნი, ხოლო დამსაქმებელ დაწესებულებებში გვევლინებიან ცვლილებების აგენტებად, თუმცა, ამ დაწესებულების მიმართ ლოიალურობა მათთვის ნაკლებდამახასიათებელია და შესაბამისად, უფრო ხშირად იცვლიან დასაქმების ადგილს. რაც შეეხება ლოკალებს, ისინი დამსაქმებელი ორგანიზაციის მიმართ ლოიალურობით გამოირჩევიან და ორიენტირებული არიან სტაბილურობაზე, განგრძობადობაზე და ცვლილებების მიმართ თავშეკავებულნი არიან. ლოკალები უფრო მეტად ზრუნავენ ორგანიზაციის არსებული კულტურისა და სტრუქტურის შენარჩუნებაზე, რაც ხშირად, წინააღმდეგობაში მოდის კოსმოპოლიტების ინოვაციებისა და ცვლილებებისკენ სწრაფვასთან.

თეორიულ შეხედულებებზე დაყრდნობით ჩატარებულმა რაოდენობრივი კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციები ემპირიულად იდენტიფიცირებადი და გაზომვადია. ამ ორიენტაციებზე გავლენას ახდენს სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული ფაქტორები, მათ შორის, სქესი, რელიგიურობა, ოჯახური მდგომარეობა და ტრადიციული ოჯახური ღირებულებები. კოსმოპოლიტური ორიენტაციის მქონე პირები უფრო ადაპტირებულნი არიან მულტიკულტურალურ გარემოსთან, მზად არიან ახალი გამოცდილებების მისაღებად და გამოირჩევიან მობილურობით, მაშინ როდესაც, ლოკალური ორიენტაციების მქონე პირები თავიანთ კულტურასა და ტრადიციებზე მიჯაჭვულნი არიან. ამ ორიენტაციების მქონე პირთა განსხვავებული ცხოვრების წესი ვლინდება მათი მოგზაურობის ინტენსოვობაზე, ჩაცმის კულტურასა და გასტრონომიულ პრეფერენციებზე.

მიუხედავად იმისა, რომ კოსმოპოლიტები გამოირჩევიან კულტურული ღიაობით და უფრო ადვილად ურთიერთობენ უცხო ადამიანებთან, ორივე ორიენტაციის მატარებელ პირებთან კონფლიქტები მცირე დოზით გამოვლინდა. აღსანიშნავია, რომ გერმანიაში ლოკალებად თვითიდენტიფიცირებულ ქართველ მიგრანტებთნ კონფლიქტები ოდნავ უფრო ხშირია, რადგან საკუთარი ეთნოკულტურული ღირებულებებისა და ტრადიციების მიმართ ლოიალურობა

ინტეგრაციის პროცესს ართულებს. კვლევამ ასევე ცხადყო, რომ კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციები შეიძლება თანაარსებობდეს დინამიურად და ინდივიდების მიერ მრავალფეროვან სოციალურ და კულტურულ კონტექსტში ნავიგაციის ეფექტურ იარაღად იყოს გამოყენებული.

კონფლიქტები ორგანიზაციებში გარდაუვალია, რომელიც ორგანიზაციის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე იჩენს თავს. ეს კონფლიქტები შეიძლება გამოიწვიოს სტრუქტურულმა, ფუნქციურმა, კულტურულმა ან ინტერპერსონალურმა ფაქტორებმა, რომლებიც გავლენას ახდენენ ორგანიზაციის სისტემაზე. კონფლიქტებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს სტრუქტურულ ერთეულებზე, თანამშრომლების რწმენაზე, დამოკიდებულებებზე და ღირებულებებზე, რაც ორგანიზაციული ქვესისტემების ურთიერთდაკავშირებულ ხასიათს ასახავს. შესაბამისად, ორგანიზაციული განვითარების თითოეულ ეტაპზე უნდა მოხდეს კონფლიქტების იდენტიფიცირება და მისი მიზეზების გამოვლენა, რაც კონფლიქტის ეფექტური მართვის აუცილებელი წინაპირობაა. კონფლიქტები შეიძლება მიგვანიშნებდეს ორგანიზაციაში ცვლილებებისა და ინოვაციების დანერგვის აუცილებლობაზე, ან, არაადაპტირებულ მართვის სტილზე. თუმცა, რა მიზეზითაც არ უნდა იყოს ორგანიზაციაში კონფლიქტი გამოწვეული, მასზე მყისიერი რეაგირების გარეშე ორგანიზაციის არსებობას საფრთხე შეექმნება.

სადისერტაციო ნაშრომში ორგანიზაციებში კონფლიქტების პრევენციისა და მართვის განხილული მიდგომების გარდა, მიმაჩნია, რომ დასაქმებულთა ლოკალური და კოსმოპოლიტური ორიენტაციების დონის განსაზღვრა გადამწყვეტია იმის გასაგებად, თუ როგორ ურთიერთობენ ინდივიდები სამუშაო გარემოში და როგორ ზემოქმედებას ახდენს ეს ორიენტაციები ორგანიზაციულ ქცევაზე, სამუშაო კმაყოფილებასა და კონფლიქტზე. ამ ორიენტაციების გაზომვით, ორგანიზაციებს შეუძლიათ უკეთ მართონ გარემო, დანერგონ ინოვაციები, შექმნან უფრო ჰარმონიული და პროდუქტიული სამუშაო ადგილები. შესაბამისად, დისერტაციის ფარგლებში წარმოდგენილი თეორიული მოდელები ღირებულ ჩარჩოებს ქმნის თანამედროვე ორგანიზაციებში ლოკალური და კოსმოპოლიტური ორიენტაციების იდენტიფიკაციისა და მართვისთვის.

Q-მეთოდოლოგიის გამოყენებით შემუშავებული კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების საზომი სკალა კომპლექსური, სუბიექტური დამოკიდებულებებისა და აღქმების გამოვლენის ეფექტურ ინსტრუმენტად შეიძლება იქცეს საგანმანათლებლო ორგანიზაციების კონტექსტში. დებულებების სისტემატური შერჩევით, რედაქტირებით და ვალიდაციით შეიქმნა სანდო ინსტრუმენტი, რომელიც დაგვეხმარება იმის გაგებაში, საგანმანათლებლო ორგანიზაციებში ინდივიდები არიან გლობალური თუ ლოკალური იდენტობების მატარებლები, და თუ გამოვლინდება, რომ მათი იდენტობები ორიენტაციის სკალის უკიდურეს წერტილებშია განთავსებული, მაშინ საჭიროა მოსალოდნელი ორგანიზაციული კონფლიქტის პრევენციაზე ზრუნვა.

და ბოლოს, შევეცდები უფრო მკაფიოდ გავცე კვლევის საწყის ეტაპზე დასმულ კითხვას პასუხი. კოსმოპოლიტიზმისა და ლოკალიზმის კონცეფცია ემპირიულ ინდიკატორებს მოიცავს, რომელთა ოპერაციონალიზაციით შეგვიძლია სოციალურ და ორგანიზაციულ კონტექსტში ეს ორიენტაციები როგორც რაოდენობრივი გამოკითხვის, ისე Q-მეთოდოლოგიის გამოყენებით ვიკვლიოთ. სწორედ ამის დადასტურებაა დისერტაციის მე-7 თავში წარმოდგენილი სკალა. გარდა ამისა, კოსმოპოლიტიზმისა და ლოკალიზმის ბინალური ორიენტაციები საინტერესო სურათს გვაძლევს მიგრანტებისა და არამიგრანტების ღირებულებით ორიენტაციებზე და იმაზე, თუ როგორ შეიძლება კონკრეტულმა ორიენტაციამ ხელი შეუწყოს ან პირიქით, ხელი შეუშალოს მიგრანტის მიმღებ საზოგადოებასთან ინტეგრაციას. მედიის კონტენტ-ანალიზმა აჩვენა, რომ პოლიტიკურ დაპირისპირებაში ჩართული მხარეები აშკარად წარმოადგენენ კოსმოპოლიტიზმისა და ლოკალიზმის კონცეფციებისათვის დამახასიათებელ არგუმენტებს. რაოდენობრივმა კვლევამ კი აჩვენა, რომ ეს ორიენტაციები მცირედით, მაგრამ კონფლიქტის მაპროვოცირებელი შეიძლება გახდეს. სწორედ ამიტომ, ინდივიდუალურ, ორგანიზაციულ თუ სოციეტალურ დონეზე, კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების გაზომვის შემდეგ შეიძლება ამ ბინალური ოპოზიციების დაპირისპირების შემცირებისა და ბალანსის პოვნისთვის ზრუნვა, რადგან, როგორც კვლევამ აჩვენა, კოსმოპოლიტიზმი და ლოკალიზი წმინდა სახით ნაკლებად გვხდება და ისინი უფრო გარე და შიდა ორიენტაციის ფართო სპექტრს ქმნიან.

**ბიბლიოგრაფია**

ალია. (2011). რატომ დატოვეს სერიალი "შუა ქალაქში" დათომ, ირაკლი, დებმა ღლონტებმა და ვახომ?! *გაზეთი ალია, 10 ოქტომბერი, 78: 2.*

ალია. (2011). საფრანგეთი ტელეკომპანიის მფლობელს თავშესაფარს მისცემს?! *გაზეთი ალია, 12 ოქტომბერი, 79: 10.*

დევიძე, მ. (2015). კონფლიქტის ტრანსფორმაცია ორგანიზაციებში "ლოკალებს" და "კოსმოპოლიტებს" შორის. *სამეცნიერო შრომების კრებული "სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა". 2: 90-100. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.*

დევიძე-მამულაიშვილი, მ. (2013). კონფლიქტში მონაწილე აქტორთა მიმართებების კვლევა ქართულ მედიასივრცეში. *"სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა", სამეცნიერო შრომების კრებული, 56-63. თბილისი: თსუ გამომცემლობა.*

დურგლიშვილი, ნ. (2006). სოციოლოგიურ მონაცემთა ანალიზი. *თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.*

კანტი, ი. (2020). მარადიული მშვიდობისკენ ფილოსოფიური მონახაზი. *თბილისი: აქტი.*

კვირის ქრონიკა. (2013). რეაქცია "ქრონიკის" პუბლიკაციებზე. *კვირის ქრონიკა, 1. იანვარი, 7-13: 11.*

მეზვრიშვილი, ლ. (2003). ეკონომიკური სოციოლოგია. *თბილისი: ფონდი "ღია საზოგადოება – საქართველო".*

მუსხელიშვილი, მ. (2006). კონსტიტუციის დისკურსული ლეგიტიმაცია. *თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი .*

ტუღუში, ლ., კაჭკაჭიშვილი, ლ., გაგუა , მ., კალატოზიშვილი, ა., რეხვიაშვილი, ზ., & ფოცხიშვილი, ზ. (2020). *ანტილიბერალური განწყობა, თბილისი, აჭარა, სამეგრელო"- „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო", 2020, „ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი". თბილისი: ფონდი ღია საზოგადოება საქართველო.*

ფუკუიამა, ფ. (1999). ისტორიის დასასრულ და უკანასკნელი ადამინი. *თბილისი: მშვიდობის დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი.*

წულაძე, ლ. (2022). სოციალური კვლევის რაოდენობრივი მეთოდები. *თბილისი: თსუ გამომცემლობა.*

ჯორბენაძე, რ. (2001). პოლიტიკური კონფლიქტების მართვა. *თბილისი: მეცნიერება.*

ჰოფსტედე, გ., & ჰოფსტედე, გ. (2011). კულტურები და ორგანიზაციები. *გამომცემლობა თბ.2011. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.*

Appadurai, A. (1996). Modernity at large: Cultural dimensions of globalization. *Public Worlds. University of Minnesota Press. Retrieved from https://www.upress.umn.edu/9780816627936/modernity-at-large/*

Appiah, K. A. (2007). Cosmopolitanism: Ethics in a world of strangers. *W.W. Norton & Company.*

Arnould, E. J., & Price, L. L. (1993). River magic: Extraordinary experience and the extended service encounter. *Journal of Consumer Research, 20(1): 24–45.*

Beck, U. (2000). The Cosmopolitan Perspective: Sociology of the Second Age of Modernity. *British Journal of Sociology, 51(1): 79–105.*

Beck, U. (2006). Cosmopolitan Vision. *Polity Press. Retrieved from https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=XlU1lRX8LAcC&oi=fnd&pg=PR5&dq=Beck,+U.+(2006)&ots=NNY56kvCiU&sig=9vah7NK3jYUfG-zteJAIDkbxThw&redir_esc=y#v=onepage&q=Beck%2C%20U.%20(2006)&f=false*

Beck, U. (2006). The cosmopolitan vision. *Polity Press.*

Belk, R. W. (1998). "Been There, Done That, Bought the Souvenirs: Of Journeys and Boundary Crossing ". *New York: Routledge.*

Berry, J. W. (1997). Immigration, acculturation, and adaptation. *Applied Psychology: An International Review, 46(1): 5-34.*

Blau, P. M., Scott, W. R. (1962). Formal organizations: A comparative approach. *Chandler Publishing Company.*

Boulding, K. E. (1975). International systems: peace, conflict resolution, and politics. *Colorado Associated University Press.*

Bourdieu, P. (1986). The forms of capital. In J. Richardson (Ed.). Handbook of theory and research for the sociology of education. *New York: Greenwood Press.*

Bourdieu, P. (1987). What Makes a Social Class? On The Theoretical and Practical Existence Of Groups. *Journal of Sociology, 32: 1-17.*

Brettell, C. B. (2006). Political belonging and cultural belonging: Immigration status, citizenship, and identity among four immigrant populations in the Southwestern city. *The American Behavioral Scientist, 50(1):70–99.* https://doi.org/10.1177/0002764206289655

Brown, S. R. (1996, November). Q methodology and qualitative research. *Qualitative Health Research, 6*(4)*:561-567. doi:https://doi.org/10.1177/104973239600600408*

Bryman, A. (2012). Social research methods (4th ed.). *Oxford University Press.*

Burton, J. W. (1969). Conflict and Communication: The Use of Controlled Communication in International Relations. *New York: The Free Press, 246*

Cannon, H. M., Yoon, S.-J., McGowan, L., Yaprak A. (1994). In Search of the Global Consumer". *Boston*.

Cannon, H., & Yaprak, A. (2001). Cosmopolitan-Based Cross National Segmentation in Global Marketing Simulations. *Developments on Busines Simulation and Experiantal Learning, 28:* 23-31.

Castells, M. (1997). The rise of the network society. *Oxford, UK: Blackwell.*

Castles, S., & Miller, M. J. (2009). The age of migration: International population movements in the modern world (4th rev. ed.). *Palgrave Macmillan.*

Craik, J. (1997). "The Culture of Tourism," in Touring Cultures: Transformation of Travel and History, ed. Chris Rojek and John Urry. *London: Routledge.*

Deutsch, M. (1973). The Resolution of Conflict: Constructive and Destructive Processes. *New Haven: Yale University Press.*

Devidze, M. (2024). Conceptual Analysis of Cosmopolitan and Local Orientations. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, 18(1): 202-207.*

Diamantopoulos, A., Riefler, P. (2013). Consumer Cosmopolitanism: Using the C-COSMO Scale to Predict Product Ownership. *American Marketing Association Winter Educators' Conference 2013. Las Vegas.*

Dye, T. R. (1963). The Local-Cosmopolitan Dimension and the Study of Urban Politics. *Social Forces, 41(3):239–246.*

Filley, A., & R., H. (1969). Managerial Process And Organizational Behavior. *N.J.: Scott, Foresman and Company.*

Geertz, C. (1973). The interpretation of cultures: Selected essays. *New York: Basic Books, Inc., Publishers.*

Giddens, A. (1991). Modernity and Self-Identity: Self and Society in the Late Modern Age. *Stanford, CA: Stanford University Press.*

Glaser, B. G. (1963). The Local-Cosmopolitan Scientist. *American Journal of Sociology, 69(3): 249-259.*

Glasl. (2002). Konflict-managament: Ein Handbuch für Führungskräfte, Beraterinnen und Berater. *Bern: Verlag Paul Haupt.*

Glasl, F. (1997). The Enterprise Of The Future. How Companies Develop. *Gloucester (UK): Hawthorne Press .*

Glasl, F. Livegoed, B. (2004). Dynamische Unternehmens-entwicklung. *Bern: Haupt Verlag Bern.*

Glasl, F. Livegoed, B. (2016). Dynamische Unternehmens-entwicklung. *Bern: Haupt Verlag Bern. Bern: Haupt Verlag.*

Gouldner, A. W. (1957). Cosmopolitans and locals: Toward an analysis of latent social roles. *Administrative Science Quarterly, 2(3): 281-306. doi:https://doi.org/10.2307/2391000*

Hann, C. (2002). Postsocialism: Ideals, Ideologies, and Practices in Eurasia. *London: Routledge.*

Hannerz, U. (1990). Cosmopolitians and locals in World Culture. *Theory, Cultire and Society, 7(2-3): 237-251.*

Harr, J. P. (1999). The Relationship Between Cosmopolitan-local Orientation and Job Satisfaction Among Admissions Personnel at Christian Colleges in the United States and Canada. *East Tennessee State University.*

Hayden, M. (2012). Cosmopolitan education and moral education: forging moral beings under conditions of global uncertainty. *NY: Columbia University.*

Hollifield, J. F. (2004). The emerging migration state. *International Migration Review, 38(3): 885–912. doi:https://doi.org/10.1111/j.1747-7379.2004.tb00223.x*

Holmes, J. (2020). What is Conceptual Analysis in Research? *Retrieved from Https://cementanswers.com/what-is-conceptual-analysis-in-research/*

Holt, D. B. (1997). Poststructuralist Lifestyle Analysis: Conceptualizing the Social Patterning of Consumption. *Journal of Consumer Research, 326-350.*

Holt, D. B. (1998). "Does Cultural Capital Structure American Consumption?". *Journal of Consumer Research, 1-26.*

Jeffres, L. W., Atkin, D. J., Bracken, C. C., & Neuendorf, K. A. (2004). Cosmopoliteness in the Internet Age. *Journal of Computer-Mediated Cpmmunication, 10(1).*

Jennings, K. M. (1967). Pre-Adult Orientations to Multiple Systems of Government. *Midwest Journal of Political Science, 1(3): 291-317.*

Kaneff, D. (2006). Who owns the past? The politics of time in a 'model' Bulgarian village. *Berghahn Books.*

Kilman, R., & Thomas, K. (1974). Thomas-Kilman conflict mode instrument. *NY: XICOM, Tuxedo, NY.*

Kornhauser, A. (1962). Dr. Stagner's comments on the labor-management symposium: Some needed corrections. *Personel Psychology, (2): 89-91.*

Ledyaev, V. (1997). Power: a conceptual analysis. Commack. *NY: Nova Science publishers.*

Lincoln, E. W. (1995). The Course in Collaborative Negotiations. *Washington: Tacoma, Washington, USA.*

Lindell, J. (2014). Cosmopolitanism in a mediatized world - The Social Stratification of Global Orientations. *Karlstad, Sweden: Universitetstryckeriet, Karlstad.*

Logan, J. (1978). Growth, politics, and the stratification of places. *American Journal of Sociology, 84(2): 404-416.*

MacCannell, D. (1999). The Tourist: A New Theory of the Leisure Class. *University of California Press.*

Mataradze, T. (2019 (2015)). Rural locals, distant states: Citizenship in contemporary rural Georgia. *Halle-Wittenberg: Martin-Luther-Universität Halle-Wittenberg. doi:http://dx.doi.org/10.25673/13996*

Mataradze, T., Turkiashvili, S., & Elikashvili, E. (2024). From migration to reintegration: Examining the post-return experiences of Georgian women. *Georgian Scientists, 6(3): 133–161*. https://doi.org/10.52340/gs.2024.06.03.14

Mayo, E. (1933). The human problems of an industrial civilization. *New York: Macmillan.*

McKeown, B. (1988). Q Methodology. *SAGE Publications.London*.

Merton, R. (1957). Social Theory and Social Structure. *New York: The Free press.*

Morris, M. (1988, January). "At Henry Parkes Motel". *Stanford Encyclopedia of Philosophy, 2:* 1-47. *Retrieved from http://plato.stanford.edu/entries/cosmopolitanism/*

Murray, M. (2007). Cosmopolitans versus the locals: community-based protest in the age of globalization. *Irish Journal of Sociology, 16 (2): 117-135.*

Nussbaum, M. (2010). Patriotism and Cosmopolitanism, in Broun G.W., Held D. The cosmopolitanism reader. *Cambridge, UK: Polity Press.*

O'Byrne, D. (1997). Working class culture: local community and global conditions, in J. Eade (ed.) Living the global city: Globalization as a local process. *London and New York: Routledge (Taylor & Francis Group, 73-89*

OECD-iLibrary. (2020). Number of Georgian emigrants and their socio-demographic characteristics. *A Review of Georgian Emigrants (oecd-ilibrary.org)*

Riefler, P., Grinstein, A. . (2013). Local or Global Warming? Cosmopolitan Orientation and Environmental behavior. *42nd European Marketing Academy Conference (EMAC 2013). Istanbul: International and Cross-Cultural Marketing, 1-6.*

Robertson, R. (1992). Globalization: Social theory and global culture. *SAGE Publications.*

Robinson, J. P., & Zill, N. (1997). Matters of culture. *American Demographics, 19: 48-52.*

Roudometof, V. (2005). Transnationalism, cosmopolitanism and glocalization. *Current Sociology, 53(1): 113-135.*

Shields, R. (1992). Places on the Margin: Alternative Geographies of Modernity. *London: Routledge.*

Shils, E. (1957). Primordial, personal, sacred and civil ties. *British Journal of Sociology, 8(2): 130-145.*

Smith, A. D. (1991). National identity. *University of Nevada Press.*

Soysal, Y. N. (1998). Toward a postnational model of citizenship. *Minnesota : University of Minnesota Press.*

Stephenson, W. (1936). Introduction to inverted factor analysis, with some applications to studies in orexis. *Journal of Educational Psychology, 27(5): 353-367.*

Stephenson, W. (1953). The study of behavior; Q-technique and its methodology. *Chicago: University of Chicago Press.*

Thompson, C. J., & Tambyah, S. K. (1999). Trying to Be Cosmopolitan. . *Journal of Consumer Research, 26 (3): 214–241.*

Türken , S., & Rudmin, F. W. (2013). On Psychological Effects of Globalization: Development of a Scale of Global Identity. *Psychology & Societ, 5(2): 63-89.*

Urry, J. (1990). The Tourist Gaze: Leisure and Travel in Contemporary Societies. *London: Sage.*

Verdery, K. (1996). What was socialism, and what comes next? *Princeton University Press.*

Vertovec, S. (2004). Migrants transnationalism and modes of transformation. *The International Migration Review, 38(3): 970–1001.* https://doi.org/10.1111/j.1747-7379.2004.tb00226.x

Weber, M. (1947 (1922)). The theory of social and economic organization. *(T. Parsons, Trans.) New York: Free Press.*

Yalçın-Heckmann, L. (2010). The return of private property: rural life after agrarian reform in the Republic of Azerbaijan. *Berlin: Lit Verlag.*

# დანართები

## დანართი №1: კითხვარი

*მოგესალმებით,*

*მე ვარ მარეხ დევიძე, თსუ-ს კონფლიქტების ანალიზის და მართვის პროგრამის დოქტორანტი. სადოქტორო პროგრამის ფარგლებში ტარდება გამოკითხვა. კითხვარში მოცემული დებულებები განკუთვნილია იმის გამოსავლენად, ადამიანები რომელ ჯგუფს მიაკუთვნებენ საკუთარ თავს - ადგილობრივებს („ლოკალებს") თუ მსოფლიო მოქალაქეებს („კოსმოპოლიტებს").*

*გთხოვთ, მონაწილეობა მიიღოთ გამოკითხვაში - თქვენი აზრი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.*

*თქვენი მონაწილეობა კვლევაში ნებაყოფლობითია - შეგიძლიათ უარი თქვათ მონაწილეობაზე, ნებისმიერ დროს შეწყვიტოთ ინტერვიუ ან გამოტოვოთ ნებისმიერი, თქვენთვის არასასურველი კითხვა.*

*კვლევა კონფიდენციალურია - მონაცემების გამოყენება მოხდება მხოლოდ განზოგადებული სახით და თქვენი სახელი არ გამჟღავნდება.*

*დამატებითი კითხვების შემთხვევაში შეგიძლიათ მომმართოთ:* marekh.devidze@tsu.ge

*დიდი მადლობა კვლევაში ჩართულობისთვის!*

*ინტერვიუერს: დახრილი, მცირე ზომის შრიფტით აკრეფილი ტექსტი განკუთვნილია მხოლოდ თქვენთვის, გთხოვთ, რესპონდენტს არ წაუკითხოთ.*

**Q2. სქესი**
1. მამრობითი
2. მდედრობითი

**Q3. ასაკი** *(ჩაიწერეთ)* ____________________

**Q4.1 ეთნიკური თვითიდენტობა**

*(ჩაიწერეთ)*

1. ___________________
2. ___________________
3. ___________________
4. ___________________
5. ___________________

**Q4.2 რელიგიური აღმსარებლობა:**

1. მართლმადიდებელი ქრისტიანი
2. მუსლიმი
3. სომხური სამოციქულო ეკლესია
4. კათოლიკე
5. პროტესტანტი
6. სხვა *(ჩაიწერეთ)* ___________________

**Q4.3 რამდენად ხშირად ესწრებით რელიგიურ მსახურებას?**

1. ყოველკვირეულად
2. თვეში რამდენჯერმე *(მაგრამ არა ყოველ კვირას)*
3. მხოლოდ მთავარ დღესასწაულებზე
4. იშვიათად

5. არ ვესწრები რელიგიურ მსახურებას
6. არ ვესწრები რელიგიურ მსახურებას, რადგან ფიზიკურად ხელმისაწვდომი არ არის ჩემთვის

სხვა _________________
*(ჩაიწერეთ)*

**Q5. თქვენი ოჯახური მდგომარეობა ამჟამად:**

1. არასდროს ყოფილა ქორწინებაში/თანაცხოვრებაში (დასაოჯახებელი)
2. დაქორწინებული/დაოჯახებული ქართველზე
3. განქორწინებული
4. გაშორებული
5. ქვრივი
6. დაქორწინებული/დაოჯახებული უცხოელზე
7. თანამცხოვრები

**Q6. სად ცხოვრობთ ამჟამად ?**

**Q6.1 ქვეყანა**

1. საქართველო
2. გერმანია
3. სხვა *(ჩაიწერეთ)*

**Q6.2 დასახლების ტიპი**

1. მეგაპოლისი
2. საშუალო ან პატარა ზომის ქალაქი
3. დაბა/ სოფელი

*(ინტერვიუერს: კითხვები: Q7.1 და Q7.2 ეძლევა მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც აქვთ შიდა მიგრაციაში ყოფნის გამოცდილება)*

**Q7.1 მიგრაციამდელი დასახლების ტიპი საქართველოში**

1. მეგაპოლისი
2. საშუალო და პატარა ზომის ქალაქი
3. რაიონული ცენტრი
4. დაბა/სოფელი
5. არ განმიცდია მიგრაცია

**Q7.2 საცხოვრებელი რეგიონი საქართველოში მიგრაციამდე**

1. კახეთი
2. მცხეთა-მთიანეთი
3. ქვემო ქართლი
4. შიდა ქართლი
5. სამცხე-ჯავახეთი
6. იმერეთი
7. რაჭა-ლეჩხუმი
8. გურია
9. სამეგრელო
10. სვანეთი
11. აჭარა
12. აფხაზეთი
13. ცხინვალის რეგიონი

Q8.1 სხვა ქვეყანაში გიცხოვრიათ/ცხოვრობთ ერთ წელზე მეტი ხანით?

1. დიახ, მიცხოვრია
2. არა, არ მიცხოვრია *(ინტერვიუერს: გადადით Q10 კითხვაზე)*

Q8.2 რომელ ქვეყანაში ცხოვრობდით/ცხოვრობთ? *(ჩაიწერეთ)* ____________________

Q8.3 რომელ ქალაქში/რაიონში ცხოვრობდით/ცხოვრობთ? *(ჩაიწერეთ)* ________________

Q9.1 განათლების მიღწეული უმაღლესი ხარისხის დონე

1. საშუალო (სრული ზოგადი განათლება ან ნაკლები)
2. უმაღლესი სასწავლების სტუდენტი
2. უმაღლესი განათლება (სამეცნიერო ხარისხის გარეშე)
3. სამეცნიერო ხარისხი
4. სხვა *(ჩაიწერეთ)*

Q9.2 სად მიიღეთ/იღებთ განათლება(ს), თქვენ მიერ მიღწეული განათლების უმაღლესი ხარისხი?

1. საქართველოში
2. საზღვარგარეთ

Q10. თქვენ იზრდებოდით...

1. მშობლებსა და დედმამიშვილ(ებ)თან ერთად
2. ერთ-ერთ მშობელთან და დედმამიშვილ(ებ)თან ერთად
3. ერთ-ერთ მშობელთან
4. დიდ ოჯახში (ბებია/ბაბუა ან სხვა ნათესავი) მშობლებთან ერთად
5. დიდ ოჯახში (ბებია/ბაბუა ან სხვა ნათესავი) მშობლების გარეშე
   სხვა *(ჩაიწერეთ)* ____________________________

Q11. თქვენი მშობლების ეთნიკური თვითიდენტობა?

| | | ქართველი | არაქართველი *(ჩაიწერეთ)* |
|---|---|---|---|
| Q11.1 | დედა | 1 | |
| Q11.2 | მამა | 1 | |

Q12. გყავთ/გყავდათ თუ არა რომელიმე წინაპარი (მაგ., ბებია, ბაბუა და ა.შ.) სხვა ეთნიკური თვითიდენტობის მქონე?

1. დიახ, მყავს/მყავდა
2. არა, არ მყავს/არ მყოლია
3. არ ვიცი/უარი პასუხზე *(არ წაუკითხოთ)*

Q13. თქვენი აზრით, თქვენი ოჯახი რამდენად ტრადიციულია?

1. უფრო ტრადიციული, ვიდრე არატრადიციული
2. ძალზე ტრადიციული
3. ძალზე არატრადიციული
4. უფრო არატრადიციული, ვიდრე ტრადიციული
5. არც ტრადიციული, არც არატრადიციული

Q14. თქვენი აზრით, როგორია ახლა თქვენი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა?

1. ძალზე დაბალი
2. დაბალი

3. საშუალო
4. მაღალი
5. ძალიან მაღალი

**Q15. იქორწინებდით თუ არა სხვა ერის ან რასის წარმომადგენელზე?**

1. დიახ, ვიქორწინებდი
2. არა, არ ვიქორწინებდი

99. მიჭირს პასუხის გაცემა *(არ წაუკითხოთ)*

| Q16 | **გთხოვთ, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან თითოეულ შემთხვევაში, გვითხრათ ძირითადად როგორ საუბრობთ ?**<br><br>***(ინტერვიუერს: დასაშვებია მხოლოდ ერთი პასუხი)*** | **გამართულად** | **ჟარგონით** | **დიალექტზე** | **ხმარობთ უცხო სიტყვებს** | სხვა *(ჩაიწერეთ)* |
|---|---|---|---|---|---|---|
| Q16.1 | სამსახურში/თანამშრომლებთან | 1 | 2 | 3 | 4 | |
| Q16.2 | სახლში | 1 | 2 | 3 | 4 | |
| Q16.3 | მეგობართა წრეში | 1 | 2 | 3 | 4 | |
| Q16.4 | კლუბში, რაიმე ერთობაში ან თემში | 1 | 2 | 3 | 4 | |
| Q16.5 | სხვა ყოველდღიურ შემთხვევებში | 1 | 2 | 3 | 4 | |

| № | | Q16.1 **სამსახურში/ თანამშრომლებთან** | Q16.2 **სახლში** | Q16.3 **მეგობართა წრეში** | Q16.4 **კლუბში/ ან რაიმე ერთობაში / ან თემში** | Q16.5 **სხვა ყოველდღიურ შემთხვევებში** |
|---|---|---|---|---|---|---|
| | გამართულად | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| | ჟარგონით | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| | დიალექტზე | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| | ხმარობთ უცხო სიტყვებს | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| | სხვა (ჩაიწერეთ) | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| | სხვა (ჩაიწერეთ) | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| | სხვა (ჩაიწერეთ) | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |

**Q17. ძირითადად, თქვენ იცვამთ ...**

1. ტრადიციის გათვალისწინებით
2. თანამედროვედ
3. დახვეწილად/გემოვნებით
4. მოდურად
5. ყურადღებას არ აქცევთ ჩაცმულობას

სხვა (ჩაიწერეთ) ________________________________

**Q18. სად უფრო გხიბლავთ ცხოვრება?**

1. მხოლოდ დედაქალაქში
2. ნებისმიერ (ზოგადად) ქალაქში
3. რაიონულ ცენტრში (რეგიონში)
4. დაბაში

5. სოფელში (ბარში)
6. სოფელში (მთაში)

სხვა *(ჩაიწერეთ)* ______________________________________

**Q19. ძირითადად, თქვენ იკვებებით ...**

1. სახლში, ტრადიციული კერძებით
2. სახლში, უცხოური კერძებით
3. სახლში, შერეული (ტრადიციული და უცხოური) კერძებით
4. სწრაფი კვების ობიექტებში
5. ვიკვებები ჯანსაღი პროდუქტით

სხვა *(ჩაიწერეთ)* ______________________________________

**Q20. აქცევთ თუ არა ყურადღებას ჯანმრთელობას?**

1. დიახ, ვაქცევ
2. არა, არ ვაქცევ

99. მიჭირს პასუხის გაცემა ***(არ წაუკითხოთ)***

**Q21. როგორ ერთობით?** *(ყველა პუნქტში აღნიშნეთ შესაბამისი პასუხი)*

| № | | Q21.1 **სამსახურში/ თანამშრომლებთან** | Q21.2 **სახლში /ოჯახთან ერთად** | Q21.3 **მეგობართა წრეში** | Q21.4 **კლუბში/ ან რაიმე ერთობაში / ან თემში** | Q21.5 **უცხოების გარემოცვაში** |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ტრადიციულად (სუფრასთან) | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| | არატრადიციულად | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| | მარტო | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| | სხვა *(ჩაიწერეთ)* | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |

**Q22. ადვილად ამყარებთ თუ არა კონტაქტს (ურთიერთობას/კომუნიკაციას) უცხოელებთან?**

1. დიახ, ადვილად
2. არა

99. მიჭირს პასუხის გაცემა ***(არ წაუკითხოთ)***

**Q23. უცხოებთან თავშეკავებული ხართ?**

1. დიახ, თავშეკავებული ვარ
2. არა, არ ვარ თავშეკავებული

**Q24. ძირითადად, ინფორმაციას რომელი წყაროებით იღებთ ?** ***(დასაშვებია რამდენიმე პასუხი)***

1. ტელევიზიით
2. რადიო მაუწყებლით
3. ინტერნეტით
4. ოჯახის წევრების მეშვეობით
5. მეგობრების მეშვეობით

6. ჟურნალ-გაზეთების მეშვეობით
სხვა *(ჩაიწერეთ)* ___________________________________

**Q25. ძირითადად, თქვენი შეხედულებები ...**
1. ძალზედ ტრადიციულია
2. უფრო ტრადიციულია, ვიდრე არატრადიციული
3. უფრო არატრადიციულია ვიდრე ტრადიციული
4. ძალზედ არატრადიციულია
5. თანამედროვეა
99. მიჭირს პასუხის გაცემა ***(არ წაუკითხოთ)***

**Q26. ხართ თუ არა დასაქმებული?**
1. დიახ, დასაქმებული ვარ
2. არა, არ ვარ დასაქმებული

*„არა"-ს შემთხვევაში Q27 შეკითხვა გამოტოვეთ*

**Q27. სად ხართ დასაქმებული?**
1. სახელმწიფო/საჯარო ორგანიზაციაში/სამსახურში ჩემი სპეციალობით
2. სახელმწიფო/საჯარო ორგანიზაციაში/სამსახურში არა ჩემი სპეციალობით
3. სასწავლო/სამეცნიერო დაწესებულებაში ჩემი სპეციალობით
4. სასწავლო/სამეცნიერო დაწესებულებაში არა ჩემი სპეციალობით
5. კერძო ორგანიზაციაში ჩემი სპეციალობით
6. კერძო ორგანიზაციაში არა ჩემი სპეციალობით
7. უცხოურ კომპანიაში ჩემი სპეციალობით
8. უცხოურ კომპანიაში არა ჩემი სპეციალობით
9. არასამთავრობო ორგანიზაციაში

სხვა (ჩაწერეთ) ___________________________________

**Q28. თქვენი ყოველთვიური ხელფასი/სტიპენდია/პენსია/სოციალურის შემწეობა შეადგენს:**

| | Q28.1. *ლარი (საქართველოს შემთხვევაში)* | Q28.2. *ევრო (გერმანიის შემთხვევაში)* |
|---|---|---|
| 50-120 | 1 | 1 |
| 121-250 | 2 | 2 |
| 251-400 | 3 | 3 |
| 401-600 | 4 | 4 |
| 601-800 | 5 | 5 |
| 801-1000 | 6 | 6 |
| 1001- 1200 | 7 | 7 |
| 1201-1500 | 8 | 8 |
| 1501-2000 | 9 | 9 |
| 2000-ზე მეტი | 10 | 10 |

**Q29. 1 რამდენად ხშირად გიხდებათ მოგზაურობა ქვეყნის შიგნით** *(ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილიდან)* ?
1. თვეში რამდენჯერმე
2. თვეში ერთხელ
3. სამ თვეში ერთხელ

4. ექვს თვეში ერთხელ
5. წელიწადში ერთხელ
6. უფრო იშვიათად
7. არ მიწევს მოგზაურობა ქვეყნის შიგნით

Q29. 2 ხშირად გიწევთ მოგზაურობა ქვეყნის გარეთ *(ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილიდან)* ?

1. თვეში რამდენჯერმე
2. თვეში ერთხელ
3. სამ თვეში ერთხელ
4. ექვს თვეში ერთხელ
5. წელიწადში ერთხელ
6. უფრო იშვიათად
7. არ მიწევს მოგზაურობა ქვეყნის გარეთ

Q30. რამდენ უცხოურ ენაზე საუბრობთ, თუ შეგიძლიათ კომუნიკაცია? ----------------- (ინტერვიუერს: *გთხოვთ ჩაიწეროთ*)

1. - 0
2. - 1
3. - 2
4. - 3
5. - 4
6. - 4-ზე მეტი

Q31. ადვილია თუ არა თქვენთვის სხვა კულტურის ღირებულებების და ნორმების გათავისება?

1. დიახ, ადვილია
2. არა, არ არის ადვილი

Q32. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელს ეთანხმებით?

1. ჩემთვის ყველა ქართული ტრადიცია მნიშვნელოვანია
2. ჩემთვის ქართული ტრადიციების უმეტესი ნაწილი მნიშვნელოვანია
3. ჩემთვის ქართული ტრადიციების მხოლოდ მცირე ნაწილია მნიშვნელოვანი
4. ჩემთვის არცერთი ქართული ტრადიცია არ არის მნიშვნელოვანი

99. მიჭირს პასუხის გაცემა ***(არ წაუკითხოთ)***

Q33. რამდენად ლოიალური ხართ სხვა კულტურის ღირებულებებისა და ნორმების მიმართ?

1. სრულიად არ ვარ ლოიალური
2. უფრო არ ვარ ლოიალური, ვიდრე ვარ
3. არც ლოიალური ვარ და არც არალოიალური
4. უფრო ლოიალური ვარ, ვიდრე არალოიალური
5. ძალზე ლოიალური ვარ

99. მიჭირს პასუხის გაცემა ***(არ წაუკითხოთ)***

Q34. რამდენად კმაყოფილი ხართ საკუთარი ერის კულტურით?

1. ძალზე უკმაყოფილო
2. უფრო უკმაყოფილო, ვიდრე კმაყოფილი
3. არც კმაყოფილი, არც უკმაყოფილო
4. უფრო კმაყოფილი ვარ, ვიდრე უკმაყოფილო

5. ძალზე კმაყოფილი ვარ
99. მიჭირს პასუხის გაცემა *(არ წაუკითხოთ)*

**Q35. იცხოვრებდით თუ არა მუდმივად უცხო ქვეყანაში, მუდმივი სამუშაო ადგილი რომ შემოგთავაზონ?**

1. დიახ, ვიცხოვრებდი
2. არა, არ ვიცხოვრებდი
99. მიჭირს პასუხის გაცემა *(არ წაუკითხოთ)*

**Q36. იცით თუ არა რას ნიშნავს ტერმინი „ლოკალი“ ?**

1. დიახ, ვიცი
2. არა, არ ვიცი
99. მიჭირს პასუხის გაცემა *(არ წაუკითხოთ)*

**Q37. იცით თუ არა, რას ნიშნავს „კოსმოპოლიტი“ ?**

1. დიახ, ვიცი
2. არა, არ ვიცი
99. მიჭირს პასუხის გაცემა *(არ წაუკითხოთ)*

**Q38. მიგაჩნიათ თუ არა თქვენი თავი „ლოკალად“?**

1. დიახ, მიმაჩნია
2. არა, არ მიმაჩნია
99. მიჭირს პასუხის გაცემა *(არ წაუკითხოთ)*

**Q39. მიგაჩნიათ თუ არა თქვენი თავი „კოსმოპოლიტად“?**

1. დიახ, მიმაჩნია
2. არა, არ მიმაჩნია
99. მიჭირს პასუხის გაცემა *(არ წაუკითხოთ)*

**Q40. იცნობთ თუ არა თქვენს მსგავს ადამიანს/ადამიანებს** (ლოკალს/კოსმოპოლიტს)**?**

1. დიახ, ვიცნობ
2. არა, არ ვიცნობ
99. მიჭირს პასუხის გაცემა *(არ წაუკითხოთ)*

**Q41. რამდენად იცავთ იმ წესებსა და სტანდარტებს, რომელთა შესრულება აუცილებელია თქვენს ორგანიზაციაში?**

1. სრულად ვიცავ
2. ნაწილობრივ ვიცავ
3. არ ვიცავ

**Q42. თქვენი აზრით, სამსახურში სხვებთან შედარებით მეტი უპირატესობით სარგებლობთ?** *(გთხოვთ, თქვენი დამოკიდებულება შეაფასოთ 5 - ქულიანი სკალით, რომელზეც 1 აღნიშნავს ყველაზე დაბალ შეფასებას/"სრულიად არალოიალური", ხოლო 5 - ყველაზე მაღალს/"სავსებით/ძალიან ლოიალური")*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |

**Q43. რომელ ღირებულებებს ანიჭებთ უპირატესობას?** *(ყველა პუნქტში აღნიშნეთ შესაბამისი პასუხი)*

| № | | ოჯახში | სამსახურში | ცხოვრებაში |
|---|---|---|---|---|
| Q43.1 | სამართლიანობა | 1 | 2 | 3 |
| Q43.2 | ღვთისმოსაობა | 1 | 2 | 3 |
| Q43.3 | დახვეწილობა, ესთეტიკურობა | 1 | 2 | 3 |
| Q43.4 | კარიერული წინსვლა | 1 | 2 | 3 |
| Q43.5 | განათლებულობა | 1 | 2 | 3 |
| Q43.6 | ინოვაციურობა, კრეატიულობა | 1 | 2 | 3 |
| Q43.7 | ფინანსური წინსვლა | 1 | 2 | 3 |
| Q43.8 | პირადი ბედნიერება | 1 | 2 | 3 |
| Q43.9 | გენდერული თანასწორობა | 1 | 2 | 3 |
| Q43.10 | ოჯახური ბედნიერება | 1 | 2 | 3 |
| Q43.11 | სხვა ღირებულებები (მაგ., ესთეტიკური და ა.შ.) | 1 | 2 | 3 |

**Q44. სხვა „ტიპთან“ (ლოკალი, კოსმოპოლიტი) თუ გაქვთ კონფლიქტები?**

1. დიახ, მაქვს
2. არა, არ მაქვს

*თუ **დიახ,** რა სახის*

1. ________________________________________
2. ________________________________________
3. ________________________________________

**Q45. თქვენი აზრით, რამდენად ხართ პასუხისმგებლობის მქონე პიროვნება?** *(გთხოვთ, თქვენი დამოკიდებულება შეაფასოთ 5 - ქულიანი სკალით, რომელზეც 1 აღნიშნავს ყველაზე დაბალ შეფასებას/"სრულიად არალოიალური", ხოლო 5 - ყველაზე მაღალს/"სავსებით/ძალიან ლოიალური")*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |

**Q46. როგორ ასრულებთ ნაკისრ ვალდებულებებს?** *(გთხოვთ, თქვენი დამოკიდებულება შეაფასოთ 5 - ქულიანი სკალით, რომელზეც 1 აღნიშნავს ყველაზე დაბალ შეფასებას/"სრულიად არალოიალური", ხოლო 5 - ყველაზე მაღალს/"სავსებით/ძალიან ლოიალური")*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |

**Q47. რამდენად ითვალისწინებთ რეფერენტული (ეტალონური) ჯგუფის/თქვენთვის მნიშვნელოვანი ჯგუფის აზრებს და მოთხოვნებს და რამდენად ექვემდებარებით მათ?** *(გთხოვთ, თქვენი დამოკიდებულება შეაფასოთ 5 - ქულიანი სკალით, რომელზეც 1 აღნიშნავს ყველაზე დაბალ შეფასებას/"სრულიად არალოიალური", ხოლო 5 - ყველაზე მაღალს/"სავსებით/ძალიან ლოიალური")*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |

**Q48. როგორ ასრულებთ თქვენს სამუშაოს?** *(გთხოვთ, თქვენი დამოკიდებულება შეაფასოთ 5 - ქულიანი სკალით, რომელზეც 1 აღნიშნავს ყველაზე დაბალ შეფასებას/"სრულიად არალოიალური", ხოლო 5 - ყველაზე მაღალს/"სავსებით/ძალიან ლოიალური")*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |

**Q49. რამდენად იცავთ ყველა სტანდარტსა და ნორმებს, რომლებიც თქვენი სამუშაოს შესრულებისას მოგეთხოვებათ?**

1. სრულად ვიცავ
2. ნაწილობრივ ვიცავ
3. არ ვიცავ

**Q50. რამდენად მოწესრიგებული პიროვნება ხართ?** *(გთხოვთ, თქვენი დამოკიდებულება შეაფასოთ 5 - ქულიანი სკალით, რომელზეც 1 აღნიშნავს ყველაზე დაბალ შეფასებას/"სრულიად არალოიალური", ხოლო 5 - ყველაზე მაღალს/"სავსებით/ძალიან ლოიალური")*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |

**Q51. რამდენად იჩენთ მზრუნველობას თქვენი თანამშრომლების მიმართ?**

1. სრულად
2. ნაწილობრივ
3. არ ვიჩენ
4. მიჭირს პასუხის გაცემა ***(არ წაუკითხოთ)***

**Q52. რამდენად გახსნილი ხართ თანამშრომლებთან ურთიერთობებში?**

1. სრულად გახსნილი ვარ
2. ნაწილობრივ
3. არ ვარ გახსნილი

99. მიჭირს პასუხის გაცემა ***(არ წაუკითხოთ)***

**Q53. როგორ აღწერდით, დაახასიათებდით, თქვენი ტიპის ადამიანს?**

**Q53.1.** ______________________________
**Q53.2.** ______________________________
**Q53.3.** ______________________________
**Q53.4.** ______________________________
**Q53.5.** ______________________________
**Q53.6.** ______________________________
99. მიჭირს პასუხის გაცემა ***(არ წაუკითხოთ)***

## დიდი მადლობა !

## დანართი №2 ემპირიული კვლევის შედეგების ამსახველი დიაგრამები

*დიაგრამა 3: რესპონდენტთა სქესი ადგილმდებარეობის ჭრილში*




*დიაგრამა 4: რესპონდენტთა საშუალო ასაკი ადგილმდებაროების ჭრილში*



*დიაგრამა 5: რესპონდენტების ეთნიკური კუთვნილება*




*დიაგრამა 6: რესპონდენტთა რელიგიური აღმსარებლობა ადგილმდებარეობის ჭრილში*



*დიაგრამა 7: რელიგიურ მსახურებაში ჩართულობის სიხშირე ადგილმდებარეობის ჭრილში*




*დიაგრამა 8: რესპონდენტთა ოჯახური მდგომარეობა ადგილმდებარეობის ჭრილში*



*დიაგრამა 9: ოჯახში საცხოვრებელი გარემო ადგილმდებარეობის ჭრილში*




*დიაგრამა 10: ოჯახის ტრადიციულობის შეფასება 5 ბალიან სკალაზე ადგილმდებარეობის ჭრილში*



*დიაგრამა 11: რესპონდენტთა საცხოვრებელი ადგილი ადგილმდებარეობის ჭრილში*




*დიაგრამა 12:მიგრაციის ადგილას ცხოვრების გამოცდილება (ერთ წელზე მეტი დროით) ადგილმდებარეობის ჭრილში*



*დიაგრამა 13: განათლების მიღწეული დონე ადგილმდებარეობის ჭრილში*




*დიაგრამა 14: განათლების მიღების ქვეყანა ადგილმდებარეობის ჭრილში*



*დიაგრამა 15: ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა ადგილმდებარეობის ჭრილში*



*ცხრილი 2: კომუნიკაციის პატერნები სხვადასხვა კონტექსტში*

| სამსახურში/თანამშრომლებთან ვსაუბრობ | | | |
|---|---|---|---|
| | საქართველო | გერმანია | სულ |
| გამართულად | 81.6% | 94.9% | 89.7% |
| ჟარგონით | 2.6% | 5.9% | 4.6% |
| დიალექტზე | 1.3% | 4.2% | 3.1% |
| ხმარობთ უცხო სიტყვებს | 14.5% | 25.4% | 21.1% |
| არა აქვს ურთიერთობები | 0.0% | 0.0% | 0.0% |
| სახლში ვსაუბრობ | | | |
| | საქართველო | გერმანია | სულ |
| გამართულად | 84.2% | 63.6% | 71.6% |
| ჟარგონით | 2.6% | 16.9% | 11.3% |
| დიალექტზე | 5.3% | 34.7% | 23.2% |
| ხმარობთ უცხო სიტყვებს | 7.9% | 47.5% | 32.0% |
| არა აქვს ურთიერთობები | 0.0% | 1.7% | 1.0% |
| მეგობართა წრეში ვსაუბრობ | | | |
| | საქართველო | გერმანია | სულ |
| გამართულად | 72.4% | 68.1% | 69.8% |
| ჟარგონით | 9.2% | 31.0% | 22.4% |
| დიალექტზე | 1.3% | 25.9% | 16.1% |
| ხმარობთ უცხო სიტყვებს | 17.1% | 48.3% | 35.9% |
| არა აქვს ურთიერთობები | 0.0% | 1.7% | 1.0% |
| ერთობაში/ ან თემში ვსაუბრობ | | | |
| | საქართველო | გერმანია | სულ |
| გამართულად | 69.7% | 73.6% | 72.0% |
| ჟარგონით | 6.6% | 19.1% | 14.0% |
| დიალექტზე | 0.0% | 7.3% | 4.3% |
| ხმარობთ უცხო სიტყვებს | 19.7% | 30.0% | 25.8% |
| არა აქვს ურთიერთობები | 3.9% | 2.7% | 3.2% |

*დიაგრამა 16: ჩაცმის სტილი ადგილმდებარეობის ჭრილში*




*დიაგრამა 17: დასახლების ტიპის პრეფერენცია ადგილმდებარეობის ჭრილში*



*დიაგრამა 18: კვების სტილი ადგილმდებარეობის ჭრილში*



*ცხრილი 3: რესპონდენტების მიერ თავისუფალი დროის გატარების ფორმები ადგილმდებარეობის ჭრილში*

**როგორ ერთობით სამსახურში/თანამშრომლებთან?**

| | საქართველო | გერმანია | სულ |
|---|---|---|---|
| ტრადიციულად სუფრასთან | 47.4% | 48.5% | 48.0% |
| არატრადიციულად | 42.1% | 61.9% | 53.2% |
| მარტო | 15.8% | 5.2% | 9.8% |

**როგორ ერთობით სახლში/ოჯახთან ერთად?**

| | საქართველო | გერმანია | სულ |
|---|---|---|---|
| ტრადიციულად სუფრასთან | 48.7% | 54.1% | 51.9% |
| არატრადიციულად | 51.3% | 67.6% | 61.0% |
| მარტო | 5.3% | 5.4% | 5.3% |

**როგორ ერთობით მეგობართა წრეში?**

| | საქართველო | გერმანია | სულ |
|---|---|---|---|
| ტრადიციულად სუფრასთან | 53.7% | 93.7% | 76.6% |
| არატრადიციულად | 41.1% | 3.9% | 19.8% |
| მარტო | 5.3% | 2.4% | 3.6% |

**როგორ ერთობით ერთობაში/ ან თემში**

| | საქართველო | გერმანია | სულ |
|---|---|---|---|
| ტრადიციულად სუფრასთან | 84.6% | 80.2% | 80.8% |
| არატრადიციულად | 0.0% | 4.7% | 4.0% |
| მარტო | 15.4% | 11.6% | 12.1% |

**როგორ ერთობით უცხოებთან**

| | საქართველო | გერმანია | სულ |
|---|---|---|---|
| ტრადიციულად სუფრასთან | 59.2% | 25.6% | 41.0% |
| არატრადიციულად | 40.8% | 52.2% | 47.0% |
| მარტო | 7.9% | 34.4% | 22.3% |

*დიაგრამა 19: უცხოელებთან კომუნიკაციის სიმარტივე ადგილმდებარეობის ჭრილში*




*დიაგრამა 20: თავშეკავებულობა უცხოებთან ურთიერთობისას ადგილმდებარეობის ჭრილში*



*დიაგრამა 21: ქვეყნის შიგნით მოგზაურობის სიხშირე ადგილმდებარეობის ჭრილში*




*დიაგრამა 22: ქვეყნის გარეთ მოგზაურობის სიხშირე ადგილმდებარეობის ჭრილში*



*დიაგრამა 23: სხვა კულტურის ღირებულებების და ნორმების გათავისება ადგილმდებარეობის ჭრილში*




*დიაგრამა 24: ქართული ტრადიციების მნიშვნელობა ადგილმდებარეობის ჭრილში*



*დიაგრამა 25: სხვა კულტურის მიმართ ლოიალურობა ადგილმდებარეობის ჭრილში*




*დიაგრამა 26: საკუთარი ერის კულტურით კმაყოფილება ადგილმდებარეობის ჭრილში*



*დიაგრამა 27: ცნება ლოკალის და ცნება კოსმოპოლიტის შესახებ ინფორმირებულობა ადგილმდებარეობის ჭრილში*




*დიაგრამა 28: ლოკალად და კოსმოპოლიტად თვითიდენტიფიკაცია ადგილმდებარეობის ჭრილში*



*დიაგრამა 29: მსგავსი ორიენტაციის მქონე ადამიანებთან ნაცნობობა ადგილობრივ ჭრილში*




*დიაგრამა 30: კონფლიქტები სხვა ორიენტაციის მქონე პირებთან ადგილმდებარეობის ჭრილში*



*დიაგრამა 31: ლოკალური და კოსმოპოლიტური ორიენტაციის ადამიანების ჩაცმის სტილი*




*დიაგრამა 32: უცხოებთან კომუნიკაციის სიადვილე კოსმოპოლიტებთან და ლოკალებთან*



*დიაგრამა 33: მიმართება ქვეყნის შიგნით მოგზაურობასა და კოსმოპოლიტურ-ლოკალურ ორიენტაციას შორის*




*დიაგრამა 34: მიმართება ქვეყნის გარეთ მოგზაურობასა და კოსმოპოლიტურ-ლოკალურ ორიენტაციას შორის*



*დიაგრამა 35: სხვა კულტურის ღირებულებების და ნორმების გათავისების სიმარტივე ლოკალებთან და კოსმოპოლიტებთან*




*დიაგრამა 36: რამდენად ლოიალური ხართ სხვა კულტურის ღირებულებებისა და ნორმების მიმართ. საშუალოების შედარება კოსმოპოლიტური და ლოკალური ორიენტაციების მიხედვით (5 ბალიანი სკალა: 1 ძალზე არალოიალური, 5 ძალზე ლოიალური)*

